ნაირა მამუკელაშვილი

ახალი ისტორია

საშუალო სკოლის მერვე
კლასის სახელმძღვანელო

დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს მიერ

რედაქტორი კოტე ანთაძე

თ ბ ი ლ ი ს ი
1995

ავტორისა და რედაქტორისაგან

ავტორი და რედაქტორი ისტორიის მასწავლებლებს უმორჩილესად სთხოვენ თავიანთი შენიშვნები და სურვილები საშუალო სკოლის VIII კლასის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: 380028, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის ფაკულტეტი, პროფესორ კოტე ანთაძეს.

ავტორი და რედაქტორი თავის სასიამოვნო მოვალეობად მიიჩნევენ VIII კლასის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს ხელნაწერის მიმართ გამოთქმული შენიშვნებისა და სურვილებისათვის დიდი მადლობა მოახსენონ ოფიციალურ რეცენზენტებს ქეთევან თვალიაშვილს, მერაბ კალანდაძეს, მანანა შეყილაძეს, ლილი ცხონდიას, ლერი ჯანიაშვილს, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ისტორიის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს წევრებს ვანდა ვარძიელს, კარლო თოფურიას, მერაბ მოდებაძეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს გურამ აფხაზავას, ნოდარ კაკაბაძეს, დავით კაციტაძეს, ვასილ კაჭარავას, მარიამ ლორთქიფანიძეს, ვალერიან მაჭარაძეს, ნინო კიღურაძეს, ნინო ნამორაძეს, უშანგი სიდამონიძეს, ბორის სოხვაძეს, ლალი ფირცხალავას, ნიკოლოზ ყიასაშვილს, ცირა ჩიკვაიძეს, საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელს კიტი მაჩაბელს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თანამშრომლებს ქეთევან ბაქრაძეს, ლონდა სამსონაძეს, სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის ცენტრის თანამშრომლებს ვერა გეგეჭკორს, თინათინ გაბრიჩიძეს, ლუდმილა თუმანოვას, ნანა კალანდაძეს, გიორგი მაისურაძეს, ლუდმილა მიქელაძეს, გიორგი ქიქოძეს, მზია ჩხეიძეს, ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის თანამშრომელს ფრიდონ სიხარულიძეს, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელს გვანცა მუსერიძეს.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი

თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტის ისტორიის მეთოდური კაბინეტის გამგე ქეთევან თვალიაშვილი;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანაშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მერაბ კალანდაძე;

თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი მანანა შეყილაძე;

თბილისის 117-ე საშუალო სკოლის ისტორიის მეთოდისტი მასწავლებელი ლილი ცხონდია;

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ლერი ჯანიაშვილი.

კარტოგრაფიული სამუშაოები შეასრულა გვანცა მუსერიძემ

ლიტერატურული რედაქცია შესრულებულია სამეცნიერო თარგმანის ცენტრში.

ლიტ. რედაქტორი ნანა კალანდაძე

პირველი კარი
შესავალი

I თავი
მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია

§ 1. ზეპირი ისტორიული ტრადიცია და წერილობითი ისტორია. ადამიანებს ყოველთვის აინტერესებდათ გარდასულ დროთა ამბავი. უძველეს ეპოქაში, როდესაც დამწერლობა არ არსებობდა, ისტორიული წარსულის შესახებ ცოდნა შთამომავლობას ზეპირი გადმოცემით ენახებოდა. მაგრამ ზეპირი ტრადიცია,[1] რომელიც ჩვეულებრივ მხოლოდ რამდენიმე თაობას უძლებდა, ხშირად არაზუსტი იყო, ჟამთასვლასთან ერთად იგი იფერფლებოდა, ქრებოდა და ამის შედეგად ბევრი საინტერესო ისტორიული ცნობა იკარგებოდა.

ჩვენს წ. აღ-მდე IV ათასწლეულის ბოლოს და III ათასწლეულის დასაწყისში ძველ შუამდინარეთში დამწერლობა შეიქმნა. ძველი შუმერები და ბაბილონელები თიხაზე ლერწმის ჩხირით წერდნენ, შემდეგ თიხის ფირფიტებს გამოწვავდნენ ხოლმე. ამ დამწერლობას სოლისებური, ანუ ლურსმული დამწერლობა ეწოდება. ამავე ხანებში ძველ ეგვიპტეში იეროგლიფური დამწერლობა შემოიღეს.

ლურსმული და იეროგლიფური დამწერლობა საკმაოდ რთული იყო. სწრაფად ჩაწერა ჭირდა. ლურსმული და იეროგლიფური დამწერლობის არაპრაქტიკულობამ ანბანური დამწერლობის შექმნა განაპირობა. პირველი ანბანური დამწერლობა ძველ ფინიკიელებს ეკუთვნით. შემდგომში მათი ეს გამოგონება სხვა ხალხებმაც, მათ შორის ქართველებმაც აითვისეს.

დამწერლობის შემოღებამ განაპირობა სხვადასხვა შინაარსის წერილობითი ძეგლების შექმნა. ეს იყო სამეურნეო თუ საკანონმდებლო ხასიათის საბუთები (მაგ., ჰამურაბის კანონები), სამეცნიერო თუ მხატვრული ნაწარმოებები (გაიხსენეთ ძველი ეგვიპტისა და ბაბილონის მიღწევები მათემატიკასა და ასტრონომიაში, ჰომეროსის პოემები, ძველი ინდური ეპოსი „მაჰაბჰარატა“, „რამაიანა“ და სხვ.).

წერილობითი ისტორიული წყაროების პირველი ნიმუშებიც ძველ აღმოსავლეთში შეიქმნა, ხოლო უკვე ჩვენს წ. აღ-მდე V საუკუნეში ისტორიის მამად წოდებულმა ბერძენმა სწავლულმა ჰეროდოტემ დაწერა პირველი ნაშრომი ისტორიაში (გაიხსენეთ რომელ მოვლენებს ეძღვნება ჰეროდოტეს „ისტორია“, რომელი ქვეყნებისა და ხალხების შესახებ გვაწვდის იგი ცნობებს ამ ნაშრომში).

---

[1] ზეპირი ტრადიცია — წარსულის მოვლენების თაობიდან თაობაზე ზეპირად გადაცემა.

§ 2. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ოთხი მონარქიის მიხედვით. დამწერლობის შექმნამ ხელი შეუწყო ისტორიული ამბებისა და მოვლენების დაგროვებას, აუცილებელი გახდა ისტორიული განვითარების პერიოდების გამოყოფა. თავდაპირველად ისტორია დაიყო მეფეების მმართველობების მიხედვით. როდესაც მეფეთა რაოდენობა გაიზარდა, მაშინ პერიოდიზაცია მოხდა დინასტიების მიხედვით.

ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში გამოჩენილმა ბერძენმა მეცნიერმა კლავდიუს პტოლემაიოსმა მსოფლიო ისტორია ოთხ დიდ პერიოდად — ოთხ მონარქიად დაჰყო. ამ სქემის მიხედვით კაცობრიობამ განვითარების ოთხი პერიოდი განვლო: ასურეთ-ბაბილონის, მიდია-სპარსეთის, საბერძნეთ-მაკედონიის და რომის [1] (ჩამოთვლილი სახელმწიფოების ისტორია თქვენ VI კლასში ძველი მსოფლიოს ისტორიაში შეისწავლეთ).

ოთხი მონარქიის მიხედვით პერიოდიზაცია კარგად მიესადაგა ქრისტიანულ-ფეოდალურ ევროპას, ამიტომ ეს პერიოდიზაცია შუა საუკუნეებშიც დარჩა ძალაში. მართალია, რომის იმპერია V საუკუნეში დაეცა, მაგრამ ოთხი მონარქიის თეორიის მიმდევრებისათვის ამას ხელი არ შეუშლია ემტკიცებინათ, რომ რომის იმპერია არ გამქრალა და განაგრძობს არსებობას.

დასავლეთ ევროპაში ძველი რომის იმპერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ: საერო ხელისუფლება ჯერ ფრანკების, შემდეგ გერმანელების იმპერიის სახით და სასულიერო ხელისუფლება რომის პაპების სახით. მათ შორის შუა საუკუნეებში დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა. ერთი მხრივ, რომის პაპი და, მეორე მხრივ, გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერატორი თვლიდა, რომ მათ თანამედროვე ეპოქაში რომის მონარქიას სწორედ მისი ხელისუფლება ვანასახიერებდა და უარყოფდა მოწინააღმდეგის სამემკვიდრეო პრეტენზიებს (შუა საუკუნეების ისტორიიდან გაიხსენეთ რომის პაპებისა და გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის იმპერატორთა ბრძოლა). ამგვარად, ქრისტიანულ სამყაროში ისტორიის „ოთხ დიდ მონარქიად" დაყოფამ დაკანონებული სახე მიიღო. ამ პერიოდიზაციის წინააღმდეგ გამოსვლა მწვალებლობად და არსებული ქრისტიანულ-ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ გალაშქრებად ითვლებოდა.

XIV-XVI საუკუნეებში რომის იმპერიას ჰუმანისტების [2] სახით ახალი

---

[1] მსოფლიო ისტორიის ოთხ მონარქად დაყოფა ცნობილი იყო ქართველებისთვისაც. ზოგიერთი ძველი ქართული ისტორიკოსი ("მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ავტორი და ლეონტი ჭროველი) ქართლის სამეფოს წარმოშობას მაკედონიის მონარქიასთან აკავშირებს.

[2] ჰუმანისტები — აღორძინების ხანის მოღვაწეები, რომლებმაც ისტორიის შემოქმედად აღიარეს არა ღმერთი, არამედ ადამიანი. ლათინურად "ჰომოს". აქედან წარმოდგა სიტყვა-ფორმა ჰუმანიზმი.

მემკვიდრე გამოუჩნდა. მათ ადრინდელი მემკვიდრეები რომაული კულტურის დაკნინებაში დადანაშაულეს და ნამდვილ მემკვიდრედ ის გამოაცხადეს, ვინც რომაული ცივილიზაციის აღორძინებასა და განვითარებას შეძლებდა. ეს მისია მათ თვითონ იკისრეს.

§ 3. მსოფლიო ისტორიის სამწევროვანი პერიოდიზაცია. აღორძინების ეპოქაში ჰუმანისტებმა ისტორიის ახალ პერიოდიზაციას ჩაუყარეს საფუძველი. მათ ისტორია დაყვეს სამ დიდ ნაწილად: ძველი ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია და ახალი ისტორია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ტერმინები პირველად გამოითქვა არა რომელიმე სამეცნიერო ნაშრომში, არამედ სრულიად მოულოდნელ ვითარებაში. 1469 წელს კარდინალ ნიკოლაუს კუზანელის პარაკლისზე[1] გამოსვლისას ეპისკოპოსმა ჯოვანი ანდრეამ განაცხადა, რომ განსვენებულმა შესანიშნავად იცოდა ისტორია, როგორც ძველი, ისე შუა საუკუნეების და ახალი. შემდგომში დაიწყო ნაშრომების შექმნა ამ პერიოდიზაციის საფუძველზე.

XX საუკუნეში აღნიშნულ სამ პერიოდს დაემატა მეოთხე — უახლესი ისტორია.

ამჟამად საყოველთაოდ მიღებული და აღიარებულია მსოფლიო ისტორიის ოთხწევროვანი პერიოდიზაცია. საზოგადოების განვითარების გზა დაყოფილია ძველ, შუა საუკუნეების, ახალ და უახლეს ისტორიად.

წინამდებარე სახელმძღვანელო ეძღვნება მსოფლიო ისტორიის მესამე პერიოდს — ახალ ისტორიას; იგი გაგრძელებაა მსოფლიო ისტორიის მეორე პერიოდის — შუა საუკუნეების ისტორიისა, რომელიც თქვენ VII კლასში შეისწავლეთ.

? 1. რა მნიშვნელობა ჰქონდა დამწერლობას ისტორიისათვის? 2. რამ გამოიწვია ისტორიის პერიოდიზაციის აუცილებლობა? 3. როგორი იყო კლავდიუს პტოლემაიოსის პერიოდიზაცია და რამ განაპირობა შუა საუკუნეებში მისი შენარჩუნება? 4. რა პირობებში მოხდა მსოფლიო ისტორიის სამწევროვანი პერიოდიზაციის წარმოქმნა?

დანართი

რომის იმპერიის მემკვიდრეები აღმოსავლეთ ევროპაში

რომის იმპერიის მემკვიდრეობის სურვილი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსაც ჰქონდათ. 330 წელს რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა იმპერიის დედაქალაქი რომიდან აღმოსავლეთში — ბიზანტიონში გადაიტანა. ახალ დედაქალაქს კონსტანტინოპოლი ეწოდა; ფაქტობრივად ამით ჩაეყარა საფუძველი აღმოსავლეთ რომის იმპერიას. 395 წელს ძველი რომის იმპერია საბოლოოდ გაიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიებად.

[1] საეკლესიო მღვდელმსახურება, საკვდრებელი ან სამადლობელი ლოცვა.

476 წელს ბარბაროსების მიერ დასავლეთ რომის იმპერიის დამხობის შემდეგ არსებობას განაგრძობდა აღმოსავლეთ რომის იმპერია, რომელსაც მოგვიანებით ბიზანტია ეწოდა. ამრიგად, ბიზანტია თავს რომის იმპერიის მემკვიდრედ მიიჩნევდა.

X საუკუნეში, ბიზანტიისათვის განსაცდელის ჟამს, ბიზანტიის მთავრობამ სამხედრო დახმარება მის აღმოსავლეთელ მეზობელს საქართველოს სთხოვა [1]. დავით III კურაპალატმა დახმარების სანაცვლოდ ბიზანტიისაგან ვრცელი სამფლობელოები მიიღო. დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის ბრძოლა XI საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტია-საქართველოს შორის ურთიერთობის გამწვავების მიზეზად იქცა.

საქართველოში მზადდებოდა ნიადაგი იმისათვის, რომ ბიზანტიის დაცემისა თუ დაქვეითების შემთხვევაში აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში მას დაეკავებინა უპირატესი მდგომარეობა. ამ განზრახვაზე მეტყველებს იმდროინდელი ქართველი ჰიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ჰიმნში გამოთქმული იყო აზრი იმის შესახებ, რომ მეორედ მოსვლის დროს განკითხვა ქართულ ენაზე მოხდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართული ენა საერთაშორისო ენად უნდა ქცეულიყო და ქრისტიანულ სამყაროში ბერძნულ-ლათინური ენების ნაცვლად უნდა დამკვიდრებულიყო.

IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს (1202-1204 წწ.) ჯვაროსნებმა ბიზანტიის იმპერია დაიპყრეს და ლათინთა იმპერია დააარსეს. ამავე პერიოდში (თამარის მეფობის დროს) ქართველებმა შექმნეს ტრაპიზონის საკეისრო. აშკარა იყო, რომ საქართველო მართლმადიდებლურ [2] სამყაროში უპირატესი მდგომარეობის მოპოვებისაკენ მიისწრაფოდა და, თუ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა, ბიზანტიის ადგილი მას უნდა დაეკავებინა. ამგვარად, ძველი რომის იმპერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიის წამოსაყენებლად ჩვენი სამშობლო ემზადებოდა.

1453 წელს კონსტანტინოპოლი თურქ-ოსმალებმა აიღეს. დაემხო მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრი. მაგრამ ამ პერიოდისათვის თვით საქართველოს მდგომარეობაც მეტად არახელსაყრელი იყო. მას გამოვლილი ჰქონდა ჯალალედინის, მონღოლთა და თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობები. გაუთავებელი ბრძოლებით დასუსტებულ, დაშლის პირას მყოფ საქართველოს შექმნილი ვითარების გამოყენების საშუალება აღარ ჰქონდა; იგი ვეღარ გახდებოდა რომის მემკვიდრე, უფრო მეტიც, ასეთ პირობებში კონსტანტინოპოლის დაცემა საქართველოსათვის კატასტროფად იქცა, რადგან ამით ჩვენს სამშობლოს დასავლეთ ევროპისაკენ გზა მოეჭრა. ამიტომ საქართველო შეეცადა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობით გამოეხსნა კონსტანტინოპოლი თურქ-ოსმალთაგან. მაგრამ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა ვერ მოხერხდა. 1492 წელს დაწყებული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად ევროპელთა

---

[1] გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა "თორნიკე ერისთავი",

[2] 1054 წელს ქრისტიანული ეკლესია საბოლოოდ გაიყო დასავლეთ (კათოლიკურ) და აღმოსავლეთ (მართლმადიდებლურ) ეკლესიებად.

ინტერესებმა ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეში გადაინაცვლა. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ძალიან მალე, 1480 წელს, რუსეთი მონღოლთა ბატონობისაგან განთავისუფლდა. მართლმადიდებლურ სამყაროში ის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო გახდა. ამდენად, რომის მემკვიდრეობა სწორედ რუსეთმა მოახერხა. XVI საუკუნის დასაწყისის რუსმა მოღვაწემ ბერმა ფილოფემ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ეს პრინციპი: ორი რომი დაეცა, მესამე რომი — მოსკოვი დგას, მეოთხე კი აღარ იქნებაო.

მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ოთხ მონარქიად და რომის მონარქიის მემკვიდრეობის პრეტენდენტები



დავალება

განმარტეთ როგორ ემზადებოდა საქართველო რომის მონარქიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიის წამოსაყენებლად და რატომ ვერ შეძლო თავისი მისწრაფების განხორციელება.

II თავი
ისტორიული წყაროები

§ 1. ისტორიული წყარო, მისი დამახასიათებელი ნიშნები. ისტორიული ფაქტი ან მოვლენა მომდევნო თაობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შემორჩება, თუ იგი ისტორიული წყაროს სახით სათანადო კვალს დატოვებს. გარდასულ ამბავთა ნაკვალევი სხვადასხვაგვარად შეიძლება შემოგვენახოს, აქედან გამომდინარე, ისტორიული წყაროებიც სხვადასხვაგვარია.

ადამიანები მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე განუწყვეტლივ ქმნიან მატერიალური თუ სულიერი კულტურის ნიმუშებს. ცნობები მათი ნამოღვაწარის შესახებ შთამომავლობას შვიდი ძირითადი ტიპის წყაროს სახით ენახება. ესენია: ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური,[1] ზეპირი, წერილობითი, კინო-ფოტო მასალები და ფონო (ხმის) ჩანაწერები.

ძველი და შუა საუკუნეების ისტორიიდან თქვენ უნდა გახსოვდეთ, რას ნიშნავს ნივთიერი ისტორიული წყარო, მაგრამ სხვა ტიპის ისტორიულ წყაროთაგან მისი უკეთ გამორჩევის მიზნით კიდევ ერთხელ დავახასიათოთ იგი. ნივთიერი ისტორიული წყაროები მრავალგვარია: უძველეს ადამიანთა ნამოსახლარები, სადგომები თუ თანამედროვე გრანდიოზული ნაგებობები; ქვის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის საბრძოლო და შრომის იარაღები თუ XX საუკუნის ურთულესი ტექნიკური აპარატურა, ყოფითი საგნები, ხელოვნების ნიმუშები და ყოველგვარი ნივთიერი ნაშთი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც გადაურჩა ჟამთასვლას. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ წარსულის ნივთიერ ნაშთებს მეცნიერი-არქეოლოგები შეისწავლიან. ჩვენი საუკუნის განვითარების დონის შესახებ თანამედროვე ყოფითი საგნებისა და ტექნიკური მიღწევების მიხედვით კი მომდევნო თაობების მეცნიერები იმსჯელებენ.

ეთნოგრაფიულ წყაროებს სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების ადამიანთა ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებები შეადგენენ. ჩამორჩენილ ტომებზე დაკვირვებით ეთნოგრაფებს საშუალება ეძლევათ იმსჯელონ განვითარებული ხალხების ისტორიის ადრეული პერიოდების შესახებ. თანამედროვე საზოგადოების სოციალურ მოვლენებს, თანამედროვე ადამიანთა ჩვევებსა და ქცევებს მეცნიერება სოციოლოგია შეისწავლის.

---

[1] ლინგვისტიკა — მეცნიერება ენის შესახებ. ენათმეცნიერება.

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ უ რ წ ყ ა რ ო ე ბ ს განეკუთვნება ენაში შემორჩენილი სამონელეო, საეკლესიო, გეოგრაფიული (ტოპონიმები) თუ სხვა ტერმინები, უცხოური სიტყვები, რომლებშიც ისტორიული მოვლენები აისახა.

ზ ე პ ი რ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი — თქმულებები, ხალხური ლექსები და სიმღერები მნიშვნელოვანი მასალაა არა მარტო წმინდა ისტორიულ-ფაქტობრივი მონაცემების დასადგენად, არამედ შესანიშნავად გადმოგვცემს ამა თუ იმ ხალხის მისწრაფებებს, მიდრეკილებებს, ნიჭიერებას, სულიერი განვითარების დონეს.

ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დადგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი ს შესწავლას.

არსებობს დოკუმენტური და თხრობითი წერილობითი წყაროები. დოკუმენტური წყაროები ისტორიული მოვლენისა და ამბის მსვლელობისას იქმნება და ისტორიულ ფაქტს უშუალოდ ასახავს (მაგალითად, კანონთა კრებულები, საერთაშორისო ხელშეკრულებები). თხრობითი ხასიათის წყაროები — მატიანეები, მოგონებები, დღიურები კი ისტორიულ მოვლენებს იმგვარად გადმოგვცემენ, როგორც ესა თუ ის ავტორი გაიაზრებს მათ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტექნიკის განვითარებასთან ერთად გაჩნდა წყაროების ახალი სახეები — კ ი ნ ო-ფ ო ტ ო მასალები და ფ ო ნ ო ჩანაწერები. ამ ტიპის წყაროები ძირითადად უახლესი ისტორიის კვლევისას გამოიყენება.

§ 2. ახალი ისტორიის წყაროები. ახალი ისტორია არის ხანა, როდესაც არაჩვეულებრივად დაჩქარდა საზოგადოების განვითარების პროცესი. ამ დროს მოხდა სამრეწველო გადატრიალება, განხორციელდა ხელით შრომიდან სამანქანო შრომაზე გადასვლა. მუზეუმებში დაცულია პირველი შრომითი მანქანები თუ ორთქლის ძრავები, რომლებიც მნიშვნელოვანი ნივთიერი წყაროებია ამ პერიოდის ადამიანთა შრომითი საქმიანობისა და განვითარების დონის შესასწავლად.

ახალი ისტორიის მკვლევარი მეცნიერები ისტორიული პროცესების დადგენისას წარმატებით იყენებენ შესასწავლი ხანის ყოფით საგნებს, ხელოვნების ნიმუშებს, ტოპონიმებს, ისტორიულ ტერმინებს, ამ პერიოდის ადამიანთა ადათ-წესებს და ზნე-ჩვეულებებს, მათ ზეპირ ისტორიულ ტრადიციებს, ფოლკლორს. მაგრამ ახალი ისტორიის კვლევისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას წერილობითი წყაროები იძენს.

ახალ დროს არნახულად მრავალრიცხოვანი, მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი წერილობითი წყაროები შეიქმნა. XV საუკუნიდან ამას დიდად შეუწყო ხელი ბეჭდვითი საქმიანობის განვითარებამ. სწორედ ახალი ისტორიის პერიოდში

მომრავლდა სამეცნიერო თვალსაზრისით ძალზე ღირებული წერილობითი წყაროები, როგორიცაა: საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო ურთიერთობათა დოკუმენტები, სტატისტიკურ-ეკონომიკური მასალა, საპარლამენტო დებატების ჩანაწერები, ადმინისტრაციული და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების დოკუმენტები, პოლიტიკური ლიტერატურა, პრესა, პროკლამაციები, პამფლეტები, მემუარები, დღიურები, კერძო მიწერ-მოწერა, მხატვრული ლიტერატურა და სხვ.

წყაროების მიგნება და მათი დამუშავება ისტორიული მეცნიერების უმთავრესი ამოცანაა. წყაროების გარეშე ისტორია არ იწერება. ფაქტებისა და მოვლენების დადგენა ისტორიული წყაროების საშუალებით ხდება. ახალი ისტორიის მკვლევარს უნდა გააჩნდეს უამრავი მასალიდან არსებითი, უმთავრესი წყაროების შერჩევის უნარი. ამავე დროს მან კეთილსინდისიერად უნდა დაამუშაოს, შეისწავლოს და გააანალიზოს წყაროები, რათა ისტორიული პროცესის მეცნიერული კვლევის შესაძლებლობა შექმნას.

? 1. რა არის ისტორიული წყარო? 2. დახასიათეთ ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ზეპირი და წერილობითი წყაროები. 3. ძირითადად რომელი წყაროებით ვსწავლობთ ახალ ისტორიას? 4. რომელი წყაროებით ვიკვლევთ სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობას? საერთაშორისო ურთიერთობებს? 5. რა მნიშვნელობა აქვს ისტორიულ წყაროს ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის?

მეორე კარი
ინგლისი XVII-XVIII საუკუნეებში

III თავი
სტიუარტების გამეფება ინგლისში

§ 1. ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა. XVI საუკუნეში ინგლისში ბურჟუაზია წარმოიშვა. ეს იყო ინგლისის მოსახლეობის შეძლებული ნაწილი: მეწარმეები, ვაჭრები, მანუფაქტურებისა და სახელოსნოების მფლობელები, ხომალდების პატრონები, რომლებიც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ.

XVII საუკუნის დასაწყისისათვის ინგლისის თავადაზნაურობის ძირითადი ნაწილი, მეურნეობის ახლებურად მოწყობის გამო, ყოფა-ცხოვრებითა და საქმიანობით ძალიან დაემსგავსა ბურჟუაზიას. წარჩინებულთა ეს ნაწილი,

რომელსაც ახალი თავადაზნაურობა ეწოდა, ძველი თავადაზნაურობისაგან განსხვავებით, აღარ ახდევინებდა გლეხებს ღალატსა და ბეგარას, სოფლის მეურნეობასა და მანუფაქტურაში იგი დაქირავებულ შრომას იყენებდა, აქტიურად მონაწილეობდა საშინაო და საგარეო ვაჭრობაში. ახალი თავადაზნაურობა ძირითადად ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდა. მისი საქმიანობის შედეგად მეურნეობრივად განვითარებული ეს მხარე სულ უფრო მეტ პურს, ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, მატყლს, ხორცს და ტყავეულს ჰყიდდა ქალაქებში. ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის დაუღალავი საქმიანობის შედეგად ინგლისურმა ნაწარმმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მთელს ევროპაში იყო განთქმული ინგლისური განიერი მაუდი და თივთიკი. ქვეყნის ეკონომიკური სადავეები ახალი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ხელში მოექცა. ბუნებრივია, ამან განაპირობა მათი პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებაც.

ინგლისში უზენაესი ხელისუფლება მეფეს ეკუთვნოდა, მაგრამ იგი სისტემატურად იწვევდა პარლამენტს, რომელიც ორი პალატისაგან შედგებოდა. მეფე დიდებულებისაგან ნიშნავდა პარლამენტის ზედა პალატას — ლორდთა პალატას. ლორდთა პალატის წევრობა თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ქვედა — თემთა პალატას ინგლისის მოსახლეობის 3-4 %, ყველაზე შეძლებული და განათლებული ნაწილი ირჩევდა. თემთა პალატის დეპუტატებად ძირითადად ახალი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლები გადიოდნენ. ინგლისში დამკვიდრებული წესის თანახმად ახალი გადასახადების დაწესება ან მეფისათვის სესხის მიცემა მხოლოდ თემთა პალატის თანხმობით შეიძლებოდა.

ინგლისი საგრაფოებად იყოფოდა, საგრაფოებში მეფეს მოხელეები არ ჰყავდა, ახალ,თავადაზნაურებისა და ბურჟუაზიის წრიდან ადგილობრივ თვითმმართველობებს ირჩევდნენ.

ინგლისს სახმელეთო საზღვარი მხოლოდ შოტლანდიასთან ჰქონდა. შოტლანდია სამხედრო თვალსაზრისით სუსტი ქვეყანა იყო. ინგლისს მისი მხრიდან არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, ამიტომ ინგლისის მეფეს არ სჭირდებოდა და არც ჰყავდა მუდმივი სახმელეთო არმია.

საკმაოდ, ძალზე ძლიერი იყო ინგლისის ფლოტი. ხომალდები კერძო პირებს ან სავაჭრო კომპანიებს (ამხანაგობებს) ეკუთვნოდა. იალქნიანი სავაჭრო ხომალდები კარგად იყო შეიარაღებული, ვინაიდან მათ ხშირად უხდებოდათ მეკობრეებისაგან თავის დაცვა, ხელსაყრელ ვითარებაში კი ისინი თვითონაც მეკობრეობდნენ. თუ ინგლისს სხვა ქვეყნების მხრიდან სამხედრო საფრთხე შეექმნებოდა, მაშინ მისი

მრავალრიცხოვანი ფლოტი, რომელიც ძირითადად ახალ თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიას ეკუთვნოდა და ერთდროულად სავაჭროც იყო' და საბრძოლოც. საიმედოდ იცავდა დიდი ბრიტანეთის ნაპირებს (გაიხსენეთ დიდი არმადის ბედი).

ბურჟუაზიასა და ახალ თავადაზნაურობას ეკლესიის მიმართაც ჰქონდა თავისი მოთხოვნები. თავდაპირველად ინგლისელები კათოლიკეები იყვნენ. კათოლიკური ეკლესია რომის პაპს ემორჩილებოდა. XVI საუკუნეში ინგლისის მეფეებმა ინგლისის ეკლესია რომის პაპს ჩამოაცილეს და თვითონ დაიქვემდებარეს. ამ ეკლესიას ანგლიკანური უწოდეს. ღვთისმსახურების წესით იგი კათოლიკურისაგან ცოტა რამით განსხვავდებოდა. ანგლიკანური ეკლესია მეფის ხელისუფლების ერთ-ერთი ბურჯი იყო. ახალმა თავადაზნაურობამ და ბურჟუაზიამ კი მოინდომა, რომ ეკლესია მათ დაქვემდებარებოდა. ისინი მდიდრული ტაძრებისა და ღვთისმსახურების წესების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ეწინააღმდეგებოდნენ მეფის მიერ ეპისკოპოსების დანიშვნის წესს. ბურჟუაზიამ და ახალმა თავადაზნაურობამ ანგლიკანური ეკლესიის კათოლიციზმის ნაშთებისაგან გაწმენდა მოითხოვა. ამის გამო მათ პურიტანები[1] უწოდეს. პურიტანი ახალი თავადაზნაურობა და ბურჟუაზია ინგლისის ეკლესიაში თავიანთი პოზიციების გაძლიერებისაკენ მისწრაფოდა.

ინგლისის გამჭრიახი დედოფალი ელისაბედ I ტიუდორი (ზეობდა 1558-1603 წწ.) ცდილობდა არ გაემწვავებინა პურიტანებთან ურთიერთობა. ის პარლამენტთან თანამშრომლობას ამჯობინებდა. წინაღმდეგ შემთხვევაში ბურჟუაზიასა და ახალ თავადაზნაურობას უნდა დაპირისპირებოდა, რაც მას ქვეყნის შიგნით მშვიდობის შენარჩუნებისა და ძლევამოსილი საგარეო პოლიტიკის გატარების საშუალებას მოუსპობდა.

ელისაბედ I-ის მოჭნილი პოლიტიკის მიუხედავად, ინგლისის საზოგადოების შინაგანი დაძაბულობა ძლიერდებოდა. ახლოვდებოდა განმუხტვის ჟამი. სწორედ ასეთი დრო დადგა 1603 წელს დედოფალ ელისაბედ I-ის გარდაცვალების შემდეგ. ტიუდორებს უშუალო მემკვიდრე არ დარჩენიათ. ინგლისის ტახტი ელისაბედ I-ის ახლო ნათესავს, შოტლანდიის მეფეს ჯეიმზს ერგო.

§ 2. ჯეიმზ I-ისა და ჩარლზ I-ის თვითმპყრობელური მმართველობა. 1603 წელს ინგლისში ჯეიმზ I სტიუარტი (1603-1625) გამეფდა. იგი არც ცდილა თავის ახალ ქვეშევრდომთა სურვილებსა და მისწრაფებებში, მათ ტრადიციებსა და

---

[1] პურეს — ლათინურად "წმინდას" ნიშნავს.

წარმოდგენებში გარკვევას. მეფემ ძველი ყაიდის თავადაზნაურობა და ანგლიკანური ეკლესიის სამღვდელოება საიმედო და ერთგულ დასაყრდენად გაიხადა. იგი წყალობას არ აკლებდა თავის ირგვლივ შემოკრებილ არისტოკრატიას, რომელიც უმთავრესად მეურნეობრივად განუვითარებელ ჩრდილო და დასავლეთ ინგლისში შემორჩა და რომლის შემოსავლის ძირითადი წყარო გლეხობისგან მიღებული ფეოდალური ბეგარა-გადასახადები იყო. ანგლიკანური ეკლესიის სათავეში მდგომი მეფე მფარველობდა მის მიერ დანიშნულ ანგლიკანურ სამღვდელოებასაც. მრევლს ანგლიკანური ეკლესიის სასარგებლოდ შემოსავლის ერთი მეათედი უნდა გადაეხადა.

ძველი ყაიდის თავადაზნაურობა და ანგლიკანური სამღვდელოება ინგლისის მეფის შეუზღუდავი ძალაუფლების მომხრე იყო. მაგრამ ეკონომიკურად სუსტი თავადაზნაურობის ეს ნაწილი ინგლისის მემამულეთა უმცირესობას შეადგენდა. ამასთან, პურიტანიზმის გაძლიერებასთან ერთად სულ უფრო სუსტდებოდა მოსახლეობაზე ანგლიკანური ეკლესიის გავლენაც.

შექმნილი ვითარების მიუხედავად, ჯეიმზ I-ს ღრმად სწამდა, რომ მონარქი მხოლოდ მისი მირონმცხებლის-ღმერთის წინაშეა პასუხისმგებელი. ეს ე.წ. „გვირგვინოსანთა ღვთაებრივი უფლებების“ თეორია მეფეს კანონზე მაღლა აყენებდა, შეუზღუდავ თვითმპყრობელობას ამართლებდა და მონარქს ერის წინაშე პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა.

ჯეიმზ I მოსამართლეების მიერ გამოტანილ განაჩენებს უგულებელყოფდა, არასასურველ პირებს საკუთარი შეხედულებისამებრ აპატიმრებდა.

„ღვთაებრივი უფლებების მონარქი“ ჯეიმზ I ქვეშევრდომებს აიძულებდა განუხრელად შეესრულებინათ ოფიციალური ეკლესიის მოთხოვნები გადასახადების, მრწამსის და ღვთისმსახურების საკითხებში.

1625 წელს ჯეიმზ I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ჩარლზ I. მან მამამისის თვითმპყრობელური პოლიტიკა კიდევ უფრო გაამკაცრა. ურთიერთობა მეფესა და პარლამენტს შორის უკიდურესად დაიძაბა. 1628 წელს პარლამენტმა მიიღო „პ ე ტ ი ც ი ა უ ფ ლ ე ბ ა თ ა შ ე ს ა ხ ებ“, სადაც წამოაყენა მთელი რიგი მოთხოვნები: უნდა შეწყვეტილიყო თვითნებური დაპატიმრებები, კერძო ბინებში ოფიცრებისა და ჯარისკაცების განწესება, გადასახადების შემოღება პარლამენტის ნებართვის გარეშე.

მეფემ ეს დოკუმენტი დამტკიცა იმ იმედით, რომ პარლამენტი მას საჭირო თანხებს გამოუყოფდა. მაგრამ ჩარლზ I-ის ვარაუდი არ გამართლდა. ამის გამო 1629 წელს მან პარლამენტი დაითხოვა და 11 წლის მანძილზე აღარ მოუწვევია. უპარლამენტო მმართველობის დროს ჩარლზ I შუა საუკუნეების დრაკონდელი მივიწყებული ვალდებულებების და გადასახადების აღდგენას ცდილობდა. მისი პოლიტიკით უკმაყოფილოებს კი მის მიერვე დანიშნული საგანგებო სასამართლოს საშუალებით უსწორდებოდა.

§ 3.ხანგრძლივი პარლამენტის მოღვაწეობის დასაწყისი ინგლისში. სტიუარტების გამეფების შემდეგ, შოტლანდიასა და ინგლისს საერთო მეფე ჰყავდა, მაგრამ ეს ქვეყნები მაინც დამოუკიდებელ სამეფოებად რჩებოდა. ჩარლზ I-მა შოტლანდიელებისათვის ანგლიკანური ეკლესიის თავსმოხვევა სცადა. ამის გამო მათ იარაღს მოჰკიდეს ხელი და ჩრდილო ინგლისში შეიჭრნენ.

შოტლანდიის აჯანყებამ ჩარლზ I აიძულა 11 წლის უპარლამენტო მმართველობის შემდეგ, 1640 წლის გაზაფხულზე, მოეწვია ინგლისის პარლამენტი. მეფეს შოტლანდიის აჯანყების ჩასახშობად ჯარი უნდა დაექირავებინა. ამისათვის მას ფული სჭირდებოდა. თანხები მისთვის პარლამენტს უნდა გამოეყო. ინგლისის პარლამენტმა გადაწყვიტა თვითონვე მოეგვარებინა პრობლემა და შოტლანდიის პარლამენტთან უშუალო მოლაპარაკება გამართა. ამავე დროს ინგლისის პარლამენტი მეფის ხელისუფლების მკვეთრად შეზღუდვასა და თავისი უფლებების განმტკიცებას შეეცადა. მეფე და პარლამენტი ვერ მორიგდნენ. რამდენიმე კვირის შემდეგ ჩარლზ I-მა პარლამენტი დაითხოვა. ამიტომ ამ პარლამენტს „ხანმოკლე პარლამენტი“ ეწოდა.

„ხანმოკლე პარლამენტის“ დათხოვნის შემდეგ შოტლანდიელებმა შეტევა განაახლეს და ჩარლზ I-ის მოხალისეთა რაზმები სასტიკად დაამარცხეს. მეფე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი იძულებული გახდა იმავე 1640 წლის შემოდგომის დამლევს კვლავ მოეწვია პარლამენტი. ამ პარლამენტს „ხანგრძლივი პარლამენტი“ ეწოდა, რადგან იგი თითქმის 13 წელი მუშაობდა.

ხანგრძლივმა პარლამენტმა ხალხის მხარდაჭერა გამოიყენა და მეფეს დამტკიცებინა აქტი, რომელიც კრძალავდა პარლამენტის დათხოვნას მისი წევრების თანხმობის გარეშე.

სურათი 1



ხანგრძლივი პარლამენტის ლორდთა პალატისა და თემთა პალატის
სხდომა 1640 წლის 3 ნოემბერს

მოღვაწეობის საწყისსავე ეტაპზე „ხანგრძლივმა პარლამენტმა“ თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო გადააყენა, შემდეგ კი სიკვდილით დასჯა მეფის მთავარი მრჩეველი (მინისტრი) და კენტერბერიის მთავარეპისკოპოსი.

პარლამენტის საქმიანობით უკმაყოფილო ჩარლზ I-მა გადაწყვიტა ძალა გამოეყენებინა, მაგრამ ლონდონელების წინააღმდეგობის გამო 1642 წლის იანვარში მან ვერ შეძლო თემთა პალატის ხელმძღვანელების დაპატიმრება. მალე მეფე დარწმუნდა, რომ დედაქალაქი აღარ ემორჩილებოდა. მან ლონდონი დატოვა, ჩრდილოეთში გაემგზავრა და სამოქალაქო ომი გააჩაღა.

? 1. რამ განაპირობა ბურჟუაზიისა და ახალი თავადაზნაურობის ყოფა-ცხოვრების მსგავსება? 2. ეკონომიკურად რატომ დაწინაურდა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი? 3. რატომ არ ჰყავდა ინგლისს ძლიერი სახმელეთო არმია? 4. რამ განაპირობა უპარლამენტო მმართველობა ინგლისში? 5. რამ აიძულა ჩარლზ I თერთმეტი წლის უპარლამენტო მმართველობის შემდეგ კვლავ მოეწვია პარლამენტი?

დანართი

გზა

1603 წლის არაჩვეულებრივად ნაადრევი გაზაფხულის, აპრილის მშვენიერ, მზიან დღეს, ჯერ კიდევ შეუშრობელი, ტალახიანი და საკმაოდ შელახული საჭაპანო გზით ბრწყინვალე სამეფო კორტეჟი შოტლანდიის დედაქალაქიდან — ედინბურგიდან ლონდონისაკენ მიაცილებდა ახლადგარდაცვლილი დედოფლის მემკვიდრეს, მის მამიდაშვილის შვილს, ელისაბედ I-საგე ბრძანებით სიკვდილით დასჯილი მარიამ (მერი) სტიუარტის ვაჟს, შოტლანდიის ხელმწიფეს — ჯეიმზ I სტიუარტს. მას ინგლისის სამეფო ტახტი უნდა დაეკავებინა.

ინგლისი ღირსეულად ეგებებოდა თავის ახალ მეფეს. გზაში ჯეიმზ I-ს საზეიმოდ გამოწყობილი ხალხი, ქალაქის თავები და მემამულეები დიდი პატივით ესალმებოდნენ. მაგრამ გზის გასწვრივ შეკრებილთა თვალებში იდუმალი შიშის ამოკითხვაც შეიძლებოდა. რობერი პიროვნება იყო ახალი მეფე, შეეგუებოდა იგი ინგლისის ქვეშევრდომებს, მათ ტრადიციებს, სახელმწიფო წყობილებას, ცხოვრების წესს? აი, რა აღელვებდა ინგლისის საზოგადოებრიობას. ინგლისის ქვეშევრდომთა იდუმალ შიშს თავისი საფუძველი ჰქონდა, თუ როგორ ხასიათს მიიღებდა მზარდი წინააღმდეგობა სამეფო ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის, მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ბრიტანეთში ახლადგამეფებულ, შოტლანდიიდან მოსულ სტიუარტთა დინასტიის წარმომადგენლებზე.

რუკა 1

XVII საუკუნის ინგლისის რევოლუცია


ირლანდია
ლონდონი
ინგლისი
ნორვეგია
ბერგენი
ბანბერი
ბანბერიტი
ბანბერ
ბანბერ
ბანბერ

ისტორიული წყარო

პეტიცია უფლებათა შესახებ (1628 წ.)

1. ინგლისის ქვეშევრდომები არ შეიძლება იძულებულნი იყვნენ გადაიხადონ რაიმე გადასახადი, გამოსაღები, ხარკი ან სხვა მსგავსი ბეგარა, რომელიც პარლამენტში საერთო თანხმობით არ არის დადგენილი.

2. არც ერთი თავისუფალი ადამიანი არ შეიძლება იქნას შეპყრობილი, საპყრობილეში ჩაგდებული, თავის მიწას ან თავისუფლებებს მოკლებული, კანონს გარეშე დატოვებული, სხვა საშუალებებით გაძევებული ან შეიწროებული... თუ არა მხოლოდ თანასწორთა მიერ გამოტანილი კანონიერი განაჩენის ან ქვეყნად მოქმედი კანონების საფუძველზე...

„ხანგრძლივი პარლამენტის" აქტი, რომელიც კრძალავდა პარლამენტის დათხოვნას მისი წევრების თანხმობის გარეშე (10.V.1641 წ.)

...ამჟამად არსებული პარლამენტი არ შეიძლება დაითხოვო, დროებით გადასდო მისი სესიები, შეწყვიტო პარლამენტის მიმდინარე სხდომა, სხვანაირად თუ არა ამ მიზნით გამოცემული პარლამენტის აქტით...

დავალება

განსაზღვრეთ, რამდენად შეესაბამებოდა ერთმანეთს ლონდონისაკენ მიმავალი მეფისა და ინგლისის მოსახლეობის განწყობა.

IV თავი

XVII საუკუნის ინგლისის რევოლუცია[1]

§ 1. სამოქალაქო ომი. კრომველი და „ახალი ნიმუშის" არმია. ინგლისის რევოლუცია 1640 წლის 3 ნოემბერს „ხანგრძლივი პარლამენტის" მოწვევით დაიწყო. 1642 წლის იანვარში ლონდონიდან ჩრდილოეთში მეფის წასვლით რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი დასრულდა. გარდაუვალი გახდა სამოქალაქო ომი.

ინგლისის მოსახლეობა ორ ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილად გაითიშა. მეფის ბანაკის ძირითადი ძალა ძველი თავადაზნაურობა იყო. პარლამენტის ბანაკს ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა, გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა

---

[1] რევოლუცია — სიტყვასიტყვით აღნიშნავს გადატრიალებას, ძველის დრომოჭმულის ძალით დამხობას და ახალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების დამყარებას

შეადგენდა. გამოიკვეთა რელიგიური დაპირისპირებაც. ანგლიკანური ეკლესიის სამღვდელოება და ირლანდიელი კათოლიკეები მეფეს ეშმაკობდნენ, პურიტანები კი — პარლამენტს. ამიტომ ინგლისის რევოლუციას ხშირად პურიტანულ რევოლუციას უწოდებენ. პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირება ტერიტორიულ დაყოფაშიც ისახა. ინგლისის ჩრდილოეთის და დასავლეთის ნაკლებად დასახლებული ჩამორჩენილი ნაწილი მეფის დასაყრდენად იქცა, მჭიდროდ დასახლებული, განვითარებული სამხრეთ-აღმოსავლეთი ინგლისი, ლონდონი და ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი კი პარლამენტს ეშმაკობდა. ინგლისის 5,5 მილიონი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა პარლამენტის მხარეზე იდგა.

მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს ზედმეტი სახელებიც გამოუნახეს. მეფის მომხრეებს „კ ა ვ ა ლ ე რ ე ბ ს“[1] ეძახდნენ. კავალერებს მდიდრულად ეცვათ, მათ ფუშფუშა კულულებად დახვეული თმა ჰქონდათ, რაც მხოლოდ თავადაზნაურთათვის იყო დაწესებული.

პარლამენტის არმიაში სადად ეცვათ, მოკლედ შეკრეჭილი თმების გამო მათ „მ რ გ ვ ა ლ თ ა ვ ი ა ნ ე ბ ი“ დაარქვეს.

სამოქალაქო ომი „მრგვალთავიანებსა“ და „კავალერებს“ შორის თავდაპირველად გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, შემდგომ პარლამენტის არმიამ მოწინააღმდეგეს სძლია, რაც მნიშვნელოვანწილად ფანსაზღვრა ო ლ ი ვ ე რ კ რ ო მ ვ ე ლ ი ს (1599-1658 წწ.) მოღვაწეობამ.

რევოლუციის დასაწყისში მანამდე, სანამ პარლამენტში მეფის წინააღმდეგ სიტყვიერი ბრძოლა მიმდინარეობდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დეპუტატთა ორატორულ ნიჭს, ხოლო რა-დესაც საქმე სამოქალაქო ომამდე მივიდა, უკვე იმ დეპუტატებმა წამოიწიეს წინ, რომლებმაც სამხედრო ნიჭი და უნარი გამოავლინეს. ოლივერ კრომველი აქტიურად მონაწილეობდა საპარლამენტო დებატებში, თუმცა მუევრმეტყველებით იგი რიგითი დეპუტატებისაგან არ გამოირჩეოდა. მაგრამ, როდესაც საქმე შეიარაღებულ ბრძოლაზე მიდგა, პარლამენტის დეპუტატებს შორის სამხედრო ნიჭის თვალსაზრისით მას ბადალი არ აღმოაჩნდა.

სოფლის მკერავის მიერ შეკერილ სადა, ხანი ტილოს თეთრსაყელოიან კოსტუმში გამოწყობილი ახოვანი, ძლიერი აგებულების ფოლადისფერთვალება ღაკლაკა სახიანი ოლივერ კრომველი ახალი თავადაზნაურობის წრიდან გამოსული

---

[1] კავალერი — სიტყვასიტყვით მხედარს ნიშნავს. ამ შემთხვევაში — მეფის მომხრე რაინდები, აზნაურები

სურათი 2.

ქრომწყლის ჯვარისცვები

საშუალო შეძლების მემამულე იყო. მეფის წინააღმდეგ ომის დაწყებისთანავე მან, უპირველეს ყოვლისა, როგორც სამხედრო ხელმძღვანელმა გამოიჩინა თავი. კრომველი პარლამენტის არმიაში კაპიტნად შეეიდა. ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და შეუპოვრობისათვის მისი ცხენოსანი რაზმის მეომრებს „რკინისგვერდებიანები" შეარქვეს. ეს ადამიანები თავის სიმართლეში ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი. პურიტანული ფანატიზმიდან[1] გამომდინარე, მათ მეფის, ანგლიკანური ეკლესიისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ ბოლომდე შეუპოვარი ბრძოლა ჰქონდათ გადწყვეტილი. კრომველის რაზმში მტკიცე დისციპლინა იყო შემოღებული. მშვიდობიანი მოსახლეობის შევიწროება უმკაცრესად იკრძალებოდა.

„რკინისგვერდებიანთა" მაღალმა ბრძოლისუნარიანობამ პარლამენტი დარწმუნა, რომ მეფის საბოლოოდ დამარცხებისათვის აუცილებელი იყო „ახალი ნიმუშის" არმიის შექმნა კრომველის გეგმის საფუძველზე. „ახალი ნიმუშის" არმიაში გლეხებსა და ხელოსნებს იღებდნენ. მეთაურთა უმრავლესობას კი ახალი თავადაზნაურობა შეადგენდა.

1645 წლის ზაფხულში სოფელ ნეიზბისთან ბრძოლაში პარლამენტის მიერ შექმნილმა „ახალი ნიმუშის" არმიამ მეფის მთავარი ძალები დაამარცხა. ნეიზბის ბრძოლამ სამოქალაქო ომის ბედი გადაწყვიტა. მეფე დარწმუნდა, რომ მის მომხრეებს „ახალი ნიმუშის" არმიის დამარცხება არ ძალუძდათ. ჩარლზ I შოტლანდიაში გაიქცა, მაგრამ შოტლანდიელებმა მეფე ინგლისის პარლამენტს გადასცეს. პარლამენტმა ჩარლზ I დააპატიმრა.

ლორდთა პალატა მეფის გასამართლების წინააღმდეგ გამოვიდა. ამის გამო თემთა პალატამ ორი გაიუქმა. თემთა პალატის მიერ დანიშნულმა უმაღლესმა ტრიბუნალმა მეფე გასამართლა. ხალხის წინააღმდეგ ომის გამჩაღებელი ჩარლზ I სტიუარტი 1649 წლის იანვარში ქვეყნის მოღალატედ ცნეს და უმრავი ლონდონელის თანდასწრებით თავი მოკვეთეს.

§ 2. ხანგრძლივი პარლამენტის აგრარული[2] პოლიტიკა. რევოლუციამდე ინგლისში თავადაზნაურთა მიწები მეფის ნაწყალობებად იყო მიჩნეული. ამის სანაცვლოდ მათ სარაინდო (საბჭედრო) სამსახური ან ფულადი გადასახადი ევალებოდათ. სამოქალაქო ომის დროს „ხანგრძლივმა პარლამენტმა" მეფის მომხრე ძველი ყაიდის თავადაზნაურობას ადგილ-მამულები ჩამოართვა. ჩამორთმეული

---

[1] ფანატიზმი — რაიმე რწმენით უკიდურესი გატაცება, ბრმადმორწმუნეობა.

[2] აგრარული — სამიწათმოქმედო

მიწები ახალმა თავადაზნაურობამ და ბურჟუაზიამ შეიძინა. აღებული თანხები კი „ხანგრძლივმა პარლამენტმა“ არმიის შენახვას და შეიარაღებას მოახმარა.

1646 წ'ლის კანონით „ხანგრძლივმა პარლამენტმა“ „ს ა რ ა ი ნ დ ო მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა“ გააუქმა. ახალი თავადაზნაურობა და ბურჟუაზია რევოლუციამდე მათ სარგებლობაში არსებული და სამოქალაქო ომის დროს შეძენილი მიწების კერძო მესაკუთრე გახდა. შემდგომში ინგლისის თავადაზნაურობამ გლეხები მიწიდან თანდათან აჰყარა და დაქირავებულ სასოფლო-სამეურნეო მუშებად აქცია. ამიტომაა, რომ ამჟამად ინგლისში გლეხობა არ არსებობს, სოფლად კი მიწა კვლავ მემამულეებს ეკუთვნით და მისი დამუშავება დაქირავებული შრომისა და მალამწარმოებლური მანქანა-იარაღების გამოყენებით ხდება.

§3.პროტექტორატი[1]. ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯის შემდეგ ინგლისი რესპუბლიკად იქცა. ამ ეგრეთ წოდებული ი ნ ტ ე რ რ ე გ ნ უ მ ი ს[2] პერიოდში (1649-1660 წწ.) ინგლისში, ფაქტობრივად სამხედრო დიქტატურა დამყარდა. 1653 წელს ინგლისის სამხედრო დიქტატორი[3] ოლივერ კრომველი ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის ლ ო რ დ - პ რ ო ტ ე ქ ტ ო რ ა დ გამოცხადდა. კრომველმა „ხანგრძლივი პარლამენტი“ გარეკა. მან მთელი ინგლისი სამხედრო ოლქებად დაჰყო. ამ ოლქების, ირლანდიისა და შოტლანდიის სათავეში თავისი ერთგული გენერლები ჩააყენა.

ინგლისის სამხედრო დიქტატურის პურიტანი მესვეურები განსაკუთრებული დაუნდობლობითა და სისასტიკით გაუსწორდნენ კათოლიკურ ირლანდიას. ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლას ირლანდიელების მესამედი შეეწირა. ირლანდიელებს მამაპაპეული მიწები ჩამოართვეს და „ახალი ნიმუშის“ არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს დაურიგეს. ჯარისკაცებმა ირლანდიაში ფეხი ვერ მოიკიდეს და მიღებული მიწები ოფიცრებსა და სხვადასხვა ჯურის ინგლისელ ბნელ საქმოსნებს ჩალის ფასად მიჰყიდეს. კათოლიკე ირლანდიელები პურიტან ინგლისელ მემამულეთა მოიჯარადეებად გადააქციეს. ამის შემდეგ ირლანდიელებსა და ინგლისის გაბატონებულ წრეებს შორის წინააღმდეგობა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ უმწვავეს პრ.ბ ლემად გადაიქცა.

---

[1] პროტექტორი — მფარველი, დამცველი.

[2] ინტერრეგნუმი — მეფობათა შორის პერიოდი.

[3] დიქტატორი — სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი, რომელიც აღჭურვილია შეუზღუდავი ძალაუფლებით.

XVII ს-ის 50-იან წლებში ინგლისმა საგარეო პოლიტიკა გააქტიურა. საზღვაო ნაოსნობაში დიდი ბრიტანეთის ყველაზე ძლიერი კონკურენტი ჰოლანდია იყო. ჰოლანდიელებს „ზღვის მეეტლეებს" უწოდებდნენ. 1650-1651 წლებში ლონდონში გამოიცა ზღვაოსნობის კანონები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სანავიგაციო აქტი იყო. ამ კანონების თანახმად, აზიიდან, აფრიკიდან და ამერიკიდან დიდ ბრიტანეთში საქონლის შემოზიდვა მხოლოდ ინგლისის გემებით შეიძლებოდა. ევროპული საქონელი კი მხოლოდ ინგლისს ან დამამზადებელ ქვეყანას უნდა შემოეტანა. ეს კანონები ძირს უთხრიდა ჰოლანდიის დიდ საშუამავლო ვაჭრობას. ამიტომაც მან არ ცნო ისინი. 1652-1654 წლებში ინგლისსა და ჰოლანდიას შორის ომი გაჩაღდა. ჰოლანდია დამარცხდა და მსოფლიო ვაჭრობაში უპირატესობა დაკარგა.

კრომველი ინგლისის კოლონიების გაფართოებას ცდილობდა. მან ესპანეთს წაართვა ვეს-ინდოეთში შაქრის ლერწმის პლანტაციებით მდიდარი დიდი კუნძული იამაიკა, პორტუგალია კი აიძულა თავის კოლონიებში ინგლისელებისათვის ისეთივე უფლებები მიეცა, როგორიც პორტუგალიელებს ჰქონდათ.

§ 4. სტიუარტების რესტავრაცია[1]. 1658 წლის სექტემბრის დასაწყისში ყველამ იცოდა, რომ განუკურნებელი სენით შეპყრობილი კრომველის დღეები დათვლილი იყო, ლორდ-პროტექტორი სასიკვდილო სარეცელზე იწვა. ამ დროს ლონდონს არაჩვეულებრივი ძალის ქარიშხალმა გადაუქროლა. გრიგალი ძირფესვიანად გლეჯდა ხეებს, ჰაერში იტაცებდა ქოხებს. მეფის მომხრეები ერთმანეთში ოხუნჯობდნენ: „მკვლელის სულის წასაღებად სატანა მოგვევლინაო".

ოლივერ კრომველი 1658 წლის 3 სექტემბერს გარდაიცვალა.

პურიტანების მიერ თეატრისა და სხვა სანახაობების აკრძალვა, ყოფაცხოვრების მკაცრი წესების დამყარება ინგლისელთა მზარდ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

„ახალი ნიმუშის" არმიის შენახვა მნიშვნელოვან სახსრებს მოითხოვდა, ხოლო სამხედრო ხარჯებით გამოწვეული მძიმე გადასახადები მოსახლეობის საყოველთაო აღშფოთებას. იწვევდა.

კრომველის გარდაცვალების შემდეგ არმიის სხვადასხვა დაჯგუფებას შორის შეიარაღებული შეტაკებები და მთავრობათა სწრაფი ცვლა არასტაბილურ (არამყარ) პოლიტიკურ, სამხედრო და საზოგადოებრივ ვითარებას ქმნიდა. ეს შეუძლებელს ხდიდა ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას.

---

[1] რესტავრაცია — დამბობილი პოლიტიკური წყობილების აღდგენა.

ასეთ პირობებში ინგლისის ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა სიკვდილით დასჯილ ჩარლზ I სტიუარტის ვაჟს, ჰოლანდიაში გადახვეწილ ჩარლზ II-ს შეუთანხმდა. მან ვალდებულება აიღო, რომ გამეფების შემთხვევაში რევოლუციის მონაწილეთა და პურიტანიზმის დევნას არ დაიწყებდა, მიწის ახალ მესაკუთრეთა უფლებებს აღიარებდა და ძველ მესაკუთრეებს მიწებს არ დაუბრუნებდა.

1660 წელს მოხდა სტიუარტების ხელისუფლების რ ე ს ტ ა ვ რ ა ც ი ა, დამთავრდა ინტერრეგნუმის პერიოდი. ინგლისის ტახტი ჩარლზ II სტიუარტმა დიკავა. სტიუარტთა ხელისუფლებასთან ერთად ინგლისში ანგლიკანური ეკლესია და პარლამენტის ორივე პალატა — ლორდთა და თემთა პალატა აღდგა.

? 1. რატომ გახდა ინგლისში გარდაუვალი სამოქალაქო ომი? 2. როგორი იყო მეომარ მხარეთა ძალთა თანაფარდობა სამოქალაქო ომის წინ? 3. რატომ გაიმიჯნა ინგლისი ორ ბანაკად სამოქალაქო ომის წინ, როგორი იყო ამ ბანაკების შემადგენლობა? 4. რატომ სძლია პარლამენტის არმიამ მეფისას? 5. რას ითვალისწინებდა ხანგრძლივი პარლამენტის აგრარული პოლიტიკა? 6. დახასიათეთ ოლივერ კრომველის პიროვნება და მმართველობა. 7. რატომ აღსდგა ინგლისში სტიუარტების ხელისუფლება?

დანართი

ოლივერ კრომველი

კრომველმა მხატვარ უოლკერისაგან(1605-1658 მოითხოვა, რომ მხატვარს მისი სახე დაეხატა ისეთი, როგორიც იყო სინამდვილეში, აესახა მისი ყველა ნაოჭი, ნაიარევი და მეჭეჭი. ეს მოთხოვნა ნათელყოფს კრომველის პურიტანულ სისადავეს, მის მისწრაფებას შეულამაზებლად წარმოჩენილიყო. ამდენად, კრომველის უოლკერისეული პორტრეტი ყველაზე უფრო სანდოა სხვა მხატვართა მიერ შესრულებულ მის პორტრეტებთან შედარებით.

სურათი 3

ოლივერ კრომველი (უოლკერის ნახატი)

ისტორიული წყარო

აქტი, რომელიც ინგლისს რესპუბლიკად აცხადებს (19.V.1649)

პარლამენტმა დააღგინა, დააწესა და დამტკიცა – იყოს რესპუბლიკა და თავისუფალი სახელმწიფო, რომ ამიერიდან ინგლისის ხალხი, როგორც რესპუბლიკა, დაექვემდებარება ერის უმაღლეს ხელისუფლებას – პარლამენტში ხალხის წარმომადგენლებს და მათ მიერ დანიშნულ და დამტკიცებულ, მათზე დაქვემდებარებულ თანამდებობების პირებსა და მინისტრების ხელისუფლებას – ხალხის საკეთილდღეოდ ყოველგვარი მეფისა და ლორდთა პალატის გარეშე.

დავალება

განსაზღვრეთ, რამდენად შეესაბამებოდა ინგლისის რესპუბლიკად გამოცხადების აქტის დებულებები კრომველის მიერ დამყარებულ პოლიტიკურ წყობილებას.

V თავი
ინგლისის რევოლუციის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები

§ 1. ჩარლზ II-ის მეფობა. ინგლისის ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა სამეფო ტახტზე სტიუარტების დინასტიის აღდგენაზე იმ პირობით დათანხმდა, რომ ჩარლზ II კონსტიტუციურ მონარქად დამყარებდა, ე.ი. სამეფო ხელისუფლება პარლამენტით უნდა შეზღუდულიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

სტიუარტებმა ხელისუფლების სათავეში დაბრუნებისთანავე რევოლუციის მონაწილეთა აწიოკებას მიჰყვეს ხელი. კრომველისა და სხვა თვალსაჩინო რევოლუციონერთა გვამები საფლავებიდან ამოყარეს და სახრჩობელაზე ჩამოკიდეს.

სტიუარტები მეფის მომხრე თავადაზნაურებისათვის ჩამორთმეული მიწების დაბრუნებასა და რევოლუციამდე არსებული წეს-წყობილების აღდგენას ამირებდნენ.

XVII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულში ინგლისში ორი პოლიტიკური პარტია (ვიგები და ტორები) ჩამოყალიბდა. ვ ი გ ე ბ ი ანუ ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი[1] პარლამენტის გაძლიერებას ცდილობდნენ, ტ ო რ ე ბ ი ანუ კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ო რ ე ბ ი[2]

---

[1] ლიბერალიზმი (ლათინურად "ლიბერალის" — თავისუფალი) — მისწრაფება ისეთი რეფორმებისაკენ, რომელთა მიზანია პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლება.

[2] კონსერვატიზმი (ლათინურად "კონსერვატივუს" — დამცველი) — იცავს არსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ რეჟიმს, თუმცა არ ეწინააღმდეგება ნაწილობრივ რეფორმებს.

კი მეფის ხელისუფლების განმტკიცებას ესწრაფოდნენ. ამავე დროს ორივე პარტია რევოლუციამდელი წეს-წყობილების აღდგენის მოწინააღმდეგე იყო.

ვიგები და ტორები სალანძღავი ზედმეტი სახელები იყო და პარლამენტში პარტიათა შორის მწვავე პოლემიკის (კამათის) შედეგად წარმოიშვა. ვიგებს ანუ „მზიდავებს", „მეეტლეებს" XVII საუკუნის 40-იან წლებში მეფის შორტლანდიელ მოწინააღმდეგეებს უწოდებდნენ. ეს სახელი `როიალისტებმა[1] შეარქვეს ოპოზიციონერებს სამეფო ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის გამო. თავის მხრივ, ვიგებმა მოწინააღმდეგენი კათოლიკე მეამბოხეების – ტორების (ირლანდიურად „ქურდი") სახელით მონათლეს.

1679 წელს ინგლისის პარლამენტმა ჰაბეას კორპუს აქტი მიიღო. აქტი ადამიანთა უფლებებს იცავდა — სასამართლოს ენიჭებოდა მოქალაქეთა დაპატიმრების კანონიერების შემოწმების უფლება.

§ 2.1688 წლის „უსისხლო" რევოლუცია. 1685 წელს უძეოდ გარდაიცვალა ჩარლზ II. ინგლისის ტახტზე მისი ძმა ჯეიმზ II ავიდა. ჯეიმზ II-ის დროს რეაქცია კიდევ უფრო გამძაფრდა. პირველი ქორწინებიდან ჯეიმზ II-ს მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავდა, მაგრამ 1688 წელს მეორე, კათოლიკე მეუღლისაგან ძე შეეძინა. მემკვიდრე პრინცი კათოლიკური წესით მონათლეს. ვიგები და ტორები შეშფოთდნენ. კათოლიკე მეფე მათთვის სრულიად მიუღებელი იყო. ანტიკათოლიკურად განწყობილი ხალხის ფართო მასებიც მათ თანაუგრძნობდა. სტიუარტების მოქმედებით უკმაყოფილო იყო ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა, ჩარლზ II-მ ხომ შეთანხმება დაარღვია, ჯეიმზ II კი კათოლიკურ აბსოლუტიზმს უმზადებდა ინგლისს.

ასეთ პირობებში ტორებისა და ვიგებისაგან შემდგარმა პარლამენტმა 1688 წელს მშვიდობიანი გადატრიალება მოახდინა და ტახტი ჯეიმზ II-ის უფროს ქალიშვილს მერის და მის მეუღლეს, ნიდერლანდის[2] მმართველს უილიამ ორანელს გადასცა. უილიამ III და მერი მცირე რაზმით ინგლისში გადმოსხდნენ. ყველასაგან

---

[1] როიალისტი — მეფის ხელისუფლების ერთგული.

[2] ნიდერლანდი — დაბალ მხარეს ნიშნავს. ამ ქვეყანას ასე იმიტომ უწოდებენ, რომ [illegible] ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს და ზღვისაგან [illegible]ლით არის დაცული. ამ სახელმწიფოს ოფიციალური სახელი შეერთებული პროვინციები იყო. მაში შემავალი შვიდი პროვინციიდან ყველაზე ძლიერი ჰილანდია იყო, ამიტომ ამ სახელმწიფოს ხშირად ჰოლანდიასაც უწოდებენ.

მიტოვებული ჯეიმზ II იძულებული გახდა საფრანგეთში გაქცეულიყო. 1688 წლის გადატრიალება ისტორიულ ლიტერატურაში „ უ ს ი ს ხ ლ ო " ანუ „ ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს " სახელწოდებითაა ცნობილი.

§ 3. კონსტიტუციური მონარქიის დამყარება ინგლისში. უსისხლო რევოლუციის შემდეგ ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოფლიოში პირველობისათვის ბრძოლა გამწვავდა. ამ ბრძოლამ „მეორე ასწლიანი ომის" სახელწოდება მიიღო და სამი დიდი კოალიციური[1] ომი წარმოშვა.

სხვადასხვა იყო ესპანეთის მემკვიდრეობისათვის (1701-1714 წწ.), ავსტრიის მემკვიდრეობისათვის (1740-1748 წწ.) და შვიდწლიანი (1756-1763 წწ.) ომების დაწყების თარიღები, ხანგრძლივობა, საბაბი, დაპირისპირებულ მხარეთა შემადგენლობა და ბრძოლების შედეგები. მაგრამ ორი რამ ყოველთვის უცვლელი იყო: ინგლისი და საფრანგეთი მოწინააღმდეგე კოალიციებში იყვნენ ჩაბმული და მოწინავე, ბურჟუაზიული, პარლამენტური ინგლისი ყოველთვის ჯაბნიდა ჩამორჩენილ, ფეოდალურ, თვითმპყრობელურ საფრანგეთს.

ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომის დროს ინგლისი გიბრალტარის სრუტეს დაეუფლა, შვიდწლიანი ომის დროს კი მან საფრანგეთი ჩრდილო ამერიკიდან და ინდოეთიდან განდევნა.

ამ ომების შედეგად ინგლისი თავის კოლონიურ სამფლობელოებს აკართოებდა და დიდი ბრიტანეთის მსოფლიო კოლონიურ იმპერიას ჭეშმარიტად საფუძველს.

უილიამ III-ის ზეობის (1688-1702 წწ.) დასაწყისშივე ინგლისში 1689 წელს მიღებულ იქნა „ ბ ი ლ ი უ ფ ლ ე ბ ა თ ა შ ე ს ა ხ ებ ". ამ კანონის თანახმად, ინგლისის მეფეს თემთა პალატასთან შეთანხმებით უნდა ემოქმედა. უილიამ III-ის მეფობის მიწურულს, 1701 წელს მიღებული მნიშვნელოვანი დოკუმენტი — „ ა ქ ტ ი ტ ა ხ ტ ი ს მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ " აწესებდა, რომ დაქვრივებული, უშვილო უილიამ III-ის შემდეგ ინგლისის ტახტზე მისი ცოლის და, ჯეიმზ II-ის უმცროსი ქალიშვილი ენი (ანა) უნდა ასულიყო. ენიც უშვილო იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ინგლისის ტახტი სტიუარტების შორეულ ნათესავებს, გერმანელ ჰანოვერთა დინასტიის წარმომადგენლებს უნდა გადასცემოდათ.

ენი სტიუარტის ზეობისას (1702-1714 წწ.) ინგლისმა საბოლოოდ შეიერთა შოტლანდია და სახელწოდება დ ი დ ი ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი დამკვიდრა. დიდი ბრიტანეთი ინგლისს, შოტლანდიას, ირლანდიას და უელსს მოიცავდა. ენის ზეობის

---

[1] კოალიცია — კავშირი

ხანაში ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომ მთავრობა ვიგების ან ტორების პარტიას უნდა შეედგინა იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი მოიპოვებდა უმრავლესობას თემთა პალატაში.

ენის გარდაცვალების შემდეგ, 1714 წლიდან ინგლისში ჰანოვერთა გერმანული დინასტია გამეფდა. ამ დინასტიის პირველ მეფეს ჯორჯ I-ს ინგლისური არც კი ესმოდა, მის მემკვიდრე ჯორჯ II-ს თუმცა, ესმოდა ინგლისური, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა, და მხოლოდ ჯორჯ III-სათვის გახდა ინგლისური მშობლიური ენა.

პირველი ორი ჯორჯის ზეობის დროს პარლამენტისა და მთავრობის მნიშვნელობა გაიზარდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვის ხარჯზე. ინგლისის მეფის ხელისმოწერას მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა ძალა, თუ იქვე პრემიერმინისტრის ხელის მოწერაც იყო.

ინგლისში საბოლოოდ დამკვიდრდა კონსტიტუციური მონარქია, თუმცა ქვეყანას ერთიანი კონსტიტუცია დღემდე არ გააჩნია. ინგლისის ძირითადი კანონი ე.წ. „ინგლისის კონსტიტუციის ბიბლია“ სხვადასხვა დროს, XIII, XVII-XX საუკუნეებში გამოცემული აქტებისაგან შედგება. გარდა ამისა, ინგლისში კონსტიტუციური ადათები (ტრადიციები) მოქმედებს. ტრადიციები წერილობით არსად არ არის დაკანონებული, მაგრამ განუხრელად ტარდება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

§ 4. სამრეწველო გადატრიალების დასაწყისი. კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებამ ინგლისში თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას შეუწყო ხელი, რასაც მნიშვნელოვანი ტექნიკური აღმოჩენები და გამოგონებები მოჰყვა.

ინგლისის მოსახლეობისათვის შემოსავლის დამატებით წყაროს ძაფის დართვა წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველი გლეხის ოჯახში რთავდნენ, ძაფზე მაინც დიდი მოთხოვნილება იყო, რადგან ერთი მქოველი იმდენ ძაფს მოიხმარდა, რამდენსაც 6-10 მრთველი დაართავდა. ამ პრობლემის გადაწყვეტა წერა-კითხვის უკოდინარმა ხერომ და ფეიქარმა ჯონ ჰარგრეივმა მოახერხა. მან 1765 წელს გამოიგონა სართავი ჯარა, რომელსაც თავისი ქალიშვილის პატივსაცემად მისი სახელი — „ჯენი“ უწოდა. ეს ჯარა 16 წვერ ძაფს რთავდა, ე.ი. მუშა მანქანამ 16 მრთველი შეცვალა. ამის შედეგად სულ ცალე იმდენი იაფფასიანი ძაფი დაგროვდა, რომ მქოველები საქმეს ვერ აუდიოდნენ. სწორედ მაშინ, 1785 წელს პასტორმა (მღვდელმა) ედმუნდ ქართრაიტმა მექანიკური საქსოვი დაზგა გამოიგონა.

ერთი წლით ადრე, 1784 წელს გლაზგოს ინსტიტუტის მექანიკოსმა ჯეიმზ

უატმა დაამთავრა ხანგრძლივი მუშაობა ორთქლის მანქანის გამოგონებაზე. ორთქლის მანქანის აგებისათვის საჭირო გაანგარიშებებში მას უნივერსიტეტის პროფესორები დაეხმარნენ.

სურათი 4



ჯეიმს უატი

ადრე ერთ მრთველს ხელით ან ფეხით ერთი სართავი დაზგა შეეძლო დაეტრიალებინა, ჰარგრეივის მანქანაში უკვე 16 სართავი ტრიალებდა. მალე გააკეთეს მანქანები, რომელნიც 100-ზე მეტ სართავს ატრიალებდნენ. ამიერიდან ერთი კაცის ძალა აღარ იყო საკმარისი მანქანის ასამოძრავებლად. დაზგების ასამუშავებლად დაიწყეს წყლის ბორბლის გამოყენება, მაგრამ ინგლისის დაბლობი რელიეფის გამო ამგვარი „წისქვილების“ მოწყობის შესაძლებლობა უაღრესად შეზღუდული იყო.

ამ მხრივ დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო უატის ორთქლის მანქანას. რიგითი გლეხისათვის ეს მანქანა ძალიან ძვირი იყო. ამას გარდა, გრუხუნა, შიშინა ურჩხულს ერთი და ორი კი არა, თორმეტიოდე სართავი მანქანის ამოქმედება შეეძლო. ასე რომ, ორთქლის ძრავა საოჯახო მეურნეობაში არ იყო გამოსადეგი.

ყოველივე ამან ახალი დაწესებულების — ფაბრიკის შექმნა განაპირობა. საჭირო თანხის მფლობელი კაცი საქმეს „წამოიწყებდა“, საგანგებო შენობაში ორთქლის მანქანას დადგამდა, რომლითაც სამუშაო მანქანებს ამოძრავებდა. ფაბრიკის პატრონი მუშებს ქირაობდა, ისინი მანქანებს ემსახურებოდნენ, გაწყვეტილ ძაფს კვანძავდნენ, ორთქლის მანქანას ნახშირს უმატებდნენ, ფუთავდნენ მზა ნაწარმს.

1785-1800 წლებში ინგლისის ქარხნებმა უკვე 180-მდე ორთქლის მანქანა დაამზადეს, რომლებმაც დიდად გაზარდეს ბამბისა და შალის ფაბრიკების, ქვანახშირის და სპილენძის საბადოებისა და მეტალურგიული ქარხნების მწარმოებლურობა.

ამგვარად, ინგლისში XVIII საუკუნის მეორე ხახევარში მუშა მანქანებისა და ორთქლის ძრავის გამოგონებამ ფაბრიკა-ქარხნები წარმოშვა.

? 1. რატომ იყო უკმაყოფილო ინგლისის ბურჟუაზია და ახალი თავადაზნაურობა სამეფო ტახტზე აღდგენილი სტიუარტების მოღვაწეობით? 2. რამ გამოიწვია „უსისხლო" ანუ „სახელოვანი" რევოლუცია? 3. როგორი იყო უსისხლო რევოლუციის დადებითი შედეგები ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში? 4. რამ განაპირობა კოალიციურ ომებში ინგლისის საფრანგეთზე გამარჯვება? 5. როგორ ჩამოყალიბდა ინგლისში კონსტიტუციური მონარქია? 6. რატომ მოზღვავდა ტექნიკური აღმოჩენები და გამოგონებები ინგლისში?

დანართი

ფაბრიკები და სააქციო საზოგადოებები

გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი ადამ სმიტი (1723-1790 წწ.) ნემსის წარმოების პროცესს შემდეგნაირად აღწერს: ერთი მუშა მავთულის გორგალს შლის, მეორე მავთულს ასწორებს, მესამე ჭრის, მეოთხე ბოლოს უმახვილებს, მეხუთე მეორე ბოლოს უხვრეტს, მეექვსე მახვილიან ბოლოს ცეცხლზე ატარებს, მეშვიდე მზა ნემსს ქაღალდში ახვევს; მე-მინახავს პატარა საწარმო, სადაც მხოლოდ ათი კაცი მუშაობდა. ისინი დღის განმავლობაში 48 ათას ნემსს აკეთებდნენ, ე.ი. ერთ მუშაზე საშუალოდ 4.800 ნემსი მოდიოდა, ეს იმ დროს, როდესაც მარტო მომუშავე ერთი ხელოსანი დღეში 100 ნემსზე მეტს ვერ ამზადებს.

ამ შედარების საფუძველზე ადამ სმიტი ნათელყოფს, რომ შრომის დანაწილების შედეგად მარტივი ტექნიკის საფუძველზეც კი მკვეთრად იზრდება შრომის მწარმოებლურობა.

ზოგჯერ ერთ მეწარმეს შენობის და მანქანის შესაძენად, ნედლეულის შესასყიდად და მუშების დასაქირავებლად თანხა არ ყოფნიდა. ასეთ შემთხვევაში საქმის დასაწყებად კაპიტალის (თანხის) მფლობელი რამდენიმე პიროვნება ერთიანდებოდა. თითოეულ მათგანს გარკვეული რაოდენობის შესატანი შეჰქონდა. სპეციალურ ქაღალდზე — აქციაზე აღნიშნული იყო მონაწილის მიერ შეტანილი თანხის ოდენობა და საერთო კაპიტალში მისი წილი. წლის ბოლოს შეტანილი თანხის შესაბამისად ყოველ მათგანს უფლება ჰქონდა მოგების წილი მოეთხოვა. ამგვარ გაერთიანებას სააქციო საზოგადოება ეწოდება.

ისტორიული წყარო

ნაწყვეტი ბილიდან „უფლებების შესახებ“ (1689 წ.)

„...უკანონოა მეფის ბრძანებით კანონების შეჩერება ან გამოცემა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

...უკანონოა მეფის მიერ გადასახადების დაწესება პარლამენტის თანხმობის გარეშე.

...უკანონოა სამეფოს ფარგლებში მუდმივი ჯარის შეკრება და შენახვა პარლამენტის თანხმობის გარეშე.

...პარლამენტის წევრების არჩევნები თავისუფალი უნდა იყოს...“

ინგლისის მეფეთა ჩამომავლობისა და ზეობის ნუსხა XVII-XIX საუკუნეებში



დავალება

გაკვეთილის ტექსტსა და ისტორიული წყაროს მიხედვით დახასიათეთ ინგლისის კონსტიტუციური მონარქია.

VI თავი
XVII–XVIII საუკუნეების ინგლისური ენოვანი ლიტერატურა

§ 1. ჯონ მილტონი (1608-1374). ინგლისური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯონ მილტონი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიბეჯითითა და უცხო ენების ათვისების არაჩვეულებრივი უნარით. მან კემბრიჯის უნივერსიტეტი დამთავრა. ინგლისის რევოლუციის დაწყებამ მისთვის ნათელი გახადა, რომ განახლებულ ინგლისს მეფის ბრძანებებისა და განკარგულებების უსიტყვოდ შემსრულებელი მოშიშარი ქვეშევრდომი კი არა, საზოგადოების აქტიური წევრი, თავისუფალი მოქალაქე ესაჭიროებოდა, რომელიც სახელმწიფოს მართვაში მიიღებდა მონაწილეობას. აუცილებელი იყო ასეთი მოქალაქის აღზრდა, ამიტომ იგი სწორედ აღზრდის საკითხებით დაინტერესდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. რევოლუციის პერიოდში მილტონმა სახელი გაითქვა, როგორც ბრწყინვალე პუბლიცისტმა. მისი პუბლიცისტური წერილები აზრის სიღრმითა და ზემოქმედების დიდი ძალით გამოირჩეოდა. იმდროინდელი საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდა მილტონის ყოველი ახალი ნაწარმოების გამოჩენას. ამ პერიოდის პუბლიკაციებში მილტონი ჩარლზ I-ს მოღალატედ და სახელმწიფო დამნაშავედ აცხადებს, იცავს ინგლისის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, რევოლუციურ პრესას და ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ ილაშქრებს.

სურათი 6

ჯონ მილტონი

კრომველის პროტექტორატის დროს უცხო ენების ბრწყინვალედ მცოდნე მილტონი სახელმწიფო მდივნის მოვალეობას ასრულებდა. ის წლობით აწარმოებდა ლორდ-პროტექტორის საერთაშორისო სახელმწიფოებრივ მიმოწერას, თუმცა არასოდეს არ ყოფილა კრომველის თაყვანისმცემელი.

სტიუარტთა რესტავრაციის შემდეგ მილტონმა საშინელი დევნა განიცადა. ამ პერიოდისათვის იგი ფიზიკურად ძლიერ დასუსტებული, მხედველობადაკარგული, განმარტოებულად ცხოვრობდა და მთლიანად იყო ჩაფლული შემოქმედებით ლიტერატურულ მოღვაწეობაში. სწორედ ამ წლებში შექმნა მან თავისი შედევრები[1] — პოემები: „დაკარგული სამოთხე“ და „სამსონ-მეამბოხე“, რომლებიც მისი კარნახით მეგობრებმა ჩაწერეს.

---

[1] შედევრი — სანიმუშო ნაწარმოები. ხელოვნების, ოსტატობის უდიდესი მიღწევა.

„დაკარგული სამოთხე“ პოეტის შემოქმედების გვირგვინია. ბიბლიურ სიუჟეტებზე აგებული პოემა ინგლისის რევოლუციის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ამიტომაა, რომ მილტონის სატანა სრულიადაც არა ჰგავს ბიბლიურ სატანას. პოემაში დახატული მეგობრებისათვის თავდადებული, თავისუფლებისათვის მებრძოლი სატანა მარცხდება. მაგრამ, მილტონის აზრით, ეს დამარცხება უსამართლოა — თავისუფლებისათვის მებრძოლმა უნდა გაიმარჯვოს. მტკიცე და შეუდრეკელი ნებისყოფის სატანა რევოლუციის მოღვაწეებს ჰგავს. ინგლისის უსამართლო მეფე და როიალისტი ჯარისკაცები კი პოემაში დახატული ღმერთისა, და მისი ანგელოზების პროტოტიპები არიან.

ასეთივე რევოლუციური სულისკვეთებით არის გამსჭვალული პოემა „სამსონ-მეამბოხე“. მტრის მიერ დატყვევებული, დაბრმავებული და ბორკილდადებული სამსონი ძალ-ღონეს იკრებს, ბორკილებს ამსხვრევს და ძალაშემატებული მტრის ტაძარს ამხობს. მტერი ნანგრევებში ეჭცევა და ნადგურდება. მტრის წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლი სამსონი, მართალია, ამ ნანგრევებშივე ილუპება, მაგრამ მისი სიკვდილი გლოვასა და გოდებას არ უნდა იწვევდეს, რადგან, ავტორის აზრით:

„მისი ამბავი მალე ლეგენდად გადაიქცევა, დარჩება ხალხში,
გმირის საფლავთან მკლავმაგარი ვაჟები მოვლენ,
მისი სახელის ხსენებაზე აენთებიან
და არნახული გმირობისკენ გაუწევთ გული“.

პოეტსა და მის გმირს ერთი ბედი ხვდათ წილად — სამსონის მსგავსად მილტონიც ფიზიკურად დასუსტებული, მხედველობადაკარგული, მარტოსული, დამარცხდა რევოლუციის სხვა მოღვაწეებთან ერთად. მაგრამ ძს მტკიცედ სწამდა, რომ თავისი ინტელექტუალური ძალით, თავისი ხაწარმოებებით გაანათლებდა ადამიანებს, შეიძენდა მომხრეებს და მეფის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისაკენ წარმართავდა მათ.

§ 2. დენიელ დეფო (1661-1731). დენიელ დეფოს თვლიან ახალი დროის ინგლისური რომანის ფუძემდებლად. მისი ბავშვობა ტერორისა და რეაქციის პერიოდს დამოხვა. ახალგაზრდობაში მან მონაწილეობა მიიღო ჯეიმზ II-ის წინააღმდეგ აჯანყებაში, რომლის დამარცხების შემდეგ იგი იძულებული შეიქნა დამალულიყო. სწორედ ამ პერიოდში იგი პუბლიცისტიკამ გაიტაცა. სტიუარტთა რესტავრაცია მისთვის მიუღებელი იყო. არც 1688 წლის უსისხლო გადატრიალების შედეგებით იყო კმაყოფილი. დეფოს ენის დროს მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების გამო იგი ციხეში მოხვდა, სადაც ერთი წელი დაჯყო.

სურათი 7

დენიელ დეფო

თითქმის სამოცი წლის იყო მწერალი, როდესაც რომანი „ რ ო ბ ი ნ ზ ო ნ კ რ უ ზ ო “ გამოაქვეყნა. ნაწარმოებმა მას დიდად გაუთქვა სახელი. რომანს საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბავი: ერთ-ერთი შოტლანდიელი მეზღვაური გემის კაპიტანს არ დაემორჩილა, დასჯის მიზნით იგი კაპიტანმა უკაცრიელ კუნძულზე დატოვა. იქ მან რამდენიმე წელი დაჰყო, სულ მთლად გაველურდა და ლაპარაკიც კი თითქმის დაავიწყდა. მისგან განსხვავებით, დენიელ დეფომ რობინზონ კრუზოს სახით მტკიცე ნებისყოფის, საოცარი სიბეჯითის, შეუპოვარი, ცოდნით, გამომგონებლობის უნარითა და ოპტიმიზმით აღსავსე პიროვნება წარმოგვიდგინა. გემის დაღუპვის შედეგად უდაბურსა და დაუსახლებელ კუნძულზე მოხვედრილი რობინზონი არც დაბნეულა და არც სულით დაცემულა. მან დამუშავა მიწა, გააშენა ვენახი, მოიშინაური გარეული თხები და გასართობად თუთიყუშიც კი გაწვრთნა.

რომანში დეფომ თავისი თანამედროვე გონიერი, ყაირათიანი, საქმიანი ინგლისელის მხატვრული სახე მოგვცა, რომელიც საკუთარი თავის იმედითა და მომავლის რწმენით ცხოვრობს, რომელსაც სჯერა, რომ დასახულ მიზანს თავისი ცოდნისა და თავისუფალი შრომის წყალობით მიაღწევს. ამის მტკიცება დეფომ რობინზონ კრუზოს მაგალითით მოგვცა, უმძიმეს პირობებში მოხვედრილმა რობინზონმა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით მოახერხა შეძლებული მეურნე გამხდარიყო. ბუნებრივია, ეს გაცილებით უფრო ადვილად მისაღწევი იქნებოდა სამართლებრივ სამოქალაქო საზოგადოებაში მცხოვრები პიროვნებებისათვის.

§ 3. ჯონათან სვიფტი (1667-1745). ჯონათან სვიფტი ირლანდიელი სასამართლოს მოხელის ოჯახში დაიბადა. დუბლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სამსახურიდან გადამდგარი ლორდის — ტემპლის პირად მდივნად დაიწყო მუშაობა. ტემპლის ოჯახში მან ინგლისის გამოჩენილი მწერლები, პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები გაიცნო. აქვე დაიწყო მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. პირველსავე ნაწარმოებებში გამოვლინდა მისი სატირული ნიჭი. ტემპლის გარდაცვალების შემდეგ იგი ირლანდიაში გაემგზავრა და საეკლესიო მოღვაწეობა დაიწყო. სვიფტი ერთხანს პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაება, მაგრამ ირლანდიის ერთგულმა შვილმა ვერცერთ ინგლისურ პარტიასთან, ვერც ვიგებთან და ვერც ტორებთან ვერ გამონახა საერთო ენა და მტკიცედ

ჯონათან სვიფტი

გადაწყვიტა, რომ მხოლოდ მშობლიური ირლანდიელი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში გამოეყენებინა მთელი თავისი შესაძლებლობანი. მას მიაჩნდა, რომ ირლანდიელები „ღვთისა და ბუნების კანონებით ისეთივე თავისუფალი ხალხი უნდა იყოს, როგორიც ინგლისელები არიან“, რომ „ირლანდიელებზე ინგლისელთა ბატონობა უკანონობისა და ტირანიის გამოხატულებაა“ და რომ „ირლანდიელთა განთავისუფლება თვით ირლანდიელი ხალხის ხელთაა“. სვიფტის ანტიინგლისური პუბლიკაციების გამო ინგლისის მთავრობამ მისი დაპატიმრება გადაწყვიტა, მაგრამ მალევე აიღო ხელი ამ განზრახვაზე, რადგან მთელი ირლანდია აღსდგა თავისი სასიქადულო შვილის დასაცავად.

ინგლისის „კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ირლანდიელი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არის სვიფტის მთავარი ნაწარმოების „გ უ ლ ი ვ ე რ ი ს მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ი ს“ დედააზრი. რომანის მთავარი პერსონაჟი გულივერი ბედმა ჯერ ლილიპუტების, შემდეგ გოლიათების ქვეყანაში მოახვედრა. მესამე მოგზაურობისას იგი ჯადოქართა ქვეყანაში აღმოჩნდა. ბოლოს კი ისეთ საზოგადოებას გაეცნო, სადაც გაველურებული ადამიანები მოაზროვნე ცხენების მონა-მორჩილნი გამხდარიყვნენ.

ლილიპუტებმა მათზე თორმეტჯერ დიდი ტანის გულივერის დამორჩილება გადაწყვიტეს. აქ შესანიშნავად არის ნაზგასმული ინგლისის მიზნები, როდესაც იგი მსოფლიოს უდიდესი ქვეყნებისა და ხალხების დამორჩილებას ცდილობდა. მას გარდა, თანამედროვეებმა ლილიპუტების მეფეში ინგლისის მეფე ჯორჯ I დაინახეს, ლილიპუტების მინისტრში ვიგების ლიდერი უოლპოლი ამოიცნეს. ლილიპუტების ქვეყნის სახელმწიფო წყობილებაც კი ინგლისის წყობილების პაროდია[1] იყო: ლილიპუტების ქვეყანაში ორი პარტია იბრძვის სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. ეს პარტიები ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ერთნი დაბალქუსლიან ფეხსაცმელებს იცვამენ, მეორენი კი — მაღალქუსლიანს. ამით სვიფტმა გესლიანად მიუთითა იმაზე, რომ ამ პერიოდისათვის ვიგებსა და ტორებს შორის ფაქტობრივად არავითარი განსხვავება არ იყო.

ნაწარმოებში კომიკური სცენებით არის გადმოცემული ლილიპუტთა სამეფო კარის ცხოვრება, რაც ინგლისის სამეფო კარის ცხოვრების ანალოგია იყო.

გოლიათების ქვეყანაში სვიფტმა ლილიპუტებთან შედარებით უფრო მოწინავე პოლიტიკური წყობილება დახატა. ხელისუფლების სათავეში აქ მან წარმოგვიდგინა

---

[1] პაროდია — ვისიმე ან რისიმე სუსტი მხარეების გაკილვის მიზნით დამცინავი მიბაძვა

განათლებული მონარქი, რომელმაც გულივერის მონათხრობიდან მისი თანამემამულეების — ინგლისელების შესახებ გააკეთა დასკვნა, რომ გულივერის „თანამემამულეების უმრავლესი ნაწილი გაფუჭებული ტომის ხალხია, რომელთაც ჩემს მიწაზე დასახლების ნებას არასოდეს არ მივცემო“.

„გულივერის მოგზაურობის“ მესამე ნაწილში სვიფტი რესპუბლიკური წყობილების მოიმხრედ გვევლინება. აქვე იგი მასხარად იგდებს ყალბ მეცნიერებს, რომელთა პროტოტიპად სამეფო საზოგადოების — მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი წევრი გვევლინება. მაგრამ ყველაზე საზარელი საზოგადოება სვიფტმა მაინც „გულივერის მოგზაურობის“ მეოთხე ნაწილში დაგვიხატა, სადაც ცხენები თავისი გონებით, განვითარებითა და ქცევით ადამიანებზე მაღლა დგანან.

„გულივერის მოგზაურობაში“ სვიფტი მისი გარემომცველი ინგლისური სინამდვილის მბატვრულ გააზრებას იძლევა. მკაცრად აკრიტიკებს იმ შეზღუდულ თავისუფლებას, რომელიც ინგლისის მოსახლეობის მხოლოდ გარკვეულ ფენებს მიეცა.

§ 3. რობერტ ბერნსი (1754-1791). ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივები გამოიკვეთა შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის შემოქმედებაშიც. ღარიბი გლეხის, შვილმა რობერტ ბერნსმა ლექსების წერა 15 წლის ასაკიდან დაიწყო. იგი 20 წლის იყო, როდესაც მისი ლექსების პირველი კრებული გამოვიდა, ერთი წლის შემდეგ კი მეორე კრებულიც დაისტამბა. მისი წიგნები იმ დროისათვის საკმაოდ დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა და სწრაფად იყიდებოდა. ვაჭრებული ხალხი უკანასკნელ დანაზოგს არ იშურებდა ბერნსის წიგნების შესაძენად, რადგან აქ ყოველი მკითხველისთვის ახლობელი განცდები და აზრები მათთვისვე გასაგები ენით იყო გადმოცემული.

სურათი 9

(რობერტ ბერნსი)

ბერნსი იმ გრძნობებსა და ზნე-ჩვეულებებს უმღეროდა, რომლებიც მისი თანამემამულეებისათვის იყო დამახასიათებელი. მისი შემოქმედება ღრმად ხალხურია. მან გადამუშავა მდიდარი შოტლანდიური ფოლკლორული მემკვიდრეობა და შექმნა თვითმყოფადი, დემოკრატიზმით გამსჭვალული, შინაარსითა და სულით სრულიად ახალი პოეზია, რომელიც ადამიანის პიროვნულ ღირსებებს ყოველგვარ ტიტულებსა და სიმდიდრეზე მაღლა აყენებს. პატიოსანი შრომა, ნამუსიანი ცხოვრება, უანგარო მეგობრობა და ერთგულებაგადადებული სიყვარული არის ბერნსის პოეზიის

შთამაგონებელი. მისი პოეზიისათვის დამახასიათებელია იუმორი, ირონია და სარკაზმი, რაც შესანიშნავად არის შერწყმული მის ნაზ, სასიმღერო, მუსიკალურ ლირიკასთან.

? 1. რა არის ჯონ მილტონის ლიტერატურული შემოქმედების ძირითადი მასაზრდოებელი წყარო? 2. როგორ აისახა რევოლუციის მოღვაწეთა სახეები ჯონ მილტონის „დაკარგულ სამოთხეში“ „სამსონ მებამბეზეში“? 3. რა ძირითადი აზრია გატარებული დენიელ დეფოს რომანში „რობინზონ კრუზო“? 4. რა არის სვიფტის რომანის „გულივერის მოგზაურობის“ დედაზრი? 5. როგორ აისახა ინგლისური სინამდვილე „გულივერის მოგზაურობაში“? 6. დახასიათეთ რობერტ ბერნსის პოეზია.

დანართი

ჯონ მილტონი

სიბრძაენით გამოწვეული ცხოვრებისეული ერთფეროვნების სევდა გამოიხატა ჯონ მილტონის შემდეგ სიტყვებში:

„მიდიან დღენი, ზამთარს მოსდევს კვლავ გაზაფხული,
ჩემთვის კი არა, დღე აროდეს გამოითენდება!..
შემომსვლია გარს ღრუბელი, მარადი, ბნელი,
მისჰობს ყოველგვარ ნეტარებას ადამიანურს...
გზა სიბრძნისაკენ – დასაწყისში გადამელობა.
მით უფრო ძლიერ, ღვთაებრივი სინათლის წყაროვ,
მე შინაგანად განმანათლე, სულიერ ძალებს
შუქი მოჰფინე, ჩამისახე თვალები სულში,
გაჰფანტე სულმთლად, გადასწმინდე მისგან ბურუსი,
რომ ყველაფერი დავინახო, ეიუბნო ყველა,
რასაც ვერა სჭვრეტს ვერასოდეს მოკვდავის თვალი“.

დენიელ დეფო

დეფოს რომანში რობინზონ კრუზოს ასე არიგებს მამამისი: „მხოლოდ თავზეხელაღებული კაცი დაეხეტება ბედის საძიებლად, ან ისეთი, ვინც ჩვეულებრივ ცხოვრებას არ სჯერდება და პატივმოყვარეობით მაღლა-მაღლა მიიწევს, რათა უფრო განდიდდეს და ისეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რაც სახელს მოუხვეჭს... შენ უნდა გაჰყვე ცხოვრების საშუალო დინებას, ... დიდი ხნის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ქვეყნადეს არის ყველაზე სანუკვარი რამ, ადამიანური ბედნიერების

მომნიჭებელი, რომელიც თავიდან აგვაშორებს როგორც სიდუხჭირესა და სივაგლახეს, მომქანცველ შრომასა და ტანჯვას, რაიცა მდაბიოთა ხვედრია, ასევე მაღალი წოდების წილხვდომილს ქედმაღლობას, ფუფუნებას, შურსა და პატივმოყვარეობას. ხოლო რარიგ სანეტაროა ეს მდგომარეობა თუნდაც იმით განსაჯე, რომ ... ბრძენმაც ასევე, ნეტარების წყაროდ საშუალო მდგომარეობა არჩია და ილოცა! ნურც სიღარიბეს მარგუნებ და ნურც სიმდიდრესაო.

საშუალო მდგომარეობა ყოველგვარი სიქველისა და სიხარულის წყაროა, მშვიდობა და სიუხვე მისი მოახლეები არიან. ზომიერება, თავშეკავება, სულიერი სიმშვიდე, ჯანმთელობა, სიამე და გართობა მისი თანამგზავრები არიან. ასეთი კაცი წყნარად და აუღელვებლად გალევს ცხოვრების გზას".

ხვიფტის მიერ ინგლისის შეფასება „გულივერის მოგზაურობაში"

ინგლისელმა გულივერმა გოლიათების ქვეყნის მეფეს თავისი საშშობლოს სინამდვილე აღუწერა. ხელმწიფემ მისი მონათხრობიდან შემდეგი აზრი გამოიტანა: „რაც შენ მიამბე, იმით ჩემთვის ნათელია, რომ შენი სამშობლო დაშორებულია სრულყოფას. ქველმოქმედი ყოველთვის უარყოფილია იმათგან, ვინც დიდ თანამდებობას ეძებს, თქვენ გყავთ მღვდლები, მაგრამ კეთილმსახურებას მოკლებულნი, თქვენი სწავლულნი უგულონი არიან, მეომარნი — სიმამაცეს მოკლებულნი, მოსამართლენი — უსამართლონი და სახელმწიფოს მსახურნი — სიბრძნეს მოკლებულნი. შენს სიტყვებს თუ დავეყრდნე; ის დასკვნა უნდა გამოვიტანო, რომ შენი თანამემამულეების უმრავლესი ნაწილი გაფუჭებული ტომის ხალხია, რომელთაც ჩემს მიწაზე დასახლების ნებას არასოდეს არ მივცემ".

რობერტ ბერნსი

ბერნსის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მოტივი პატრიოტიზმია. მტრის ფეხით გათელილი მშობლიური ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებაა მისი ლექსი „შოტლანდიის დიდება":

„დაემშვიდობე შოტლანდიავ შენს ძველ დიდებას
და შენს სახელსაც ოდესღაც ზვიადს...
ბევრჯერ ცახცახი შევუყენეთ ინგლისურ ფოლადს
ჩვენი რისხვით და შეუვალობით,
მაგრამ ინგლისურ ოქროს უცებ გავუხდით მონად
სამშობლო მიწის გამყიდველი ხროვის წყალობით!

ანტიინგლისური გაწყობილება იუმორისტულად გამოსჭვივის ბერნსის ცნობილ ლექსში „კბილის ტკივილი". კბილის საშინელი ტკივილით გახელებული პოეტი მაინცვერ ივიწყებს სამშობლოს და თავისი ქვეყნის მტრებს სწორედ შემაძრწუნებელ კბილის ტკივილს უსურვებს:

„ჰოი სატანავ, ბნელსახიერო,
შავი კუპრის და ცეცხლის მიერო,
შოტლანდიის მტრებს, სულო ძლიერო, გვედრებ კივილით
გადაუხადე საშაგიერო კბილის ტკივილით“.

რ. ბერნსი მშობლიური ხალხის უდიდესი სიყვარულით სარგებლობს. მისი დაბადების დღე ეროვნულ დღესასწაულად აღინიშნება.

ბერნსის პოეზიამ დიდი აღიარება ჰპოვა მსოფლიოს ხალხებში. მის ერთ-ერთ ლექსზე ქართველმა კომპოზიტორმა გ. ცაბაძემ შესანიშნავი სიმღერა შექმნა, რომელსაც მთელი ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით მღერის:

„კაცი ვარ და ქუდი მხურავს
ქედს არ ვუხრი არავის,
არც არავის ვემონები,
არც ვბატონობ არავის.
ფულს დავხარჯავ თუ მაქვს ჩემი,
არ ვუმადლი არავის,
მტერს მიშველი ხმალით ვხვდები
ქედს არ ვუხრი არავის.
გავიხარებ, გაველაღები
არ ვიდარდებ არავის,
თუ არავის ვენაღვლები
არც მე ვნაღვლობ არავის“.

დავალება

წერილობით ჩამოაყალიბეთ როგორი უნდა იყოს თავისუფალ მეწარმეობაზე აგებული დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქე. რამდენად შეძლებთ თქვენ გახდეთ ასეთი?

მესამე კარი
ამერიკის შეერთებული შტატების წარმოქმნა

VII თავი
ინგლისის კოლონიები [1] ჩრდილოეთ ამერიკაში

§ 1. ინგლისური ახალშენები ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ინგლისელებმა ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით გვიან დაიწყეს ამერიკის კონტინენტის კოლონიზაცია. პირველი ინგლისური დასახლებები ჩრდილოეთ ამერიკაში ჯეიმზ I-ის დროიდან გაჩნდა. თავდაპირველად კოლონიების დაარსების უფლება გადაეცათ სავაჭრო კომპანიებს, რომლებსაც კოლონისტები ამერიკის კონტინენტზე გადაჰყავდათ და ახალ ადგილებზე მათ დამკვიდრებას უწყობდნენ ხელს.

1607 წელს ჯეიმზ I-მა ჩრდილოეთ ამერიკაში ინდიელებით დასახლებული, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე ახალშენის დაარსების თაობაზე ნებართვის სიგელი მისცა ლონდონის სააქციო კომპანიას. ამ კოლონიას ვ ი რ ჯ ი ნ ი ა ეწოდა. მეფემ აღნიშნული სიგელის გაცემისათვის გარკვეული საფასური აიღო, მაგრამ თავი აარიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას მფარველობა აღმოეჩინა ან დაეცვა ეს კოლონია. ვირჯინიამ მოგების თვალსაზრისით არ გაამართლა აქციონერების იმედები. შემდგომში ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტის ოკეანის სანაპიროზე შედარებით უფრო მომგებიანი კოლონიები დაარსდა.

ინდიელთა ტომები გვაროვნულ თემებად ცხოვრობდნენ, ნადირობდნენ და ნაწილობრივ მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ისინი კეთილი გულით შეხვდნენ ინგლისელ კოლონისტებს, რომლებსაც პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდათ სამეურნეო ცხოვრების აწყობა. ინდიელები მათ სურსათ-სანოვაგით დაეხმარნენ, ასწავლეს სიმინდისა და თამბაქოს თესვა-მოყვანა. მალე ურთიერთობა ინდიელებსა და ინგლისელ კოლონისტებს შორის დაიძაბა, რადგან ჩამოსახლებულები მკვიდრი მოსახლეობის მიწების ჩალის ფასად ან ძალადობით ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. ინგლისელმა კოლონისტებმა მიზანს მიაღწიეს, მათ ინდიელთა ტომები თავისი ახალშენების მიმდებარე ტერიტორიებიდან განდევნეს.

ინგლისელ კოლონისტებს დიდ სიძნელეებს უქმნიდა ესპანეთი და ნიდერლანდი

---

[1] კოლონია (ლათინურად "კოლონია" — დასახლება) — დაპყრობილი ქვეყანა ან დაპყრობლებით დასახლებული ადგილი, ახალშენი.

(ჰოლანდია). XVII-XVIII საუკუნეებში ინგლისს თავის მეტოქეებთან რამდენიმე ომი ჰქონდა. ესპანეთი ეწინააღმდეგებოდა ინგლისის მიერ ჩრდილოეთ ამერიკაში კოლონიების შექმნას, ამიტომ ინგლისის კოლონიებს ესპანელების მუდმივი თავდასხმის საფრთხე ემუქრებოდა. ნიდერლანდი კი თავისი კოლონიების დაარსებას ცდილობდა. ინგლისელებმა ესპანეთი და ნიდერლანდი აიძულეს დაეტოვებინათ ფლორიდის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით მდებარე სანაპირო. ინგლისელები ნიდერლანდის ახალშენებს, მათ შორის ახალ ამსტერდამს დაეუფლნენ, რომელსაც ნიუ-იორკი უწოდეს, რაც ახალ იორკს ნიშნავს.

პირველი ინგლისელი კოლონისტები ამერიკაში თავისუფალი მეწარმეობის მოშრე ენერგიული ადამიანები იყვნენ, შემდგომშიც თავისი ცოდნითა და გარჯით ამ ყაიდის ახალმოსახლეები უზრუნველყოფდნენ კოლონიების სამეურნეო განვითარებას.

XVII-XVIII საუკუნეებში ჩრდილოეთ ამერიკაში, ატლანტის სანაპიროს გასწვრივ თანდათანობით შეიქმნა 13 ინგლისური კოლონია. კოლონიები მეურნეობის ხასიათის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფოდა.

ჩრდილოეთით მდებარე ოთხ კოლონიას „ ა ხ ა ლ ი ნ გ ლ ი ს ს " უწოდებდნენ. ამ ახალშენებში კოლონისტები პატარა სოფლებად ცხოვრობდნენ, თითოეულ ოჯახს დასამუშავებლად თავისი საკუთარი მიწის ნაკვეთი ჰქონდა. მცხოვრებნი მეთევზეობას, მონადირეობას, ზღვაოსნობას, გემთმშენებლობას მისდევდნენ, ლითონს ადნობდნენ და მისგან სხვადასხვა ნაკეთობებს ამზადებდნენ. ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების ყველაზე დიდი ქალაქი და ნავსადგური, მასაჩუსეტსის ცენტრი ბ ო ს ტ ო ნ ი სწორედ ახალ ინგლისში მდებარეობდა.

ო თ ხ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ კ ო ლ ო ნ ი ა ში ხორბალი, სიმინდი და ბოსტნეული მოჰყავდათ და მეცხოველეობას მისდევდნენ.

ს ა მ ხ რ ე თ ი ს ხ უ თ კ ო ლ ო ნ ი ა ში გაშენებული იყო მსხვილი სამიწათმოქმედო მეურნეობები — პლანტაციები, სადაც თამბაქო, ბრინჯი, მცენარეული საღებავი ინდიგო, მოგვიანებით კი ბამბაც მოჰყავდათ.

ახალშენები სამუშაო ძალის ნაკლებობას განიცდიდნენ. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად კოლონიებში ინგლისიდან სასჯელის მოსახდელად იძულებით გზავნიდნენ მსჯავრდადებულებს ან ნებაყოფლობით უშვებდნენ ღატაკებს, რომლებიც მზად იყვნენ მგზავრობის საფასურად რამდენიმე წელი კოლონისტების სასარგებლოდ ემუშავათ იმ იმედით, რომ შემდგომში ატლანტის ოკეანის მეორე ნაპირზე თავს დააღწევდნენ სიღატაკეს. პატიმრები სასჯელის მოხდის, ხოლო

ლატაკები მგზავრობის საფასურისათვის დათქმული ვადით მუშაობის შემდეგ თავისუფლდებოდნენ და როგორც წესი, საცხოვრებლად კოლონიებში რჩებოდნენ.

სამხრეთის კოლონიებში ფართოდ იყო გამოყენებული მონის შრომა. ადგილობრივი ინდიელების დამონება პლანტატორებმა ვერ შეძლეს, და რადგან მუშახელი არ ჰყოფნიდათ, აფრიკელი ზანგების შესყიდვა დაიწყეს. შავკანიანი მონებით ვაჭრობამ უზარმაზარი მასშტაბი მიიღო.

ამერიკის ინგლისურ კოლონიებში აფრიკიღან ძალდატანებით შემოყვანილი ზანგების მონობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდებოდა. მონებად რჩებოდა მათი შთამომავლობაც.

XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური კოლონიების მოსახლეობა 2 მილიონამდე გაიზარდა. ისინი ძირითადად ინგლისელები იყვნენ, ახალმოსახლეებში მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენდნენ შოტლანდიელები, ირლანდიელები და გერმანელები. კოლონიების მცხოვრებთა ერთი მეხუთედი მონა ზანგები იყვნენ.

§ 2. წინააღმდეგობის გამწვავება მეტროპოლიასა[1] და კოლონიებს შორის. ამერიკის კოლონიების სამეურნეო წარმატებები ვაჭრობაში, ხელოსნობასა და მანუფაქტურულ წარმოებაში ინგლისის უკმაყოფილებას იწვევდა.

ბრიტანული საქონლის ამერიკელი მეტოქეებისაგან დაცვის მიზნით ინგლისის პარლამენტი კოლონიებში ვაჭრობა-წარმოების განვითარების შეზღუდვას ცდილობდა. პარლამენტმა ამერიკაში ჯერ რკინის დამამუშავებელი სახელოსნოების აგება აკრძალა, შემდეგ ამერიკელებს ქსოვილების დამზადებაც დაუშალა, რათა ყოველგვარი ნაწარმი ინგლისიდან აქ მზა სახით შეეტანათ. მეტროპოლიის ამგვარი პოლიტიკა კოლონიების აქტიურ წინააღმდეგობას აწყდებოდა. კოლონისტები მათ საწინააღმდეგოდ გამოცემულ კანონებს უგულებელყოფდნენ. მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა 1756-1763 წლების შვიდწლიანი ომის შემდეგ, როდესაც ინგლისი საფრანგეთის კოლონიას კ ვ ე ბ ე კ ს (კანადას) დაეპატრონა.

1763 წელს ინგლისის მეფის ბრძანებით კოლონისტებს ალეგანის (აპალაჩის) მთაგრეხილის დასავლეთით გადასახლება აეკრძალათ.

1765 წელს ინგლისის პარლამენტმა კოლონისტებზე პირველად დაწესა გადასახადი. ამ გადასახადს ს ა გ ე რ ბ ო გ ა მ ო ს ა ღ ე ბ ი ერქვა. კანონმა

---

[1]მეტროპოლია — სახელმწიფო, რომელიც ფლობს დაპყრობილ უცხო ქვეყანას

საგერბო გამოსაღების შესახებ ამერიკის კოლონიების ყველა მცხოვრების ინტერესები შელახა, რადგან საგერბო გამოსაღებით იბეგრებოდა ყოველივე ის, რაც დაკავშირებული იყო ქაღალდთან: დაბადების და ქორწინების დოკუმენტები, სავაჭრო გარიგებები, მემკვიდრეობის დამადასტურებელი სბუთები, წიგნები, გაზეთის თითოეული ნომერიც კი. კოლონიების მცხოვრებნი ამბობდნენ, ინგლისის პარლამენტს უფლება არა აქვს გადასახადით დაგვბეგროს, თუ ჩვენი თანხმობა არ იქნებაო. მათ წამოაყენეს პრინციპი: „არავითარი გადასახადი წარმომადგენლობის გარეშე“.

კოლონისტები გადასახადის ამკრეფ მოხელეებს კუპრით თხუპნიდნენ, ბურტყლს აყრიდნენ და გამაყრუებელი ბრაჰუნით დაატარებდნენ ქუჩებში, სანამ ისინი გადასახადის აკრეფაზე უარს არ იტყოდნენ. წინააღმდეგობა იმდენად ერთსულოვანი იყო, რომ ინგლისის მთავრობამ გააუქმა საგერბო გამოსაღები. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ინგლისის კოლონიების წარმომადგენლად ლონდონში გაგზავნილმა სახელგანთქმულმა ამერიკელმა განმანათლებელმა და მეცნიერმა ბ ე ნ ჯ ა მ ე ნ ფ რ ა ნ კ ლ ი ნ მ ა.

უშუალო გადასახადების გაწერა რომ ვერ მოხერხდა, ინგლისის პარლამენტმა სხვა გზას მიმართა — ბაჟები დაწესა. კოლონიებში შეტანილ საქონელზე მაღალი ბაჟები შემოიღეს, მაგრამ ბაჟის დაწესების ყველა ცდას კოლონისტები ბოიკოტით უპასუხებდნენ — ინგლისურ საქონელს არ ყიდულობდნენ. მათ წამოაყენეს ლოზუნგი — „გადაარჩინეთ თქვენი ფული, ამით თქვენს სამშობლოს გადაარჩენთ“. საბაჟო შენობის აგებასაც კი დიდი გართულება, ე.წ. „ბ ო ს ტ ო ნ ი ს ხ ო ც ვ ა - ე ლ ე ტ ა“ მოჰყვა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ საბაჟოს შენობასთან მოთამაშე ბიჭუნებმა ინგლისელ გუშაგებს თოვლის გუნდები ესროლეს. ამის საყურებლად ხალხი შეიკრიბა. შეკრებილნი ბავშვებს აქეზებდნენ. ინგლისელმა ჯარისკაცებმა ხალხს ტყვია დაუშინეს და რამდენიმე კაცი მოკლეს. საყოველთაო აჯანყების თავიდან ასაცილებლად ინგლისის ხელისუფლებამ ბოსტონში მომხდარ ამბავში თავისი ჯარისკაცები დაადანაშაულა და ჯარი ქალაქიდან გაიყვანა.

ინგლისელები იძულებული გახდნენ ამერიკაში შეტანილ საქონელზე ბაჟის აკრეფაზეც აეღოთ ხელი. მხოლოდ ჩაიზე დატოვეს უმნიშვნელო ბაჟი, რათა კოლონისტებისათვის ნათელი გაეხადათ, რომ ინგლისის პარლამენტი ახალშენებში გადასახადების დაწესების უფლებას ინარჩუნებდა. ამერიკელებმა ჩაის შეძენაზე ბოიკოტი გამოაცხადეს. მაშინ დიდმა ბრიტანეთმა მხოლოდ ინგლისური „ვესტ-ინდოეთის“ კომპანია გაანთავისუფლა ბაჟისაგან. ამის საპასუხოდ 1773 წელს

ინდიელებად გადაცმულმა ბოსტონელებმა ვესტ-ინდოეთის კომპანიის ხომალდში შეაღწიეს და ჩაის ყუთები ზღვაში გადაყარეს. ამ შემთხვევას „ბ ო ს ტ ო ნ ი ს ჩ ა ი ს ს მ ა“ ეწოდა. „ბოსტონის ჩაის სმით“ აღშფოთებულმა ინგლისის მეფემ და პარლამენტმა გადაწყვიტეს ძალის გამოყენებით გაეტეხათ კოლონისტების წინააღმდეგობა. მათ უარი თქვეს ამერიკის კოლონიების პ ი რ ვ ე ლ კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ უ რ კ ო ნ გ რ ე ს თ ა ნ[1] მოლაპარაკებაზე, რომელიც 1774 წელს ქალაქ ფილადელფიაში შეიკრიბა.

სურათი 10

ბოსტონის ჩაის სმა

1775 წელს მასაჩუსეტსში ბოსტონთან ბრიტანეთის არმიასა და კოლონისტებს შორის შეიარაღებული შეტაკებები მოხდა. ეს იყო ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომის დასაწყისი.

? 1. როდის დაიწყო ინგლისელების მიერ ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაცია? 2. როგორი იყო ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ბედი XVII-XVIII საუკუნეებში? 3. რით განსხვავდებოდა ზანგი მონებისა და ინგლისიდან ჩამოყვანილი პატიმრებისა და ლატაკების მდგომარეობა? 4. რაში გამოიხატება ძირითადი სხვაობა კოლონიების სამ ჯგუფს შორის? 5. რატომ ცდილობდა ინგლისი ამერიკის კოლონიებში ვაჭრობა-ხელოსნობის შეზღუდვას? 6. რა ღონისძიებებს მიმართავდნენ ინგლისელები ამერიკის კოლონიების დასაბეგრად? 7. რა იყო ინგლისის წინააღმდეგ კოლონიების მცხოვრებთა აჯანყების მიზეზები?

---

[1] კონგრესი — ფრანგი შეთანხმებულობის ოთხბირი, ყრილობა.

რუკა 2



ახალი ინგლისი

1. მასაჩუსეტსი
2. ნიუ-ჰემპშირი
3. როდ-აილენდი
4. კონეტიკუტი

ცენტრალური კოლონიები

5. ნიუ-იორკი
6. პენსილვანია
7. ნიუ-ჯერსი
8. დელაველი

სამხრეთის კოლონიები

9. მერილენდი
10. ვირჯინია
11. ჩრდილო კაროლინა
12. სამხრეთ კაროლინა
13. ჯორჯია
14. მდინარე ჰუდსონი

დანართი

„მადლიერების დღესასწაული"

ინგლისელ კოლონისტთა და ამერიკელ ინდიელთა ურთიერთობის ისტორიიდან

1620 წლის დეკემბერში გემი „მეიფლაუერი" ამერიკის სანაპიროს მიადგა. ახლადჩამოსულმა კოლონისტებმა, რომლებსაც ამერიკის ისტორიაში მამა-პილიგრიმებსაც [1] უწოდებდნენ, დასახლება ახალი-პლიმუტი დააარსეს.

კოლონისტებს საკვები არ ჰყოფნიდათ. ამის გამო გაზაფხულის დადგომამდე ბევრი მათგანი დაიღუპა.

მეზობელ ინდიელ ტომებთან მშვიდობიანი ხელშეკრულების დადებაში ახალმოსახლეებს დაეხმარა ინდიელი სკუანტო, რომელიც მანამდე რამდენიმე წლით ადრე ინგლისელებს გაეტაცათ და ესპანეთში მონად გაეყიდათ. შემდეგ სკუანტო გაქცეულა ინგლისში, საიდანაც კვლავ ამერიკაში დაბრუნდა. ბედის ტრიალმა მას ესპანური და ინგლისური ენების შესწავლის საშუალება მისცა და ახლა, როდესაც ინგლისელი კოლონისტები ახალ პლიმუტში ფეხს იკიდებდნენ, მათთან თარჯიმნობა სწორედ სკუანტომ იკისრა. სკუანტო და მისი თანამოძმეები კოლონისტებს შეძლებისდაგვარად დაეხმარნენ, ასწავლეს სიმინდის მოყვანა, მიუთითეს სათევზაო და თახვის დასაჭერი ადგილები, შეასწავლეს თევზაობისა და ნადირობის ადგილობრივი ჩვევები და მეთოდები.

კოლონისტების შრომისმოყვარეობამ და ყაირათიანობამ უკვე 1621 წელს გამოიღო ნაყოფი. მათ კარგი მოსავალი მოიწიეს და ამით ახალი კოლონიის სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცეს. იმავე წლის შემოდგომაზე ღვთის მადლიერმა კოლონისტებმა მადლიერების დღესასწაული მოაწყვეს, რომელსაც მეზობელი ინდიელებიც ესწრებოდნენ. ამის შემდეგ ეს საშემოდგომო დღესასწაული ტრადიციად იქცა. ყოველი წლის ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათს ამერიკელთა ოჯახებში იშლება საზეიმო სუფრა, რომელსაც ტრადიციულად ამშვენებს შემწვარი ინდაური.

ბენჯამენ ფრანკლინი (1706-1790)

ბენჯამენ ფრანკლინი დაიბადა ბოსტონში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში. ხელმოკლეობის გამო დაწყებით სკოლაში მხოლოდ ერთი წელი ისწავლა და უკვე ბავშვობიდანვე მძიმე შრომით საქმიანობას შეუდგა. მაგრამ საკუთარ თავზე დამოუკიდებლად მუშაობით მან მაინც მიაღწია იმას, რომ თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ პიროვნებად ჩამოყალიბდა.

ბენჯამენ ფრანკლინის შესახებ მისმა თანამედროვემ ძალზე მოხდენილად შენიშნა: „მან ზეცას მეხი და ტირანს ხელისუფლება გამოგლიჯაო". იგი ორმოცი

---

[1] პილიგრიმები — მოხეტიალე მლოცველები.

ბენჯამენ ფრანკლინი

წლის იყო, როდესაც ელექტრობაში დაიწყო მუშაობა და მეხსარიდი გამოიგონა, მოგვიანებით კი, ინგლისის ამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაწყების დროიდან, იგი განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მოთავედ იქცა.

ცნობილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე ბ. ფრანკლინი ამავე დროს თავისი ხალხის დიდი განმანათლებელიც არის. მას ეკუთვნის საქვეყნოდ ცნობილი გამონათქვამები: „ცარიელი ტომარა ვერ დადგება“, „დრო ფულია“, „გულმოდგინება წარმატების საწინდარია“, „გრცხვენოდეთ საკუთარი უსაქმურობის გამო“, „კატა ხელთათმანებით თაგვს ვერ დაიჭერს“, „ააჩქარე შენი საქმეები, რათა საქმეებმა არ აგაჩქარონ შენ“.

ბენჯამენ ფრანკლინმა ჩამოაყალიბა 13 სათნოება, რომელიც, მისი აზრით, ადამიანებისათვის აუცილებლად მისაღები ნორმებია:

1. თავშეკავება — არ ჭამო მოყირჭებამდე, არ დალიო დათრობამდე.
2. დუმილი — ილაპარაკე მხოლოდ ის, რაც სასარგებლო იქნება შენთვის ან სხვისთვის, თავი აარიდე ლაქლაქს.
3. წესრიგი — ყველა ნივთს მიუჩინე თავისი ადგილი, ყოველი საქმისათვის თავისი დრო გქონდეს.
4. გაბედულება — გადაწყვიტე შეასრულო ის, რაც გასაკეთებელია, განუხრელად შეასრულე ის, რაც გადაწყვეტილია.
5. მომჭირნეობა — ფული დახარჯე მხოლოდ იმაზე, რასაც შენთვის ან სხვისთვის სიკეთე მოაქვს, არაფერი არ გაფლანგო.
6. სიბეჯითე — არ დაკარგო დრო ტყუილუბრალოდ, ყოველთვის რაიმე სასარგებლო საქმით იყავი დაკავებული, უარი თქვი ყოველ უსარგებლო მოქმედებაზე.
7. გულწრფელობა — არ იცრუო ბოროტად, გქონდეს წმინდა და სამართლიანი აზრები, საუბრის დროს მისდიე ამ წესს.
8. სამართლიანობა — არავის არ მიაყენო ზიანი, არ ჩაიდინო უსამართლობა და არ გამოგრჩეს ის კეთილი საქმეები, რომლებიც შენს მოვალეობაში შედის.

9. ზომიერება — მოერიდე უკიდურესობებს, შეძლებისდაგვარად შეეცადე იყო მიმტევებელი.
10. სისუფთავე — არ დაუშვა სხეულის, ჩაცმულობისა და ადგილსამყოფელის უსუფთაობა.
11. სიდინჯე — არ აგაღელვოს წვრილმანმა, ჩვეულებრივმა და გარდაუვალმა ამბებმა.
12. უმწიკვლობა — იყავი ზნეობრივად წმინდა.
13. თავმდაბლობა — მიბაძე ქრისტეს და სოკრატეს.

დავალება

ჩამოაყალიბეთ თქვენი შეხედულებები ზნეობის ნორმებზე.

VIII თავი
ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა

§ 1. მეორე კონტინენტური კონგრესი. ბოსტონთან მომხდარმა შეიარაღებულმა შეტაკებამ ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისის კოლონიებში საბოლოოდ გამიჯნა დიდი ბრიტანეთის მომხრეები და მოწინააღმდეგეები, ტ ო რ ე ბ ი და ვ ი გ ე ბ ი ანუ ლ ო ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი[1] და პ ა ტ რ ი ო ტ ე ბ ი. ტორების ბანაკი შეადგინეს ინგლისის მეფისადმი ლოიალურად განწყობილმა ძალებმა — კოლონიებში მყოფმა არმიამ, მოხელეებმა, ანგლიკანური ეკლესიის სამღვდელოებამ, არისტოკრატიამ, მეტროპოლიასთან საშუამავლო ვაჭრობაში ჩაბმულმა ე.წ. კომპრადორებმა[2] და მათთან დაახლოებულმა, ან მათზე დამოკიდებულმა მოსახლეობის ჯგუფებმა. პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული მეწარმეები, ვაჭრები, პლანტატორები, ფერმერები, ხელოსნები, ქარგლები, დღიური მუშები ვიგების ბანაკში გაერთიანდნენ.

1775 წელს ფილადელფიაში მ ე ო რ ე კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ უ რ კ ო ნ გ რ ე ს ზ ე ინგლისის ცამეტივე კოლონიის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მეორე კონტინენტური

---

[1] ლოიალისტი (ინგლ. "ლოიალ" — ერთგული) — არსებული სახელმწიფო ხელისუფლების მომხრე, ერთგული.

[2] კომპრადორი — ადგილობრივი ვაჭარი, რომელიც უცხოეთის ბაზარსა და ადგილობრივ ბაზარს შორის შუამავლობს.

კონგრესის დადგენილებით ინგლისთან ურთიერთობა შეწყდა; მოხალისეთაგან შეიქმნა არმია, არმიის სარდლად განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე და სამხედრო საქმის შესანიშნავი მცოდნე ჯორჯ ვაშინგტონი დაინიშნა. ამგვარად, კონგრესი 13 კოლონიის წარმომადგენლების სათათბიროდან საკანონმდებლო ორგანოდ — პარლამენტად გადაიქცა.

§ 2.კოლონიათა დამოუკიდებლობის გამოცხადება. ინგლისისა და ამერიკის გამოჩენილმა დემოკრატმა მოღვაწემ თ ო მ ა ს ფ ე ი ნ მ ა 1776 წელს გამოაქვეყნა ბროშურა „ს ა ღ ი ა ზ რ ი“. რომელშიც. ინგლისის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გაილაშქრა. „ეს არის რაღაც უაზრობა, აბსურდი“, — წერდა ფეინი, „რომ კონტინენტს საუკუნოდ, დაუსრულებლივ მართავდეს, ხელმძღვანელობდეს კუნძული“. ამ ბროშურამ უდიდესი გავლენა მოახდინა კოლონისტებზე. ქალაქებში გამართულ მიტინგებზე ისინი დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ.

მეორე კონტინენტურ კონგრესზე მიიღეს დადგენილება, რომ კოლონიები „თავისუფალი და დამოუკიდებელი შტატები უნდა იყოს“. კონგრესმა 1776 წლის 4 ივლისს დამტკიცა „დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი ს დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა“, რომელიც ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა თ ო მ ა ს ჯ ე ფ ე რ ს ო ნ მ ა შეადგინა.

„დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“ ნათქვამი იყო, რომ ვინაიდან ინგლისი ჩაგრავს თავის კოლონიებს, გაერთიანებული კოლონიები გამოეყოფიან ინგლისს და შექმნიან დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ადამიანები თანასწორნი შექმნილან, მათი ხელშეუვალი უფლებებია სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა.

„დეკლარაციის“ მიხედვით, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დაწესების უფლება აქვს ხალხს. დეკლარაციამ აღიარა სახალხო ხელისუფლების — სახალხო სუვერენიტეტის იდეა. დებულება იმის შესახებ, რომ ხალხს თვითონ შეუძლია აირჩიოს მთავრობა, მეფის ხელისუფლების, მონარქიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამავე დროს, ოვივე იდეა კოლონიურ ჩაგვრას უპირისპირდებოდა. „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ ადამიანთა და ხალხთა თანასწორობას აცხადებდა. ამერიკის რესპუბლიკის დამაარსებლებმა დაგმეს კოლონიური ჩაგვრა და საზოგადოებაში ადამიანთა წოდებებად დაყოფა. „დამოუკიდებლობის დეკლარაციით“ გამოცხადდა ამერიკის კოლონიების დიდი ბრიტანეთისაგან განთავისუფლება. კაცობრიობის ისტორიაში პირველად, საკანონმდებლო წესით მოისპო ფეოდალური წოდებები

და პოლიტიკური თანასწორობა დამყარდა. სამწუხაროდ, ეს დიადი მონაპოვარი მხოლოდ თეთრკანიან მოსახლეობას შეეხო. მონათმფლობელ-პლანტატორების კატეგორიული მოთხოვნით დეკლარაციის პროექტიდან ამოღებულ იქნა დებულება ზანგების მონობისაგან განთავისუფლების შესახებ. დეკლარაციამ ძალაში დატოვა ზანგების მონობა, არ მიულია არავითარი გადაწყვეტილება ინდიელთა მამაპაპეული მიწებიდან აყრისა და განადგურების წინააღმდეგ.

ამგვარად, მეორე კონტინენტური კონგრესის მიერ დამტკიცებული „დამოუკიდებლობის დეკლარაციით" ინგლისის ყოფილმა ცამეტმა კოლონიამ თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — შეერთებულ შტატებად გამოაცხადა. ჩრდილოეთ ამერიკაში შეიქმნა ახალი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები, შემოკლებით — აშშ.

ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად 4 ივლისი ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა. აშშ-ს სახელმწიფო დროშაზე 13 თეთრ-წითელი ზოლი და ლურჯ ფონზე 13 ვარსკვლავი გამოსახეს. შემდგომში შტატების ზრდასთან ერთად აშშ-ის დროშაზე ვარსკვლავების რაოდენობა გაიზარდა, ამჟამად მათი რიცხვი 50-ს შეადგენს, ხოლო ზოლების რაოდენობა უცვლელი დარჩა. ამგვარად, ამერიკის დროშაზე ყოველი შტატი ვარსკვლავით, ხოლო 13 დამაარსებელი შტატი დამატებით თეთრი ან წითელი ზოლით არის წარმოდგენილი.

§ 3. ომი დამოუკიდებლობისათვის. ურჩი შტატების წინააღმდეგ პოზიციების განმტკიცებლად ინგლისმა „შვიდწლიანი ომის" შედეგად შეძენილი კვებეკი მოკავშირედ გაიხადა. ჯერ კიდევ 1774 წელს დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო კ ვ ე ბ ე კ ი ს ა ქ ტ ი, რომლის მიხედვით კვებეკში (დღევანდელი კანადა) ფრანგული ენა ოფიციალურ ენად გამოცხადდა, კვებეკში ფრანგული სამოქალაქო სამართალი, ადათ-წესები და კათოლიკური ეკლესიის უფლებები დაკანონდა. აქტით კვებეკს შეუერთეს ზოგიერთი ტერიტორია, რომელზედაც ინგლისური კოლონიები აცხადებდნენ პრეტენზიას.

კვებეკის აქტით ინგლისმა კანადის კათოლიკური ფრანგული მოსახლეობის გული მოიგო და კვებეკი თავისი ყოფილი კოლონიების წინააღმდეგ ომში მტკიცე დასაყრდენად გაიხადა.

თავისი არმიის გასაძლიერებლად ინგლისის მეფემ გერმანელი მთავრებისაგან რამდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცი დაიქირავა და ამერიკაში გაგზავნა.

ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედება დაიწყო დიდი ბრიტანეთის მძლავრმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმაც.

სურათი 12

ამერიკელი ფერმერები ემხადებიან ინგლისელების წინააღმდეგ საბრძოლველად

1776 წელს ინგლისელებმა საზღვაო დესანტით აშშ-ს ტერიტორიაზე მდინარე ჰუდსონის შესართავთან მდებარე ნიუ-იორკი აიღეს და 1777 წელს ჩრდილოეთისაკენ დაიძრნენ, ხოლო კანადიდან შემოიჭრა ინგლისის არმია, რომელიც სამხრეთისაკენ, მდინარე ჰუდსონის სათავისაკენ მოძრაობდა. მდინარე ჰუდსონის აუზში ამ ორი ინგლისური არმიის გაერთიანების შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები ორად გაყოფილი აღმოჩნდებოდა, ინგლისელები კი ამ ორ ნაწილს ცალ-ცალკე იოლად დამარცხებდნენ.

1777 წელს სარათოგასთან ამერიკელებმა კანადიდან შემოსული ინგლისელთა არმია დამარცხეს და დაატყვევეს. ამ დამარცხებამ ინგლისელების გეგმა ჩაშალა: ჩრდილოეთის შტატების ბურჟუაზიისა და ფერმერობის წინააღმდეგობა მათ ვერ გატეხეს, ამიტომ საბრძოლო ოპერაციები სამხრეთ შტატებში, ძირითადად კაროლინაში გადაიტანეს. ინგლისელები იმედოვნებდნენ, რომ თუ სამხრეთში მოიპოვებდნენ წარმატებებს, კონსერვატორულად განწყობილ პლანტატორ-მონათმფლობელებთან გამონახავდნენ საერთო ენას.

სარათოგასთან გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო მდგომარეობა. თავდაპირველად ინგლისის მთავარი მეტოქე საფრანგეთი ომში არ ებმებოდა და კოლონისტებისათვის მხოლოდ სამხედრო აღჭურვილობის, იარაღის, სურსათის და ფულის გაგზავნით კმაყოფილდებოდა. სარათოგას ბრძოლის შემდეგ საფრანგეთი დარწმუნდა, რომ ამერიკელები იმარჯვებდნენ; საფრანგეთმა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა ცნო და დიდ ბრიტანეთს ომი გამოუცხადა, მალე მას სხვა ევროპული სახელმწიფოებიც შეუერთდნენ.

ბრიტანეთს საკმაოდ დიდი ფინანსური და სამხედრო უპირატესობა გააჩნდა, მაგრამ ამერიკელების მხარეზე საკუთარ მიწა-წყალზე სამშობლოს დასაცავად ბრძოლის უპირატესობა იყო. ჯორჯ ვაშინგტონის გონივრულმა ხელმძღვანელობამ, ომში საფრანგეთის მონაწილეობამ და მატერიალურმა დახმარებამ ამერიკელთა გამარჯვება უზრუნველყო.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის გაერთიანებულმა ფლოტმა და არმიამ საბოლოო გამარჯვება 1781 წელს ვირჯინიაში, იორკთაუნთან სახმელეთო და საზღვაო ბრძოლაში მოიპოვა. იორკთაუნის ბრძოლის შედეგად ინგლისის მთავარი ძალები ჯორჯ ვაშინგტონს და მის ფრანგ მოკავშირეებს როშამბოსა და ლაფაიეტს დანებდნენ. საომარი მოქმედება შეწყდა, დაიწყო საზავო მოლაპარაკება.

სურათი 13

ჯორჯ ვაშინგტონის საზეიმო
შესვლა ნიუ-იორკში

1783 წლის პარიზის ზავით ინგლისელებმა კოლონიების დამოუკიდებლობა ცნეს. 100 ათასამდე ლოიალისტმა აშშ დატოვა და კვებეკში კადასახლდა. აშშ-ის ტერიტორია დიდი ტბებიდან ფლორიდამდე, ატლანტის ოკეანის სანაპიროდან მისისიპამდე კადაიჭიმა.

? 1. როგორი იყო დიდი ბრიტანეთის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების ძალთა თანაფარდობა ბოსტონთან ბრძოლის შემდეგ? 2. რაში მდგომარეობდა „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ პროგრესული მნიშვნელობა? 3. რას გულისხმობდა კვებეკის აქტი და ინგლისელთა რა გეგმებს ემსახურებოდა ეს? 4. განსაზღვრეთ სარათოგას ბრძოლის სამხედრო და საერთაშორისო შედეგები. 5. რამ განაპირობა აშშ-ის გამარჯვება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში?

დანართი

ისტორიული წყარო

დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან

როცა მოვლენათა მსვლელობა აიძულებს რომელიმე ხალხს გაწყვიტოს პოლიტიკური კავშირი სხვა ხალხთან და სახელმწიფოთა შორის დაიკავოს დამოუკიდებელი მდგომარეობა... კაცობრიობის აზრისადმი ჯეროვანი პატივისცემა ავალებს მას გამოაცხადოს მიზეზები, რომელთა გამო ესწრაფვის გამოყოფას.

ჩვენი აზრით, აშკარაა შემდეგი ჭეშმარიტებანი: ადამიანები შემოქმედს თანასწორი შეუქმნია და ყოველი მათგანისათვის მიუნიჭებია ზოგიერთი ხელშეუხებელი უფლება, რომელთაც მიეკუთვნება: სიცოცხლე, თავისუფლება და სწრაფვა ბედნიერებისადმი. ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად ადამიანთა შორის შექმნილა მთავრობები, რომელთა სამართლიანი ხელისუფლების წყაროა ხალხის თანხმობა. თუ მართვა-გამგეობის რომელიმე ფორმა დამლუპველი ხდება ამ მიზნისათვის, ხალხს უფლება აქვს შეცვალოს, ან მოსპოს იგი და დააწესოს ახალი მთავრობა.

დავალება

ჩამოაყალიბეთ „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ძირითადი პრინციპები.

მეოთხე კარი

რუსეთი XVII ს-ის მიწურულიდან XIX ს-ის დასაწყისამდე

IX თავი

რუსეთის საგარეო პოლიტიკა XVII ს-ის მიწურულსა და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში

§ 1. რუსეთი XVII საუკუნის მიწურულს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი ბატონყმური სახელმწიფო იყო. დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით მისი განვითარება ნელა და მძიმედ მიმდინარეობდა. რუსეთის წინსვლა ძალზე შეაფერხა ოქროს ურდოს ხანგრძლივმა ბატონობამ. XVII საუკუნის დასაწყისში პოლონელებისა და შვედების შემოსევებმა ქვეყანა

გაჩანაგდა, მეურნეობა გაპარტახდა. რუსეთს არ ჰქონდა განვითარებული ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა და მოხერხებული საზღვაო სავაჭრო ნავსადგურები, არ ჰყავდა კარგად გაწვრთნილი არმია და ფლოტი. ყოველივე ამის გამო რუსეთი სახელმწიფო მმართველობის ფორმით, შეიარაღებული ძალებით, ეკონომიკური მდგომარეობით და კულტურის განვითარებით ევროპის მოწინავე ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა.

ასეთ ვითარებაში 1682 წელს რუსეთის უშვილო მონარქის თეოდორე ალექსის ძის გარდაცვალების შემდეგ მეფეებად მისი ძმები — 16 წლის ივანე და 10 წლის პეტრე გამოაცხადეს [1].

სუსტი ჯანმთელობის მქონე ივანე, ბუნებრივია, სახელმწიფო საქმეებს ვერ გაუძღვებოდა.

ნიჭიერი, ცნობისმოყვარე, ენერგიული პეტრე კი ძლიერ, მტკიცე ხასიათსა და განათლებისა და სამხედრო საქმისადმი მისწრაფებას ბავშვობიდანვე ამჟღავნებდა. მოსკოვის მახლობელი სოფლების პრეობრაჟენსკოესა და სემიონოვსკის ბავშვებისაგან მან „გასართობი პოლკები“ შეადგინა და სამხედრო თამაშობებით ერთობოდა. შემდგომში თამაში სამხედრო მომზადებაში გადაიზარდა, „გასართობი პოლკები“ კი მრისხანე სამხედრო ძალად და ახალგაზრდა პეტრეს საიმედო დასაყრდენად გადაიქცა. მაგრამ 1682 წელს, მეფე თეოდორეს გარდაცვალების ჟამს, პეტრე მხოლოდ ათი წლის იყო, ამიტომ სახელმწიფო საქმეების ხელმძღვანელობა მისმა უფროსმა დამ, ძალაუფლების მოყვარე და ჭკვიანმა სოფიომ ჩაიგდო ხელთ.

სოფიოს მმართველობის დროს 1686 წელს რუსეთი ავსტრია-პოლონეთ-ვენეციის ანტითურქულ კავშირს, ე.წ. „საღვთო ლიგას“ შეუერთდა. თურქეთთან ომში რუსეთი შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვებას ესწრაფოდა. რუსეთის ომი თურქეთის წინააღმდეგ მის ვასალთან, ყირიმის სახანოსთან ბრძოლით დაიწყო. 1687-1689 წლებში ყირიმში ორგზის ლაშქრობა რუსეთისათვის უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთმა თავის საწადელს ვერც შორეულ აღმოსავლეთში მიაღწია: იგი ვერ დაეუფლა იაპონიის ზღვის სანაპიროებს.

საგარეო პოლიტიკაში წარუმატებლობის მიუხედავად, სოფიო ერთპიროვნული მმართველობისაკენ მისწრაფოდა. 1689 წელს ტახტის დასაუფლებლად იგი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას შეეცადა. მიზნის მისაღწევად მან პეტრეს

---

[1] თეოდორეს მამამ ალექსი მიხეილის ძე რომანოვმა ორჯერ იქორწინა. თეოდორე, ივანე და სოფიო მას პირველი მეუღლის — მილოსლავსკაიასაგან ჰყავდა. პეტრე კი — მეორე მეუღლესთან, ნარიშკინასთან შეეძინა.

მოკვლა განიზრახა. მაგრამ პეტრე დროულად იქნა გაფრთხილებული. მან თავის ერთგულ პრეობრაჟენსკისა და სემიონოვსკის პოლკებზე დაყრდნობით სოფიო დააპატიმრა, იგი ხელისუფლებას ჩამოაცილა და მონასტერში გამოკეტა.

1689 წლიდან რუსეთის მმართველობა 17 წლის პეტრეს ხელში გადავიდა, რადგან მისი ავადმყოფი ძმა ივანე სახელმწიფო საქმეებში ვერ ერეოდა.

1695 წელს პეტრე I-მა თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედება განაახლა. 1696 წელს მდინარე დონზე მან სახელდახელოდ შექმნა ფლოტი, გადაკეტა დონის შესართავი და ორთვიანი ალყის შემდეგ ციხესიმაგრე აზოვი აიღო. რუსეთმა ისტორიაში პირველად მოიპოვა აზოვის ზღვაზე გასასვლელი. ამ დროს გარდაიცვალა პეტრეს ძმა, ტახტის მოზიარე ივანე V. პეტრე I რუსეთის ერთპიროვნული თვითმპყრობელი გახდა.

ანტითურქული კავშირის გასაფართოებლად 1697-1698 წლებში რუსეთიდან საზღვარგარეთ „დიდი ელჩობა“ გაგზავნა. პეტრემდელ რუსეთში მეფეს საზღვარგარეთ წასვლა ეკრძალებოდა. ამიტომ ჭაბუკი მეფე ელჩობაში ფარულად იღებდა მონაწილეობას. საზღვარგარეთ იგი პეტრე მიხაილოვის სახელით გაემგზავრა და მიზნად ისახავდა დასავლეთ ევროპის ცხოვრების, კულტურული და ტექნიკური მიღწევების გაცნობას. დიდ ელჩობაში პეტრესთან ერთად იმყოფებოდა მისი სიყრმის მეგობარი, არჩილ მეფის ძე ალექსანდრე ბაგრატიონი. ამ დროს ევროპის ქვეყნები ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომის დასაწყებად ემზადებოდნენ, მათ რუსეთისა და ოსმალეთისათვის არ ეცალათ. ამის გამო დიდი ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთმა ვერ შეძლო ანტითურქული კავშირის გაფართოება. ამიტომ პეტრე თურქეთთან დადებული ზავით მხოლოდ ციხესიმაგრე აზოვსა და აზოვის ზღვაზე გასასვლელს დასჯერდა.

1700 წელს პეტრემ ისარგებლა ევროპის ქვეყნების მოუცლელობით და დაიმარტოხელა შვედეთი, რომელიც თავისი პირველხარისხოვანი ფლოტითა და არმიით უდიდეს საფრთხეს უქმნიდა ბალტიისპირა ქვეყნებს, რუსეთს კი ფინეთის ყურეში გასასვლელს არ აძლევდა. შვედებთან საომრად პეტრემ პოლონეთსა და დანიასთან შეკრა კავშირი. ასე დაიწყო ჩრდილოეთის ომი.

§ 2. ჩრდილოეთის ომი. პრუტის ლაშქრობა. ომი შვედეთთან, ეგრეთ წოდებული ჩრდილოეთის ომი 21 წელიწადს (1700-1721) გაგრძელდა. თავდაპირველად შვედეთის ახალგაზრდა და ენერგიულმა მეფემ კარლოს XII-მ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა. მან ცალ-ცალკე დამარცხა მოკავშირეები. 1700 წელს შვედებმა დანიის დედაქალაქს კოპენჰაგენს შემოარტყეს ალყა და დანიის მეფე

აიძულეს მათთან ზავი დაედო. შემდეგ კარლოს XII-მ არმია სასწრაფოდ გადაიყვანა ბალტიისპირეთში.

პეტრე I-ის 34-ათასიანი ჯარი ნარვის ციხესიმაგრის აღებას ცდილობდა. 1700 წლის ნოემბერში რუსებისათვის მოულოდნელად შესანიშნავად გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული შვედთა 12-ათასიანი არმია გამოჩნდა. ძირითადად ახალწვეულებისაგან შემდგარი რუსეთის ჯარი სასტიკად დამარცხდა.

ნარვასთან ბრძოლაში რუსეთის არტილერიას ალექსანდრე ბატონიშვილი მეთაურობდა. მან ბოლო წუთამდე არ დატოვა ბრძოლის ველი და რუსეთის არმიის დამარცხების გამო ტყვედ ჩავარდა. შემდგომში პეტრემ თავისი უახლოესი თანამებრძოლი ტყვეობიდან გამოიხსნა, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილმა რუსეთში ვერ ჩამოაღწია, იგი გზაში გარდაიცვალა.

ნარვის ბრძოლის შედეგებიდან კარლოს XII-მ და პეტრე I-მა სხვადასხვაგვარი დასკვნები გამოიტანეს. კარლოს XII-მ ჩათვალა, რომ რუსეთი საბოლოოდ დამარცხა და თავისი ძალები ანტიშვედური კავშირის მესამე წევრის — პოლონეთის წინააღმდეგ წარმართა. პეტრე I მომავალი ბრძოლების საწარმოებლად მთელი ენერგიით შეუდგა რეგულარული არმიის შექმნას. დიდი ყურადღება დაუთმო ჯარის ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნას.

უკვე 1701 წელს რუსეთის ჯარმა შვედების წინააღმდეგ ბრძოლაში პირველ მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწია. 1702 წელს რუსებმა აიღეს ციხესიმაგრე ნოტებურგი, რომელსაც პეტრემ შლისელბურგი უწოდა, რაც გერმანულად „ქალაქგასასვლელს“ ნიშნავს. 1702-1704 წლებში რუსებმა ფინეთის ყურეში მდინარე ნევის შესართავი დაიკავეს, აიღეს ნარვა და მტკიცედ დაეუფლნენ ბალტიის ზღვაზე გასასვლელს. ამასობაში კარლოს XII-მ რუსეთის მოკავშირე პოლონეთი დამარცხა და 1707 წლიდან მთელი ძალები რუსეთის წინააღმდეგ წარმართა. 1708 წელს სოფელ ლესნაიასთან (ბელორუსიაში) რუსეთის ჯარმა გაანადგურა შვედების კორპუსი, რომელიც კარლოს XII-ისმოავარ ძალებთან შესაერთებლად მიემართებოდა. რუსებმა დიდი რაოდენობით სურსათი და საბრძოლო იარაღი ოდეს ხელთ.

მომდევნო, 1709 წელს პოლტავასთან (უკრაინაში) გენერალურ ბრძოლაში რუსებმა სასტიკად დამარცხეს კარლოს XII-ის არმია. პოლტავის ბრძოლამ ძირეულად შეცვალა ჩრდილოეთის ომის მსვლელობა. რუსეთის ყოფილი მოკავშირეები დანია და პოლონეთი კვლავ ჩაებნენ შვედეთის წინააღმდეგ ომში. ანტიშვედურ კავშირს პრუსიაც შეუერთდა.

 სურათი 14

პეტრე I ბოლტავის ბრძოლის დროს

პეტრე I-ის გამარჯვებით დაშინებულმა თურქეთმა, რომელიც ვერ ურიგდებოდა აზოვისათვის ბრძოლაში რუსეთის მიერ მოპოვებულ წარმატებებს, ისარგებლა ჩრდილოეთის ომის გაჭიანურებით და რუსეთს ომი გამოუცხადა. ომში თურქეთის ჩაბმამ რუსეთის მდგომარეობა საგრძნობლად გაართულა. პეტრე I იძულებული შეიქნა მნიშვნელოვანი ძალები გადაესროლა სამხრეთ – დასავლეთისაკენ. 1711 წელს პეტრე I-ის ლაშქრობა მდინარე პრუტზე წარუმატებლად დამთავრდა. რუსეთის არმია, რომელშიც თვით პეტრე I-ც იმყოფებოდა, თურქების ალყაში მოექცა. პეტრე I იძულებული შეიქნა თურქეთისათვის აზოვის ციხესიმაგრე დაებრუნებინა. ამით რუსეთმა აზოვის ზღვაზე გასასვლელი დაკარგა.

სამხრეთში თურქეთთან საზავო ხელშეკრულების მიღწევისთანავე რუსეთმა მთელი ძალები კვლავ ჩრდილოეთში, შვედების წინააღმდეგ წარმართა. პოლტავის ბრძოლის მომდევნო უახლოესი წლების განმავლობაში რუსეთის ჯარმა რიგისა და ფინეთის ყურეთა სანაპიროების დაპყრობა დამთავრა. მაგრამ ჩრდილოეთის ომში საბოლოო გამარჯვებისათვის საჭირო იყო შვედეთის დაჯაბნა ზღვაზე. პეტრე I ამბობდა: „ცალხელაა ის სახელმწიფო, რომელსაც მხოლოდ სახმელეთო არმია ჰყავსო“. მდინარეების ნევის და სვირის გემსაშენებში გამალებით აგებდნენ სამხედრო ხომალდებს. რუსეთის ახლადშექმნილმა სამხედრო ფლოტმა 1714 წელს განგუტის კონცხთან, 1720 წელს კი კუნძულ გრენგამთან შვედეთის ფლოტი სასტიკად დამარცხა.

ხმელეთზე და ზღვაზე დამარცხებულმა შვედეთმა 1721 წლის 30 აგვისტოს რუსეთთან საზავო ხელშეკრულება დადო. ნიშტადტის ზავით (ფინეთი) პეტრე I-ის მიერ ბალტიისპირეთში დაპყრობილი ტერიტორიები რუსეთის ხელში გადადიოდა. შვედეთზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ნიშტადტის ძლევამოსილი ზავის შემდეგ პეტრე რუსეთის იმპერატორად გამოცხადდა და პეტრე დიდის სახელი ეწოდა. რუსეთი იმპერიად იქცა.

სურათი 15

პეტრე დიდი

§ 3. სპარსეთის ლაშქრობა.

ჩრდილოეთის გაჭიანურებული ომის წარმოებისას რუსეთი მხედველობიდან აღმოსავლეთსაც არ კარგავდა.

კავკასიაში შესაღწევად რუსეთს კასპიის ზღვის სანაპიროებზე დამკვიდრება ესაჭიროებოდა. პეტრემ ჯერ კიდევ ჩრდილოეთის ომის მსვლელობისას მიიღო ცნობა, რომ ამ დროისათვის სპარსეთი მნიშვნელოვნად დასუსტდა და რომ მეზობლები მისი ტერიტორიების დანაწილებისათვის ემზადებოდნენ. კასპიის ზღვის სანაპიროებზე თურქეთისათვის შეღწევის საშუალება რომ არ მიეცა, პეტრემ ნიშტადტის ზავის დადებისთანავე სამხრეთში სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის დაიწყო მზადება.

1722-23 წლებში პეტრე დიდმა ასტრახანიდან კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროების გასწვრივ სახმელეთო და საზღვაო ლაშქრობის შედეგად მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავა. 1723 წელს პეტერბურგის ზავით სპარსეთმა ცნო რუსეთის დაპყრობები. პეტრე დიდი ამით დაკმაყოფილდა და სპარსეთის წინააღმდეგ ომში თავისი მოკავშირე ქართლის მეფე ვახტანგ VI გამძვინვარებული მტრის წინაშე ბედის ანაბარა მიატოვა. ვახტანგი იძულებული შეიქნა თავის თანამოაზრეებთან ერთად რუსეთს შეხიზვნოდა. აღმოსავლეთ საქართველოს ჯერ თურქეთი, შემდეგ კი ირანი დაეპატრონა. მაგრამ საქართველოს დახმარების გარეშე რუსეთმა ამიერკავკასიაში ფეხი ვერ მოიკიდა და 1734 წელს პეტრე დიდის მემკვიდრეებმა კასპიის ზღვის აღმოსავლეთი და სამხრეთი სანაპიროები ირანს დაუბრუნეს.

? 1. რამ განაპირობა რუსეთის ჩამორჩენა დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით? 2. რა იყო ჩრდილოეთის ომის მიზეზები? 3. რა დასკვნები გამოიტანეს ნარვის ბრძოლის შედეგებიდან კარლოს XII-მ და პეტრე I-მა და როგორ გამართლდა მათი შეფასება პოლტავის ბრძოლაში? 4. რა გავლენა მოახდინა პოლტავის ბრძოლამ ჩრდილოეთის ომის შედეგებზე? 5. როგორი იყო ჩრდილოეთის ომის შედეგები? 6. რატომ ჩათვალა საჭიროდ პეტრე დიდმა სპარსეთზე გალაშქრება და რა შედეგებით დამთავრდა ეს ლაშქრობა?

დანართი

პოლტავის ბრძოლა

1709 წლის აპრილში კარლოს XII-ის ჯარმა რუსეთის გამაგრებულ ქალაქს პოლტავას შემოარტყა ალყა. პოლტავის აღების შემდეგ კარლოს XII ვარაუდობდა, რომ რუსეთს უკრაინას ჩამოაცილებდა. მას მხარს უჭერდა უკრაინელი ჰეტმანი ივანე მაზეპა, რომელიც იმედოვნებდა, რომ შვედეთის ჯარის დახმარებით თავის სამშობლოს გაანთავისუფლებდა. პოლტავაში მდგომმა რუსეთის გარნიზონმა შვედების ალყას გმირულად გაუძლო და ამით დრო მოიგო. ამასობაში პოლტავის გარნიზონის დასახმარებლად არმიის მთავარი ძალებითურთ პეტრე I გამოეშურა.

1709 წლის 27 ივნისს, განთიადისას შვედები შეტევაზე გადავიდნენ. მათი ყოველგვარი მცდელობა დაუფლებოდნენ ქალაქს მარცხით დამთავრდა. რუსებმა გაიმარჯვეს ხელჩართულ ბრძოლაშიც.

შვედები ბრძოლის ველიდან უკუიქცნენ. კარლოს XII-მ და მაზეპამ მცირერიცხოვანი რაზმითურთ თურქეთში გაქცევით უშველეს თავს. შვედების ჯარის დიდი ნაწილი რუსებს ტყვედ ჩაბარდა. პოლტავის ბრძოლაში გამარჯვებას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პეტრე I-მა შვედებისაგან რუსეთის სახმელეთო საზღვრების უშიშროება უზრუნველყო და ჩრდილოეთის ომში საბოლოო გამარჯვების მტკიცე წინაპირობა შექმნა.

ისტორიული ნყარო

პეტრე I-ის ბრძანება პოლტავის ბრძოლის წინ

(ბრძანება გაიცა პოლტავის ბრძოლის დღეს — 1709 წლის 27 ივნისს)

„მეომრებო! აი, დადგა ჟამი, რომელიც მამულის ბედს გადაწყვეტს. არ იფიქროთ, რომ პეტრესთვის ომობთ. თქვენ ომობთ სახელმწიფოსთვის, რომელიც პეტრეს აბარია, იბრძვით თქვენი მოდგმისათვის, თქვენი მამულისათვის, ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ეკლესიისათვის. ნურც მტრის სახელგანთქმულობა შეგაშფოთებთ — თითქოს იგი უძლეველი იყოს; ეს სიცრუე თქვენ თვითონ არაერთგზის გააქარწყლეთ თქვენი გამარჯვებით მასზე. დაე, ბრძოლაში თვალწინ გედგათ სიმართლე და ღმერთი, რომელიც თქვენ გეხმარებათ...“

რუსეთი 1682-1725 წლებში

ჩრდილოეთის ომის შედეგად რუსეთის მიერ შემოერთებული ტერიტორია.

პეტრე დიდის სპარსეთის ლაშქრობის შედეგად რუსეთის მიერ შეძენილი ტერიტორია (იხ. რუკა 7).

1. ფინეთის ყურე
2. რიგის ყურე
3. მდინარე ნევა
4. კახეთი

ჩანართი 1. პრუსია. 2. ბალტიის ზღვა. 3. ხმელთაშუა ზღვა. 4. დანია.

ქართველები რუსეთში

ქართველებს ჯერ კიდევ კიევის რუსეთთან ჰქონდა პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა.

XV საუკუნის 80-იან წლებში, ოქროს ურდოსაგან განთავისუფლების შემდეგ დაიწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ახალი ეტაპი, რუსეთის სახელმწიფოს კახეთის სამეფო დაუკავშირდა.

XVII საუკუნის შუა წლებიდან თეიმურაზ I-მა მეფე ალექსი მიხეილის ძის კარზე ქართველი უფლისწული, თავისი შვილიშვილი ერეკლე ბატონიშვილი გაგზავნა. მოგვიანებით იქვე იმყოფებოდნენ იმერეთის მეფის არჩილ II-ის ვაჟები ალექსანდრე და მამუკა.

ალექსანდრე ბატონიშვილი 1691 წელს ჩამოყალიბებული მოსკოვის ქართული ახალშენის მეთაური გახდა.

კასპიისპირეთში რუსთა ლაშქრობის შემდეგ პეტრე დიდის მოკავშირე ქართლის მეფე ვახტანგ VI იძულებული შეიქნა დიდი ამალითურთ რუსეთს გადასულიყო. 1729 წელს ქართველებს მოსკოვში დასასახლებლად პრესნიას უბანი უბოძეს. მაღალგანათლებულმა ქართველმა საერო და სასულიერო პირებმა ინტენსიურ შემოქმედებით საქმიანობას მიჰყვეს ხელი. მოსკოვში დააარსეს ქართული სტამბა, დაბეჭდეს „ბიბლია“, „დავითნი“ და მრავალი სხვა წიგნი.

მოსკოველმა ქართველებმა მალე შეისწავლეს რუსული და დასავლეთ ევროპული ენები. ორიგინალურ შემოქმედებასთან ერთად ისინი ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას შეუდგნენ.

მრავალი ლექსი შექმნა მოსკოვში არჩილ მეფემ. მისმა ვაჟმა ალექსანდრე ბატონიშვილმა ქართულ ენაზე საარტილერიო წიგნი შეადგინა. ბ. სოლოღაშვილმა დაიწყო და არჩილმა დაასრულა გერმანულიდან მსოფლიო ისტორიის („ქრონოგრაფის“) თარგმნა. ვახუშტი ბატონიშვილმა საქართველოსა და კავკასიის ცალკეულ მხარეთა რუკები შეადგინა, შექმნა კაპიტალური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. მან მეცნიერულ კავკასიოლოგიას ჩაუყარა საფუძველი. უკრაინის ქალაქ მირგოროდში დასახლებულმა დავით გურამიშვილმა უკვდავი „დავითიანი“ დაწერა.

მამაცობით თავი გამოიჩინეს და დიდი სახელი მოიხვეჭეს რუსეთის არმიაში მებრძოლმა ქართველებმა.

რუსეთში ქართველთა ცხოვრებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის კვალი აღბეჭდილია რუსეთის მდიდარი არქივების ხელნაწერ დოკუმენტებში, იმ დროს გამოცემულ წიგნებში, იმ პერიოდის ტაძრებში, პანთეონებსა თუ მოსკოვის ადგილთა სახელწოდებებში — „ბოლშაია გრუზინსკაია“, „მალაია გრუზინსკაია“, „გრუზინსკი ვალ“.

დავალება

შეადგინეთ მოთხრობა პოლტავის ბრძოლაზე.

X თავი

პეტრე დიდისა და მისი მემკვიდრეების საშინაო პოლიტიკა

§ 1. პეტრე დიდის კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკონომიკური ღონისძიებანი. სანკტ-პეტერბურგის დაარსება. ევროპაში „დიდი ელჩობის“ დროს პეტრე I მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსეთი ევროპულ ყაიდაზე უნდა გარდაექმნა.

პეტრე I დიდად ზრუნავდა რუსი ახალგაზრდების განათლებაზე, თანხებს არ იშურებდა სხვადასხვა სახის სასწავლებლების, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების დასაარსებლად.

განათლების მისაღებად პეტრე ახალგაზრდებს საზღვარგარეთაც გზავნიდა. მრავალი ახალგაზრდა ევროპაში იქნა მივლინებული გემთმშენებლობის, სამთო საქმის, სამედიცინო თუ სხვა დარგების ასათვისებლად. წერა-კითხვის გავრცელების გასაადვილებლად პეტრემ ხუცურ-სლავური შრიფტის ნაცვლად გამარტივებული და ადვილად მოსახმარი სამოქალაქო ანბანი შემოიღო.

პეტრეს შესანიშნავად ესმოდა, რომ ქვეყნის გამდიდრება წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებით შეიძლებოდა. მეურნეობის განვითარების მიზნით XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთში 200-მდე მანუფაქტურა აშენდა. სიმდიდრის მთავარ წყაროდ პეტრე კეთილშობილი ლითონების — ოქროსა და ვერცხლის დაგროვებას მიიჩნევდა. ეს კი გონივრული საგარეო ვაჭრობის მეშვეობით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. პეტრე I ზრუნავდა იმაზეც, რომ გატანილი საქონლის ღირებულება შემოტანილზე მეტი ყოფილიყო. ვაჭრობის განვითარებას ემსახურებოდა ბალტიის ფლოტისა და სამდინარო არხების მშენებლობაც.

1703 წლის მაისში, ბალტიის ზღვასთან მდინარე ნევის შესართავში ერთ-ერთ კუნძულზე პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის აგებით პეტრემ ახალი ზღვისპირა ქალაქის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. ახალ ქალაქს რუსეთისათვის ევროპისაკენ „ფანჯარა უნდა გაეჭრა“. იგი მნიშვნელოვან საზღვაო, სავაჭრო ნავსადგურად უნდა ქცეულიყო. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოუყარეს თავი ათიათასობით გლეხსა და ხელოსანს. ჭაობიან ადგილას ხშირი წყალდიდობის პირობებში უმძიმეს ვითარებაში მუშაობისას აუტანელი შრომის, შიმშილისა და ავადმყოფობისაგან მრავლად იხოცებოდნენ ადამიანები. მათი შრომის შედეგად კი აშენდა და დამშვენდა

ახალი ქალაქი, რომელსაც პეტრე I-მა თავისი წმინდანის პატივსაცემად სანკტ-პეტერბურგი უწოდა. 1721 წელს სანკტ-პეტერბურგი რუსეთის დედაქალაქად გამოცხადდა. ბალტიის ზღვის ახალი სავაჭრო ნავსადგური XVIII საუკუნის განმავლობაში სწრაფად იზრდებოდა. რუსეთის ახალი დედაქალაქი მალე კულტურისა და მანუფაქტურული მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გემთმშენებლობას. რუსეთის საგარეო ვაჭრობა უმთავრესად პეტერბურგის ნავსადგურის მეშვეობით წარმოებდა.

§ 2. სახელმწიფო მმართველობისა და არმიის რეფორმა, ტაბელი რანგების შესახებ. სახელმწიფო მმართველობის სფეროში პეტრე I-მა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. 1711 წელს შეიქმნა მეფის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — სენატი; მეფე ივანე IV -ის დროინდელი 80 „პრიკაზის" ნაცვლად 1718-1720 წლებში დაარსდა 9 კოლეგია, რომელთა რიცხვი შემდეგ 12-მდე გაიზარდა. თითოეული კოლეგია მმართველობის რომელიმე დარგს ედგა სათავეში; შეიქმნა სამხედრო, საადმირალო, საგარეო საქმეთა და სხვა კოლეგიები. პეტრე I-მა გაუქმა პატრიარქობა და სამღვდელოება სასულიერო კოლეგიას — სინოდს დაუქვემდებარა. სინოდს საერო პირი ხელმძღვანელობდა.

პეტრე I-ის რეფორმა ტერიტორიულ მმართველობასაც შეეხო. 1708 წელს რუსეთი რვა გუბერნიად დაიყო. შემდეგ გუბერნიების რიცხვი გაიზარდა. ხელმწიფის მიერ დანიშნულ გუბერნატორებს დიდი ძალაუფლება ჰქონდათ.

სახელმწიფო ხაზინის რეგულარულად შევსების მიზნით პეტრემ საგადასახადო რეფორმა გაატარა. 1719 წელს აღწერეს გადასახადით დასაბეგრი მთელი მამრობითი სქესის მოსახლეობა. თავადაზნაურობა და სამღვდელოება არ იბეგრებოდა. შემდეგ შეამოწმეს აღწერის სისწორე — ჩაატარეს რევიზია. აქედან მოყოლებული დროდადრო მიმართავდნენ დასაბეგრი მოსახლეობის აღწერას — რევიზიას. 1724 წელს დაწესდა სულადობრივი გადასახადი, რომელმაც ყველა წინანდელი სახელმწიფო გადასახადი შეცვალა.

1722 წელს შემოიღეს „რანგების ტაბელი", რომლითაც დადგინდა სამოქალაქო თუ სამხედრო წოდებების — ჩინის სისტემა და სახელმწიფო სამსახურში დაწინაურების წესი. ამიერიდან თანამდებობის დაკავება უნდა მომხდარიყო არა წარმომავლობის, არამედ სამსახურში მოპოვებული წარმატებებისათვის დამსახურების მიხედვით.

სამხედრო და სამოქალაქო ჩინს დამსახურების მიხედვით ისეთი პირებიც იღებდნენ, ვინც აზნაურული წარმოშობის არ იყო. ასეთი პირი მერვე რანგის ჩინს თუ მიაღწევდა, აზნაურის წოდებას იღებდა.

პეტრე I-მა მიწის მესაკუთრისა და ყმა-გლეხთა პატრონის — აზნაურის მდგომარეობა განამტკიცა. 1714 წელს ნაბოძებ და სამემკვიდრეო მამულებს შორის განსხვავება გაუქმდა. მემამულეთა სამფლობელოები სამემკვიდრეო საკუთრებად იქცა. ამავე დროს პეტრე თავადაზნაურობისაგან მუდმივ სავალდებულო სამხედრო ან სახელმწიფო სამსახურს მოითხოვდა.

1705 წლიდან რუსეთის ჯარი ს ა რ ე კ რ უ ტ ო გ ა წ ვ ე ვ ი ს მეშვეობით კომპლექტდებოდა, გლეხობა ვალდებული იყო არმიაში რეკრუტის წესით მოეხადა სამხედრო სამსახური. დაბეგრილი მოსახლეობა, ძირითადად გლეხობა, ვალდებული იყო რამდენიმე წელიწადში ერთხელ ყოველი ოცი კომლიდან ერთი ჯარისკაცი გამოეყვანა. ყოველი სარეკრუტო გაწვევა 30-დან 40 ათასამდე ჯარისკაცს იძლეოდა. სარეკრუტო სამხედრო სამსახური მუდმივი იყო.

ამგვარად, რუსეთმა შექმნა მძლავრი რეგულარული არმია, რომლის რიგითი შემადგენლობა გლეხობისა და ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენებისაგან, ოფიცრობა კი თავადაზნაურობისაგან შედგებოდა. იმპერიის მოხელეობა, ფინანსები, ეკონომიკა არმიის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა.

პეტრე დიდის სამხედრო და სახელმწიფო მმართველობის რეფორმებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია რუსეთის უძლიერეს სამხედრო-ტოტალიტარულ[1] იმპერიად ჩამოყალიბებაში. ეკონომიკაში, განათლებაში, მეცნიერებაში კი რეფორმები ზედაპირულ ხასიათს ატარებდა, რადგან ბატონყმობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პირობებში ძირეული გარდაქმნების მოხდენა ამ დარგებში შეუძლებელი იყო. ამიტომაც ვერ იქნა დაძლეული რუსეთის ჩამორჩენა ევროპის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით.

§ 3. პეტრე დიდის პიროვნება. პეტრე დიდის დროს მეფის ხელისუფლება შეუზღუდავი — აბსოლუტური იყო. სამხედრო წესდების წინასიტყვაობაში ეწერა: „მისი უდიდებულესობა თვითმპყრობელი მონარქია, რომელიც თავისი საქმიანობის შესახებ არავის წინაშე არ აგებს პასუხს. იგი სახელმწიფოს თავისი ნებისა და მოსაზრებების მიხედვით მართავს“. მიუხედავად ამისა, პეტრეს თავისთვის ფუფუნებით, უზრუნველად ცხოვრების ნება არ მოუცია. მის ბეჭედზე ამოჭრილი იყო სიტყვები: „მე მოსწავლის ჩინით ვარ და მასწავლებელს მოვითხოვ“. მართლაც, იგი თავდაუზოგავად შრომობდა; ყოველთვის დილაადრიან დგებოდა, მაშინვე

[1] ტოტალიტარული — სახელმწიფოს ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფო ორგანოების მიერ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს კონტროლი.

საქმეს იწყებდა, მთელ დღეს მუშაობდა და ამასვე მოითხოვდა ქვეშევრდომებისაგან. ფიცხი და ძალაუფლებისმოყვარე პეტრე ამავე დროს სამართლიანიც იყო. რუსეთის ერთგულებისა და სამსახურისათვის ის წარმომავლობის განურჩევლად აწინაურებდა და გულუხვად აჯილდოებდა ყველას. მაგრამ დაუნდობელი იყო მათ მიმართ, ვინც დასახული მიზნების მიღწევაში ხელს უშლიდა. მან სისხლში ჩახშო 1698 წლის მეთოფეთა (სტრელეცების) აჯანყება, სასტიკად გაუსწორდა 1707-1709 წლების გლეხთა აჯანყებას კონდრატე ბულავინის მეთაურობით; არ დაინდო თავისი ერთადერთი ვაჟი — ალექსი და საპყრობილეში ამოხადა სული, როდესაც ამ უკანასკნელმა მამის მოწინააღმდეგეებთან კავშირში პეტრეს დამხობა და მისი რეფორმების გაუქმება განიზრახა.

ახოვანი, გაბედული, არაჩვეულებრივად ღონიერი პეტრე დიდი ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალზე უბრალო და უშუალო იყო. ხშირად ძველი ტანსაცმლითა და დაკერებული ფეხსაცმლით დადიოდა, ქვეშევრდომებს ისე ეჭცეოდა, როგორც თანასწორებს, არ თაკილობდა მათთან ერთად სადილობას თუ ვახშმობას, ხშირად ნათლავდა მათ შვილებს, ქუჩებში დადიოდა უბრალო მეფაბრიკეებთან თუ უცხოელ ხელოსნებთან ერთად. შესანიშნავად დახასიათა რუსეთის პირველი იმპერატორი დიდმა რუსმა მწერალმა ალექსანდრე პუშკინმა: „ხან აკადემიკოსი, ხან გმირი, ხან მეზღვაური, ხან ხერო“. მართლაც რომ მრავალსახივი და მრავლისმქმნელი იყო პეტრე დიდი. იგი 1725 წელს გარდაიცვალა.

§ 4. პეტრე დიდის მემკვიდრეები. პეტრე დიდის გარდაცვალების შემდეგ რუსეთში არ აღმოჩნდა უდავო სამემკვიდრეო უფლების მქონე სამეფო დინასტიის წარმომადგენელი. რუსეთის იმპერიის ტახტზე მემკვიდრეობის საკითხი გვარდიის ნება-სურვილის მიხედვით წყდებოდა. გარდაცვლილი იმპერატორის მიმართ ერთგულება რომ დაემტკიცებინა, გვარდიამ პეტრე დიდის საყვარელი მეუღლე ეკატერინე I (ზეობდა 1725-1727 წწ.) აიყვანა ტახტზე. ამ დროიდან მოყოლებული, თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში რუსეთის ტახტს, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად უნიათო, გაუნათლებელი და გონებაშეზღუდული ადამიანები დაეპატრონნენ, რომლებიც ხელისუფლების სათავეში, უმთავრეს შემთხვევაში, სახელმწიფო გადატრიალებების გზით მოდიოდნენ [1]. ისინი უმეტესად გართობისა და ფუჭსავატი ცხოვრებისათვის ზრუნავდნენ. ამ დროს რუსეთში საიმპერატორო კართან დაახლოებული მედროვეები გაბატონდნენ, რომლებიც იმპერატორთა

[1] იხ. დანართი

შეკვლასთან ერთად ძალაუფლებას კარგავდნენ. ამიტომ ბუნებრივია, მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ თავიანთი მდგომარეობა გავლენის შენარჩუნებისა და სიმდიდრის მოპოვებისათვის გამოეყენებინათ, რუსეთის ინტერესებს კი ნაკლებად ითვალისწინებდნენ.

სახელმწიფო გადატრიალებების ეპოქაში პეტრეს დროს შექმნილი სახელმწიფო ორგანოების ნგრევა ხდებოდა. მნიშვნელოვნად სუსტდებოდა პეტრე დიდის მიერ დაწყებული თავადაზნაურობის სახელმწიფო სამსახურში ჩაყენების ტენდენცია.

1762 წელს რუსეთში მორიგი სახელმწიფო გადატრიალება მოეწყო. პეტრე დიდის შვილიშვილმა (გერმანიაში გათხოვილი ქალიშვილის — ანას ვაჟმა) იმპერატორმა პეტრე III-მ (1761-1762) ხელი მოაწერა აქტს ტახტიდან გადადგომის შესახებ. რამდენიმე დღეში შეთქმულებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს კიდეც. 1762 წლის ივნისში მისი მეუღლე დედოფალი ეკატერინე იმპერატორი ეკატერინე II გახდა.

? I. როგორი შედეგები გამოიღო პეტრე დიდის კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკონომიკურმა და საგადასახადო ღონისძიებებმა? 2. რა მიზნით და როგორ აშენდა რუსეთის ახალი დედაქალაქი – სანკტ-პეტერბურგი? 3. რა მიზნებს ისახავდა პეტრე დიდის სამხედრო და სახელმწიფო მმართველობის რეფორმები? 4. რას გულისხმობდა ტაბელი რანგების შესახებ; რა კავშირში იყო იგი წოდებრიობასთან? 5. ახსენით პეტრე დიდის დამოკიდებულება მემამულურ მიწათმფლობელობასთან. 6. დახასიათეთ პეტრე დიდის პიროვნება. 7. ქვეყნის წინაშე მდგარი რომელი ისტორიული ამოცანები გადაწყდა მისი ზეობის დროს? 8. დახასიათეთ მედროვეთა მმართველობა რუსეთში, როგორი იყო მათი მმართველობის შედეგები?

დანართი

სახელმწიფო გადატრიალებანი რუსეთის სამეფო კარზე XVIII საუკუნის შუა ხანებში

გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე პეტრემ გამოსცა კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, რომლის თანახმადაც ტახტის მემკვიდრეს უშუალოდ იმპერატორი ასახელებდა. მაგრამ იგი ისე მოულოდნელად გარდაიცვალა, რომ ამ კანონის გამოყენება და მემკვიდრის გამოცხადება ვერ მოასწრო.

1725-1762 წლებში რუსეთის ტახტს უმთავრესად მმართველობის უნარს მოკლებული ადამიანები დაეპატრონნენ, რომელთა დროს მედროვენი გაბატონდნენ.

პეტრე დიდის ქვრივის ეკატერინე I-ის მმართველობა მხოლოდ ორ წელს (1725-1727) გაგრძელდა. ამ დროს ძალაუფლებას მდაბიო წარმოშობის, ჯერ კიდევ

პეტრე დიდის დროს დაწინაურებული მეფეროვე ალექსანდრე დანილის ძე მენშიკოვი დაეუფლა. ეკატერინე I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე პეტრე დიდის შვილის — ალექსის მცირეწლოვანი ვაჟი პეტრე II ავიდა. მისი იმპერატორობის ხანაში (1727-1730) მდგომარეობა არ შეცვლილა, ძალაუფლებას კვლავ მეფეროვენები ფლობდნენ; ამჯერად მენშიკოვი დოლგორუკმა შეცვალა.

1730 წლიდან რუსეთის იმპერიის ტახტს პეტრე დიდის ნახევარძმის ივანეს შთამომავლები დაეპატრონნენ. რუსეთის უზენაესმა საიდუმლო საბჭომ იმპერატორად კურლანდიის ჰერცოგის ქვრივი, უშვილო ანა ივანეს ასული მოიწვია. ამგვარად, რუსი მეფეროვენები გერმანელებმა შეცვალეს. ძალაუფლებას ფაქტობრივად ანას ფავორიტი ბირონი დაეუფლა, მისთვის უცხო იყო რუსეთის ინტერესები. მან კელა მნიშვნელოვან თანამდებობაზე გერმანელები დააყენა, რითაც დიდად შელახა რუსი არისტოკრატიის პატივმოყვარეობა.

რუსულ საზოგადოებრიობაში მტკიცდებოდა აზრი, რომ ძალაუფლება რუსეთის ეროვნული საკითხებით სისხლხორცეულად დაინტერესებულ პიროვნებას უნდა გადასცემოდა. ასეთად პეტრე დიდის ასული ელისაბედი მიაჩნდათ. 1741 წელს, იმპერატორ ანას გარდაცვალების შემდეგ, გვარდიაზე დაყრდნობით განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება, გერმანელები ძალაუფლებას ჩამოაშორეს, ბირონი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. იმპერატორად ელისაბედ პეტრეს ასული აკურთხეს.

ელისაბედ I-ის ბრძანებულებით დიდი რუსი მეცნიერის მიხეილ ლომონოსოვის ჩანაფიქრისა და გეგმის მიხედვით 1755 წელს გაიხსნა მოსკოვის უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გახსნის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოსკოვის ქართულმა სათვისტომომ.

იმპერატორ ელისაბედის მმართველობის პერიოდში (1741-1761) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის მონაწილეობა შვიდწლიან ომში (1756-1763) პრუსიის წინააღმდეგ. რუსეთის არმიამ ამ ომში პრუსიის სამხედრო ძლიერება შეარყია, ჩაფუშა პრუსიის მონარქის ფრიდრიხ II-ის დამპყრობლური გეგმები, მაგრამ მოპოვებული გამარჯვებით რუსეთმა ვერ ისარგებლა. 1761 წელს ელისაბედ I გარდაიცვალა. რუსეთის იმპერიის ტახტი მისი დის — ანას ვაჟმა პეტრე III-მ დაიკავა. 1762 წელს მან პრუსიასთან ზავი დადო და რუსეთის ჯარი სამშობლოში გაიწვია.

1762 წელს რუსეთში მორიგი სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა. პეტრე III ტახტიდან ჩამოაგდეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. რუსეთის იმპერატორი გახდა პეტრე III-ის ქვრივი ეკატერინე II.


რომანოვების დინასტიის
წარმოშობის ნუსხა.
მიხეილ თეოდორეს ძე რომანოვი(1613-1645)
ალექსი მიხეილის ძე, მეფე (1645-1676)
მარიამ ილიას ასული მილოსლავსკაია
(პირველი ცოლი) (გარდ. 1669)
ნატალია კირილეს ასული ნარიშკინა
(მეორე ცოლი)
პეტრე I, იმპერატორი(1682-1725)
სოფიო
(გარდ. 1704)
თეოდორე, მეფე
(1676-1682)
ივანე, მეფე
(1682-1696)
ანა, იმპერატორი
(1730-1740)
ევდოკია თეოდორეს
ასული ლოპუხინა
(პირვ. ცოლი) (გარდ. 1731)
ეკატერინე I
იმპერატორი
(1725-1727)
ალექსი
(გარდ. 1718)
ანა
გარდ. 1728
კარლ ფრიდრიხ
შლეზვიგ
გოლშტეინ-
გოტორპის
ჰერცოგი
(გარდ. 1739)
ელისაბედი
იმპერატორი
(1741-1761)
პეტრე II
იმპერატორი
(1727-1730)
პეტრე III
იმპერატორი
(1761-1762)
ეკატერინე II
იმპერატორი
(1762-1796)
პაველ I, იმპერატორი
(1796-1801)
ალექსანდრე I
იმპერატორი
(1801-1825)
კონსტანტინე
(გარდ. 1831)
ნიკოლოზ I
იმპერატორი
(1825-1855)

მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი (1711-1765)

სურათი 16

მიხეილ ლომონოსოვი

1725 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემია დაარსდა, მაგრამ ამ დროისათვის რუსეთში მოღვაწე მეცნიერები მხოლოდ უცხოელები იყვნენ.

პირველი რუსი მეცნიერი-აკადემიკოსი პომორიელი გლეხის შვილი მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვი იყო. ორ სხვა საუკეთესო სტუდენტთან ერთად იგი სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ გაიგზავნა.

ლომონოსოვი მრავალმხრივი განათლებით გამოირჩეოდა. ფართო იყო მისი მოღვაწეობის დიაპაზონი.

დავალება

წერილობით ჩამოაყალიბეთ განსხვავება პეტრე დიდისა და მის მემკვიდრეთა მმართველობებს შორის.

XI თავი

ეკატერინე II; რუსეთი XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე

§ 1. ეკატერინე II-ის საშინაო პოლიტიკა. ეკატერინე II ხელმოკლე გერმანელ თავადთა შთამომავალი იყო. 15 წლის ასაკში იგი რუსეთის მომავალ იმპერატორს პეტრე III-ს მოათხოვეს. პეტერბურგში ჩასვლისთანავე ეკატერინე რუსული ენისა და ზნე-ჩვეულებების შესწავლას შეუდგა. ჭკვიანი, ნიჭიერი, გამჭრიახი ეკატერინე ბევრს კითხულობდა და სახელმწიფო საქმეების მართვაში მონაწილეობის მისაღებად სერიოზულად ემზადებოდა. ეკატერინე II-მ ბოლომდე მიიყვანა პეტრე დიდის მიერ დაწყებული ღონისძიებები ბატონყმური რუსეთის პირველხარისხოვან საშინაო და საზღვაო სახელმწიფოდ გარდასაქმნელად.

სურათი 17

ეკატერინე II

ეკატერინე II თავადაზნაურობის გულის მოგებას ცდილობდა. ჯერ კიდევ 1761 წელს მისმა მეუღლემ პეტრე III-მ რუსეთის თავადაზნაურობა სავალდებულო სამხედრო და სახელმწიფო სამსახურისაგან გაანთავისუფლა ისე, რომ შეუნარჩუნა მას მიწის საკუთრების უფლება. სავალდებულო სამსახურიდან გადამდგარმა თავადაზნაურობამ სოფლებს მიაშურა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი.

ეკატერინე II-მ კიდევ უფრო განამტკიცა თავადაზნაურობის მდგომარეობა. ოი გლეხებისაგან მემამულეებისადმი მორჩილებას მოითხოვდა, მემამულეებზე გლეხების დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდა. მემამულეთა დესპოტიზმმა და ძალმომრეობამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა. ყოველივე ეს გლეხობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

სურათი 18 –

ემელიან პუგაჩოვი

1773 წლიდან გლეხთა სტიქიურ ბრძოლებს კაზაკი ემელიან პუგაჩოვი ჩაუდგა სათავეში. პუგაჩოვმა თავი იმპერატორ პეტრე III-დ გამოაცხადა და დაკარგული ტახტის ხელახლა მოპოვების შემთხვევაში გლეხებს ყმობისაგან, სულადობრივი გადასახადისაგან, სარეკრუტო გაწვევისა და სხვა მრავალი მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლებას ჰპირდებოდა.

პუგაჩოვის დაპირებები შესანიშნავად მიესადაგებოდა ძოსახლეობის დაბალი ფენების, რუსი გლეხობის, მანუფაქტურების მუშების, ურალისა და ვოლგის დაჩაგრული ერების ინტერესებს. მისი მებრძოლთა რიგები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. გლეხთა მოძრაობა ხელისუფლებისათვის საშიშ ხასიათს იღებდა. აჯანყება ორენბურგის მხარიდან ურალში, შემდეგ კი ვოლგისა და დონის აუზებში გავრცელდა. 1774 წლის ზაფხულში მან კულმინაციას მიაღწია. აჯანყებულებმა აიღეს ყაზანი. მთავრობამ მათ წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა. ხელისუფლება გლეხებს სასტიკად გაუსწორდა. 1775 წელს პუგაჩოვი შეიპყრეს და მოსკოვში საჯაროდ დასაჯეს სიკვდილით.

შემდგომში გლეხთა აჯანყების თავიდან აცილების მიზნით ეკატერინე II-მ ადგილობრივი მმართველობის აპარატის განმტკიცება გადაწყვიტა. რუსეთი 50 გუბერნიად დაჰყო, გუბერნიები კი მაზრებად დაანაწილა. გუბერნატორები და მაზრის უფროსები ძლიერი ხელისუფლებით აღჭურვა. 1785 წლის წყალობის სიგელით ეკატერინე II-მ თავადაზნაურთა სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება დაადასტურა, გუბერნიებსა და მაზრებში თავადაზნაურთა

წინამძღოლის არჩევა დააწესა, კიდევ უფრო გაზარდა თავადაზნაურთა პრივილეგიები. ამავე წელს წყალობის სიგელი ებოძა ქალაქებსაც. ქალაქებში შექმნილი თვითმმართველობები ვაჭართა ზედა ფენის ხელში გადავიდა; ვაჭართა ზედა ფენა სულადობრივი გადასახადისა და სარეკრუტო გაწვევისაგან განთავისუფლდა. ქალაქის უფროსი („გოროდნიჩი") მთავრობის მიერ ინიშნებოდა.

§ 2. რუსეთ-თურქეთის ომები. ეკატერინე II-ის დროს რუსეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულმა ორმა ომმა რუსეთს დიდი სამხედრო და პოლიტიკური წარმატებები მოუტანა. რუსეთის გამარჯვებებს მნიშვნელოვანწილად რელიგიური მოტივებიც განსაზღვრავდა. დუნაისპირეთის, ბალკანეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობა ტრადიციული მტრის — თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთს უჭერდა მხარს.

რუსეთ-თურქეთის პირველი ომი 1768-1774 წლებში გაიმართა. რუსებმა საზღვაო და სახმელეთო ბრძოლებში სძლიეს თურქებს. 1774 წელს დაიდო ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მდინარე დნეპრსა და მდინარე ბუგს შორის ტერიტორია და ქერჩის ნახევარკუნძული რუსეთის ხელში გადადიოდა. რუსეთის გემებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისაკენ გაეხსნათ გზა. ყირიმი თურქეთისაგან დამოუკიდებელ სახანოდ გამოცხადდა.

1783 წელს ყირიმის სახანო რუსეთს შეუერთდა. იმავე 1783 წელს რუსეთმა კიდევ ერთ დიდ წარმატებას მიაღწია, ქართლ-კახეთის სამეფოსთან გეორგიევსკში დადებული ტრაქტატით აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა.

ქუჩუკ-კაინარჯის ზავი ბოლოდ დროებითი შესვენება აღმოჩნდა. თურქეთი რევანშისათვის ემზადებოდა. 1787-1791 წლებში რუსეთმა თურქეთთან მეორე ძლევამოსილი ომი გამართა. ამ ომში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1790 წლის დეკემბერში რუსების მიერ თურქთა ძლიერი ციხესიმაგრის იზმაილის აღებას. ამ ბრძოლას დიდი რუსი მხედართმთავარი ალექსანდრე სუვოროვი ხელმძღვანელობდა. 1791 წელს იასის ზავით რუსეთმა მდინარე სამხრეთ ბუგსა და მდინარე დნესტრს შორის მდებარე ტერიტორია მიიღო, თურქეთმა რუსეთის მიერ ყირიმის შეერთება ცნო. შაკი ზღვის ჩრდილოეთ სანაპირო საბოლოოდ მოექცა რუსეთის საზღვრებში.

§ 3. რეჩ-პოსპოლიტას (პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს) დანაწილება. რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ რეჩ-პოსპოლიტას შინაგანი სისუსტით ისარგებლეს და XVIII საუკუნის მიწურულში საერთო შეთანხმების საფუძველზე სამჯერ მოახდინეს მისი ტერიტორიების დანაწილება.

რეჩ-პოსპოლიტას პირველი დანაწილება 1772 წელს განხორციელდა. 1793 წელს პოლონეთის მეორე დანაწილება მოხდა. ამის საპასუხოდ პოლონეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდა მამაცი მხედართმთავრისა და მგზნებარე პატრიოტის ტადეუშ კოსტიუშკოს მეთაურობით.

რუკა 4

რეჩ-პოსპოლიტას (პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს) დანაწილება



1795 წელს ავსტრიამ, პრუსიამ და რუსეთმა მესამედ გაიყვეს რეჩ-პოსპოლიტა. ამჯერად დანაწილება პოლონეთის ძირძველ მიწა-წყალს შეეხო.

მესამე დანაწილების შემდეგ XVIII საუკუნის მიწურულიდან პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფომ დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტა.

რეჩ-პოსპოლიტას სამი დანაწილების შედეგად რუსეთმა მნიშვნელოვნად გაიფართოვა საზღვრები. მან მიიღო ლიტვის, ბელორუსიისა და მარჯვენა ნაპირის უკრაინის ტერიტორიები.

§ 4. რუსეთის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ეკატერინე II-ის აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა რუსეთის ტერიტორია, რეჩ-პოსპოლიტასაგან მიღებულ მიწებზე რვა ახალი გუბერნია ჩამოყალიბდა. ძალზე მნიშვნელოვანი იყო ტერიტორიული ნამატი სამხრეთშიც. ყირიმის მიერთებამ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოაქცია შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროები. XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში ჩრდილოეთ კავკასიაში სლავური მოსახლეობის ინტენსიური გადასახლების შედეგად შეიქმნა ახალი რუსული განსახლება, ე.წ. ნ ო ვ ო რ ო ს ი ი ს კ ი ს მ ხ ა რ ე.

ტერიტორიების გაფართოებას მოსახლეობის ზრდა მოჰყვა. ეკატერინეს მეფობის პირველ წელს ჩატარებული რევიზიით რუსეთის მოსახლეობა 19 მილიონი იყო. ეკატერინეს მმართველობის ბოლო წლის რევიზიით კი 36 მილიონს გადააჭარბა. აქედან 7 მილიონი ნოვოროსიისკისა და პოლონეთიდან მიერთებულ ტერიტორიებზე ცხოვრობდა. რუსეთ-თურქეთის მძიმე ომებისა და პუგაჩოვის აჯანყების მიუხედავად, რასაც ადამიანთა საგრძნობი მსხვერპლი მოჰყვა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გადიდდა რუსეთის მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი.

ტერიტორიისა და მოსახლეობის ზრდამ რუსეთის მატერიალური შესაძლებლობების გაფართოება გამოიწვია. სახელმწიფო შემოსავალი ეკატერინეს დროს 4-ჯერ გაიზარდა (16-დან 68 მილიონ მანეთამდე), თუმცა იმატა გასავალმაც, რაც ძირითადად სამხედრო ხარჯების გადიდებით იყო გამოწვეული.

§ 5. ეკატერინე II-ის მემკვიდრეები. 1796 წელს გარდაიცვალა ეკატერინე II. რუსეთის იმპერიის ტახტს მისი შვილი 42 წლის პავლე I დაეუფლა. მანამდე პავლე სახელმწიფოებრივ საქმეებს მაქსიმალურად იყო ჩამოცილებული და თავის რეზიდენციაში — გატჩინაში კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. მთელი მისი

ენერგია გატჩინის მკრერიცხოვანი გვარდიის პრუსიული სამხედრო სკოლის საფუძველზე აგებულ წვრთნას ხმარდებოდა.

სურათი 19

პავლე I

პავლეს დამოკიდებულება დედის მიმართ მტრული იყო. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ეკატერინე II პავლეს ტახტის მემკვიდრეობისაგან ჩამოცილებასაც კი უპირებდა თავისი აღზრდილის, უფროსი შვილიშვილის ალექსანდრე პავლეს ძის სასარგებლოდ. პავლესთვის ეს ამბავი საიდუმლოდ არ დარჩენილა, მას სძულდა დედა და ყოველი მისი ლონისძიების დაუცხრომელი მოწინააღმდეგე იყო. ეკატერინეს გარდაცვალებისთანავე თანამედროვეებმა უმალ იგრძნეს ცხოვრების დიამეტრული შეცვლა. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, ცვლილებები ისეთივე დიდი იყო, როგორც ეს მტრის მოულოდნელი შემოჭრის შემდეგ ხდება ხოლმეო.

წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრული იყო პავლე I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ამას ემატებოდა პავლეს თავნება და ჯიუტი ხასიათი, თავის ქვეშევრდომებთან დამოკიდებულებისას იგი რისხვას ხშირად უსაფუძვლოდ ცვლიდა წყალობით და პირიქით. პავლეს მმართველობით უკმაყოფილოთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. 1801 წლის 11 მარტს შეთქმულებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს.

სურათი 20



ალექსანდრე I

იმპერატორის ტახტი მისმა უფროსმა ვაჟმა ალექსანდრე I-მა დაიკავა (1801-1825). რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში კვლავ შემობრუნება მოხდა. ალექსანდრე I თავისი მმართველობის დასაწყისში შერბილებული მეთოდებით შეუდგა მოქმედებას. შეამსუბუქა ცენზურა, გაანთავისუფლა პავლე I-ის მიერ შერისხული დიდებულები.

ალექსანდრე I-მა სახელმწიფო მმართველობის დარგში მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა, პეტრე დიდის დროინდელი კოლეგიების ნაცვლად სამინისტროები შექმნა. ყოველი მინისტრი თავის სფეროში ერთპიროვნული მმართველი იყო და მხოლოდ იმპერატორს ექვემდებარებოდა.

ალექსანდრე I-ის რუსეთი აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ურთიერთობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და კავკასიის საკითხი.

§ 6. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია [1]. 1798 წელს ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის ტახტზე ავადმყოფი და სუსტი ნებისყოფის გიორგი XII ავიდა. რუსეთმა მოხერხებულად ისარგებლა გიორგი XII-ის მოთხოვნით ალმოეჩინათ საქართველოსათვის საბოდიერო დახმარება. 1799 წელს საქართველოში რუსეთის ჯარის დამატებითი ნაწილები შემოვიდა, ამავე დროს პეტერბურგში მუშავდებოდა გეგმა საქართველოს ანექსიის შესახებ. გიორგი XII-ის გარდაცვალებისთანავე, 1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში პავლე I-ის მანიფესტი გამოქვეყნდა, რომლის თანახმად ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად ცხადდებოდა. რუსეთში გაგზავნა გიორგი XII-ის სამეფო გვირგვინი და კვერთხი. საქართველოს მმართველად გენერალი ლაზარევი დანიშნა. პავლე I-ის მკვლელობამ დროებით შეაჩერა საქართველოში რუსეთის მმართველობის დანერგვა. ალექსანდრე I-მა რუსი დიდმოხელეებისაგან თვალთმაქცურად შექმნა კომისია, რომელსაც უნდა „დაედგინა" შეძლებდა თუ არა საქართველო დამოუკიდებელ არსებობას. ამით მას დრო გაჰყავდა და ამიერკავკასიაში რუსის ჯარის დამატებით ნაწილებს უყრიდა თავს.

კომისიამ რუსეთის დამპყრობლური გეგმების განხორციელებისათვის ხელშემწყობი „დასკვნა" გამოიტანა: „დასკვნით" საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლო და მისი ხსნა მხოლოდ სახელმწიფოებრიობის გაუქმება იყო.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა.

ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის დამკვიდრება ამიერკავკასიის მთლიანად დაპყრობის საწინდარი იყო. საკუთრივ ქართულ სამეფო-სამთავროებს გარდა, რუსეთი ჩრდილო აზერბაიჯანსა და ალმოსავლეთ სომხეთზეც აცხადებდა პრეტენზიას. ამიერკავკასიაში რუსეთის შემოჭრამ ირანისა და ოსმალეთის მწვავე რეაქცია გამოიწვია, რასაც XIX საუკუნის დასაწყისში ამ ქვეყნებთან რუსეთის ომები მოჰყვა.

---

[1] ანექსია — ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ან მისი ტერიტორიის ნაწილის თავის ტერიტორიასთან ძალით შეერთება, დაპყრობა.

? 1. დახასიათეთ ეკატერინე II-ის პიროვნება. 2. რამ განაპირობა XVIII ს-ის 60-იან წლებში თავადაზნაურობის სოფლის მეურნეობაში მიბრუნება? 3. რა მიზნებს ისახავდა ეკატერინე II-ის ადგილობრივი მმართველობის რეფორმა? 4. როგორი იყო რუსეთ-თურქეთის პირველი ომის შედეგები? 5. როგორი იყო რუსეთის 1783 წლის მონ.პოვრები? 6. რა შედეგები გამოიღო ეკატერინე II-ის საგარეო პოლიტიკამ? 7. რა შედეგები მოჰყვა რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიას?

დანართი

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის სამხედრო ოპერაციები

რუსეთ - თურქეთის 1768-1774 წლების ომის უმნიშვნელოვანესი სამხედრო ოპერაციები გაიმართა 1770 წელს. რუსეთის არმიამ რუმიანცევის მეთაურობით მდინარე ლარგასთან [1] გაანადგურა თურქთა ჯარები. რუსეთის ბალტიის ზღვის ესკადრამ ადმირალ სპირიდოვის მეთაურობით შემოუარა ევროპას და გიბრალტარის სრუტით ხმელთაშუა ზღვაში შევიდა. ჩესმენის ყურესთან (ეგეოსის ზღვაში) რუსეთის ესკადრამ სასტიკად დაამარცხა თურქეთის ფლოტი.საომარი მოქმედება გაიშალა კავკასიაშიც. 1770 წლის აპრილში ქართველთა ლაშქარი ერეკლე II-ის მეთაურობით რუსეთის მცირერიცხოვან ჯართან ერთად აწყურის ციხეს შემოერტყა. ციხეში თურქთა გარნიზონი იდგა. რუსეთის ჯარი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით მოულოდნელად უკან გაბრუნდა. მრისხანე მტრის წინაშე ქართველები მარტონი აღმოჩნდნენ. მაგრამ ერეკლე II-ის საზრიანობისა და ქართველთა მამაცობის წყალობით ასპინძის ბრძოლაში მათ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია იმერეთმაც. იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა და რუსეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა გამოიხსნა ოსმალების მიერ დაკავებული ქუთაისის და იმერეთის სხვა ციხესიმაგრეები.

იმერეთის ეს გამარჯვება ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებშიც აისახა. ზავის ერთ-ერთი მუხლი დასავლეთ საქართველოს შეეხება. ამ მუხლის თანახმად, რუსეთი დასავლეთ საქართველოს ოსმალეთის მფლობელობაში ცნობდა იმ პირობით, რომ თურქეთს უარი უნდა ეთქვა იმერეთისაგან ხარკის აღებაზე.

ომის დამთავრების შემდეგ სოლომონ მეფემ ოსმალებს იმერეთის ციხეებში დაბრუნების საშუალება აღარ მისცა.

---

[1] ლარგა — მდინარე პრუტის შენაკადი.


ოსეთი
ალანეთი
ოვსეთი
ოვსეთი ზღვა
ქაქეთი
ალბანეთი
ალბანეთი ზღვა
ბერძენთა ზღვა
ბერძენთა ზღვა
ბერძენთა

რუკა 6

საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში


რუსეთის
იმპერია
ჩრდილო
კავკასიის
მთიელები
ყაბარდოეთი
ოსეთი
ინგუშეთი
ფშავ
ხევსურ
ფოთი
ქუთაისი
ბაღდადი
ბაკურიანი
ბორჯომი
ახალციხე
ახალციხის
საფაშო
ყარსი
ერევნის
საფაშო
ერევანი
ნახიჩევანის
საფაშო
ნახიჩევანი
ირანი
ოსმალეთი
ბორჩალო
ბორჩალოს
საფაშო
ბორჩალოს
ბეგლარბეგი
ბორჩალოს
ბეგლარბეგი
ბორჩალოს
ბეგლარბეგი

მეხუთე კარი

ირანი და თურქეთი XVII საუკუნის მიწურულიდან 1814 წლამდე

XII თავი

ირანი XVII საუკუნის მიწურულიდან 1814 წლამდე.

§ 1. სეფიანთა [1] სახელმწიფოს დამხობა. XVII საუკუნის შუა ხანებისათვის ირანის სეფიანთა სახელმწიფო საგრძნობლად დასუსტდა. ეს მნიშვნელოვანწილად იყო განსაზღვრული წინა პერიოდის მოვლენებით: არაბების, თურქ-სელჩუკების, მონღოლების და თემურ-ლენგის შემოსევებს თან სდევდა მომთაბარე ტომების ჩამოსახლება ირანის მთელ ტერიტორიაზე. დამპყრობთა ბატონობისაგან ირანის განთავისუფლების შემდეგ მომთაბარეთა მნიშვნელოვანი ნაწილი იქვე რჩებოდა და დიდ დაღს ასვამდა ირანის განვითარებას.

ბინადარი მოსახლეობა მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას მისდევდა. სამხედრო ურდოებად გაერთიანებული მომთაბარეები კი სეზონურ მესაქონლეობას ეწეოდნენ. მათი ფეოდალური ზედაფენა ადგილობრივი მოსახლეობის წარჩინებულებს ხელისუფლებას ეკილებოდა. მომთაბარეები სისტემატურად არბევდნენ და ანადგურებდნენ სოფლებისა და ქალაქების ბინადარ მოსახლეობას, საძოვრებად აქცევდნენ სახნავ-სათესსა და ხეხილის ბაღებს. ეს გარემოება ხელს უშლიდა ირანში მტკიცე, ერთიანი განვითარებული მეურნეობის შექმნას. ირანის ხელისუფლება ვერ ახერხებდა სახელმწიფოს დანაწევრების მომხრე ძალების ალაგმვას. აქედან გამომდინარე, ირანის ყველაზე უფრო სვებედნიერი განმგებლების პროგრესული რეფორმები, საომარი და პოლიტიკური წარმატებები მხოლოდ დროებით აძლიერებდნენ ირანს, განაპირობებდნენ ხანმოკლე კულტურულ თუ სამეურნეო მიღწევებს და ვერ გამოყავდათ ქვეყანა აღმავალი განვითარების გზაზე.

ფეოდალური ირანის შინაგანი სისუსტის უარყოფითი შედეგები მკაფიოდ გამოვლინდა სეფიანთა დინასტიის ყველაზე დიდი წარმომადგენლის შაჰ-აბას I-ის (ზეობდა 1587-1629 წლებში) მბრძანებლობის მომდევნო პერიოდში. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ირანის მკვეთრი პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითება, თანდათანობით დაეცა სოფლის მეურნეობა, შემცირდა

[1] სეფიანები — დინასტია ირანში 1502-1736 წლებში.

საშინაო ბაზარი, მოიშალა ვაჭრობა, გაეერანდა არაერთი ძველი საქარავნო გზა და მასზე განლაგებული მრავალი დასახლებული პუნქტი.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაქვეითებას ირანში თან სდევდა გლეხობისა და ქალაქის დაბალი ფენების ფეოდალური ჩაგვრის გაძლიერება. საერო და სასულიერო ხელისუფალთა თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. საერთო განუკითხაობა ძალიან ხშირად უუფლებო და დაბეჩავებული მოსახლეობის აჯანყებებს იწვევდა. სახელმწიფო უმოწყალოდ უსწორდებოდა აჯანყებულებს. არ წყდებოდა ხანების შეიარაღებული შეხლა-შემოხლა.

ძალას იკრებდა დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში რელიგიურ სამოსში იბურებოდა. ოფიციალურ რელიგიად ირანში შიიტობა იყო გამოცხადებული[1]. შიიტური სამღვდელოების მიერ ქრისტიანობისა და არაშიიტური მაჰმადიანური სექტების დევნა კიდევ უფრო მეტად აძლიერებდა და განამტკიცებდა ქართველების, სომხების, დაღესტნელების, ქურთების და სხვა დაპყრობილი ხალხების ირანელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისაკენ მისწრაფებას.

სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი უნიჭო შაჰები ნაკლებად ზრუნავდნენ ირანის საკალალო მდგომარეობიდან გამოყვანაზე. ქვეყნის შეთხელებული შემოსავლის დიდ ნაწილს ისინი სამეფო კარს, თავისი ოჯახის მრავალრიცხოვან წევრებს და სამეფო კართან დაახლოებულ მედროვეებს ახმარდნენ.

შექმნილი მდგომარეობით კარგად ისარგებლეს ავღანელმა ტომებმა, თავდადებული ბრძოლებით მათ სეფიანთა ბატონობისაგან თავი გაითავისუფლეს, 1722 წლის იანვრიდან კი შეტევაზე გადავიდნენ და სულ მალე ირანის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაიპყრეს.

1722-1723 წლებში სპარსეთის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა რუსეთიც. რუსეთის იმპერატორი პეტრე დიდი კასპიის ზღვის აღმოსავლეთი და სამხრეთი სანაპიროების დაპყრობას ისახავდა მიზნად. 1723 წელს ირანთან დადებული პეტერბურგის ზავით კასპიის ზღვის აღნიშნული სანაპიროები რუსეთს ერგო.

---

[1] ისლამის ძირითადი პრინციპები, მუსლიმანური რელიგიის დოგმები და დებულებები, მითები და სამართლის ნორმები თავმოყრილია წმინდა წიგნში — "ყურანში". ამას გარდა, მუსლიმანებს აქვთ კიდევ "წმინდა თქმულება" — "სუნა", რომელშიც თავმოყრილია მაჰმადის გამონათქვამები და რამდენიმე ათასი მითხრობა მის შესახებ.

ისლამს ორი მიმდინარეობა აქვს — სუნიზმი და შიიზმი. სუნიზმი ყურანთან ერთად სუნაასაც ცნობს. შიიზმი აღიარებს მხოლოდ ყურანს და უარყოფს სუნას.

შექმნილ ვითარებაში სეფიანებმა ირანში ფაქტობრივად დაკარგეს ძალაუფლება.

ირანის გაჭირვებული მდგომარეობით თურქეთმაც ისარგებლა. 1723 წელს მან ირანის საგანგებლო ტერიტორიები — აღმოსავლეთ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი დაიკავა.

§ 2. ნადირ-შაჰი. ავღანელ დამპყრობთა სისხლიანმა თარეშმა მალე ირანელი ხალხის საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. 1726 წელს ირანში მძლავრი ანტიავღანური განმათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო. ბრძოლას თურქმენული წარმოშობის (აფშართა ტომიდან) ნ ა დ ი რ - ხ ა ნ ი ჩაუდგა სათავეში. 1730 წლისათვის ნადირ-ხანმა ავღანელი დამპყრობლები ირანიდან განდევნა. ნადირ-ხანმა თურქეთთან დაიწყო ომი, რომელიც 1736 წელს ირანელთა სრული გამარჯვებით დამთავრდა. 1736 წლის ზავით ირანმა თურქეთისაგან დაიბრუნა 1723 წელს დაკარგული თითქმის მთელი ტერიტორია, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოც, მანამდე 1734 წელს კი რუსეთმა ნებაყოფლობით დაუბრუნა ირანს პეტრე დიდის დროს შეძენილი კასპიის ზღვის აღმოსავლეთი და სამხრეთი სანაპიროები.

სურათი 21

ნადირ-შაჰი

1736 წელს, ავღანეთზე და თურქეთზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ნადირ-ხანმა საგანგებოდ შეკრიბა ირანის ფეოდალური თავკაცობა და მუღანის ველზე ოფიციალურად ეკურთხა ირანის შაჰად.

ნადირ-შაჰმა დაპყრობითი ომების შედეგად დროებით ვრცელი იმპერია შექმნა, რომელშიც, გარდა ირანისა, შედიოდა ავღანეთი, თურქეთისათვის წართმეული ტერიტორიები, ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი და რუსეთისაგან დაბრუნებული კასპიის ზღვის სანაპიროები. 1738-1739 წლებში მან დალაშქრა და გაძარცვა ჩრდილო ინდოეთიც. ლაშქრობაში მას ერეკლე ბატონიშვილიც ახლდა. მაგრამ ნადირ-შაჰის დიდ სამბრძანებლოს, ისევე როგორც მის წინამორბედ ირანულ სახელმწიფოებს, ხანგრძლივი არსებობა არ ეწერა.

ნიჭიერი მხედართმთავარი და გამჭრიახი პოლიტიკოსი ნადირ-შაჰი ურჩ ქვეშევრდომებს სასტიკად სჯიდა, ზოგჯერ კი, თავისი ქვეყნის შინაგანი სისუსტიდან გამომდინარე, გარკვეულ დათმობებზეც მიდიოდა დაპყრობილი ხალხების მიმართ. 1744 წელს მან საქართველოს გამაჰმადიანებაზე ხელი აიღო და ქართლ-კახეთში ქრისტიანი მეფეები თ ე ი მ ურ ა ზ II და მისი შვილი ე რ ე კ ლ ე II დანიშნა. ქართველი მეფეები ქრისტიანული წესით აკურთხეს.

1747 წელს ნადირ-შაჰმა მთელ ირანს აუტანელი გადასახადები დააკისრა. ეს ღონისძიება მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. 1747 წელს ნადირ-შაჰი შეთქმულების მსხვერპლი გახდა, მის მიერ სისხლითა და მახვილით შექმნილი დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება კი დაინგრა.

§ 3. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში. ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში რამდენიმე საგვარეულო აწარმოებდა ბრძოლას ირანის სამეფო ტახტისათვის. ზენდების ირანული ტომის ბელადმა ქ ე რ ი მ - ხ ა ნ მ ა თავდაპირველად სამხრეთ ირანი დაიქვემდებარა, შემდეგ კი მთელი ქვეყანა დაიმორჩილა. ქერიმ-ხანის მმართველობის წლებში ირანში დროებითი სიმშვიდე ჩამოვარდა. იგი სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის აღდგენას ცდილობდა.

ქერიმ-ხანსა და ერეკლე II-ს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა დამყარდა.

1779 წელს ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ ირანი თხუთმეტწლიანმა ქაოსმა მოიცვა. ზენდები ჩრდილო ირანელმა ყაჯარებმა დაამარცხეს. 1794 წელს ყაჯარების თავკაცმა, ჭკვიანმა და ენერგიულმა, მაგრამ ვერაგმა და შეუბრალებელმა ა ღ ა - მ ა ჰ მ ა დ - ხ ა ნ მ ა ზენდთა წინააღმდეგობას ბოლო მოუღო.

გეორგიევსკის ტრაქტატით უკმაყოფილო აღა-მაჰმად-ხანმა 1795 წელს დალაშქრა და დაარბია თბილისი.

ამიერკავკასიიდან დაბრუნებული აღა-მაჰმად-ხანი 1796 წელს თეირანში საზეიმოდ ეკურთხა ირანის შაჰად. მანამდე უცნობი და უმნიშვნელო დასახლებული პუნქტი — თეირანი აღა-მაჰმად-შაჰმა ირანის სატახტო ქალაქად აქცია [1].

1796 წელს სამხრეთ ირანში ლაშქრობისას აღა-მაჰმად-შაჰმა შეიტყო, რომ ეკატერინე II-ის დროს ამიერკავკასიაში შემოყვანილი რუსეთის 30-ათასიანი ჯარი პავლე I-მა უკან გაიწვია. ამით გათამამებულმა აღა-მაჰმად-შაჰმა თავისი ჯარი კვლავ

---

[1] მანამდე ირანის დედაქალაქი ისპაჰანი იყო.

საქართველოს წინააღმდეგ დაძრა, მაგრამ საქართველოს დასარბევად ახალი ლაშქრობის მოწყობა აღარ დასცალდა: მცველებმა, რომელთა შორისაც ერთი ქართველიც[1] იყო, 1797 წელს, შეთქმული ხანების დაკვეთით ალა-მაჰმად-შაჰი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ალა-მაჰმად-შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანის სამეფო ტახტზე, შედარებით ხანმოკლე შინაბრძოლის შემდეგ, მისი ძმისშვილი ბაბა-ხანი ავიდა, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ბაბა-ხანი შეეცადა არ დაეშვა ამიერკავკასიაში რუსეთის გაბატონება. ხან ინგლისის, ხან კი საფრანგეთის მხრიდან დახმარების იმედით ბაბა-ხანი 1804-1813 წლებში რუსეთს ეომებოდა. ომი ირანელთა დამარცხებით დამთავრდა.

1813 წელს დაბა გულისტანში რუსეთ-ირანის საზავო ხელშეკრულება დაიდო. გულისტანის ხელშეკრულებით ირანი საქართველოს, დაღესტანისა და ჩრდილო აზებაიჯანის მიმართ პრეტენზიებზე უარს ამბობდა და რუსეთის იმპერიასთან მათი მიერთების ფაქტს ცნობდა, საზღვრო ფლოტი კასპიის ზღვაზე მხოლოდ რუსეთს შეეძლო ჰყოლოდა.

? 1. რამ განაპირობა ირანის დასუსტება? 2. რატომ მთავრდებოდა უშედეგოდ ირანის განმგებელთა რეფორმები? 3. რამ შეუწყო ხელი დამორჩილებული ხალხების განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებას? 4. რა შედეგი მოჰყვა რუსეთ-თურქეთის 1722-1723 წლების ომს? 5. როგორი იყო ნადირ-შაჰის პოლიტიკა დაპყრობილი ხალხების მიმართ? 6. რა შედეგები მოჰყვა რუსეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიისათვის ბაბა-ხანის ირანის ბრძოლას?

დანართი

აღმოსავლეთ საქართველო, ქართველები და ირანი XVII-XVIII საუკუნეებში

შაჰ-აბას I-მა მრავალგზის გამანადგურებელი ლაშქრობებისა და 200 ათასამდე კახელის ირანში გადასახლების მიუხედავად[2], ქართლ-კახეთის მოთხრა ვერ შეძლო. მისმა მემკვიდრეებმა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარება გადაწყვიტეს.

1632 წლიდან ქართლს ბაგრატიონთა დინასტიის მაჰმადიანი მეფეები

---

[1] ერთ-ერთი მკელლთაგანი იყო ქართველი — სადიხა, რომელიც თავის დროზე საქართველოდან ტყვედ წაუყვანიათ და მონად უქცევიათ.

[2] გადასახლებულთა საგრძნობი ნაწილი შაჰ-აბასმა ფერეიდანში ჩასახლა.

რუკა 7

ირანი XVIII საუკუნეში


ირანი
ინდოეთი
ავღანეთი
ბალხი
ამუ-დარია
ინდოეთი
ინდუსი
ინდოეთის ოკეანე
ინდუსი
ინდოეთი
ინდოეთი
ინდოეთ

განაგებდნენ, რომელთაც ქართლის „ვალი“ ანუ შაჰის „მოადგილე“ ეწოდებოდათ. ქართლიდან შაჰის საზინაში ყოველწლიური ხარკი, პირადად ირანის განმგებლისათვის კი სხვადასხვა მისართმეველი მიჰქონდათ.

ირანის შაჰები იძულებული იყვნენ ქართლში ბაგრატიონთა მეფობას შეგუებოდნენ და ნაკლებად ჩარეულიყვნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში. კახეთის მიმართ კი მათი დამოკიდებულება სხვანაირი იყო. ისინი მხოლოდ ხარკის მიღებით არ კმაყოფილდებოდნენ და 1660 წლის სახალხო აჯანყების მიუხედავად, კახეთის ირანულ სახანოდ გადაქცევაზე იმედს არ კარგავდნენ. ამიტომაც კახეთს საგანმგებლოდ ხან გამაჰმადიანებულ ბაგრატიონებს, ხან კი ყიზილბაშ [1] ხანებს აძლევდნენ.

1703 წელს შაჰმა ქართლის და კახეთის განმგებლები, იძულებით გამაჰმადიანებული ბაგრატიონები გიორგი XI და ერეკლე I (ნაზარალიხანად წოდებული) თავისთან დაიტოვა; ქართლის მმართველობა გიორგის ძმისწულს ვახტანგს, კახეთისა კი ერეკლეს ვაჟს დავითს ჩაბარა; გიორგის ავღანელთა დამორჩილება უბრძანა, ერეკლეს კი შაჰის სასახლის გვარდიის სარდლობა დაავალა. გიორგი აჯანყებულმა ავღანელებმა მოკლეს, ერეკლე I კი ირანში გარდაიცვალა.

იძულებით გამაჰმადიანებული ბაგრატიონებისა და ალმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის მოღვაწეობა სეფიანთა ირანში ჩვეულებრივი ამბავი იყო. ირანში შაჰის შემდეგ სამ უპირველეს კაცად მიჩნეულ პირთა შორის ქართლის მეფეებიც იყვნენ. ქართული გამაჰმადიანებული თავადაზნაურობა სეფიანთა ირანის სამხედრო თუ სამოხელეო სისტემაში საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი და უმაღლეს თანამდებობებსაც იკავებდა.

ირანში სეფიანების დამხობის შემდეგ ქართლ-კახეთს ძნელბედობის დრო დაუდგა. ქართველი ხალხი 1723-1735 წლებში თურქეთის („ოსმალობა“ საქართველოში), ხოლო 1735-1747 წლებში ნადირ-შაჰის ირანის („ყიზილბაშობა“ საქართველოში) მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა.

1744 წელს ქართლის მეფედ დანიშნულმა თეიმურაზ II-მ და კახეთის მეფედ დანიშნულმა ერეკლე II-მ შესანიშნავად გამოიყენეს ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ ირანში დაწყებული პოლიტიკური აშლილობა. ქრისტიანმა მეფეებმა თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ ფაქტობრივად დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

ამის შემდეგ დაახლოებით 50 წელი ქართლ-კახეთი ჩამოცილებული იყო ირანს. ამ გარემოებას ირანში მიმდინარე შიდა ომებმა (1747-1760 და 1780-1795 წლებში) და ირანის მმართველ ქერიმ-ხანთან (1760-1779) ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის კეთილგანწყობილმა ურთიერთობამ შეუწყო ხელი. ამგვარი დამოკიდებულება პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი და ორივე მხარეს აძლევდა ხელს. ირანის მმართველმა ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება ცნო და

---

[1] ყიზილბაში — თურქულად წითელთავას ნიშნავს. ამ ტომის წარმომადგენლები წითელსარქველიან თავსაბურავს ატარებდნენ. ამის გამო მათ ასეთი სახელი შეარქვეს.

აღიარა ერეკლე II-ის უფლება განჯისა და ერევნის სახანოებზე. ერეკლე II-სთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების მიუხედავად, ქერიმ-ხანმა ათასობით ფერეიდნელი ქართველი გამოასალმა წუთისოფელს იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს სჯულის გამოცვლაზე. მან სიცოცხლე მხოლოდ იმ ქართველებს შეუნარჩუნა, რომლებსაც იძულებით მიაღებინა მაჰმადიანობა.

ირან-საქართველოს ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა XVIII საუკუნის მიწურულში ხელისუფლების სათავეში ყაჯართა მოსვლის შემდეგ. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე ლაშქრობამ აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამყარება დააჩქარა.

დავალება

შეადგინეთ სქემა: ირანის მმართველები და მათი დამოკიდებულება საქართველოსადმი

ირანის შაჰი, მმართველობის წლები	რომელი დინასტიის წარმომადგენელია	დამოკიდებულება საქართველოსადმი

XIII თავი

თურქეთი XVII საუკუნის მიწურულიდან 1813 წლამდე

§ 1. თურქეთი ე.წ. „შეჩერების პერიოდის“ მიწურულში. XVI საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისისათვის ოსმალეთის თავბრუდამხვევი სამხედრო წარმატებების ხანა დასრულდა. 1571 წელს ლეპანტოსთან [1] საზღვაო ბრძოლაში ესპანეთისა და ვენეციის გაერთიანებულმა ესკადრამ თურქეთის ფლოტი გაანადგურა. მართალია, XVI საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში თურქებმა მოახერხეს დაეპყროთ კუნძული კვიპროსი და ტუნისი, მაგრამ ამით მათი შეტევითი შესაძლებლობები თითქმის ამოიწურა. დაიწყო ასწლიანი „შ ე ჩ ე რ ე ბ ი ს პ ე რ ი ო დ ი“, როდესაც თურქეთმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ უკიდეგანო იმპერიის საზღვრები ძირითადად უცვლელად შეინარჩუნა. ომები ირანთან, ავსტრიასთან, ვენეციასთან და პოლონეთთან გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და დიდი მსხვერპლის მიუხედავად უშედეგოდ მთავრდებოდა.

[1] ლეპანტო — ქალაქი საბერძნეთში

ე.წ. „შეჩერების პერიოდში", რომელიც XVII საუკუნის 80-იან წლებამდე გაგრძელდა, ოსმალეთის იმპერიის საზღვრების გაფართოება შეჩერდა, მაგრამ არ შენელებულა თურქეთის სამხედრო-ფეოდალური წყობილების რღვევა.

„შეჩერების პერიოდის" მიწურულში ოსმალეთის იმპერია სამი კონტინენტის ვრცელ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული. გარდა საკუთრივ თურქეთის ტერიტორიისა, რომელიც იმპერიის ბირთვს შეადგენდა, მასში შედიოდა ბალკანეთი (ჩერნიგორიისა და დალმაციის სანაპიროს გამოკლებით), უნგრეთი, ყირიმი, შავი და აზოვის ზღვების ჩრდილოეთ სანაპიროები, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთი ნაწილი, ერაყი, სირია, პალესტინა, არაბეთის ნახევარკუნძული, ჩრდილოეთ აფრიკა (მაროკოს გამოკლებით), სუდანი.

თურქ-ოსმალების მიერ შექმნილი ვრცელი იმპერია შინაგან ერთიანობას მოკლებული იყო. იგი წარმოადგენდა სხვადასხვა ხალხებისა და ტომების ნარევს. ოსმალეთის იმპერიის მოსახლეობა ეთნიკური შემადგენლობით, ენით, რელიგიით, ადათ-ჩვეულებებით, ისტორიული წარსულით, მეურნეობრივი წყობით და კულტურული განვითარების დონით უაღრესად ჭრელი იყო.

ამავე დროს, გაბატონებული თურქები, რომლებიც ეკონომიკურად და კულტურულად დიდად ჩამორჩებოდნენ დაპყრობილ ხალხებს, იმპერიაში უმცირესობას შეადგენდნენ. მხოლოდ მცირე აზიაში და სტამბულის მიმდებარე ბალკანეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე წარმოადგენდნენ ისინი მცხოვრებთა უდიდეს უმრავლესობას; იმპერიის დანარჩენ ტერიტორიაზე თურქები მკვიდრ მოსახლეობას შორის გაფანტულად, მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ.

ოსმალეთის იმპერია თვითმპყრობელურ, ფეოდალურ-დესპოტურ მონარქიას წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში ედგა სულთანი (ფადიშაჰი, ხონთქარი). იგი უმაღლეს საერო ხელისუფლად, ყველა მუსლიმანის რელიგიურ მეთაურად — ხალიფად და ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ითვლებოდა.

თურქეთში სახელმწიფო რელიგია მაჰმადიანობის სუნიტური მიმდინარეობა იყო. ის მაჰმადიანური სექტები, რომლებიც არ იზიარებდნენ სუნიტობას, დაუნდობლად იდევნებოდნენ. ქრისტიანი ხალხები — ბერძნები, ბალკანელი სლავები, რუმინელები, ქართველები, სომხები უსასტიკეს ჩაგვრა-შევიწროებას და ეროვნულ დისკრიმინაციას განიცდიდნენ. მათ სისტემატიურად აწიოკებდნენ და აბუჩად იგდებდნენ. ამას ემატებოდა/ მათი რელიგიის შებღალვა და ძალად გამაჰმადიანების პოლიტიკა.- თურქეთის სახელმწიფო მოხელეები სუნიტური

სამღვდელოების გარდა, სულთნის მონებად ითვლებოდნენ. ამით ხაზგასმული იყო მისი განუსაზღვრელი უფლებები ქვეშევრდომთა სიცოცხლესა და ქონებაზე, უგზოობა, ნატურალური მეურნეობის სიჭარბე, ცენტრალური სახელმწიფო აპარატის გაძარცვნილება, ოლქებისა და ვასალური ქვეყნების მესვეურთა სეპარატიზმი დიდად ასუსტებდა ოსმალეთის იმპერიას.

ადგილებზე ოსმალეთის უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები ფაშები იყვნენ. მათი ურჩობა აქვეითებდა თურქეთის არმიის ბრძოლისუნარიანობას. ძელდებოდა ოსმალეთის ფეოდალური ლაშქრის შეკრება, რომელიც იმპერიის შეიარაღებული ძალების უდიდეს ნაწილს შეადგენდა. მოიშალა დისციპლინა იანიჩართა არმიაშიც, რომლის დაკომპლექტება იძულებით გამაჰმადიანებული ქრისტიანი ჭაბუკებისგან ხდებოდა.

ევროპული ქვეყნების არტილერია და ფლოტი თავისი სამხედრო-ტექნიკური მაჩვენებლებით სულ უფრო და უფრო უსწრებდა თურქეთისას. ერთ დროს უძლეველი თურქეთის შეიარაღებული ძალები „შეჩერების პერიოდში" იმპერიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაქვეითებასთან ერთად თანდათან სუსტდებოდა.

§ 2. „უკან დახევის პერიოდი" ოსმალეთის იმპერიაში. XVII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის დამთავრდა „შეჩერების პერიოდი" და დაიწყო ოსმალეთის იმპერიის „უ კ ა ნ დ ა ხ ე ვ ი ს პ ე რ ი ო დ ი". „უკან დახევის პერიოდს" დასაბამი დაედო 1683 წლის ივლისში, როდესაც ოსმალთა ასიათასიანი არმია, დიდი ვეზირის ყარა მუსტაფას სარდლობით, ვენას მიადგა და ალყაში მოაქცია ქალაქი. ვენის ათიათასიანი გარნიზონი ორი თვე იცავდა თავს. დამცველთა საბრძოლო შესაძლებლობები თანდათან იწურებოდა, ქალაქში შიმშილი დაიწყო. ბრძოლის მსვლელობაში გარდატეხა 1683 წლის 12 სექტემბერს მოხდა. ვენას ოცდახუთიათასიანი კარგად შეიარაღებული ჯარით პოლონეთის მეფე იან სობესკი დაეხმარა. პოლონელებს გერმანელთა რაზმებიც შეუერთდნენ. ბრძოლაში თურქეთის არმიამ 20 ათასი კაცი დაკარგა და იძულებული გახდა ბუდასა და პეშტისაკენ [1] უკანდახევა დაეწყო. იან სობესკიმ შეტევა განაგრძო და კვლავ დამარცხა თურქები. დუნაიზე გადასვლისას თურქებმა კიდევ 10 ათასი მებრძოლი დაკარგეს. ყარა მუსტაფა ბელგრადში გაიქცა, სადაც ის თურქეთის სულთნის ბრძანებით მოკლეს.

---

[1] ბუდა და პეშტი მაშინ დუნაის ორ ნაპირზე ცალ-ცალკე არსებული ქალაქები იყო. შემდგომში მათი გაფართოებისა და გაზრდის შედეგად ისინი ერთმანეთს შეერწყნენ და ქალაქ ბუდაპეშტი ეწოდა.

სურათი 22

თურქების მიერ ვენის ალყა 1683 წელს

1684 წელს ავსტრიამ, პოლონეთმა და ვენეციამ თურქეთთან საბრძოლველად შექმნეს „ს ა ღ ვ თ ო ლ ი გ ა“, რომელსაც 1686 წელს რუსეთიც შეუერთდა. 1697 წელს უნგრეთში ავსტრიელებმა სასტიკად დამარცხეს თურქები. 1699-1700 წლებში თურქეთმა ავსტრიასთან, პოლონეთთან, ვენეციასთან და რუსეთთან დადო ზავი, რომლითაც ამ ქვეყნებს მან მნიშვნელოვანი ტერიტორიები გადასცა.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში თურქეთმა დროებით სამხედრო წარმატებებს მიაღწია, მან დაიბრუნა აზოვი, დაიკავა სოჩხეთი, აღმოსავლეთ საქართველო და აზერბაიჯანის ნაწილი. მაგრამ ეს წარმატებები საერთო სურათს ვერ ცვლიდა. მალე რუსეთმა და ირანმა თურქეთს კვლავ დაუკარგვინეს შეძენილი ტერიტორიები.

ამრიგად, XVIII საუკუნეში თურქეთი რუსეთთან და სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან წარმოებულ ომებში საბოლოოდ დამარცხდა. მძიმე იყო ამ ომების შედეგები. ოსმალეთი იძულებული გახდა მდინარე დნესტრის აღმოსავლეთით მდებარე ყველა სამფლობელო რუსეთისათვის გადაეცა; მდინარეების დუნაისა და პრუტის მიმდებარე მნიშვნელოვანი ოლქები კი ავსტრიისათვის დაეთმო.

ევროპის სახელმწიფოებმა ისაგებლეს თურქეთის დასუსტებით და მასთან არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები -- „კაპიტულაციები" დადეს. პირველი ასეთი დოკუმენტი „გენერალური კაპიტულაცია" თურქეთმა 1740 წელს გააფორმა. ამით გაფართოვდა და დაკანონდა იმპერიის ტერიტორიაზე ფრანგების მანამდე არსებული პრივილეგიები. მოგვიანებით კაპიტულაციები სხვა ევროპულ სახელმწიფოებზეც გავრცელდა. კაპიტულაციების სისტემა ევროპის სახელმწიფოების მიერ თურქეთის ეკონომიკური დაქვემდებარების უმნიშვნელოვანეს საშუალებად გადაიქცა. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მარცხმა ოსმალეთის იმპერია დაშლის პირამდე მიიყვანა.

§ 3. სელიმ III-ის რეფორმები. 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომი. ოსმალეთის იმპერიის დაშლის საფრთხემ აუცილებელი გახადა რეფორმების გატარება.

სულთანმა სელიმ III-მ (1789-1807) იმპერიის გადასარჩენად სამხედრო რეფორმების გატარება განიზრახა. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა რეფორმის მომხრეები და დაიწყო თურქეთის შეიარაღებული ძალების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა. მაგრამ სელიმ III-ის წამოწყებას რეაქციულად განწყობილი თურქი ფეოდალები და მაჰმადიანური სამღვდელოება აღუდგა წინ, განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ გათავხედებულ იანიჩართა სამხედრო ნაწილები, რომლებსაც კარგად ესმოდათ, რომ ახალი ყაიდის არმია მათ თავისი რიგებიდან განდევნიდა. რეფორმის მოწინააღმდეგეებმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და დასავლეთ საქართველოს დაბრუნების მიზნით რუსეთის წინააღმდეგ 1806 წელს დაწყებული ომის სირთულეები გამოიყენეს. ისარგებლეს იმით, რომ რეფორმის მომხრე სამხედრო ნაწილებს დედაქალაქიდან ბალკანეთის და კავკასიის ფრონტზე მოუხდათ წასვლა და სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს. 1807 წელს მათ ტახტიდან ჩამოაგდეს სელიმი და ყოველგვარი პროგრესული სამხედრო გარდაქმნები შეწყვიტეს.

რუსეთ-თურქეთის ომი 1812 წლის მაისში ბუქარესტის ზავით დასრულდა. რუსეთმა მიიღო ბესარაბია და აიძულა თურქეთი ეღიარებინა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა.

რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ რუსეთმა და სხვა ევროპულმა სახელმწიფოებმა თურქეთის საშინაო საქმეებში აქტიური ჩარევა დაიწყეს.


ოსმალეთის იმპერია XVII-XVIII საუკუნეებში
ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები
XVIII საუკუნის დასაწყისი
XVIII საუკუნეში
ბალკანეთი
ბალკანეთის ნახევარკუნძული
ეგეოსი ზღვა
ეგეოსი
ეგეოსი
ეგეოსი

? 1. როგორი იყო თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობა „შეჩერების პერიოდში“? 2. რა უშლიდა ხელს თურქეთის იმპერიის შინაგან ერთიანობას? 3. როგორი იყო თურქეთის იმპერიის სახელმწიფო მმართველობა? 4. როგორი იყო სენიტური სამღვდელოების უფლებები? 5. დახასიათეთ „უკან დახევის პერიოდი“. 6. რას გულისხმობდა კაპიტულაციების სისტემა? 7. რატომ დამთავრდა მარცხით სელიმ III-ის რეფორმების გატარების მცდელობა?

დანართი.

ოსმალეთის იმპერია და საქართველო

1625 წლიდან რსმალეთმა საბოლოოდ მოკვეთა საქართველოს სამცხე-საათაბაგოს ქართული ფეოდალური სამთავრო. სამცხე-საათაბაგომ, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა, არსებობა შეწყვიტა. სამცხე-საათაბაგოს ძირითადი ნაწილი ახალციხის საფაშოში, დანარჩენი მხარეები კი ტრაპიზონის, არზრუმისა და ყარსის საფაშოებში შევიდა. საფაშოებს ფაშები განაგებდნენ.

ახალციხის საფაშოს პოლიტიკური ორგანიზაცია თურქულ საფუძველზე მოეწყო, თუმცა შემორჩა ზოგიერთი ქართული თავისებურება, რომლითაც იგი იმპერიის სხვა პროვინციებისაგან განსხვავდებოდა. ახალციხის საფაშოს ჯაყელების ძველი ქართული საგვარეულოს გამაჰმადიანებული წარმომადგენლები განაგებდნენ. ფაშის თანამდებობა აქ მემკვიდრეობით გადადიოდა.საფაშო სანჯაყებად იყოფოდა. სანჯაყს ანუ ლიეას სანჯაყ-ბეგი მართავდა.

ახალციხის საფაშოში თურქებმა ჯერ თავადაზნაურობაში, შემდეგ კი გლეხობაშიც ძალდატანებით დაიწყეს მაჰმადიანობის გავრცელება. ბევრი ქრისტიანი ქართველი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა მშობლიური მხარე და დასავლეთ ან აღმოსავლეთ საქართველოში გადახვეწილიყო. კათოლიკურ საფრანგეთთან დადებული კაპიტულაციების გამო თურქები კათოლიკე მოსახლეობას მართლმადიდებლების მსგავსად ვერ აიწროებდნენ. ამიტომ ზოგიერთმა ქართულმა სოფელმა კათოლიკობის მიღება მოასწრო.

ახალციხის საფაშოს განაპირა მხარეებში და ტრაპიზონის, არზრუმის და ყარსის საფაშოების ქართველებით დასახლებულ სანჯაყებში მოსახლეობა მაინც ახერხებდა მშობლიური ენის, ზნე-ჩვეულებების, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას.

დასავლეთ საქართველოს სამეთვალყურეოდ და აღმოსავლეთ საქართველოზე ლაშქრობების მოსაწყობად ახალციხის საფაშო თურქეთისათვის მოხერხებულ პლაცდარმად გადაიქცა.

XVII საუკუნის დასაწყისიდანვე აფხაზეთის, გურიის და სამეგრელოს მთავრებმა, ხოლო უფრო მოგვიანებით იმერეთის მეფემაც თურქეთისათვის ყოველწლიურად ხარკის მიცემა იკისრეს.

XVII საუკუნის 70-იან წლებში იმერელმა მოღალატე თავადებმა ოსმალთა ჯარი ქუთაისის ციხეში შეიყვანეს. 1723 წელს თურქებმა ფოთი დაიპყრეს, აქ ფაშა დასვეს და ზღვის სანაპიროს მმართველად დანიშნეს. თურქეთის ხელში იყო ბათუმი და სოხუმი. ოსმალებმა დაიკავეს შორაპნის, ბაღდადის და ცუცხვათის ციხეები იმერეთში. იმავე 1723 წელს მათ აღმოსავლეთ საქართველოც დაიპყრეს (1723-1735 წლებში ქართლ-კახეთში „ოსმალობა" იყო).

თურქებმა მოხერხებულად გამოიყენეს შიდაფეოდალური აშლილობა, რომელმაც XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა. თურქები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს შიდაფეოდალური ომების გაღვივებას. დაკავებული ციხეები მათ დატყვევებული ქართველებით ვაჭრობის ბუნაგებად გადააქციეს.

1752 წელს იმერეთში სოლომონ I გამეფდა. მან თავაშვებული თავადების ალაგმვა შეძლო. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს სოლომონ I-მა რუსეთის ჯარის დახმარებით გაანთავისუფლა თურქების მიერ დაკავებული ქუთაისი და იმერეთის ციხეები.

1801 წელს ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგ რუსეთმა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებზე თავისი პროტექტორატი დაამყარა. რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომის დროს მეფის რუსეთმა იმერეთის სამეფო გააუქმა და თავისი უშუალო მმართველობა დაამყარა, დასავლეთ საქართველოს სამთავროებზე კი პროტექტორატი შეინარჩუნა.

დავალება

დახასიათეთ ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და განსაზღვრეთ მისი ადგილი ევროპელ სახელმწიფოთა შორის.

მეექვსე კარი
გერმანია XVIII საუკუნეში

XIV თავი
გერმანული სახელმწიფოები XVIII საუკუნეში

§ 1. ავსტრია. 1683 წელს ოსმალთა ასიათასიანმა არმიამ ვენას შემოარტყა ალყა. ავსტრიის დედაქალაქი მხოლოდ პოლონეთის მეფის იან სობესკის ლაშქრის მიერ თურქთა მხედრობის განადგურებამ იხსნა. ავსტრიელები შეტევაზე გადავიდნენ. ავსტრიისა და პოლონეთის საერთო კავშირს ჯერ ვენეცია, შემდეგ კი რუსეთიც შეუერთდა. ალამარცხებული ოსმალეთი იძულებული შეიქნა 1699 წელს დადებული ზავით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ჰაბსბურგთა სამფლობელოების მნიშვნელოვან გაფართოებაზე დათანხმებულიყო.

ოსმალეთთან დაპირისპირებამ ავსტრიაში ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომლის სათავეში ჰაბსბურგთა დინასტია იდგა.

ავსტრიის მონარქი იმავდროულად შუა საუკუნეებში შექმნილი გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის იმპერატორადაც ითვლებოდა. მაგრამ გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია მხოლოდ ფორმალურადღა არსებობდა, იმპერატორს და წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოს — რაიხსტაგს არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდა. გერმანია ფაქტობრივად საერო თუ სასულიერო სამფლობელოებად და თვითმმართველობის მქონე ქალაქებად იყო დაქუცმაცებული. გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიაში 1500-მდე ნახევრადდამოუკიდებელი სარაინდო მამული და დაახლოებით იმდენი სახელმწიფო იყო, რამდენი დღეც არის წელიწადში. დაქუცმაცებულ გერმანულ სამფლობელოთა განმგებლები თვითმპყრობელებად გადაიქცნენ. გერმანულ სახელმწიფოთა შორის საღვთო რომის იმპერიაში ავსტრიას სერიოზულ მეტოქეობას უწევდა პრუსია, რომელსაც ჰოჰენცოლერნთა დინასტია განაგებდა.

სუსტი იყო ავსტრიის პოზიციები იტალიაშიც. საფრანგეთთან კი ომები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ამ ომებში ავსტრიელთა ყველაზე დიდი წარმატება ბელგიის დაუფლება იყო.

გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიაში პოზიციების შესუსტებასთან ერთად განმტკიცდა ჰაბსბურგთა ხელისუფლება მათ სამემკვიდრეო ქვეყნებში,

რომელთა ბირთვს შეადგენდა ავსტრია, სილეზია, ჩეხეთი, სლოვაკია და ადრიატიკის სანაპირო ტრიესტიდან ჩერნოგორიამდე. ავსტრიის ჰაბსბურგთა მკრე. ერთმანეთისგან განცალკევებული სამფლობელოები მდინარე რაინის ორივე სანაპიროზე მდებარეობდა.

1740-1790 წლებში მარი-ტერეზასა (1740-1780) და მისი ვაჟის იოსებ II-ის (1780-1790) მმართველობის დროს ჰაბსბურგთა სამემკვიდრეო ქვეყნებში მნიშვნელოვანი რეფორმები ჩატარდა. შემოიღეს საყოველთაო დაწყებითი სასკოლო განათლება, გაუმჯობესდა სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში, გაუქმდა შიდა საბაჟოები, მოისპო მემამულეებისადმი გლეხთა პირადი დამოკიდებულება, თუმცა მემამულური მაწათმფლობელობა და ფეოდალური ბეგარა-გადასახადები შენარჩუნებულ იქნა.

სურათი 23

მარია-ტერეზია

მარია-ტერეზასა და იოსებ II-ის რეფორმები ვარაუდობდა ჰაბსბურგთა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას, რომელსაც განვითარებული ეკონომიკა, კარგად ორგანიზებული მმართველობა და ძლიერი შეიარაღებული ძალები უნდა ჰქონოდა.

ჰაბსბურგები ხელს უწყობდნენ ხელოსნობის, ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებას. მაგრამ, ამავე დროს, გაზრდილი სამხედრო ხარჯების დასაფარავად მეწარმეებს მაღალი კადასახადებით ბეგრავდნენ.

თვითმპყრობელობის დამყარება ავსტრიელმა ჰაბსბურგებმა მხოლოდ თავის სამემკვიდრეო მრავალეროვან სახელმწიფოში შეძლეს. 1784 წლიდან მათ საქმის წარმოება ყველა დაწესებულებაში გერმანულ ენაზე დაკანონეს, ამან სხვა ერების უკმაყოფილება გამოიწვია.

§ 2. პრუსია. მდინარეების ოდერსა და ელბას შორის გადაჭიმული ბრანდენბურგის საკურფიურსტო (სამთავრო) ჰოჰენცოლერნთა დინასტიას ეკუთვნოდა. ბრანდენბურგის საკურფიურსტოს დედაქალაქი ბერლინი იყო. 1618 წელს ჰოჰენცოლერნები პოლონეთზე ვასალურად დამოკიდებულ პრუსიის საჰერცოგოს (აღმოსავლეთ პრუსიას) დაეუფლნენ. მათ თავიანთი სამფლობელოები ჩრდილოეთითაც გაფართოვეს და ბალტიის ზღვაზე გამავალი მნიშვნელოვანი სამდინარო გზები ოგდეს ხელთ. XVII საუკუნის მიწურულს ჰოჰენცოლერნებმა აღმოსავლეთ პრუსია

გაახალგაზრდავებულ პოლონეთის ვასალური დამოკიდებულებისაგან. 1701 წელს კურფიურსტი ფრიდრიხი კენინგსბერგში საზეიმოდ ეკურთხა მეფედ. ამის შემდეგ ჰოჰენცოლერნები ბრანდენბურგის კურფიურსტებად აღარ მოიხსენიებოდნენ, მათ პრუსიის მეფეებს უწოდებდნენ.

პრუსიის სამეფო სამხედრო მონარქია იყო. მის ოფიცრობას და მოხელეობას იუნკერები (მემამულეები) შეადგენდნენ. პრუსიის მეფე ხელს უწყობდა ხელოსნობის, მანუფაქტურული წარმოების, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ გზით იგი ზრდიდა სახელმწიფო შემოსავალს, რომლის 85%-ს სამხედრო ხარჯების დასაფარავად იყენებდა. არმიის მნიშვნელობა პრუსიაში იმდენად დიდი იყო, რომ თანამედროვენი მოსწრებულად შენიშნავდნენ: ევროპის სახელმწიფოებს არმიები ჰყავთ, პრუსიაში კი არმიას ჰყავს სახელმწიფო.

სურათი 24

ფრიდრიხ II

ევროპის სახელმწიფოდ პრუსია ფრიდრიხ II-ის მეფობის დროს, 1740-1786 წლებში ჩამოყალიბდა. ფრიდრიხ II განათლებული პიროვნება იყო. იგი ხელოვნებითა და ფილოსოფიით იყო გატაცებული.

ფრიდრიხ II რელიგიური შემწყნარებლობის პოლიტიკას ატარებდა, მან გააუქმა წამება, გაამარტივა სამართალწარმოება, გაფართოვა დაწყებითი სწავლების ქსელი, ვააუქმა ცენზურა სქელტანიან წიგნებზე, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ლიტერატურა ჭეშმარიტი ფასისა და მოცულობის გამო მხოლოდ ინტელექტუალური მკითხველისათვის იყო მისაწვდომი. ასეთი მკითხველი კი თვითონ მოახერხებდა წაკითხულში გარკვევას. აქედანაც, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ იქნებოდა მისთვის ინფორმაციის მიწოდების და შემოქმედებითი მოღვაწეობის შეზღუდვა. ამავე დროს ფრიდრიხ II-მ უმკაცრესი ცენზურა დაწესა რიგითი მკითხველისათვის ხელმისაწვდომ ბროშურებზე, ჟურნალ-გაზეთებზე და პოლიტიკურ ლიტერატურაზე.

1740-1748 წლების ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომის დროს ფრიდრიხ II-მ ავსტრიას უმდიდრესი პროვინცია — სილეზია წაართვა. ამით მან თავისი სამეფოს ტერიტორია და მოსახლეობა ერთი მესამედით გაზარდა.

ფრიდრიხ II-მ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1756-1763 წლების შვიდწლიან ომში, სადაც პრუსიას საფრანგეთი, ავსტრია და რუსეთი დაუპირისპირდა. კატასტროფისაგან პრუსია რუსეთში პეტრე III-ის გამეფებამ იხსნა. ფრიდრიხ II-ის თაყვანისმცემელმა პეტრე III-მ გამარჯვებული რუსეთის ჯარი გერმანიიდან გაიყვანა და პრუსიასთან ზავი დადო.

ფრიდრიხ II აბსოლუტიზმის ეპოქის დიდი სამხედრო მოღვაწე იყო. მის მიერ შექმნილი არმია ერთ-ერთი უძლიერესი იყო ევროპაში და თავის რიგებში 200 ათასამდე ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა. ფრიდრიხ II-ის დროს პრუსია ფაქტობრივად სამხედრო ბანაკად იქცა. არმიის გაწვრთნა უსიტყვო მორჩილებას ემყარებოდა. ოფიცრების დამოუკიდებელი ინიციატივა მას ისეთივე დანაშაულად მიაჩნდა, როგორც ჯარისკაცების უდისციპლინობა. „მეფე-ფილოსოფოსის“ ქედმაღლობა და ადამიანების აბუჩად აგდება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მისი სამხედრო თუ სამოქალაქო ხასიათის ბრძანებები და განკარგულებები ორ სტრიქონს არ აჭარბებდა, რადგან რაიმე დასაბუთება ან განმარტება მას ზედმეტად მიაჩნდა.

ფრიდრიხ II ნიჭიერი სტრატეგი იყო. მან ქვეითი ჯარის სამხედრო წყობა გაუმჯობესა, მოახლინა პრუსიის კავალერიის რეორგანიზაცია. რთული მანევრების საშუალებით ფრიდრიხ II მოწინააღმდეგეს მომარაგების ბაზებისაგან წყვეტდა და კომუნიკაციებს უსპობდა.

§ 3. აღმოსავლეთის ბარიერი. გერმანული ერის საღვთო რომის იმპერიას რუსეთისაგან ეგრეთ წოდებული აღმოსავლეთის ბარიერი გამოყოფდა. აღმოსავლეთის ბარიერს თურქეთი, პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო (რეჩ-პოსპოლიტა) და შვედეთი ქმნიდა. გვიან შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის ბარიერი ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ჩრდილოეთის ომში შვედეთის დამარცხებამ, პოლონეთის სამჯერადმა გაყოფამ და ევროპის სახელმწიფოებთან თურქეთის წარუმატებელმა ომებმა აღმოსავლეთის ბარიერი მოშალა. შვედეთის, რეჩ-პოსპოლიტას და თურქეთის შინაგანმა სისუსტემ, მეზობლებთან და ერთმანეთს შორის გაუთავებელმა ბრძოლამ დაასუსტა შვედეთი და ოსმალეთი, რეჩ-პოსპოლიტა კი საერთოდ აღგავა ევროპის პოლიტიკური რუკიდან.

აღმოსავლეთის ბარიერის მოშლამ რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის აღზევებას შეუწყო ხელი, გაადვილა მათი საზღვრები.

რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის მიერ რეჩ-პოსპოლიტას მიწა-წყლის ჯანაწილებამ ამ სახელმწიფოების ტერიტორია საგრძნობლად გაზარდა და ისინი ევროპაში დაუმეზობლა. ამავე დროს წარმოიშვა პოლონეთის საკითხი.

პოლონელი ხალხი სახელმწიფოებრიობის დაკარგვას და თავის სამშობლოს სამ მტაცებელ თვითმპყრობელურ მონარქიას შორის განაწილებას ვერ ეგუებოდა. მას სწამდა, რომ აღრე თუ გვიან თავის ქვეყანას დამოუკიდებლობას მოუპოვებდა.

? 1. განსაზღვრეთ ავსტრიის მდგომარეობა XVII საუკუნის მიწურულისათვის. 2. რა მიზნებს ისახავდა მარია-ტერეზასა და იოსებ II-ის რეფორმები? 3. გვიამბეთ ფრიდრიხ II-ის რეფორმების შესახებ. 4. რა შედეგები მოუტანა პრუსიას ფრიდრიხ II-ის მოღვაწეობამ? 5. რა იყო აღმოსავლეთის ბარიერი და რამ განაპირობა მისი მოშლა? 6. როგორი იყო აღმოსავლეთის ბარიერის მოშლის შედეგები?

დანართი

1756-1763 წლების შვიდწლიანი ომი

XVIII საუკუნის 50-იან წლებში ევროპული სახელმწიფოების ურთიერთშორის წინააღმდეგობამ, მათი ორ მტრულ კოალიციად დაჯგუფება განაპირობა. ავსტრია, რუსეთი, საფრანგეთი და საქსონია ინგლისსა და პრუსიას დაუპირისპირდა. 1756 წელს მათ შორის ე.წ. შვიდწლიანი ომი (1756-1763) დაიწყო. საბრძოლო მოქმედებები სამ კონტინენტზე — ევროპაში, აზიასა და ამერიკაში გაიშალა.

მოწინააღმდეგეთათვის გაერთიანების საშუალება რომ არ მიეცა, პრუსიის მეფემ ფრიდრიხ II-მ გკელას დაასწრო, საქსონიას დაესხა თავს და ქალაქი დრეზდენი დაიკავა. საქსონიის კურფიურსტი პოლონეთში გაიქცა, ფრიდრიხმა საქსონია დაიპყრო.

შვიდწლან ომში სრულად გამოვლინდა ფრიდრიხ II-ის სამხედრო ნიჭი. სწრაფი მანევრებით ის ასწრებდა ყოველი მხრიდან მოძალებული მოწინააღმდეგეთაგან პრუსიის საზღვრების დაცვას და, ამავე დროს, რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა. მაგრამ პრუსია მოწინააღმდეგეებთან შედარებით პატარა სახელმწიფო იყო და უთანასწორო ბრძოლაში მისი ძალები მალე ამოიწურა. 1759 წელს კუნერსდორფთან ბრძოლაში რუს-ავსტრიელთა 58-ათასიანმა არმიამ სასტიკად დაამარცხა პრუსიის 40-ათასიანი ჯარი. პრუსია მხოლოდ მოკავშირეთა ურთიერთუთანხმოებამ იხსნა. მან ძალების შემოკრება შეძლო, მაგრამ მისი მდგომარეობა მაინც კრიტიკული იყო. რუსებმა აღმოსავლეთ პრუსია, ავსტრიელებმა კი სილეზია დაიკავეს. პრუსია კატასტროფისაგან 1761 წელს რუსეთის იმპერატორ ელისაბედ I-ის გარდაცვალებამ იხსნა. რუსეთში პეტრე III გამეფდა, რომელმაც პრუსიას ზავი დაუდო და რუსეთის ჯარი პრუსიიდან გაიყვანა. ამის შემდეგ რუსეთის მხარდაჭერას მოკლებული ავსტრიაც იძულებული შეიქნა ზავი დაედო პრუსიასთან. ზავის შედეგად პრუსიამ ავსტრიისაგან სილეზია დაიბრუნა.

რუკა 9

გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია



ავსტრია



პრუსია



ფრიდრიხ II-ის მიერ პრუსიისათვის მიერთებული ტერიტორიები

1. სილეზია. 2. საქსონია. 3. აღმოსავლეთ პრუსია

გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის საზღვარი

ინგლისსა და საფრანგეთს შორის საომარი მოქმედებები ძირითადად კოლონიებში — ამერიკასა და ინდოეთში გაიშალა. ამერიკაში ინგლისმა დიდ წარმატებებს მიაღწია. საფრანგეთზე ვამარჯვება აქ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისის კოლონიების მხარდაჭერამ. საფრანგეთის სამფლობელო კუბეკი (კანადა) კოლონისტთა შეიარაღებულმა ძალებმა და ინგლისის ჯარმა დაიკავა.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის წარმატებებიც, რომლებიც ინგლისელებმა ინდოეთში მოიპოვეს. ენერგიული მოქმედებით მათ ხელთ იგდეს ბომბეი, მადრასი და კალკუტა.

1763 წლის პარიზის ზავით საფრანგეთმა დათმო კანადა და მისისიპის აღმოსავლეთი სანაპიროები. ინდოეთში საფრანგეთმა მთელი სამფლობელოები დაკარგა, ზოგიერთი საგაჭრო დანიშნულების უმნიშვნელო პუნქტის გარდა.

ინგლისისა და საფრანგეთის ბრძოლა კოლონიებისათვის საფრანგეთის სრული მარცხით დამთავრდა.

შეიღწლიანი ომის შედეგად პრუსიამ პირველხარისხოვანი ევროპული სახელმწიფოს მდგომარეობა განიმტკიცა.

დავალება

შეადგინეთ ცხრილი

რა მნიშვნელობა ქონდა და რა შედეგები მოჰყვა შვიდწლიან ომს

ინგლისისათვის V თავი	რუსეთისათვის X თავი	ჩრდილო ამერიკის ინგლის. კოლონ. VII თავი	პრუსიისათვის XIV თავი

XV თავი
გერმანული ლიტერატურა

§ 1. „ქარიშხალი და შეტევა“. XVIII საუკუნეში გერმანულმა ლიტერატურამ მძლავრი აღმავლობა განიცადა.

გერმანული ლიტერატურის განახლების დასაწყისი დაკავშირებულია სასულგანმეტყველო დრამატურგის, ფილოსოფოსისა და ხელოვნებათმცოდნის ლ ე ს ი ნ გ ი ს (1729-1781 წწ.) შემოქმედებასთან. თავის პიესებსა და თეორიულ

ნაშრომებში იგი იბრძოდა წოდებრივი უთანასწორობის, სარწმუნოებრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ლესინგის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო გერმანელ ხალხში პატრიოტული გრძნობების გაღვივებას. მისი შემოქმედების ტრადიციებზე XVIII საუკუნის 70-იან წლებში აღმოცენდა ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც „ქ ა რ ი შ ხ ლ ი ს ა დ ა შ ე ტ ე ვ ი ს“ სახელწოდებით არის ცნობილი [1].

„ქარიშხლისა და შეტევის“ მიმდევრები გერმანული ლიტერატურის განახლების წყაროდ ხალხურ ფოლკლორს თვლიდნენ. ისინი თავიანთ უმთავრეს მიზნად ადამიანის შინაგანი სამყაროს წარმოჩენას მიიჩნევდნენ. მათი შემოქმედების წამყვანი ჟანრი დრამატურგია იყო.

„ქარიშხალმა და შეტევამ“ ეროვნული თვითშეგნების აღმავლობასა და ეროვნული ლიტერატურის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, ფართოდ გაუხსნა გზა ახალი მხატვრული ფორმების აღმოცენებასა და დემოკრატიული საწყისის განმტკიცებას. თავიანთი შემოქმედების დასაწყისში „ქარიშხლისა და შეტევის“ მიმდევრები იყვნენ დიდი გერმანელი მწერლები ი ო ჰ ა ნ ვ ო ლ ფ გ ა ნ გ გ ო ე თ ე და ი ო ჰ ა ნ ფ რ ი დ რ ი ხ შ ი ლ ე რ ი.

§ 2. **იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749-1832).** „1749 წლის აგვისტოს 28-ს, შუადღის 12-ჯერ დაჰკრა კედლის საათმა და მეც მოვევლინე ქვეყანას მაინის ფრანკფურტში“ — წერს გოეთე. ამ დღეს ქვეყნიერებას მართლაც მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი გენიოსთაგანი მოევლინა. დაჩაგრულ-ბული გერმანიის პატარა სამთავროს დედა-ქალაქში დაიბადა მომავალში უდიდესი მოაზროვნე, პოეტი, მწერალი და დრამატურგი, რომელიც თავისი მნიშვნელობით მალე გასცდა თავისი ერისა და ეპოქის საზღვრებს და სრულიად გამორჩეული ადგილი დაიკავა მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

სურათი 78

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

[1] სახელწოდება "ქარიშხალი და შეტევა" ამ მიმდინარეობამ მიიღო ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ფრიდრიხ მაქსიმილიან კლინგერის ამავე სახელწოდების დრამის მიხედვით.

პატარა იოჰან ვოლფგანგ გოეთემ კარგი საოჯახო განათლება მიიღო. 16 წლისა ლაიფციგის უნივერსიტეტში შეავიდა, შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. მამას უნდოდა შვილი იურისტი გამოსულიყო, ვოლფგანგი კი სულ უფრო და უფრო იხრებოდა პოეზიისაკენ, რომლისადმი მიდრეკილება მან ჯერ კიდევ ბავშვობისას გამოავლინა.

მრავალმხრივ განათლებულმა და დიდად განსწავლულმა გოეთემ 1775 წლიდან საქსონიისა და ვაიმარის ჰერცოგის კარზე საიდუმლო მრჩეველისა და იუსტიციის მინისტრის პოსტი დაიკავა. გოეთე ვაიმარში გადავიდა და სიცოცხლის ბოლომდე იქვე დარჩა. მისი ინიციატივით დაქუცმაცებული გერმანიის პატარა სახელმწიფოში — ვაიმარში მთელი რიგი რეფორმები გატარდა: შემცირდა არმია, აღდგა მოტოვებული სამადიანის ექსპლოატაცია, აშენდა ახალი გზები. მაგრამ დაუცხრომელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეობის პარალელურად გოეთე არც მუზას ივიწყებდა. ჯერ კიდევ 1774 წელს დაწერა რომანი „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“, რომელმაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა.

„ახალგაზრდა ვერტერის ვნებებს“ თვით პოეტის გრძნობები დაედო საფუძვლად. თაყვანისმცემლებისაგან განებივრებულ და ყურადღების ცენტრში მყოფ ვოლფგანგს სათნო, მშვენიერი, მაგრამ სხვაზე დანიშნული ქალიშვილი მოეწონა. ქალაშვილმა ნიჭიერი პოეტისადმი უსაზღვრო პატივისცემის მიუხედავად, არ გაუტეხა თავისი სიტყვა და დანიშნულს არ ულალატა. გოეთემ მისგან უარი მიიღო. უღრმესი სიყვარულითა და უარყოფით გამოწვეული, დიდბუნებოვან კაცთათვის დამახასიათებელი ღრმა განცდები გოეთემ შემოქმედებაში გადაიტანა და შესანიშნავი, ღრმაზროვანი რომანი შექმნა.

რომანის მთავარი გმირი ვერტერი განათლებული, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდაა. იგი დიდი საქმეებისათვისაა მოწოდებული, მაგრამ მისი შინაგანი ბუნება ვერ ურიგდებოდა მის გარშემო გაბატონებულ გულგრილობას, სიყალბესა და უსულგულობას. ვერტერი მიხვდა, რომ ასეთ პირობებში თავისი შესაძლებლობების გამოყენებას და მიზნების განხორციელებას ვერ შეძლებდა, მას პირად ცხოვრებაშიც არ გაუმართლდა. იგი ცხოვრებაში იდეალს ეძებდა. ეს იდეალი მან ახალგაზრდა ქალის — ლოტეს პიროვნებაში ჰპოვა. მაგრამ როდესაც აღმოჩნდა, რომ ლოტე მისთვის მიუწვდომელი იყო, ვერტერისათვის ყოველივე ამქვეყნიურმა აზრი დაკარგა. მან შეიცნო თავისი მარცხი, რაც მისთვის ტრაგედიის ტოლფასი გახდა და თვითმკვლელობით დასრულა სიცოცხლე.

რომანში გოეთე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მოქმედ პირთა ფსიქოლოგიური

განწყობის გადმოცემას. ნაწარმოებში იგი ადამიანის სულის მესაიდუმლედ გვევლინება.

გოეთეს შემოქმედების გვირგვინია მისი პოემა „ ფ ა უ ს ტ ი “ [1]. მწერალმა ამ ნაწარმოებზე თითქმის სამოცი წელი იმუშავა — დაიწყო 1774 წელს და გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, 1831 წელს დასრულა.

პოემას საფუძვლად დაედო თქმულება ისტორიული პიროვნების, ექიმისა და ბუნებისმეტყველის იოჰან ფაუსტის შესახებ [2]. გოეთემ ფაუსტის თემაზე ფილოსოფიური პოემა შექმნა.

პოემის დასაწყისში წარმოდგენილია მოხუცი, დაუძლურებული ფაუსტი, რომელიც ოცნებობს გაახალგაზრდავდეს, რათა ჩასწვდეს ბუნების საიდუმლოებას და ეზიაროს ყოველივეს, რაც მიუწვდომელი იყო მისთვის განვლილი წლების მანძილზე. ამ დროს მოხდა სასწაული. მას გამოეცხადა ეშმაკი, „ქვესკნელის პატრონი“ მეფისტოფელი. მან ფაუსტს დაუდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მეფისტოფელი ამქვეყნად ფაუსტის მსახური უნდა გამხდარიყო, უნდა შეესრულებინა მისი ყოველგვარი სურვილი და უნდა დახმარებოდა მას ყოველი მიზნის განხორციელებაში. სამაგიეროდ, საიქიოში ფაუსტის სული ჯოჯოხეთში მოხვდებოდა, სადაც იგი მეფისტოფელს საუკუნო მსახურად უნდა დასდგომოდა. მაგრამ ყოველივე ეს მოხდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სიცოცხლეში ფაუსტი ისეთ სიამოვნებას შეიგრძნობდა, რომ გაუჩნდებოდა დროის შეჩერების სურვილი და შესძახებდა: „შეჩერდი წამო, რა მშვენიერი ხარ!“.

ამის შემდეგ ფაუსტი და მეფისტოფელი განუყრელი თანამგზავრები ხდებიან. მეფისტოფელი გაახალგაზრდავებულ ფაუსტს ყოველგვარ მიწიერ სიამოვნებას განაცდევინებს: ფაუსტს შეიყვარებს მშვენიერი და სპეტაკი ქალიშვილი, იგი მიაღწევს ბრწყინვალე სამსახურეობრივ კარიერას, მოიხვეჭს ძალაუფლებასა და სიმდიდრეს. მაგრამ ფაუსტს ქვეყნიერების საიდუმლოების შეცნობა სურს. ბოლოს იგი ხვდება, რომ ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი თავდაუზოგავ შრომასა და ბრძოლაშია. ამიერიდან ფაუსტი ცხოვრებაში შეძენილ უზარმაზარ ცოდნას პრაქტიკულად ახორციელებს. კაშხალის მეშვეობით იგი ზღვის სტიქიას მიწის დიდ

---

[1] 1859 წელს ფრანგმა კომპოზიტორმა შარლ გუნომ გოეთეს ნაწარმოების მიხედვით დაწერა ოპერა "ფაუსტი", რომელიც პარიზის სცენაზე დაიდგა.

[2] იოჰან ფაუსტი XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა. ქველმოქმედებითა და ხალხისადმი უანგარო სამსახურით იმდენად გაითქვა სახელი, რომ სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდებისა და თქმულებების გმირად.

ფარნომს გამოსტაცებს და მასზე ადამიანებს დაასახლებს. ხალხისათვის საშახური, საზოგადოებისათვის სასარგებლო და კეთილი საქმეების კეთება იმდენად სასიამოვნო, იმდენად დიდი ბედნიერების მომგვრელი აღმოჩნდა, რომ უკვე ხელმეორედ მოხუცებული ფაუსტი აღტაცებით შესძახებს ამ დიდებულ წამს შეჩერდეს ოგი.

„თავისუფლების და სიცოცხლის ღირსი ის არის,
ვინც ყოველდღე განუწყვეტლივ ამისთვის იბრძვის“.

ამ სიტყვებთან ერთად ფაუსტი კვდება. მეფისტოფელი ზეიმობს გამარჯვებას და ფაუსტის სულის ჯოჯოხეთში ჩატანას ლამობს. მაგრამ ანგელოსები ფაუსტის სულს შარავანდედით შემოსავენ და ზეცაში აიტაცებენ. ფაუსტი სამოთხეში ხვდება. ღმერთმა დაარღვია ფაუსტისა და მეფისტოფელის ხელშეკრულება, რადგან ფაუსტმა საზოგადოებისათვის სასარგებლო თავდაუზოგავ შრომაში პოვა უდიდესი სიამოვნება.

გოეთემ ნაწარმოებში უმღერა განათლებული ადამიანის შეგნებულ, შემოქმედებით შრომას, რომელსაც კაკობრიობა უკეთესი მომავლისაკენ მიჰყავს. გოეთეს „ფაუსტი“ მსოფლიო კულტურის საგანძურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლია.

სურათი 26

იოჰან ფრიდრიხ შილერი

§ 3. იოჰან ფრიდრიხ შილერი (1759-1805). გამოჩენილი გერმანელი დრამატურგი და პოეტი შილერი დაიბადა ღარიბი ფელდშერის ოჯახში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ სასტიკმა და გულქვა ჰერცოგმა კარლ იოგენმა ოგი სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხა, სადაც ფრიდრიხს ფელდშერობა — სამხედრო ექიმობა უნდა შეესწავლა. რვა წელიწადი გაატარა მან დახურულ სამხედრო სასწავლებელში, სადაც ყოველგვარი ნათელი აზრი იდევნებოდა. ამის მიუხედავად, ოგი ფარულად კითხულობდა რუსოს, ლესინგს, გოეთეს. სამხედრო სასწავლებელში სწავლისას ფრიდრიხმა დაწერა პიესა „ყაჩაღები“, რომელიც მანჰეიმის თეატრმა დადგა. თავისი სპექტაკლის სანახავად

მანჰაიმში იგი ჩუმად, უნებართვოდ გაემგზავრა. სპექტაკლის წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იგი ბედნიერი დაბრუნდა გარნიზონში, მაგრამ აქ მას არასასიმოვნო ამბავი ელოდა — თვითნებური წასვლის გამო იგი ორი კვირით კარცერში მოათავსეს. შილერმა ვერ გაუძლო დისციპლინურ რეჟიმს და 1782 წლის შემოდგომის ღამეს გარნიზონიდან გაიქცა. ამას მოჰყვა ხეტიალის, გაჭირვებისა და შეუპოვარი ბრძოლის წლები. ამავე პერიოდში დაიწყო მისი ლიტერატურული მოღვაწეობის განსაკუთრებით ნაყოფიერი ხანა.

პიესა „ყაჩაღების“ ეპიგრაფში[1] შილერი მიუთითებს, რომ ნაწარმოები ტირანების წინააღმდეგ არის მიმართული. მთავარი გმირი — კარლ მოორი გრაფის შვილია. მისი უმცროსი ძმა ფრანცი ყოველნაირად ცდილობს მამის ერთადერთი მემკვიდრე გახდეს. ამ მიზნის მისაღწევად იგი არაფერს ერიდება. უმცროსი ძმის მიერ სასტიკი ცილისწამების შედეგად მამამ კარლი შერისხა. სასოწარკვეთილი კარლი ყაჩაღთა გუნდს ჩაუდგა სათავეში და ტყეში გაიქცა. ამ გზით მან უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლა განიზრახა. მაგრამ ბრძოლის ის გზა, რომელიც კარლმა აირჩია, განწირული აღმოჩნდა. იგი იძულებული შეიქნა ხელისუფლებას ჩაბარებოდა.

შილერის „ყაჩაღები“ თავისუფლებისათვის ბრძოლის ჰიმნია. კარლ მოორის დამარცხებით კი შილერი მხოლოდ იმ გზის უდავო მარცხს წინასწარმეტყველებს, რომელიც კარლმა აირჩია.

შილერის ტრაგედია „ვერაგობა და სიყვარული“ წოდებრივი უთანასწორობის წინააღმდეგ არის მიმართული. შილერი ერთმანეთს უპირისპირებს ფეოდალურ-არისტოკრატიულ და ბიურგერულ[2] სამყაროს, ცდილობს აჩვენოს ის უზარმაზარი უფსკრული, რომელიც სხვადასხვა წოდებებს შორის არსებობდა. ფეოდალურ-არისტოკრატიული წრე შილერმა ზნედაცემული და ამორალური პიროვნებების საშუალებით წარმოგვიდგინა. სასტიკი და გარყვნილი ჰერცოგი თავის ქვეშევრდომებს უცხო ქვეყნებში მეომრებად ჰყიდდა, რათა მათი სისხლის ფასად თავისი საყვარლისათვის საჩუქრები ეყიდა. ჰერცოგზე არანაკლებ ზნედაცემულია ცბიერი და გახრწნილი პრეზიდენტი (მთავრობის ხელმძღვანელი), რომელმაც თავის კარიერას თავისივე წინამორბედის ვერაგული მკვლელობით

---

[1] ეპიგრაფი — თხზულების წინ წამძღვარებული ფრაზა, რომელიც ერთგვარად ახასიათებს ნაწარმოების ძირითად იდეას.

[2] ბიურგერი — ქალაქის მცხოვრები, მოქალაქე.

მიაღწია. მალალი წოდების ეს და სხვა მათი მსგავსი წარმომადგენლები არაფერს ეპუებოდნენ, რათა თავიანთი სურვილები განეხორციელებინათ და მზად იყვნენ ფეხქვეშ გაეთელათ უწმინდესი ადამიანური გრძნობები და ღირსებები. ჰერცოგი და პრეზიდენტი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შებილწონ და დაასამარონ შეყვარებული წყვილის, უბრალო მუსიკოსის ქალიშვილის ლუიზე მილერის და პრეზიდენტის ვაჟის ფერდინანდის სიყვარული და ჰერცოგის საყვარელზე ლედი მილფორდზე დააქორწინონ იგი. ამით პრეზიდენტი თავისი შვილის კარიერას უზრუნველყოფდა. მაგრამ მოძალადენი სასტიკად შეცდნენ, მათ ვერ გატეხეს ფერდინანდისა და ლუიზეს სიყვარული და ბოლოდ მათი სიცოცხლე იმსხვერპლეს.

ფერდინანდი ნაწარმოებში შილერის იდეების გამომხატველია. შილერს და მასთან ერთად ფერდინანდს სურთ გაარღვიონ არსებული წოდებრივი უთანასწორობის საზღვრები, წინ წამოსწიონ ადამიანთა პირადი ღირსებები. მაგრამ ფერდინანდის კეთილშობილება არსებული წყობილების ძირმაგარ ბარიერებს დაეჯახა, თუმცა არ დაიმსხვრა და, სამწუხაროდ, ბოლოდ თავგანწირვაში გადაიზარდა.

„ვერაგობა და სიყვარულში" თანამედროვეებმა უმალ შეიცნეს მოქმედ პირთა პროტოტიპები. ერთ-ერთი მათგანი — ჰერცოგი, თქვენთვის უკვე ნაცნობი, შილერის ყოფილი მტანჯველი, სამხედრო სასწავლებლის მფლობელი, ვიურტემბერგის ჰერცოგი კარლ იოგენია. ნაწარმოებში მისი სახის ჩვენებით შილერმა გერმანული სამთავროების მფლობელთა ტიპიური სახე დაგვიხატა.

1789 წელს შილერმა იენის უნივერსიტეტში პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. იგი ლექციებს კითხულობდა ისტორიაში. მის ლექციებზე აუდიტორიებში სტუდენტების ტევა არ იყო. ყოველ ლექციას ხუთასამდე ახალგაზრდა, იენის უნივერსიტეტის სტუდენტთა ნახევარზე მეტი ესწრებოდა.

თავისი სიცოცხლის ბოლო წლები შილერმა ვაიმარში გაატარა. აქ იგი უდიდეს გერმანელ მწერალს გოეთეს დაუმეგობრდა. ისინი უაღრესად დიდ პატივს სცემდნენ ერთმანეთს. „შილერს დიდი ზნეობრივი ძალა გაჩნდა, იზიდავდა ყველას, ვინც კი დაუახლოვდებოდა" — წერდა გოეთე. „ჩემი არსებისათვის ეს მთელი ეპოქა იყო" — უთქვამს შილერს გოეთესთან დაახლოებიდან ოთხი წლის შემდეგ; „ჭეშმარიტი ბედნიერება იყო ჩემთვის, რომ შილერი მყავდა" — იგონებდა უმცროს მეგობარს გოეთე მისი დალუპვიდან ოცდახუთი წლის შემდეგ.

§ 4. რომანტიზმის აღმოცენება. XVIII საუკუნის მიწურულიდან ევროპის ქვეყნებში დამკვიდრდა ლიტერატურული მიმდინარეობა რომანტიზმი, რომელიც არსებული სინამდვილითა და პოლიტიკური წყობით საზოგადოების სხვადასხვა

ფენების უკმაყოფილებას გამოხატავდა. რომანტიკოსთა აზრით, დიდი იყო წინააღმდეგობა იდეალსა და სინამდვილეს შორის. ისინი ვერ პოვებდნენ ადგილს ცხოვრებაში, ამიტომ მათ შემოქმედებაში წამყვან თემად გადაიქცა გარიყული, განდგომილი ადამიანის პრობლემა. რომანტიკოსებმა განავითარეს ლიტერატურის ისეთი ჟანრები, როგორიცაა ლირიკული პოემა, ნოველა და ბალადა. მათ დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ეროვნულ ლიტერატურასა და ისტორიას, დიდია მათი დამსახურება ფოლკლორის ძეგლების შეგროვების, მხატვრული გადამუშავების და პუბლიკაციის საქმეში. რომანტიზმი ფართოდ გავრცელდა არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ ხელოვნების თითქმის ყველა დარგში.

XVIII საუკუნის მიწურულში ქალაქ იენის მწერალთა ჯგუფმა შექმნა იენის რომანტიკოსთა წრე. ამ წრის ნოვატორმა პოეტებმა და მწერლებმა ჩამოაყალიბეს რომანტიზმის ძირითადი პრინციპები.

იენის რომანტიკოსთა წრის თვალსაჩინო წარმომადგენელია ნოვალისი (1772-1801). იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა, ბევრი მისი ნაწარმოები დაუსრულებელი დარჩა, მაგრამ მან მაინც მოასწრო თავისი ძირითადი შეხედულებების გადმოცემა.

ნოვალისი განადიდებს პოეტსა და პოეზიას, იგი მიზნად ისახავს ნათელყოს პოეზიის უნივერსალობა; რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ცდილობს დაადგინოს და მიუთითოს ადამიანის ადგილზე ბუნებაში, ოჯახში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, მის როლზე სოციალურ ურთიერთობებში.

ნოვალისის ნაწარმოებებში გამოთქმულია მწერლის აზრი ოქროს საუკუნის დადგომის შესახებ, როდესაც იზეიმებს სულიერი საწყისი, სამყაროს გადაარჩენს პოეზია და სიყვარული, როდესაც ადამიანი იპოვნის და მოწყვეტს ცისფერ ყვავილს — უშკნობი სიყვარულის სიმბოლოს. ასე, რომ რომანტიკოსები თავიდანვე ეტრფოდნენ „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“.

? 1. დახასიათეთ ლიტერატურული მიმდინარეობა „ქარიშხალი და შეტევა“. 2. როგორია გოეთეს შემოქმედების ძირითადი თემატიკა? 3. რაში მდგომარეობს ფაუსტის, როგორც პიროვნების სიდიადე? 4. არსებული სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის რომელ გზებს სთავაზობს მკითხველს შილერი? 5. დახასიათეთ ლიტერატურული მიმდინარეობა რომანტიზმი. 6. რა სიახლეები შეიტანეს მხატვრულ ლიტერატურაში რომანტიკოსმა მწერლებმა? 7. როგორია ნოვალისის შეხედულება პოეტსა და პოეზიაზე?

დანართი

ისტორიული თემატიკა გოეთესა და შილერის შემოქმედებაში

გოეთე და შილერი დიდ ყურადღებას უთმობდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ ჩაგრული ხალხების ბრძოლის თემატიკას. მათ შემოქმედებაში აშკარად შეიგრძნობა დაპყრობილი ერებისადმი თანაგრძნობა.

პიესა „ე გ მ ო ნ ტ ი“ გოეთემ ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ნიდერლანდელი ხალხის ბრძოლის თემაზე შექმნა. ნაწარმოებში მწერალმა დაგვიხატა დამპყრობთა უხეში ძალადობით დათრგუნვილი, მაგრამ სულიერად გაუტეხელი ნიდერლანდელები.

პიესის მთავარი მოქმედი პირი, გრაფი ეგმონტი, ისტორიული პიროვნებაა. იგი ნიდერლანდელი ხალხის ეროვნული გმირია. გოეთემ ეგმონტის მხატვრულ სახეში ნიდერლანდელთათვის დამახასიათებელი ყველა დადებითი თვისება შეაჯერა. ეგმონტი ერთ-ერთი პირველი იმაღლებს ხმას ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ესპანელებმა ეგმონტი ქალაქის მთავარ მოედანზე ყველას დასაშინებლად სამაგალითოდ დასაჯეს სიკვდილით, მაგრამ ხალხის თავისუფლების მოპოვების სურვილი ვერ აღმოფხვრეს.

ეგმონტი დაილუპა, მაგრამ თავისუფლების იდეა არსებობას განაგრძობდა. პიესის დასასრულს მძლავრად გაისმის თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდება.

ისტორიულ თემებზე მრავალი ნაწარმოები შექმნა შილერმა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს მისი დრამა „ვ ი ლ ჰ ე ლ მ ტ ე ლ ი“.

შუა საუკუნეების შვეიცარიელ გლეხთა აჯანყების გადმოცემით შილერი აღიარებს ხალხის უფლებას, ძალით დაამხოს ტირანის [1] დესპოტური [2] ძალაუფლება. ჰაბსბურგთა ცინიზმი და სისასტიკე შვეიცარიაში ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. იმპერატორის ნაცვალმა გესლერმა სოფლელებს ახალი დამამცირებელი სასჯელი მოუგონა: სოფლის მოედანზე ჭოკი აღმართა და ზედ თავისი ქუდი ჩამოკიდა. გამვლელებს ქუდისათვის პატივი უნდა მიეგოთ. მოედანზე ჩაიარეს მამაცმა მონადირემ ვილჰელმ ტელმა და მისმა ვაჟმა. ტელმა არ იცოდა ქუდის ამბავი და პატივის მიუგებლად გაიარა. გესლერმა მისი საშინლად დასჯა გადაწყვიტა. მისი ბრძანებით ტელის ვაჟს თავზე ვაშლი დაადეს და მამა აიძულეს ასი ნაბიჯის სიშორიდან მშვილდისრით ჩამოეგდო ვაშლი. მიუხედავად დიდი მღელვარებისა,

---

[1] ტირანია — თვითნებობა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა.

[2] დესპოტი — თვითნება ადამიანი, რომელიც სხვების სურვილს არაფრად აგდებს და აიძულებს მათ მის ნებაზე იქცეოდნენ.

ტელმა შეძლო ვაშლის ჩამოგდება, ბავშვი უვნებლად გადარჩა. გესლერის სისასტიკით აღშფოთებულმა მამამ შურისძიება განიზრახა. უბადლო მსროლელმა ტელმა ‘ტირანს გული ისრით გაუპო. ეს ამბავი აჯანყების ნიშნად იქცა. ჰაბსბურგთა ძალმომრეობით მოთმინების ფიალააესებულმა შვეიცარიელებმა აჯანყების ცეცხლი დაანთეს. დრამა თავისუფალი შვეიცარიელი ხალხის ზეიმით მთავრდება, ამაყად გაისმის თავისუფლებისაკენ საყოველთაო მოწოდება. „ვილჰელმ ტელი“ შილერის უკანასკნელი ნაწარმოებია. მძიმე სენით შეპყრობილი პოეტი ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

დავალება

შეადარეთ ერთმანეთს ვერტერისა და ფერდინანდის მხატვრული სახეები. რითი ჰგვანან და რითი განსხვავდებიან ისინი. რა პირობებმა განსაზღვრა მათი ტრაგიკული ბედი?

XVI თავი
პოლიფონიური [1] მუსიკა

§ 1. პროფესიული მუსიკალური ჟანრები. ხალხური მუსიკისაგან განსხვავებით, პროფესიულ მუსიკალურ ნაწარმოებს კონკრეტული ავტორი ჰყავს. პროფესიული მუსიკა მდიდარია ჟანრებით ანუ ნაწარმოებთა სახეობებით. ყოველ ჟანრს თავისი განმასხვავებელი ნიშნები, თავისი შინაარსი და დანიშნულება აქვს.

ყველაზე უძველესია ვოკალური [2] ჟანრები, რომლებიც სიტყვასთან და ადამიანის ხმასთან არის დაკავშირებული. სიმღერა, რომანსი, არია და გუნდი [3] ვოკალურ მუსიკას მიეკუთვნება. ვოკალურ ნაწარმოებებს ასრულებენ მომღერლები ინსტრუმენტული მუსიკის თანხლებით — აკომპანემენტით, ან თანხლების გარეშე.

ვოკალური მუსიკის ყველაზე ადვილადმისაწვდომი სახეობაა სიმღერა. სიმღერა შეიძლება იყოს ხალხური ან პროფესიული. სიმღერასთან შედარებით რომანსი

---

[1] პოლიფონია — მრავალხმიანობა.

[2] ვოკალური — სასიმღერო.

[3] გუნდი — მომღერალთა ჯგუფი, რომელიც ვოკალურ მუსიკას ასრულებს. გუნდი შეიძლება იყოს ერთგვაროვანი (ქალთა, მამაკაცთა, ბავშვების) ან შერეული, რომელშიც შედიან ქალებიც და მამაკაცებიც.

უფრო რთულ მელოდიაზეა აგებული და მისი მელოდია ტექსტთან უფრო დეტალურად არის დაკავშირებული. ტერმინი რომანსი ესპანეთში წარმოიშვა და, თავდაპირველად ესპანურ („რომანულ") ენაზე დაწერილ საერო სიმღერას ნიშნავდა. ამით მას ლათინურ ენაზე დაწერილ საეკლესიო გალობისაგან განასხვავებდნენ. შემდგომში რომანსი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და ვოკალური მუსიკის ერთ-ერთ ჟანრად ჩამოყალიბდა. სიმღერასა და რომანსთან შედარებით კიდევ უფრო რთულია არია, რომელიც ოპერის, კანტატის ან ორატორიის შემადგენელი ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოებია.

ვოკალური მუსიკის ყველაზე რთული ჟანრებია კანტატა, ორატორია და ოპერა, რომელიც სოლისტების [1], გუნდისა და ორკესტრის მიერ სრულდება.

კანტატა დიდი, საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოებია. ორატორია კანტატისაგან განსხვავდება დრამატული სიუჟეტით და მასშტაბურობით. ორივე ეს ჟანრი თითქმის ერთდროულად წარმოიშვა XVI-XVII საუკუნეებში; თავდაპირველად კანტატები და ორატორიები ბიბლიურ ტექსტებზე იწერებოდა და უშუალოდ საეკლესიო შესრულებისათვის იყო გამიზნული. იქმნებოდა საშობაო, საღვთისმო და ღვთისმსახურების სხვა დღეებისათვის გამიზნული კანტატები და ორატორიები. იწერებოდა ე.წ. პასიონები — „ვნებანი", რომლებიც იუდას ღალატის, იესო ქრისტეს დატყვევებისა და ჯვარცმის შესახებ მოგვითხრობენ. პასიონები ორატორიის ჟანრში იქმნებოდა ლათინურ ენაზე. განვითარების პროცესში კანტატამ და ორატორიამ თანდათან საერო ხასიათი მიიღო და მთლიანად გადავიდა საკონცერტო ესტრადაზე.

ვოკალური მუსიკის ჟანრებს შორის ყველაზე რთულია ოპერა. ოპერა წარმოიშვა იტალიაში XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე. კანტატისა და ორატორიისაგან განსხვავებით, ოპერის დადგმას თან ახლავს დეკორაციები, შემსრულებლები შესაბამისი კოსტუმებით გამოდიან და სცენურ მოქმედებებს ასრულებენ. ამდენად, ოპერაში გაერთიანებულია ხელოვნების სხვადასხვა დარგები — მხატვრობა, პოეზია, თეატრი.

ინსტრუმენტული ჟანრები ქმნიან მუსიკალური ნაწარმოებების ორ ჯგუფს: კამერულსა და სიმფონიურს.

კამერული მუსიკა სრულდება მსმენელთა შედარებით ვიწრო წრეში, სოლისტების ან მუსიკოსთა მცირე შემადგენლობით. კამერულ ნაწარმოებებს

---

[1] სოლისტი — მუსიკოსი, რომელიც მარტო ასრულებს რაიმე ნაწარმოებს.

მიეკუთვნება სოლო ინსტრუმენტისათვის დაწერილი ს ო ნ ა ტ ე ბ ი, ს ი უ ი ტ ე ბ ი, ან სხვადასხვა შემადგენლობის ინსტრუმენტული ანსამბლებისათვის განკუთვნილი ნაწარმოებები — ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სადაც შესაბამისად 3, 4, 5 საკრავი მონაწილეობს.

სონატები და სიუიტები მრავალნაწილიანი ნაწარმოებებია. იტალიურ ენაზე სიტყვა სონატა ჟღერას ნიშნავს. სონატა ერთი ან ორი ინსტრუმენტისათვის იწერება და ერთმანეთთან მუსიკალური თემით დაკავშირებული სამი ნაწილისაგან შედგება. სიუიტა თანმიმდევრობას, რიგს ნიშნავს. სიუიტა შედგება განსხვავებული ხასიათის, ურთიერთსაწინააღმდეგო განწყობის მქონე პიესებისაგან. სონატისაგან განსხვავებით სიუიტის ნაწილებს უფრო მეტი დამოუკიდებლობა ახასიათებს.

სიმფონიური მუსიკა სიმფონიური ორკესტრისათვის იწერება. სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობაში შედის სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყმელი საკრავები. ზოგჯერ კომპოზიტორს ორკესტრში შეჰყავს ფორტეპიანო, ორღანი, გიტარა და სხვა ინსტრუმენტები.

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდში, ეპოქისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ჟანრებს ენიჭება უპირატესობა.

XVII-XVIII საუკუნეებში გერმანიაში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრები. განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ორატორიამ. ყველაზე პოპულარული მუსიკალური საკრავი ორღანი იყო. ორღანისათვის ძირითადად პოლიფონიური — მრავალხმიანი ნაწარმოებები იწერებოდა. პოლიფონიურ მუსიკაში არ არსებობს წამყვანი ანუ მთავარი და მეორეხარისხოვანი ხმები. აქ ყველა ხმა თანაბარმნიშვნელოვანია, თემა — მელოდია თანმიმდევრულად, სხვადასხვა დროს, ყოველ ხმაში ტარდება. პოლიფონიური ნაწარმოებებია: ი ნ ვ ე ნ ც ი ე ბ ი ს[1] და ფ უ გ ე ბ ი ს[2] საუკეთესო, სრულყოფილი ნიმუშები XVIII საუკუნის გერმანული მუსიკის უდიდესი მონაპოვარია.

§ 2. გერმანული მუსიკა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ახალი ერა გერმანული მუსიკის განვითარებაში XVIII საუკუნიდან იწყება, როდესაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან კომპოზიტორები გ ე ო რ გ ფ რ ი დ რ ი ხ ჰ ე ნ დ ე ლ ი (1685-1759) და ი ო ჰ ა ნ ს ებ ა ს ტ ი ა ნ ბ ა ხ ი (1685-1750). ერთ ქვეყანაში, ერთ წელს დაბადებული ორი დიდი შემოქმედი ერთი ეპოქის

---

[1] ინვენცია — პოლიფონიური პიესა. სიტყვასიტყვით "გამონაგონს", "გამოგონებას" ნიშნავს.

[2] ფუგა — რთული, მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოები. პოლიფონიის უმაღლესი ფორმა.

შვილები იყვნენ, მაგრამ მათი ცხოვრება და შემოქმედება ძალზე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

კარის მკურნალი ექიმის შვილმა ჰენდელმა ბავშვობიდანვე ბრწყინვალე მუსიკალური განათლება მიიღო. მან უკვე ოცი წლისამ იხილა სცენაზე თავისი ოპერები. მალევე ეწვია კომპოზიტორს დიდება, თუმცა არც დამარცხების სიმწარე ყოფილა მისთვის უცხო. ოცდახუთი წლის ასაკში ჰენდელი სამუდამოდ გადასახლდა ლონდონში. სწორედ აქ შეიქმნა მისი ოპერა „რადამისტი"[1] და ორატორიები „სამსონი", „იუდა მაკაბელი", „მესია". ყველასათვის ნაცნობ და ახლობელ ბიბლიურ თემებზე შექმნილმა ჰენდელის ორატორიებმა ნათელი, გამომსახველი მუსიკის წყალობით იმთავითვე დიდი სიყვარული და პოპულარობა მოიხვეჭა.

სურათი 27

გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი

სურათი 28

იოჰან სებასტიან ბახი

ჰენდელმა თავის ოპერებსა და ორატორიებში გმირული თემატიკა შეიტანა. მიუხედავად სასულიერო შინაარსისა, მისი ნაწარმოებები აშკარად გამოკვეთილი საერო ხასიათისაა და ძირითადად კონცერტებზე სრულდება. ეს ნაწარმოებები დღესაც იმსახურებს მსმენელის დიდ მოწონებას. შეუდრეკელმა, მიზანსწრაფულმა ჰენდელმა სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა დიდი კომპოზიტორის სახელი და უკვე იმ დროსვე მთელ ევროპაში მიაღწია აღიარებას.

ჰენდელისაგან განსხვავებით, ბახის შემოქმედება მის თანამედროვეთაგან ცოტამ თუ გაიგო და დააფასა.

---

[1] ოპერა "რადამისტი" ქართულ ისტორიულ სიუჟეტზეა დაწერილი. იგი ეძღვნება პირველი საუკუნის ქართლის მეფის ფარსმანის ვაჟს რადამისტს. ოპერა 1720 წელს ლონდონის ახლადგახსნილ მუსიკალურ აკადემიაში დაიდგა და უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

იოჰან სებასტიან ბახმა ცხოვრების მძიმე გზა განვლოადრე დაობლდა და ლუკმა-პურისათვის თვითვე მოუხდა ზრუნვა. მუშაობდა კარის მუსიკოსად, ორღანისტად, ძალზე იშვიათად ახერხებდა ფართო საზოგადოების წინაშე გამოსვლას. მისი ცხოვრება მდორედ, ყოველდღიური საფიქრალისა და საზრუნავის მოგვარებაში ილეოდა. დიდ კომპოზიტორს სიცოცხლეში არ სწვევია მნიშვნელოვანი აღიარება, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ბახი თავდაუზოგავად მუშაობდ ... ლაიფციგში, სადაც ის 1723 წლიდან ოჯახითურთ დასახლდა, წმინდა თომას ეკლესიაში ვაჟთა გუნდს ხელმძღვანელობდა. იგი ბავშვებს მუსიკასაც ასწავლიდა, მათ კვებასა და ჩაცმა-დახურვაზეც ზრუნავდა, თანაც ყოველ კვირას სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის ახალი ნაწარმოები უნდა წარედგინა, რომელიც თავისივე გუნდის ძალებით უნდა შეესრულებინა. სწორედ წმინდა თომას ეკლესიაში მოღვაწეობისას სახარების ტექსტებზე შექმნა ბახმა ყველაზე დიდი ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები: „ი ო ა ნ ე ს ვ ნ ე ბ ა ნ ი“, „მ ა თ ე ს ვ ნ ე ბ ა ნ ი“ და „მ ა ღ ა ლ ი მ ე ს ა“[1], რომელიც თავისი გრანდიოზული მასშტაბების გამო ბახის სიცოცხლეში ვერ შესრულდა.

დიდ შრომას ეწეოდა ბახი სახლშიც, საკუთარ შვილებთან[2]. იგი მათ ამეცადინებდა და მათთვის ნაწარმოებებს წერდა. ამ ნაწარმოებებზე შემდგომში მუსიკოსთა უამრავი თაობა აღიზარდა. დამწყები პატარა მუსიკოსები დღესაც სიყვარულით ასრულებენ პიესებს „ანა მაგდალენა ბახის სანოტო რვეულიდან“[3], შედარებით რთულდება საშემსრულებლო ამოცანები „ინვენციებში“, ხოლო უმნიშვნელოვანესი და ურთულესი 48 პრელუდია[4] და ფუგა „კარგად ტემპერირებული კლავირიდან“[5] და სიუიტები კი ბახის საკლავირო შემოქმედების გვირგვინია.

---

[1]მესა — ლათინურ ტექსტზე შექმნილი ორატორიული ეპარის მრავალნაწილიანი ნაწარმოები. დაწერილია გუნდისა და სოლისტებისათვის ინსტრუმენტული თანხლებით ან მის გარეშე. სრულდება კათოლიკურ წირვაზე.

[2]ბახს 21 შვილი ჰყავდა. სამი მათგანი თავისი დროის ცნობილი კომპოზიტორი გახდა. ბახის გვარში იმდენი მუსიკოსი იყო, რომ ამ გვარის ხსენებისას თანამედროვენი მუსიკოსს გულისხმობდნენ.

[3]"ანა მაგდალენა ბახის სანოტო რვეული" — ანა მაგდალენა ერქვა ბახის მეოცლეკ მცირე ფორმის პოლიფონიური პიესებისაგან შედგენილი ეს კრებული კომპოზიტორმა მას უძღვნა.

[4]პრელუდია — შესავლის ხასიათის მჭონე მცირე ფორმის ნაწარმოები, ნიშნავს "წინასწარ დაკვრას".

[5]კარგად ტემპერირებული კლავირი — სახელწოდება წარმოადგება თანამედროვე რიხტალის წინამორბედების, იმ დროისათვის სრულყოფილი საკრავების — კლავესინისა და კლავიკორდის სახელებიდან. მათ ერთად კლავირს უწოდებენ.

„ნაკადული კი არა, მას ოკეანე უნდა ერქვას“ — უთქვამს ბეთჰოვენს ბახის შესახებ, რადგან სიტყვა ბახი გერმანულ ენაზე ნაკადულს ნიშნავს. დიდი ბეთჰოვენის მოსწრებულ შენიშვნას ღრმა აზრი უდევს. თუ ყურადღებით მოვუსმენთ ბახის მუსიკას, შევამჩნევთ, რომ მუსიკალური თემები თითქოს მართლაც ნაკადულებივით, ჯერ დამოუკიდებლად მიედინებიან, შემდეგ ერთმანეთს უერთდებიან, ერთმანეთს ერწყმიან და ბოლოს მუსიკალურ ბგერათა მთელ ოკეანეს ქმნიან. ბგერათა ამ ოკეანეში კარგი მსმენელი უსათუოდ გამოარჩევს თავდაპირველ საწყის ხმებს — ნაკადულებს, რომლებიც სხვა დინებას არ შერევიან და ანკარა წყაროებივით კვლავ ინარჩუნებენ სისუფთავესა და თავისთავადობას. ბახის შემოქმედების ამ თვისებიდან გამომდინარე ვამბობთ, რომ ბახის მუსიკა პოლიფონიურია — მრავალხმიანია. აქ ვხვდებით ორ, სამ, ოთხ, ხუთ და მეტ სრულიად თანასწორუფლებიან ხმას. ხმები შესანიშნავად ერწყმიან ერთმანეთს, ამავე დროს, თავისი განვითარების გზას არ კარგავენ და ნაწარმოების ბოლომდე დიდებულ მელოდიაზე აგებულ, დამოუკიდებ ულ, ცალკე ხმებად რჩებიან. ბახი უდიდესი პოლიფონისტია, მისი პოლიფონიური აზროვნება ფილოსოფიური აზრის სიდიადემდე მაღლდება. ბახის მუსიკისათვის დამახასიათებელია ადამიანის სულიერი სამყაროს ფაქიზი წვდომა. ამან განაპირობა ბახის ფილოსოფიური მუსიკის ღრმა ლირიზმი.

ჰენდელმა და ბახმა შეაჯამეს და თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანეს გერმანული პოლიფონიური მუსიკის ბრწყინვალე ტრადიციები. მათი შემოქმედებით დასრულდა პოლიფონიური მუსიკის ეპოქა.

? 1. პროფესიული მუსიკის რომელ ჟანრებს იცნობთ? 2. დახასიათეთ პოლიფონიური მუსიკა. 3. როგორი იყო ჰენდელის და ბახის შემოქმედების თემატიკა? 4. რა დამახასიათებელია მოუძღვის ჰენდელს პროფესიული მუსიკის განვითარებაში? 5. დახასიათეთ ბახის მუსიკალური სტილი.

დანართი

გენიოსი და დახელოვნებული ორღანისტი

ერთი ვირტუოზი[1], რომელიც სხვადასხვა ადგილებში მოგზაურობდა, უცხო ქალაქში მოხვდა, სადაც ძალზე დახელოვნებული ორღანისტი მოღვაწეობდა. ეკლესიაში, სადაც ის მსახურობდა, ორი ორღანი იყო — ერთი დიდი, მეორე ოდნავ მომცრო. მუსიკოსები ერთმანეთს გაეცნენ და შეთანხმდნენ, რომ საკუთარი

[1] ვირტუოზი — მუსიკოს-შემსრულებელი, რომელიც სრულყოფილად ფლობს ხელოვნების ტექნიკას.

სიამოვნებისათვის ძალები გამოეცადათ — ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ. მათ გადაწყვიტეს რიგრიგობით დაეკვრათ. შეჯიბრი გარკვეული დროის განმავლობაში თანაბარი ძალებით მიმდინარეობდა. ჯერ ერთი მათგანი ერთ ორღანზე უკრავდა თავის „წილს“, შემდეგ მეორე მუსიკოსი თავის ორღანზე აგრძელებდა შეწყვეტილ მელოდიას და ასრულებდა მას. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ერთი თავი წარმართავდა ოთხი ხელისა და ოთხი ფეხის [1] მოქმედებას. ჩამოსულმა ვირტუოზმა თანდათან უფრო და უფრო გაართულა დაკვრა. იგი ერთდროულად აჟღერებდა რამდენიმე თემას, ზოგჯერ ძალზე მოულოდნელ გადასვლებს აკეთებდა. ადგილობრივი ორღანისტი შეეცადა მიებაძა სტუმრისათვის, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა ასევე დაკვრა. მაშინ მან ამ შეჯიბრში მეტოქის გამარჯვება აღიარა და სთხოვა მას მარტოს გაეგრძელებინა მუზიკირება. როდესაც ჩამოსულმა ხელოვანმა დაასრულა დაკვრა, აღფრთოვანებული მასპინძელი გადაეხვია მას და უთხრა თქვენ ან სებასტიან ბახი ხართ, ან ციდან ჩამოფრენილი ანგელოზიო. მართლაც, სტუმარი იოჰან სებასტიან ბახი იყო, რომელსაც ადგილობრივი ორღანისტი არც კი შეეჯიბრებოდა, სახით რომ სცნობოდა იგი.

დავალება

შეადგინეთ სქემა

ვოკალური ჟანრები	ინსტრუმენტული ჟანრები

XVII თავი
ვენის კლასიკოსები

§ 1. ვენა — კლასიკური[2] მუსიკის აკვანი. პოლიფონიური მუსიკის აღზევების პარალელურად ევროპის ქვეყნებში ახალი, ჰ ო მ ო ფ ო ნ ი უ რ ი ს ტ ი ლ ი[3] დამკვიდრდა. XVIII საუკუნეში დაიწყო ჰომოფონიური მუსიკის მძლავრი აღმავლობა.

---

[1] ორღანს აქვს მრავალრიცხოვანი პედალები, რომლებზეც მუსიკოსები ფეხებით უკრავენ.

[2] კლასიკური — ლათინურად სანიმუშოს, მისაბაძს ნიშნავს.

[3] ჰომოფონიური სტილი — მრავალხმიანი მუსიკა, რომელშიც ერთი ხმა მელოდიას ასრულებს, დანარჩენი ხმები თანხლებას წარმოადგენს.

ჰომოფონიურმა სტილმა სრულყოფილებას იოზეფ ჰაიდნის, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტისა და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ნაწარმოებებში მიაღწია. მათ შემოქმედებაში განვითარდა და დაიხვეწა ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრები. მათ შექმნეს სიმფონიის, კვარტეტისა და სონატის კლასიკური ნიმუშები. ამ კომპოზიტორთა შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ავსტრიის დედაქალაქ ვენასთან, ამიტომ მათ ვენის კლასიკოსებს უწოდებენ.

ჰაბსბურგთა მონარქიის დედაქალაქ ვენაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მუსიკალური კულტურის აყვავებისათვის უაღრესად ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა.

ავსტრია მრავალეროვანი იმპერია იყო. გარდა გერმანელებისა, აქ ცხოვრობდნენ უნგრელები, ჩეხები, სერბები, ხორვატები, პოლონელები და სხვები. ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მრავალეროვანი იმპერიის ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ პატარ-პატარა ანსამბლები. ქალაქის ქუჩებში, ბაღებსა თუ პარკებში მათ მიერ შესრულებული სხვადასხვა ხალხთა სიმღერები თუ საცეკვაო მუსიკა გაისმოდა. ეს დიდად ამდიდრებდა ვენაში მოღვაწე კომპოზიტორთა მუსიკალურ თემატიკას, მათი შემოქმედების განვითარებას ხელს უწყობდა მუსიკისადმი საყოველთაო სიყვარულიც, რომელიც ავსტრიის დედაქალაქში იყო გამეფებული.

ავსტრიის იმპერატორი იოსებ II მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი იყო. სასახლის თეატრებში სისტემატურად იდგმებოდა დიდებული დეკორაციებით დამშვენებული ოპერები, ხშირად ტარდებოდა საქველმოქმედო კონცერტები, სადაც ცნობილი კომპოზიტორების მიერ ახლადშექმნილი სიმფონიები და ორატორიები სრულდებოდა.

იმ დროს კომპოზიტორი არა მხოლოდ თხზავდა ნაწარმოებს, არამედ თვითვე ასრულებდა მას. ამისათვის მას აუცილებლად უნდა სცოდნოდა სხვადასხვა საკრავებზე დაკვრა და გუნდისა და ორკესტრის ხელმძღვანელობა (დირიჟორობა).

ვენის საუკეთესო კომპოზიტორები არისტოკრატთა სამსახურში იმყოფებოდნენ. ზოგიერთ თავადს საკუთარი საოპერო თეატრი და ორკესტრი ჰქონდა. ფეოდალებში ჩაფლული ავსტრიელი, უნგრელი, ჩეხი და სხვა ეროვნების ვენაში მცხოვრები არისტოკრატია სახსრებს არ იშურებდა საკუთარი სასახლის ბრწყინვალებისათვის, რომლის ერთ-ერთი აუცილებელი სამკაული მუსიკა უნდა ყოფილიყო. დიდებულები გარკვეული გასამრჯელოს საფასურად ცნობილ მუსიკოსებს აძლევდნენ შეკვეთებს ამა თუ იმ ნაწარმოებზე, რომელიც შემკვეთს ეძღვნებოდა და მის პატივსაცემად სრულდებოდა.

§ 2. იოზეფ ჰაიდნი (1732-1809). ოცდაათი წელი გაატარა იოზეფ ჰაიდნმა გრაფ ესტერჰაზის სამსახურში. იგი ვალდებული იყო გარკვეული დღისათვის დაეწერა ნაწარმოებები, კაპელისა[1] და ორკესტრისათვის ესწავლებინა და დანიშნულ დღეს შეესრულებინა. ჰაიდნი პასუხს აგებდა არა მარტო შესრულების დონეზე, არამედ კაპელისა და ორკესტრის წევრთა მოქმედებაზე, დისციპლინაზე, ინსტრუმენტებისა და ნოტების მოვლაზე. ფაქტობრივად იგი ლაქიის მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ უსახსრობის გამო ღარიბი ხელოსნის შვილი, უნიჭიერესი მუსიკოსი იძულებული შეიქნა ამ მდგომარეობას შერიგებოდა. ესტერჰაზის სამსახურში ჰაიდნმა უამრავი ნაწარმოები შექმნა.

ესტერჰაზის გარდაცვალების შემდეგ ჰაიდნს მისი ანდერძით პენსია დაენიშნა. თავისუფალმა და დამოუკიდებელმა ჰაიდნმა, რომელიც ამ დროს თითქმის 60 წლის იყო, თემატურად და ჟანრულად ძალზე გაამდიდრა თავისი შემოქმედება. ამ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებებიდან უნდა აღინიშნოს მისი კვარტეტები, 12 „ლონდონის“ სიმფონია[2], ორატორიები: „ქვეყნიერების შექმნა“ (ჯონ მილტონის პოემის „დაკარგული სამოთხის“ სიუჟეტის მიხედვით) და „წელიწადის დრონი“, რომლის ოთხი ნაწილი წელიწადის ოთხ დროს — გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას და ზამთარს ასახავს.

ჰაიდნს დიდი დამსახურება მიუძღვის მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში. მას „სიმფონიისა და კვარტეტის მამას“ უწოდებენ, ვინაიდან მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა სიმფონიისა და კვარტეტის კლასიკური ფორმა, განსაზღვრა სიმფონიური ორკესტრისა და სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობა.

§ 3. ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი (1756-1791). მსოფლიო მუსიკალურ კულტურაში მოცარტს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი ფენომენალური ნიჭი სამი წლის ასაკში გამოვლინდა. ოთხი წლისამ უკვე საკლავესინო კონცერტი[3] დაწერა. ექვსი წლიდან პატარა ზალცბურგელმა ვირტუოზმა მამასთან ერთად ევროპის ქვეყნებში დაიწყო მოგზაურობა. მისმა ბრწყინვალე საშემსრულებლო ტექნიკამ და იმპროვიზაციის უნარმა აღფრთოვანებაში მოიყვანა ვენის, პარიზის, ლონდონის თუ იტალიის ქალაქების მუსიკალური საზოგადოება. თორმეტი წლის მოცარტი უკვე სამი ოპერის ავტორი იყო, ხოლო

---

[1] კაპელა — საგუნდო-საშემსრულებლო ანსამბლი.

[2] ეს სიმფონიები ჰაიდნმა ლონდონში ჩასვლასთან დაკავშირებით შექმნა.

[3] კონცერტი — მუსიკალური ნაწარმოები სოლო შემსრულებლისათვის.

ოპერის „მითრიდატე — პონტოს მეფის“ გამო თოთხმეტი წლის კომპოზიტორი იტალიის ორი ქალაქის ბოლონიისა და ვერონის აკადემიებმა თავის წევრად აირჩიეს.

სურათი 29

ვოლფგანგ ამადეუს
მოცარტი

მოცარტის დაუოკებელ ფანტაზიას, მისი ნიჭის სრულ გაფურჩქვნასა და იმ უმდიდრესი მუსიკალური მასალის გადმოცემას, რასაც დაუსრულებლად უკარნახებდა მას ნათელი გონება და ტალანტი, კომპოზიტორის სრული შემოქმედებითი თავისუფლება სჭირდებოდა. მოცარტი კი იძულებული იყო ზალცბურგის არქიეპისკოპოსის სასახლის კარის მუსიკოსის დამცირებულ მდგომარეობას შერიგებოდა. სიცოცხლისმოყვარე მოცარტს მხიარული, მზის ნათელი სხივებით გაცისკროვნებული მუსიკის წერა ეწადა, ის კი ვალდებული იყო არქიეპისკოპოსის შეკვეთით საეკლესიო ან სტუმრების გასართობად განკუთვნილი ნაწარმოებები შეეთხზა. ამის სანაცვლოდ მოცარტი მცირეოდენ გასამრჯელოს და არქიეპისკოპოსის ლაქიას მდგომარეობას უნდა დასჯერებოდა. მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. მატერიალური უზრუნველყოფისათვის სამსახური ვერ დაჯაბნიდა მოცარტის თავისუფლებისმოყვარე სულს. და აი, გენიალურ კომპოზიტორთა შორის პირველმა მან უარყო კარის მუსიკოსის დამოკიდებული მდგომარეობა და მთლიანად თავისუფალ შემოქმედებას უძღვნა თავი.

1781 წლიდან მოცარტი ვენაში დასახლდა. აქ ამ პერიოდში დიდ აყვავებას განიცდიდა ინსტრუმენტული მუსიკა. განსაკუთრებით პოპულარული იყო ჰაიდნის ნაწარმოებები. მუსიკალური ხელოვნება უკვე იმდენად მაღალ საფეხურზე იყო ასული, რომ თავისი სიდიადით ტოლს არ უდებდა „ქარიშხლისა და შეტევის“ მიმდინარეობის დრამატურგთა შემოქმედებას. უდავოდ ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება მოცარტის მეორმოცე სიმფონია, რომელშიც მთელი სისავსით გამოვლინდა გენიალური კომპოზიტორის თვითმყოფადობა.

ცხოვრების უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მოცარტს არ ჰქონია მუდმივი ხელფასი, ხშირად უზარმაზარი ვალებიც უხუთავდა სულს, მაგრამ მან სწორედ ამ

პერიოდში შექმნა თავისი შედევრები, ოპერები: „ფიგაროს ქორწინება“, „დონ-ჟუანი“ და „ჯადოსნური ფლეიტა“. მოცარტის შემოქმედებას აგვირგვინებს გენიალური სამგლოვიარო მესა — „რექვიემი“[1]. ნაწარმოები მას შავებში ჩაცმულმა უცნობმა შეუკვეთა. მოცარტი ამ პერიოდში ხანგრძლივად ავადმყოფობდა. სამგლოვიარო მესის შეკვეთა მან მოახლოებული სიკვდილის წინასწარმეტყველებად მიიჩნია. მესაზე მუშაობის პროცესი მისთვის საკუთარი თავის დატირებად აღიქმებოდა. ნაწარმოებში ასახვა ჰპოვა კომპოზიტორის ცხოვრების ტრაგიკულმა ეპიზოდებმა. ეს მუსიკალური ხელოვნების შედევრი დღესაც აღაფრთოვანებს მსმენელს.

§ 4. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770-1827). ტრაგიკული იყო დიდი გერმანელი კომპოზიტორის ბეთჰოვენის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. იგი კარის მუსიკოსის ოჯახში დაიბადა. ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემები. ექვსი წლისამ უკვე სოლო კონცერტი გამართა, ჩვენამდე მოღწეული პირველი ნაწარმოები კი 12 წლის ასაკში დაწერა. 13 წლისამ სასახლის ორღანისტის თანაშემწის თანამდებობა მიიღო. ამავე პერიოდში ბეთჰოვენმა მშობლიურ ქალაქ ბონში იმპროვიზაციის ნიჭითა და კლავესინზე ცეკვლოვანი შესრულებით დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ახალგაზრდა ბეთჰოვენის შემდგომ ბედზე დიდი გავლენა იქონია ჰაიდნის ბონში ჩასვლამ. ბეთჰოვენმა მტკიცედ გადაწყვიტა ვენაში გამგზავრებულიყო და დიდი კომპოზიტორის — ჰაიდნის ხელმძღვანელობით ემეცადინა.

26 წლის ასაკიდან ბეთჰოვენს დიდი უბედურება ეწვია — მას სმენის დაქვეითება დაეწყო. ავადმყოფობა სწრაფად პროგრესირებდა და ბეთჰოვენი მწარედ განიცდიდა ამას. მალე იმდენად დაუქვეითდა სმენა,

Iკურაული 30

ლ უდვიგ ვას ბეთჰოვენი

[1] რექვიემი — სულის მოსახსენებელი მესა.

რომ თავმოყვარე ბეთჰოვენს საზოგადოებაში ყოფნა ერიდებოდა. კომპოზიტორის ტრაგიკული მწუხარება მის შემოქმედებაშიც აისახა. მიუხედავად დიდი სულიერი ტკივილისა, ამ პერიოდში შეიქმნა მისი საუკეთესო ნაწარმოებები: მ ე ს ა მ ე („გ მ ი რ უ ლ ი“) ს ი მ ფ ო ნ ი ა., საფორტეპიანო სონატა „ა პ ა ს ი ო ნ ა ტ ა“,[1] ოპერა „ფ ი დ ე ლ ი ო“, მ ე ხ უ თ ე ს ი მ ფ ო ნ ი ა, უ ვ ე რ ტ ი უ რ ა[2] გოეთეს ტრაგედია „ეგმონტისათვის“. ამ ნაწარმოებში თავი იჩინა ბეთჰოვენის ხასიათის შეუდრეკელმა თვისებებმა. პირადი ტრაგედიით გამოწვეული უიმედობის მიუხედავად, ნაწარმოებებში აირეკლა მისი ოპტიმიზმი, ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვებისაკენ სწრაფვა.

ბეთჰოვენის შემოქმედების მწვერვალია მისი მ ე ც ხ რ ე ს ი მ ფ ო ნ ი ა. ნაწარმოებში კომპოზიტორმა დიდი სიახლე შეიტანა. სიმფონიის საზეიმო ფინალში მან ჩართო დიდი გუნდი, რომელიც ასრულებს შილერის ოდას[3] „სიხარულისადმი“. გენიალურმა გერმანელმა პოეტმა და კომპოზიტორმა ამ სიმფონიით ერთობლივად მოუწოდეს კაცობრიობას ერთიანობისაკენ, სიყვარულისა და თავისუფლებისაკენ.

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში ლიტერატურისა და მუსიკის არნახული აღმავლობის ვითარებაში, გერმანიაში მართლაც რომ ურთიერთსაკადრისი მუსიკალური და ლიტერატურული შედევრები შეიქმნა. მზატვრული სიტყვის დიდოსტატებს — გოეთეს და შილერს ღირსეულად დაუმშვენეს გვერდი მუსიკის სასწაულებმა — ჰაიდნმა, მოცარტმა და ბეთჰოვენმა.

? 1. დაახასიათეთ ჰომოფონიური მუსიკალური სტილი. 2. ვინ არიან ვენის კლასიკოსები; რა დამსახურება მიუძღვით მათ მუსიკალური კულტურის განვითარებაში? 3. რომელ მუსიკალურ ჟანრებში მოღვაწეობდა ჰაიდნი? 4. რით გამოირჩეოდა მოცარტი ყველა სხვა კომპოზიტორისაგან? 5. რა სიახლე შეიტანა ბეთჰოვენმა სიმფონიურ მუსიკაში?

---

[1] "პასიონატა" — "მგზნებარეს" ნიშნავს.

[2] უვერტიურა — ოპერის, ბალეტის, ორატორიის, კანტატის ან დრამატული პიესის სორკესტრო შესავალი. უვერტიურის ამოცანაა შემდგომი მოქმედების აღქმის მომზადება. უვერტიურა შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ნაწარმოებიც. სწორედ ასეთია ბეთჰოვენის უვერტიურა გოეთეს ტრაგედია "ეგმონტისათვის".

[3] ოდა — პოეტური ან მუსიკალურ-პოეტური საზეიმო ხასიათის პიესა, რომელიც პიროვნების ან მოვლენის პატივსაცემად არის შექმნილი.

დანართი

მოცარტი — მუსიკის ხასწაული

მოცარტის არაჩვეულებრივ მუსიკალურ მონაცემებზე, მის ფანტასტიკურ სმენასა და მეხსიერებაზე მეტყველებს დიდი კომპოზიტორის ცხოვრების არაერთი გასაოცარი ეპიზოდი.

ზალცბურგის ეპისკოპოსის კარის მესაყვირე შახტნერი აგვიწერს შემთხვევას, რომლის მოწმეც იგი გახდა. ერთხელ მოცარტის მამა შახტნერთან ერთად შინ დაბრუნდა. ოთხი წლის მოცარტი მაგიდასთან იჯდა და სანოტო ქაღალდზე კალმით რაღაცას ჩხაპნიდა. მამის შეკითხვაზე — რას აკეთებო, ბიჭუნამ უპასუხა, რომ კონცერტს ვწერ კლავესინისთვისო. მამამ სანოტო ფურცელი ხელში აიღო და დახედა ბავშვის ხელით დაწერილ მელნის ლაქებით დათხუპნულ ნოტებს. მას და შახტნერს თავდაპირველად მოეჩვენათ, რომ ეს მხოლოდ ბავშვური სიცელქე იყო. მაგრამ როცა ყურადღებით დააკვირდნენ, მამამ სიხარულის ცრემლები ვერ შეიკავა. „შეხედეთ შახტნერ, — მიმართა მან მეგობარს, — როგორი სწორი და აზრიანია აქ ყოველივე“. ასე შექმნა ოთხი წლის მოცარტმა კონცერტი კლავესინისათვის.

14 წლის მოცარტმა მამასთან ერთად იტალიაში მოგზაურობისას, რომში სიქსტის კაპელაში მოისმინა იტალიელი კომპოზიტორის გრეგორი ალეგრის დიდი და რთული მრავალხმიანი ნაწარმოები, რომელიც წელიწადში მხოლოდ ორჯერ სრულდებოდა. ნოტების გადაწერა აკრძალული იყო, რადგან ნაწარმოები რომის პაპის საკუთრება იყო და არ უნდა გავრცელებულიყო. მოცარტმა ნაწარმოები მხოლოდ ერთხელ მოისმინა და შინ დაბრუნებისთანავე მეხსიერებაზე დაყრდნობით სრულიად უშეცდომოდ გადაიტანა ნოტებზე ეს დიდი და რთული მუსიკალური თხზულება.

ბეთჰოვენის აზრები

„მუსიკა ადამიანების სულიდან ცეცხლს უნდა აკვესებდეს“.

„მუსიკა უფრო დიდი ზეშთაგონებაა, ვიდრე სიბრძნე და ფილოსოფია“.

„არაფერია უფრო მშვენიერი, ვიდრე ღვთიურთან მიახლოება და მისი სხივების ადამიანთა მოდგმაზე ფრქვევა“.

„რატომ ვწერ? ის, რაც გულში მაქვს, უნდა გამოვიდეს; აი ამიტომ ვწერ“.

„მე მინდა დავამტკიცო, რომ ღირსეული და კეთილშობილი საქციელით ადამიანი იძენს ძალას უბედურების გადასატანად“.

„მხოლოდ სიკეთეს მსახურებდე, სადაც კი ძალგიძს, ყველაზე მეტად შეიყვარე თავისუფლება, და თვით მონარქის ტახტის წინაც არ მოიდრიკო, ჭეშმარიტებას არასოდეს არ უღალატო“.

დავალება

შეადგინეთ სქემა

ცნობილი ნაწარმოებები

ჰაიდნი	მოცარტი	ბეთჰოვენი

მეშვიდე კარი
საფრანგეთის დიდი რევოლუცია

XVIII თავი
ძველი რეჟიმი საფრანგეთში

§ 1. საფრანგეთის ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთი დასავლეთ ევროპის ყველაზე დიდი და მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფო იყო. XVIII საუკუნის შუა წლებიდან საუკუნის მიწურულამდე მოსახლეობა 30%-ით გაიზარდა და 1789 წლისათვის 26 მილიონს მიაღწია. მოსახლეობის სწრაფ ზრდას ხელს უწყობდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. მართალია, მოუსავლიანი წლები პერიოდულად მაინც ეწვეოდა ხოლმე საფრანგეთს (1725, 1751-1752, 1770-1771, 1788), მაგრამ გამანადგურებელი შიმშილობები და ეპიდემიები საბოლოოდ იქნა დაძლეული. ბავშვთა სიკვდილიანობა თანდათან კლებულობდა. რევოლუციის წინა პერიოდში საფრანგეთის მოსახლეობის შობლოდ მეოთხედი შეადგენდა 40 წელს გადაცილებულებს.

მეზობელ ქვეყნებთან შედარებით საფრანგეთი მდიდარი ქვეყანა იყო. მიწათმოქმედება ნელა ვითარდებოდა, მაგრამ მაინც რჩებოდა მოსახლეობის ძირითად საქმიანობად. სოფლის მეურნეობა ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებთან იყო შეხამებული. მდინარე ლუარას ჩრდილოეთით მარცვლეულის მოყვანასა და მესაქონლეობას მისდევდნენ (ჩრდილო-დასავლეთ ევროპისათვის დამახასიათებელი მეურნეობა), სამხრეთ საფრანგეთში კი მარცვლეულის გარდა, ხილს, ზეთისხილს

აშენებდნენ, მევენახეობასა და მეაბრეშუმეობას ეწეოდნენ (ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მეურნეობა).

საფრანგეთში იზრდებოდა მრეწველობის მნიშვნელობა, განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ახალი დარგები: ბამბის ქოვილების წარმოება, ქვანახშირის მოპოვება, რკინის გამოდნობა. გავრცელებული იყო წვრილი მანუფაქტურული მრეწველობა. 80-იან წლებში წარმოებაში მანქანების დანერგვა დაიწყო. ბამბეულის წარმოებაში გაჩნდა „ჯენის“ ტიპის სართავი მანქანები.

სწრაფად ვითარდებოდა ვაჭრობა. სამეფო ბეგარაზე გაყვანილი გლეხების მიერ აშენებული დიდი გზები სერავდა საფრანგეთს. ისინი კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრებს აკავშირებდნენ. მაგრამ გზების ქსელი ჯერ კიდევ საკმაოდ მეჩხერი იყო და ვაჭრობა-ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებდა. ძირითადი დატვირთვა მოდიოდა სამდინარო-სანაოსნო არტერიებზე, რომლებიც კვლავ რჩებოდა მოგზაურობისა და ტრანსპორტირების მთავარ საშუალებად.

აღმავლობას განიცდიდა საგარეო ვაჭრობა. გაიზარდა მსხვილი საზღვაო ქალაქები. მარსელი ტრადიციულად ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან ვაჭრობდა. ამერიკის შეერთებული შტატების ინგლისისაგან განთავისუფლებამ შესაძლებელი გახადა ფრანგული საჭონლის ამერიკის ბაზარზე გატანა, ამან ხელი შეუწყო დასავლეთ საფრანგეთის ნავსადგურების ბორდოსა და ნანტის განვითარებას. საფრანგეთმა დიდი სავაჭრო ფლოტი შექმნა. სანავსადგურო ქალაქებში ყოველწლიურად ათობით ახალ გემს აგებდნენ.

სოფლის მოსახლეობის ხარჯზე სწრაფად იზრდებოდა დედაქალაქ პარიზის, საზღვაო ქალაქებისა და საფრანგეთის სხვა მანუფაქტურული ცენტრების: ლიონის, რუანის მოსახლეობა. ქალაქებში სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა. ძველი, ვიწრო ქუჩებიანი უბნები ახალ, ფართო პროსპექტებიან ლამაზ კვარტალებს უთმობდა ადგილს.

§ 2. პრივილეგირებული[1] წოდებები. საფრანგეთის სახელმწიფოს მმართველობის ფორმა აბსოლუტური, თვითმპყრობელური მონარქია იყო. მეფე-მონარქი იცავდა წარჩინებულთა ინტერესებს და ფეოდალური უფლება-მოვალეობების შესრულებას უზრუნველყოფდა. წარჩინებულნი, დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, მნიშვნელოვან პრივილეგიებს ფლობდნენ. საფრანგეთში

[1] პრივილეგია — უპირატესობა, განსაკუთრებული უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ვისმეს სხვებისაგან განსხვავებით.

სურათი 31

პარიზის ხედი

პრივილეგირებულთა ორი წოდება არსებობდა: ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ე ბ ა და თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა.

თავადაზნაურობა შეადგენდა ფრანგი მოსახლეობის უმცირესობას — 1,5 %-ს, მაგრამ საფრანგეთის მიწების ერთი მეოთხედი ეკავა და ქვეყნის შემოსავლის ერთ მესამედს ითვისებდა. თავადაზნაურობა მნიშვნელოვანი უპირატესობით სარგებლობდა. ის ფაქტობრივად განთავისუფლებული იყო გადასახადებისაგან. თავადაზნაურობის ზედა ფენისათვის — არისტოკრატიისათვის განკუთვნილი იყო უმაღლესი თანამდებობები არმიასა და სამეფო კარზე.

აზნაურობა არ იყო ერთგვაროვანი. მისი ძირძველი ნაწილი სამხედრო საქმიანობას მისდევდა, ამიტომ მას „დაშნის აზნაურობას“ უწოდებდნენ. „დაშნის აზნაურობის“ გვერდით არსებობდა შეძლებული ბურჟუაზიისაგან წარმომდგარი

„მანტიის აზნაურობა“, რომელსაც მდგომარეობა მოპოვებული ჰქონდა სასამართლოსა და ადმინისტრაციული თანამდებობების, გაღარიბებული აზნაურების ცხენსიმგრეებისა და მამულების ყიდვით. თანამდებობის ან მამულის შეძენასთან ერთად მათ აზნაურის ტიტული ეძლეოდათ. თანამდებობის პირნი სხვადასხვაგვარ წამოსასხამებს ატარებდნენ. აქედან წარმოსდგა მათი საერთო სახელწოდება „მანტიის აზნაურობა“.

თავადაზნაურობა განსხვავდებოდა ცხოვრების პირობებითაც. უმაღლესი არისტოკრატია დიდებულად ცხოვრობდა, მას იწვევდნენ პარიზში და ვერსალში, სადაც ოგი სამეფო კარის უში ცხოვრების მოზიარე ხდებოდა.. პროვინციებში მცხოვრები გაღარიბებული თავადაზნაურობა კი ყოველნაირად ებღაუჭებოდა თავის პრივილეგიებს და უმოწყალოდ ავიწროებდა გლეხობას. XVIII საუკუნეში თავადაზნაურობა მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ასრულებდა.

საფრანგეთი კათოლიკური ქვეყანა იყო. დიდი გავლენა და ძალა ჰქონდა სამღვდელოებას, რომელიც არ იყო მრავალრიცხოვანი, მაგრამ საფრანგეთის ყველაზე ნაყოფიერი მიწების 10%-ს ფლობდა. დიდ შემოსავალს აძლევდა მას „მეათედი“, რომელსაც გლეხებისაგან მოსავლის აღებისას კრეფდნენ. პრელატები [1], დიდი მონასტრების აბატები [2] თავადაზნაურობის ფენიდან წარმოდგებოდნენ და მაღალ სამღვდელოებას შეადგენდნენ. მათგან განსხვავებით, დაბალ სამღვდელოებას მოკრძალებული შემოსავლისა და არაპრივილეგირებული წარმოშობის გამო კარგად ესმოდა ხალხის გასაჭირი.

§ 3. მესამე წოდება. სამღვდელოება და თავადაზნაურობა არ აღემატებოდა საფრანგეთის მოსახლეობის 3-4%-ს. ფრანგების დიდი უმრავლესობა „მ ე ს ა მ ე წ ო დ ე ბ ა ს“ მიეკუთვნებოდა.

საფრანგეთის მოსახლეობის 80%-ს გლეხობა შეადგენდა. მათ უმრავლესობას პირადი თავისუფლება გაჩნდა, მაგრამ მთლიანად ჯერ კიდევ ვერ მოეშორებინა ფეოდალური უღელი. არსებობდა დამამცირებელი პირადი ვალდებულებები: გლეხებს მემამულის მოსავალი თავისი ურმით უნდა გადაეზიდათ, მარცვალი მის წისქვილში უნდა დაეფქვათ, პური მის თონეში უნდა გამოეცხოთ, ღვინო მასზე რამდენიმე დღით გვიან უნდა გაეყიდათ. მძიმე იყო ის გადასახადები, რომელსაც გლეხები სახელმწიფოს თუ პრივილეგირებულთა სასარგებლოდ იხდიდა. გლეხებზე დაკისრებული გადასახადები 4 ნაწილად იყოფოდა: 1. სახელმწიფოს სასარგებლოდ

---

[1] პრელატი — მაღალი საეკლესიო წოდება კათოლიკურ ეკლესიაში.

[2] აბატი — კათოლიკურ სასულიერო პირთა სამტრო წოდება. მღვდელი.

გლეხი ე.წ. „ცენტრალიზებულ რენტას“[1] იხდიდა. 2. „სენიორული რენტა“ — მემამულეს ეძლეოდა. 3. „მეათედი“ — საეკლესიო გადასახადი იყო. 4. გლეხის შემოსავლის დიდი ნაწილი მიჰქონდა ე.წ. „კონსტიტუირებულ[2] რენტას“. ამ უკანასკნელს გლეხების მიერ მევახშეებისაგან აღებული ვალების პროცენტები შეადგენდა. ეს გადასახადი მევახშეებთან მიდიოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გლეხობას შორის გაძლიერდა სოციალური დიფერენციაცია. გამოიკვეთა მდიდარი გლეხობის მცირე ნაწილი, რომელიც უმიწო ან მცირემიწიან გლეხებს ქირაობდა და საკუთარ თუ იჯარით აღებულ მამულებს ამუშავებდა.

მესამე წოდების ელიტა[3] — მდიდარი, განათლებული, ენერგიული ბურჟუაზია — ძირითადად მწარმოებლები, ვაჭრები, წვრილი მესაკუთრეები და თავისუფალი პროფესიის ადამიანები: ექიმები, ადვოკატები, პოლიტიკოსები, მეცნიერები უპირისპირდებოდნენ პრივილეგირებული ფენების წარმომადგენლებს, რომლებიც, მათი აზრით, უსაქმონი და უნაყოფონი იყვნენ. მათი შეხედულებით, წარჩინებულნი სრულიად დაუმსახურებლად ინარჩუნებდნენ პრივილეგიებს. ბურჟუაზია მტკივნეულად განიცდიდა თავის მემკვიდრეობით უუფლებობას.

მეფის ხელისუფლება ბურჟუაზიას სახელმწიფო საქმეებში რთავდა. მთავრობას ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო ბურჟუაზიის მატერიალური დახმარების გარეშე. 80-იან წლებში მთავრობის მიერ ბურჟუაზიისაგან აღებულმა სესხმა სახელმწიფოს წლიურ შემოსავალს რამდენჯერმე გადააჭარბა და 4,5 მილიარდ ლივრს მიაღწია. ამავე დროს, გაურკვეველი იყო, შეძლებდა თუ არა სამეფო კარი ვალების გადახდას. ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო ხელისუფლების მძარცველური, პოლიტიკით. უდიდესი თანხები იფლანგებოდა სამეფო კარის ბრწყინვალებისათვის, მეფის ამალისა და უსარგებლო თანამდებობებზე მომუშავე დიდებულთა საჩუქრებისა და პენსიებისათვის.

სამრეწველო გადატრიალების ინგლისთან შედარებით დაბალი ტემპი არ აკმაყოფილებდა საფრანგეთის ბურჟუაზიას, რომელიც დაინტერესებული იყო თავისუფალი ვაჭრობით, მშენებლობით, სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარებით.

---

[1] რენტა — რეგულარული შემოსავალი.

[2] კონსტიტუირებული — დადგენილი.

[3] ელიტა — საზოგადოების ზედაფენა, "რჩეული" საზოგადოება.

ბურჟუაზიის სოციალურ და ეკონომიკურ მოთხოვნებს ემატებოდა პოლიტიკური მოთხოვნებიც. ამდენად, სწორედ ბურჟუაზია გახდა ის ძალა, რომელმაც „ძველი რეჟიმის“ მიმართ შეძლებული და განათლებული ოპოზიცია შეადგინა.

ბურჟუაზიულ მოღვაწეებს მიჩნდათ, რომ მათი მოთხოვნები მთელი მესამე წოდების — გლეხების, ხელოსნების, მოსამსახურეების, მუშების ინტერესებსაც გამოხატავდა; მათი აზრით, წარმოებისა და ვაჭრობის გაფართოებასა და სახელმწიფოს მხრიდან მრავალნაირი შეზღუდვებისაგან მის განთავისუფლებას ახალი სამუშაო ადგილების გამოჩენა და წარმოებაში დასაქმებულთა ხელფასის გადიდება უნდა მოჰყოლოდა. ხოლო ფეოდალური უკლება-მოვალეობების გაუქმებას გლეხების სრული განთავისუფლება უნდა გამოეწვია. ამიტომ ბურჟუაზიის მოთხოვნები მთელი მესამე წოდების მისწრაფებებს შეესაბამებოდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის მიწურულისათვის მესამე წოდება განათლებითა და ქონებრივი მდგომარეობით უკვე აშკარად იყო გაყოფილი მკვეთრად განსხვავებულ ორ ფენად. მესამე წოდების ელიტა — ბურჟუაზია მეფის ხელისუფლების შეზღუდვის და ეკონომიკის თავისუფალი განვითარების მომხრე იყო, მაშინ, როდესაც მესამე წოდების დაბალი ფენები მსხვილი ფეოდალური საკუთრების მოსპობასაც ესწრაფოდნენ.

სურათი 32



? 1. რა ცვლილებები ხდებოდა საფრანგეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში? 2. რა განაპირობებდა ამ ცვლილებებს? 3. როგორი იყო საფრანგეთის მოსახლეობის წოდებრივ დაყოფა, წოდებების საზოგადოებრივი და ეკონომიკური მდგომარეობა? 4. რით განსხვავდებოდა საფრანგეთის თავადაზნაურობა ინგლისის თავადაზნაურობისაგან? 5. დახასიათეთ გლეხთა ჩემამულეებისადმი დამოკიდებულება. 6. რა იყო საფრანგეთის ბურჟუაზიის უკმაყოფილების მიზეზები? 7. XVIII საუკუნის საფრანგეთის აბსოლუტიზმი შეადარეთ ინგლისის ამავე პერიოდის პოლიტიკურ წყობილებას.

ლეი XVI

დანართი

საფრანგეთის წოდებრივი წყობა



XIX თავი

ფრანგული განმანათლებლობა

§ 1. ფრანგული განმანათლებლობის აღმოცენების მიზეზები. ბურჟუაზის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამ მისი მისწრაფებების თეორიული დასაბუთება მოითხოვა. ეს მისია მესამე წოდების, განსაკუთრებით ბურჟუაზიის ინტერესების დამცველმა მწერლებმა და მეცნიერებმა იკისრეს. თუ პრივილეგირებულნი თავიანთ უპირატესობას ისტორიული წარსულიდან გამომდინარე ამტკიცებდნენ, ბურჟუაზიამ სამყაროს, ადამიანის, საზოგადოების შესახებ ახალი შეხედულებები წარმოადგინა გონებაზე, აზროვნებაზე, მსჯელობაზე დაყრდნობით.

რთული პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური საკითხებისადმი რაციონალურმა[1] მიდგომამ კრიტიკული აზრის გაღვივება გამოიწვია. დაიწყო არსებული სარწმუნოების, სამართლის, კანონებისა და სახელმწიფოებრივი

[1] რაციონალური — ლათინური სიტყვიდან რაციო — გონება. გონივრული.

დაწესებულებების კრიტიკა. გამოჩენილი პოლიტოლოგები, მეცნიერები, მწერლები თუ საზოგადო მოღვაწეები წერდნენ და ფარულად მსჯელობდნენ ყველა იმ ნაკლზე, რომელიც ასე უხვად გაჩნდა ფეოდალურ საზოგადოებას. გაიშალა მძლავრი განმანათლებლური მოღვაწეობა, რომელმაც ძველი რეჟიმის მანკიერებათა მხილება და ადამიანებისათვის უკეთესი მომავლის განსაზღვრა და მოპოვება დაისახა მიზნად.

განმანათლებლური მიმართულება საფრანგეთში XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა. ეს იყო პროგრესული საზოგადოებრივობის ანტიფეოდალური თეორიები, რომელთა თანახმად საყოველთაო ბედნიერების მისაღწევად აუცილებელია ბუნების მიერ ბოძებული ე.წ. „ბუნებითი უფლებების“ განხორციელება. განმანათლებელთა შეხედულებით, ეს უფლებებია: თავისუფლება, თანასწორობა, ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევა და საკუთრება.

ფრანგი განმანათლებლები — მწერლები და მეცნიერები: ვოლტერი, მონტესკიე, რუსო, დიდრო და სხვები, ულმობლად აკრიტიკებდნენ კათოლიკურ ეკლესიას, ფეოდალურ საზოგადოებას, მეფის აბსოლუტიზმს. მათი ნაწარმოებების დიდი ნაწილი მხატვრული შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშებია და დიდი ინტერესით იკითხება.

§ 2. ვოლტერი (1694-1778) ნოტარიუსის ოჯახში დაიბადა. მან ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლისას გამოიჩინა თავისი ნიჭი, აზრის გაბედულება და სისხარტე. ოცი წლის არ იყო პოლიტიკურ სატირაში — ბასტილიაში რომ მოხვდა ლუი XIV-ზე ანონიმურად გავრცელებული სატირული ლექსების გამო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ახალგაზრდა პოეტი იძულებული შეიქნა რამდენიმე წლით ინგლისს გამგზავრებულიყო.

ფილოსოფოსი და მწერალი მარი ფრანსუა არუე, ფსევდონიმით ვოლტერი, ერთნაირი სიძლიერით ფლობდა ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრს, წერდა ლექსებს, პამფლეტებს, რომანებს, ფანტასტიკურ ზღაპრებს, სამეცნიერო სტატიებს, დასცინოდა მოძველებულ შეხედულებებს, ავითარებდა ჰუმანურ აზრებს. აზნაურის

სურათი 33

ვოლტერი

„თანდაყოლილ“ უფლებებს მაშინ დავიჯერებდი, თუ რაინდი ფეხებზე დეზებმიკრული და ხალხი კი ზურგზე უნაგირდადგმული დაიბადებაო — ამბობდა ვოლტერი. უძლიერესი იარაღის — მახვილი სიტყვის, ბასრი კალმისა და დაუშრეტელი ენერგიის წყალობით იგი შიშის ზარს სცემდა მოწინააღმდეგეებს და ფართო მკითხველის თაყვანისცემას იმსახურებდა.

ვოლტერი უარყოფითად ეკიდებოდა ხალხის მასების რევოლუციურ მოქმედებას და მთელ იმედებს ფილოსოფოსი, განათლებული მეფის მოღვაწეობაზე ამყარებდა. ვოლტერის აზრით, განათლებულმა მონარქმა იცის საქმის ვითარება, ათვისებული აქვს მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები და მიზანშეწონილად, თანმიმდევრულად მოქმედებს აუცილებელი გარდაქმნების განსახორციელებლად. ვოლტერს სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმად მიაჩნდა კონსტიტუციური ხელისუფლება, რომელიც მეფის ძალაუფლებას შეზღუდავდა.

§ 3. შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755) წარმოშობით მანტიის აზნაური იყო. მან საფუძვლიანი განათლება მიიღო. როგორც მწერალმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გაითქვა სახელი სატირული ნაწარმოებით „სპარსული წერილები“, რომელშიც ორი სპარსელი მოგზაურის პირით გაამათრახა საფრანგეთის პოლიტიკური წყობა, სოციალური უსამართლობა, პრივილეგირებულთა თავგასულობა და თვითნებობა.

სურათი 34

შარლ ლუი მონტესკიე

მონტესკიეს მთავარი ნაშრომი „კანონთა საზრისი“, რომელიც ავტორის ოცდაათწლიანი შრომის ნაყოფი იყო, 1748 წელს გამოიცა. მან ამ ნაწარმოებში გამოხატა ოავისი უარყოფითი დამოკიდებულება აბსოლუტური, შეუზღუდავი მონარქიისადმი და ხელისუფლების დანაწილების თეორია წარმოადგინა.

მონტესკიეს მიხედვით, უმაღლესი ხელისუფლება სამ ნაწილად უნდა იყოს დაყოფილი: საკანონმდებლო ხელისუფლება

ხალხის არჩეულ წარმომადგენლებს უნდა ეკუთვნოდეს, აღმასრულებელი – მონარქს, სასამართლო ხელისუფლება კი არჩეულ მოსამართლეებს. არ შეიძლება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ერთი ორგანოს ან ერთი ადამიანის ხელში გაერთიანება, რადგან ასეთ შემთხვევაში მონარქი თუ პარლამენტი ტირანულ კანონებს გამოსცემს და ტირანულად განახორციელებს მათ, ხელისუფლების სხვადასხვა ნაწილების მიერ ურთიერთკონტროლი დარღვევა და განუკითხაობა დამყარდება.

მონტესკიეს ასეთი დებულებების განხორციელება ბურჟუაზიის სასარგებლოდ მეფის ხელისუფლების შეზღუდვას ნიშნავდა. მონტესკიეს მოძღვრება უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების სამ ნაწილად დაყოფის შესახებ შემდგომში მრავალ ქვეყანაში იქნა გამოყენებული დემოკრატიული კონსტიტუციების შემუშავების დროს.

§ 4. ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) დაიბადა შვეიცარიაში, ღარიბი მესაათის ოჯახში. დედა ადრე გარდაეცვალა; 10 წლის იყო, როცა მამამ მიატოვა და ბედის ანაბარა აღმოჩნდა. მან ბავშვობიდანვე იწვნია წუთისოფლის მთელი სიმძიმე.

რუსო თავის ნაშრომებში ყველა უბედურების დასაბამად კერძო საკუთრების გაჩენას მიიჩნევს, თუმცა კერძო საკუთრების გაუქმებას არ მოითხოვდა. იგი მხოლოდ უკიდურესი სიმდიდრისა და სიღარიბის წინააღმდეგი იყო. რუსო მხარს უჭერდა ქონების გათანასწორებას. მისი აზრით, თითოეულ ადამიანს თავისი სამყოფი უნდა გაჩნდეს, მეტისმეტად ბევრი კი არავის არ უნდა ჰქონდეს.

სურათი 35

ჟან-ჟაკ რუსო

რუსო სახალხო სუვერენიტეტის ანუ სახალხო ხელისუფლების უზენაესობის თეორიის ფუძემდებელია. მისი აზრით, უზენაესი ხელისუფლება მონარქს კი არა, მთელ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. სახალხო სუვერენიტეტი განუყოფელი, გაუსხვისებელი და შეუზღუდავია. რუსოს იდეა სახალხო სუვერენიტეტის შესახებ დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი საფუძველთაგანია.

§ 5. ენციკლოპედისტები. პირველი ფრანგული ენციკლოპედიის[1] სულისჩამდგმელი და რედაქტორი დ ე ნ ი დ ი დ რ ო (1713-1784) იყო. ცნობილ ფილოსოფოსს და მწერალს ხელისუფლება ენციკლოპედიის გამოსვლამდეც სდევნიდა. დაწვეს მისი წიგნი „ფილოსოფიური აზრები", ავტორი კი ციხეში მოათავსეს. სწორედ ციხეში შეადგინა მან ენციკლოპედიის გამოცემის პროექტი. დიდრომ ენციკლოპედიის მიზნად იმდროინდელი სამეცნიერო ცოდნის განზოგადება, ფეოდალური წყობის მამხილებელი მოწინავე აზრებისა და შეხედულებების გადმოცემა დასახა. დიდრომ ენციკლოპედიაზე მუშაობისას გარს შემოიკრიბა იმ დროის გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები — ვოლტერი, მონტესკიე, რუსო, ჰელვეციუსი, ჰოლბახი და სხვ.

სურათი 36

დენი დიდრო

1751-1752 წლებში ენციკლოპედიის პირველი ტომები გამოვიდა. მასში გადმოცემული აზრების გამო რეაქციონერთა ვააფთრება იმდენად დიდი იყო, რომ სამეფო საბჭომ ენციკლოპედიის გამოშვება შეაჩერა. მიუხედავად აკრძალვისა, ენციკლოპედისტები მაინც განაგრძობდნენ მუშაობას და ყოველწლიურად თითო ტომს აბეჭდავდნენ. ავტორები არაერთხელ მოხვდნენ პოლიტიკურ საპყრობილეში — ბასტილიაში, მათი ბევრი სტატია ცენზურას იქნა მიცემული, მაგრამ მიუხედავად ამისა, 1780 წელს ენციკლოპედიის მრავალტომიანი გამოცემა დასრულდა. თანამედროვეთა შეფასებით, ენციკლოპედია „უზარმაზარი არსენალი იყო, სადაც ძველი საფრანგეთის დამამსხვრეველი იარაღი იშედებოდა".

§ 6. ფიზიოკრატები[2]. ფრანგი განმანათლებლები პოლიტიკური თეორიების გარდა ეკონომიკის საკითხებსაც ამუშავებდნენ. ახალი, ბურჟუაზიული ეკონომიკის

---

[1] ენციკლოპედია — ცოდნის შეძენა, დაუფლება ნიშნავს. ამ შემთხვევაში — ანბანის მიხედვით დალაგებული სხვადასხვა საგნის შესახებ სტატიების ლექსიკონი.

[2] ფიზიოკრატები — ბერძნულად "ფიზის" — ბუნება, "კრატოს" — ძალა, ხელისუფლება, ბატონობა.

თეორეტიკოსები — ფიზიოკრატები XVIII საუკუნის 50-60-იან წლებში გამოჩდნენ.

ფიზიოკრატთა მამამთავარი ფ რ ა ნ ს უ ა კ ე ნ ე ბრიშენელი ეკონომიკური ტრაქტატებისა და საენციკლოპედიო სტატიების ავტორია. მისი მოწაფეები ტ ი უ რ გ ო და კ ო ნ დ ო რ ს ე თეორიულ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდნენ.

ფიზიოკრატებს ეკონომიკის გაძლიერების საფუძველად კერძო საკუთრება მიაჩნდათ. მათი აზრით, ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკის მოვლენების რეგულირებას. ფიზიოკრატები სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგნი იყვნენ. თავისუფალი მეწარმეობა და ვაჭრობა, სახელმწიფოს ბუნებრივი პირობების რაციონალურად (გონივრულად) გამოყენება, ფიზიოკრატების შეხედულებით, საზოგადოების ეკონომიკური განვითარების საწინდარია.

§ 7. მონარქიის კრიზისი. საფრანგეთის სავალალო ფინანსურმა მდგომარეობამ 1774 წელს გამეფებული ლუი XVI აიძულა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე — ფინანსთა გენერალურ კონტროლიორად ფიზიოკრატი ტიურგო მიეწვია. ტიურგომ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის რეფორმების განხორციელება მოინდომა. ამ რეფორმებს პრივილეგირებულ წოდებათა უფლებები უნდა შეეზღუდა. ტიურგოს წინააღმდეგ დიდებულები ამსედრდნენ. ორი წლის სამსახურის შემდეგ (1776 წელს) იგი გადააყენეს. მის მიერ წამოწყებული ყველა ღონისძიება გააუქმეს.

ფინანსთა გენერალური კონტროლიორის თანამდებობაზე ტიურგო ნეკერმა შეცვალა. იგი თვლიდა, რომ საზოგადოებას უნდა სცოდნოდა სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. საფრანგეთის ისტორიაში სახელმწიფო ბიუჯეტი პირველად მან გამოაქვეყნა. მეფის ოჯახისა და სამეფო კარის წასაღებ განკუთვნილმა უზარმაზარმა თანხებმა მოსახლეობის ფართო მასების აღშფოთება გამოიწვია. მეფემ ნეკერი გადააყენა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველოდა. სახელმწიფო ისეთი ფინანსური კრიზისის წინაშე იდგა, რომ ოფიცერთა და მოხელეთა ხელფასსაც ვერარ იხდიდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. პრივილეგირებულთა მხრიდან ფინანსური დახმარების მიღების იმედით 1787 წელს მოიწვიეს ნ ო ტ ა ბ ლ ე ბ ი ს კ რ ე ბ ა (ნოტაბლებს ძველ თავის შეხედულებისამებრ ნიშნავდა პრინცების, ჰერცოგების, პრელატების, პერების [1], მანტიის აზნაურთა

[1] პერი — თავადაზნაურთა უმაღლესი ფენის წოდების მქონე პირი

შემადგენლობიდან). ნოტაბლებისგან ფინანსური დახმარების მიღების იმედი არარეალური გამოდგა. ნოტაბლების კრებაზე მარკიზმა ლაფაიეტმა პირველმა მოუწოდა გენერალური შტატების მოწვევა, რომელიც 1614 წლის შემდეგ აღარ შეკრებილიყო. ლაფაიეტის ეს წინადადება მალე საყოველთაო მოწონებად იქცა.

ვენერალურ შტატებს სამივე წოდების წარმომადგენლები ირჩევდნენ. მეფე ივედოვნებდა, რომ გენერალური შტატები მას ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენდა. მონარქიის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით ლუი XVI დათანხმდა გენერალური შტატების მოწვევაზე.

? 1. რამ განაპირობა განმანათლებლური იდეოლოგიის ჩამოყალიბება; რა კავშირშია ეს მოვლენა საფრანგეთის აბსოლუტიზმის თავისებურებებთან? 2. სახელმწიფო მმართველობის რომელი ფორმა იყო ვოლტერისათვის იდეალური? 3. რას გულისხმობდა შარლ ლუი მონტესკიეს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია? დაამტკიცეთ, რომ ეს თეორია აბსოლუტიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. 4. როგორია რუსოს შეხედულებანი. შეადარეთ რუსოს აზრები ვოლტერისა და მონტესკიეს შეხედულებებს. 5. როგორი იყო პირველი ფრანგული ენციკლოპედიის მნიშვნელობა? 6. რა მიზნებს ისახავდა ფიზიოკრატთა ეკონომიკური მოძღვრების ძირითადი დებულებები? 7. რაში გამოიხატა საფრანგეთის აბსოლუტური მონარქიის კრიზისი XVIII საუკუნის მიწურულს? 8. რამ განაპირობა გენერალური შტატების მოწვევის აუცილებლობა?

დანართი

ვოლტერი

ლუი XV-ის სიკვდილის შემდეგ ვოლტერმა პარიზში ჩასვლის უფლება მიიღო. მასაც პარიზში გამოჩენამ ნამდვილი სახალხო დღესასწაული გამოიწვია. ქუჩებში მას ოვაციით ხვდებოდნენ, როგორც საფრანგეთის პირველ მწერალს და პირველ მოქალაქეს. ვოლტერი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა კათოლიკური ეკლესიის თვითნებობას და ძალადობას. სიკვდილის წინ კი პირად მდივანს ასეთი აღსარება გადასცა: „მე ვკვდები ისე, რომ თაყვანს ვცემ ღმერთს, მიყვარს ჩემი მეგობრები და არ მძულს მტრები, ხოლო მეზიზღება ძალმომრეობა“.

მონტესკიე

„სპარსულ წერილებში“ მონტესკიე ირონიულად იხსიენებს საფრანგეთის სამეფო კარს, სამღვდელოებას, ფრანგულ სინამდვილეს. იგი წერს: „საფრანგეთის მონარქი ყველაზე ძლიერი მეფეა ევროპაში, მას არ მოეპოვება ოქროს საბადოები,

როგორიც მის მეზობელს — ესპანეთის მეფეს, მაგრამ იგი უფრო მდიდარია, ვინაიდან სიმდიდრეს ქაჩავს თავისი ქვეშევრდომებიდან, რაც უფრო დაუშრეტელი წყაროა, ვიდრე საბადოები".

რუსო

თავის დამოკიდებულებას თავისუფლებისადმი რუსო შემდეგნაირად გამოხატავდა: „როცა ხალხი მორჩილია, ის კარგად იქცევა, მაგრამ როგორც კი მას შესაძლებლობა ეძლევა მოიძროს ბორკილები, იგი მაისგან თავისუფლდება და კიდეე უფრო უკეთესად იქცევა. ხალხი თავისუფლებას იგივე უფლებით იბრუნებს, რა უფლებითაც წაერთვა იგი. მას აქვს უფლება თავისუფლების ღაბრუნებისა, რადგან მისთვის მისი უფლებების წართმევის არავითარი საფუძველი არ არსებობდა"

დიდრო

ენციკლოპედიის პირველსავე ტომში გამოქვეყნდა დიდროს სტატია „პოლიტიკური ძალაუფლების შესახებ", რომელშიც ვკითხულობთ: „არც ერთ ადამიანს ბუნებისგან არა აქვს ბოძებული სხვებზე ბატონობის უფლება. თავისუფლება ბუნების საჩუქარია და ყოველ ინდივიდს თანაბრად ეკუთვნის".

საქართველო დიდროს ენციკლოპედიაში

დიდროს ენციკლოპედიაში არის სტატიები, რომლებიც ჩვენს სამშობლოს შეეხება. წერილები საქართველოზე უმთავრესად ლუი დე ჟოკურს ეკუთვნის. ჟოკური ემყარებოდა ყველაზე ცნობილ და ავტორიტეტულ მასალებს, რომლებიც იმ დროს საქართველოს შესახებ არსებობდა. ენციკლოპედიაში აისახა როგორც ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების თხზულებებში შემონახული ძვირფასი ცნობები, ისე ახალი დროის ევროპელი მოგზაურების: შარდენის, ტავერნიეს, ტურნეფორის, ლამბერტისა და სხვათა მონათხრობები.

ენციკლოპედიაში მთავარი ყურადღება ექცევა მასალებს თანამედროვე საქართველოზე. საქართველოზე ძირითადი სტატიის გარდა ენციკლოპედიაში მოთავსებულია წერილები ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებზეც, მოცემულია ცნობები ჩვენი ქვეყნის მთავარ ქალაქებსა და მდინარეებზე.

საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ ჟოკური წერს, რომ იგი მდინარე მტკვარზე მდებარეობს, რომ აქ უძველესი ციხესიმაგრეა შემონახული, რომ ამ ქალაქში გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებს.

ენციკლოპედიაში მოცემულია საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათება, საქართველოს გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, რელიგიის აღწერილობა და სხვ.

საქართველოს ძირძველი მხარის კოლხეთის დახასიათებისას ჟოკურს მოჰყავს ციტატები მონტესკიეს „კანონთა საზრისიდან", სადაც დიდი ფრანგი განმანათლე-

ბელი მსჯელობს ვაჭრობის როლზე და მაგალითად ასახელებს ერთ დროს აყვავებულ კოლხეთს, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებთან ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობები: „დღევანდელი კოლხეთი მხოლოდ ვრცელ ტყეს წარმოადგენს, სადაც ხალხი თავის თავისუფლებას იცავს და ყოველდღე კლებულობს... ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ, თუ ეს ქვეყანა ოდესღაც, რომაელების დროს, სავსე ყოფილა ქალაქებით, სადაც აღებ-მიცემობა იწვევდა მთელი ქვეყნიერების კაცთა ნათესავს. ვერავითარ სახსოვარს ამისთანა აღებ-მიცემობისას ადგილობრივ ვეღარ ვპოულობთ... მისვლა-მოსვლა შემდეგ მოისპო, რადგან ეს ქვეყანა ააოხრეს თათრებმა და ეს ამკლები ერი დღესაც ამ ქვეყანაში ცხოვრობს მკვიდრთა გასანადგურებლად“.

დავალება

შეადგინეთ ცხრილი: განმანათლებლების დამოკიდებულება სახელმწიფოს მმართველობის ფორმისადმი

შეხედულებები	ვოლტერი	მონტესკიე	რუსო
სახელმწიფოს მმართველობის ფორმა			

XX თავი
საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისი

§ 1. გენერალური შტატების მოწვევა. 1789 წლის 5 მაისს ვერსალში[1] შეიკრიბნენ გენერალური შტატების დეპუტატები. შტატების საზეიმო გახსნის პროცედურა ტრადიციული ცერემონიალით წარიმართა. ეტიკეტის[2] ყოველი ელემენტი დეპუტატებს შეახსენებდა სახელმწიფოში მათ ადგილს და მდგომარეობას. სამღვდელოებას მდიდრული თეთრი და იისფერი ანაფორები ეცვა. თავადაზნაურობას ოქროს ქსოვილის სამოსი ამშვენებდა, მესამე წოდების წარმომადგენლები კი სად,

[1] ვერსალი — სასახლეების ქალაქი, რომელიც საფრანგეთის მეფემ ლუი XIV-მ აგებინა პარიზიდან 17 კილომეტრის მოშორებით.

[2] ეტიკეტი — საზოგადოებაში ურთიერთობის, თავის დაჭერის წესების კრებული.

შავ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. როდესაც მეფე ტახტზე აბრძანდა და ქუდი დაიხურა, მას პრივილეგირებულებმაც მიბაძეს. მაგრამ მოხდა სასწაული — ნაკლად იმისა, რომ ტრადიციულად ქუდმოხდილებს მუხლი მოეყარათ, მესამე წოდების დეპუტატებმაც ქუდები დაიხურეს. ამით ბურჟუაზიამ ყველას აგრძნობინა, რომ ქედის მოხრას არ აპირებდა.

გენერალური შტატების მუშაობის პერიოდში მესამე წოდების დეპუტატები ხალხის მხარდაჭერას გრძნობდნენ. ხალხი გენერალური შტატების შენობასთან იკრიბებოდა და თავისი წარმომადგენლებისაგან აქტიურ მოქმედებას მოითხოვდა. მესამე წოდების დეპუტატები თვლიდნენ, რომ ისინი ფრანგი ერის 96 %-ს განასახიერებდნენ და თავს მთელი ერის ჭეშმარიტ წარმომადგენლად მიჩნევდნენ. ამიტომ 17 ივნისს მათ საფრანგეთის უზენაეს ხელისუფლებად — ე რ ო ვ ნ უ ლ კ რ ე ბ ა დ გამოაცხადეს თავი.

სამეფო კარმა ურჩი გენერალური შტატების დაშლა გადაწყვიტა. 20 ივნისს, როდესაც დეპუტატები სამუშაოდ მივიდნენ, მესამე წოდების სხდომათა დარბაზი ჩარაზული დახვდათ. დახურული კარების წინ, კოკისპირულ წვიმაში შეკრებილმა დეპუტატებმა სპორტულ დარბაზს შეაფარეს თავი და იქ ფეხზე მდგომებმა (რადგან დარბაზში სკამები არ იყო) შეჰფიცეს არ დაშლილიყვნენ, სანამ კონსტიტუციას არ შეიმუშავებდნენ. 9 ივლისს ეროვნულმა კრებამ თავი დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ კ რ ე ბ ა დ[1] გამოაცხადა და თავისი ძირითადი ფუნქციის განხორციელებას — კონსტიტუციის შემუშავებას შეუდგა.

§ 2. ბასტილიის აღება. მეფემ დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ ძალის გამოყენება გადაწყვიტა. ვერსალში ჯარების თავმოყრა დაიწყო, პარიზის ირგვლივ პროვინციიდან მოწვეული 50 ათასიანი არმია განალაგა. ხელისუფლების მოქმედებამ პარიზელები აღაშფოთა, დედაქალაქში მღელვარება დაიწყო. პარიზის ბურჟუაზიამ მუნიციპალიტეტის[2] შენობა დაიკავა, ქალაქის ახალი თვითმმართველობა შეადგინა და შეძლებული მოქალაქეებისაგან ეროვნული გვარდია შექმნა. პარიზის გვარდიას ამერიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილე ძალზე პოპულარული ფრანგი გენერალი ლაფაიეტი ჩაუდგა სათავეში.

---

[1] დამფუძნებელი კრება — უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც კონსტიტუციის შესაქმნელად ან შესაცვლელად მოიწვევენ ხოლმე.

[2] მუნიციპალიტეტი — საფრანგეთში მსხვილ დასახლებულ პუნქტებს კომუნები (ე.ი. თემები) ერქვა. თემებს თვითმმართველობის საკუთარი ორგანოები — მუნიციპალიტეტები ჰქონდა. ხშირად მუნიციპალიტეტებს კომუნებსაც უწოდებენ ხოლმე.

სურათი 37

ფიცი ბურთის სათამაშო დარბაზში
(დავიდის ნახატი)

ივლისის შუა რიცხვებისათვის ნათელი გახდა, რომ მეფის არმიის სიმპათიები ხალხის მხარეზე გადაიხარა. ამით გაბრაზებულმა პარიზელებმა 14 ივლისს ხელთ იგდეს არსენალი [1], თოფებითა და ზარბაზნებით შეიარაღდნენ და შეტევით აიღეს თვითმპყრობელობის საყრდენი პარიზში, ციხესიმაგრე და საპყრობილე ბ ა ს ტ ი ლ ი ა [2].

---

[1] არსენალი სამხედრო იარაღისა და საჭურველის საწყობი.

[2] რევოლუციის დროს ბასტილია საფუძვლიანად დანგრიეს. მისი სახელწოდება დღესდღეობით შენორჩენილი აქვს იმ მოედანს, რომელიც ციხის ადგილას მოაწყვეს.

სურათი 38



ბასტილიის აღება

ბასტილიის აღება ხალხის დიდი გამარჯვება იყო. მეფე იძულებული შეიქნა ეცნო დამფუძნებელი კრება და ელიარებინა, რომ კანონები დამფუძნებელ კრებას უნდა გამოეცა. დამფუძნებელი კრების დეპუტატთა შორის განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიხვეჭა თვალსაჩინო პიროვნებამ ონორე გაბრიელ მირაბომ.

ლუი XVI რამდენიმე დღით პარიზში ჩავიდა. ეს ნიშნავდა, რომ მან რევოლუციის შედეგები აღიარა. მეფისა და პარიზელების შეთანხმების ნიშნად სამეფო დროშის თეთრი ფერი და პარიზის გერბის წითელი და ლურჯი ფერები შეაერთეს. ამგვარად შეიქმნა საფრანგეთის სამფეროვანი სახელმწიფო დროშა. ამით დასრულდა საფრანგეთში აბსოლუტიზმი და დაიწყო კონსტიტუციური მონარქიის პერიოდი.


ინგლისი
ლა-მანში
ბელგია
ბელგიის
ბელგიის
ბელგიის

26 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ მომავალი კონსტიტუციის შესავალი ნაწილი — „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ გამოაქვეყნა.

ლუი XVI მერყეობდა. იგი არ ამტკიცებდა დამფუძნებელი კრების დეკრეტებს. პარიზში მღელვარება გრძელდებოდა. შემოდგომაზე უმუშევრობამ იმატა, თავი იჩინა სურსათის ნაკლებობამ. 5 ოქტომბერს 20 ათასამდე პარიზელი (ძირითადად ქალები) ვერსალს გაემართა. ხალხი პურს და მეფის ადგილსამყოფელის შეცვლას, პარიზში მის გადასვლას მოითხოვდა. მეფე სისხლისღვრას მოერიდა. 6 ოქტომბერს იგი თავისი ოჯახით, ხალხის თანხლებით პარიზში ჩავიდა. აქ მან აგვისტოს დეკრეტები დამტკიცა.

მეფესთან ერთად პარიზში დამფუძნებელი კრებაც გადავიდა. ოქტომბრის შუა რიცხვებში ძველი რეჟიმის მოწინააღმდეგე დეპუტატებმა წმინდა იაკობის (ფრანგულად ჟაკობის) მონასტრის შენობაში დაიწყეს შეკრება. შეკრების ადგილის მიხედვით ამ კლუბის წევრებს იაკობინები (ფრანგულად ჟაკობენები) უწოდეს. იაკობინთა კლუბში რიგითი პარიზელებიც გაერთიანდნენ.

§ 4. ვარენის კრიზისი და 1791 წლის კონსტიტუცია. ლუი XVI ვერ ურიგდებოდა მისი ძალაუფლების შეზღუდვას და ევროპელ მონარქებს დახმარებას სთხოვდა. ამისთვისვე იღვწოდნენ საზღვარგარეთ მყოფი მეფის ძმები და ემიგრანტი დიდებულები. ლუი XVI-მ გადაწყვიტა ემიგრაციას შეერთებოდა. 1791 წლის 21 ივნისს ლაქიას ტანსაცმელში გამოწყობილი მეფე, თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, პარიზიდან გაიქცა. ბელგიის საზღვართან, ვარენში საფოსტო სადგურის უფროსმა ეტლში მჯდომი შაპური ძლიერ მიამგავსა ოქროს მონეტებზე აღბეჭდილ ლუი XVI-ის გამოსახულებას. მისი ეჭვები გამართლდა. მრავალი ათასი შეიარაღებული გლეხისა და ეროვნული გვარდიელის თანხლებით მეფე პარიზში დაბრუნეს.

მეფის გაქცევის მცდელობა პარიზელებმა ღალატად აღიქვეს. სახალხო მოძრაობა ხელახლა აზვირთდა. ეწყობოდა დემონსტრაციები ლუი XVI-ის დამხობის მოთხოვნით. დამფუძნებელმა კრებამ მეფესთან შეთანხმება ამჯობინა, მონარქის მოწინააღმდეგეებმა კი 1791 წლის 17 ივლისს მარსის მინდორზე დემონსტრაცია მოაწყვეს. ეროვნულმა გვარდიელებმა ლაფაიეტის მეთაურობით დემონსტრანტებს ტყვია დაუშინეს. დაიღუპა რამდენიმე ათეული, დაიჭრა რამდენიმე ასეული ადამიანი. ასე მოხდა პირველი სისხლიანი შეტაკება მესამე წოდების წარმომადგენლთა შორის.

იაკობინთა კლუბმა, დაგმო ლაფაიეტის გვარდიელების მიერ მარსის მინდორზე

ჩადენილი სისხლისღვრა. მაშინ ლაფაიეტის თანამოაზრეებმა იაკობინთა კლუბი მიატოვეს და კონსტიტუციური მონარქიის მომხრეთაგან ფეიანთა [1] კლუბი შექმნეს.

1791 წლის სექტემბერში დამფუძნებელმა კრებამ დაასრულა კონსტიტუციაზე მუშაობა. კონსტიტუციას ხელისუფლების დანაწილების პრინციპი შემოჰქონდა. მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ძალაუფლება რჩებოდა. საკანონმდებლო ხელისუფლება საკანონმდებლო კრებას უნდა გადასცემოდა. საკანონმდებლო კრებას ქონებრივი ცენზის საფუძველზე ირჩევდნენ. მეფეს ენიჭებოდა საკანონმდებლო კრების მიერ მიღებული კანონებისა და დეკრეტების დროებითი შეჩერების — „შემაკავებელი ვეტოს“ — უფლება.

§ 5. ომის დასაწყისი. სამეფო ხელისუფლების დამხობა. დამფუძნებელმა კრებამ კონსტიტუციის მიღებით თავისი ფუნქციები ამოწურა. იგი დაიშალა და 1791 წლის 1 ოქტომბერს ახალი კონსტიტუციის საფუძველზე არჩეულ საკანონმდებლო კრებას დაუთმო ადგილი. საკანონმდებლო კრება აჰყვა მოსახლეობის საერთო პატრიოტულ განწყობილებას, არ გაითვალისწინა სამეფო კარის კავშირი საზღვარგარეთის ქვეყნებთან და მიუხედავად ომისათვის საფრანგეთის მოუმზადებლობისა, 1792 წლის 20 აპრილს ომი გამოუცხადა ავსტრიასა და პრუსიას, რომელთა თვითმპყრობელი მონარქები არ მალავდნენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას რევოლუციისადმი და აშკარად ემზადებოდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ საომრად.

ომი საფრანგეთისათვის წარუმატებლად დაიწყო. ჯარისკაცები არ ენდობოდნენ „ძველი რეჟიმის“ ოფიცრებს. ავსტრიელებმა და პრუსიელებმა საფრანგეთის რამდენიმე სასაზღვრო ციხესიმაგრე დაიკავეს. კატასტროფის დასაჩქარებლად საფრანგეთის დედოფალმა ავსტრიელებს ფრანგთა სამხედრო მოქმედების გეგმები გაუგზავნა.

ფრანგი ახალგაზრდები კი სამშობლოს დამცველთა რაზმებს ადგენდნენ. პროვინციებიდან პარიზისკენ გაემართა მოხალისე დამცველთა — „ფედერატთა“ [2] 20 ათასიანი არმია. ქალაქ მარსელიდან პარიზისაკენ მიმავალი ბატალიონი

---

[1] ფეიანები — სახელწოდება წარმოდგა ფეიანთა მონასტრისაგან, სადაც იკრიბებოდნენ ამ კლუბის წევრები.

[2] ფედერატები — საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს მოხალისეთა გაერთიანების (ფედერაციების) წევრები, რომლებიც შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

რუკა 11

საფრანგეთი 1792 წელს

ინგლისი
ჩრდილოეთის ზღვა
ბალტიკის ზღვა
ბალტიკა
ბალტიკის ზღვა
რუსეთის იმპერია
ბალტიკა
ბალტიკის ზღვა
ბალტიკა
ბალტიკის ზღვა
ბალტიკა
ბალტიკის ზღვა

სტრასბურგის გარნიზონის ოფიცრის რუჟე დე ლილის მიერ ახლადშექმნილ პატრიოტულ ლეკვე აწყობილ სიმღერას მღეროდა. ამჟამად ეს სიმღერა საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნია. მისი პირველი მასობრივი შემსრულებლების — მარსელელების პატივსაცემად მას „მარსელიეზა“ ეწოდა.

11 ივლისს საკანონმდებლო კრებამ „სამშობლო საფრთხეში“ გამოაცხადა. პარიზელებს საფრანგეთის დასაცავად იარაღი დაურიგეს. 26 ივლისს საფრანგეთში ვავრცელდა პრუსიის არმიის მთავარსარდლის ბრაუნშვაიგის ჰერცოგის მანიფესტი, რომელიც პარიზელებს მკაცრი ანგარიშწორებით ემუქრებოდა, თუკი ისინი ლუი XVI-ის წინააღმდეგ ამხედრდებოდნენ. მანიფესტს საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა. 10 აგვისტოს პარიზელები აჯანყდნენ, შექმნეს სახალხო თვითმმართველობა — პარიზის კომუნა [1]. კომუნის მოწოდებით ხალხი მეფის სამყოფელში — ტიუილრის სასახლეში შეიჭრა. მეფე ტამპლის ციხეში მოათავსეს. საფრანგეთში მონარქია დაეცა.

? 1. განსაზღვრეთ რა მოვლენებმა განაპირობა გენერალური შტატების ერთიანულ კრებად, შემდეგ კი დამფუძნებელ კრებად გადაქცევა. 2. რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ცვლილებებს? 3. რა შედეგი მოჰყვა ბასტილიის აღებას? 4. რა გავლენა მოახდინა 1791 წლის პოლიტიკურ მოვლენებზე მეფის გაქცევის მცდელობამ? 5. მოიფიქრეთ, რომელი განმანათლებლის შეხედულებები აირეკლა 1791 წლის კონსტიტუციაში? 6. რამ განაპირობა ავსტრიასთან და პრუსიასთან ომის დაწყება? 7. განსაზღვრეთ 10 აგვისტოს მოვლენათა მიზეზები და მნიშვნელობა.

დანართი

ისტორიული წყარო

რენოს ოლქის შატილიონ-სურ-სეშის მრევლის გლეხთა განაწესიდან, რომელიც გადაეცა გენერალურ შტატებში ახარჩეე დეპუტატს

1. რომ ყველა სახეობის ბეგარა-გადასახადები ნაწილდებოდეს თანაბრად, წოდებათა განურჩევლად, ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე, რომ ამით ხელი შეეწყოს იმ ბოროტმოქმედებათა მოსპობას, რომლებიც ასე დიდი ხანია გამეფდა ხხვადასხვაგვარ დაბეგვრაში და უკიდურესად მძიმეტვირთად აწევს მესამე წოდებას.

---

[1] კომუნა სიტყვასიტყვით საერთოს, საზოგადოს ნიშნავს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ქალაქის მუნიციპალურ თვითმმართველობას ეწოდა კომუნა.

2. რომ ამიერიდან არც ერთი გადასახადი არ დაწესდეს ისე, თუ ერის თანხმობა და ხელშეწყობა არ იქნება.

3. რომ სრულიად მოისპოს საგზაო ბაჟი და რომ არასოდეს არ შეიძლებოდეს ბაჟის გადახდევინება ნატურით, ბაჟი უნდა შეიცვალოს დაბეგვრით და თანაბრად დაეკისროს სამივე წოდებას განურჩევლად...

5. მოისპოს ფეოდალური წყობილება; ამასთან დაკავშირებით გამოიცეს ბრძანება, რომ გაუქმდეს რენტები და სენიორთა უფლებები...

8. მოისპოს ყოველგვარი მეათედი, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება საკუთრების თავისუფლებას და მავნეა სოფლის მეურნეობისათვის...

10. რომ ნება მიეცეს სოფლის თითოეულ მცხოვრებს წაიღოს საფქვავი იმ წისქვილში, სადაც მას სურს, რომ იგი ვალდებული არ იყოს საფქვავი დაჰქონდეს ერთ მითითებულ წისქვილში, რადგან ეს ფეოდალური უფლება უწინდელი ფეოდალური წყობილების ტირანული შედეგია.

11. რომ მოისპოს სამტრედეები და რომ თითოეულ მოქალაქეს, რომელსაც მტრედები და სხვა რომელიმე ფრინველი ჰყავს, ევალებოდეს დამწყვდეული იყოლიოს ისინი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზარალი, რომელიც ოდითგანვე ტანჯავს მოსახლეობას...

13. რომ მოისპოს ნადირობის განსაკუთრებული უფლება... და რომ თითოეულ მოქალაქეს შეეძლოს ისარგებლოს ამ უფლებით ისე, რომ ზარალი არ მიაყენოს დანარჩენ მოსახლეობას.

„ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციიდან"

ეროვნული კრება აღიარებს და აცხადებს უმაღლესი არსებისა და მფარველის წინაშე ადამიანისა და მოქალაქის შემდეგ უფლებებს:

1. ადამიანები თავისუფალი და თანასწორუფლებიანი იბადებიან. საზოგადოებრივი სხვაობანი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ საერთო სარგებლობას.

2. ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის მიზანია შეინარჩუნოს ადამიანის ბუნებრივი და ხელშეუვალი უფლებანი. ამ უფლებათა არსია: თავისუფლება, საკუთრება, უშიშროება და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობა.

3. მთელი უმაღლესი ხელისუფლების წყარო მუდამ ხალხშია. არცერთ დაწესებულებას, არც ერთ პიროვნებას არ ძალუძს ხელისუფლება, თუ იგი უშუალოდ ხალხის წიაღიდან არ მოდის.

4. თავისუფლება ნიშნავს მოიმოქმედო ყველაფერი, რაც არ ვნებს მეორეს...

6. კანონი საერთო ნება-სურვილის გამოხატულებაა... კანონი ყველასათვის თანაბარი უნდა იყოს...

10. არავინ არ უნდა დაისაჯოს თავისი, თუნდაც რელიგიური რწმენისათვის, თუკი მისი გამოვლენა კანონით დადგენილ საზოგადოებრივ წესრიგს არ არღვევს...

17. რადგან საკუთრება ურყევი და წმიდათაწმიდა უფლებაა, ამიტომ არავის არ უნდა ჩამოერთვას იგი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას აშკარად მოითხოვს კანონით დადასტურებული საზოგადოებრივი აუცილებლობა, ამასთან, სამართლიანი და წინასწარი გასამრჯელოს პირობით.

დასკვნა

გაეცანით ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის დებულებებს. შეადარეთ ისინი: 1) საფრანგეთის აბსოლუტიზმის საფუძვლებს; 2) ამერიკის „დამოუკიდებლობის დეკლარაციის" პრინციპებს.

XXI თავი
პირველი რესპუბლიკა საფრანგეთში

§ 1. ჟირონდული კონვენტი[1]. საფრანგეთში პრუსიის არმიის შეჭრას და სამეფო ხელისუფლების დამხობას მოჰყვა საკანონმდებლო კრების გადაწყვეტილება სრულწლოვანი მამაკაცების მიერ ხელისუფლების ახალი უზენაესი ორგანოს — კონვენტის საყოველთაო საარჩევნო წესით არჩევის შესახებ.

1792 წლის 20 სექტემბერს პატარა სოფელ ვალმისთან გადამწყვეტ ბრძოლაში ნახევრად მშიერმა, ცუდად შეიარაღებულმა, მაგრამ სამშობლოს დაცვის დიადი იდეით გულანთებულმა ჯარისკაცებმა, ფედერატებმა და პარიზის ეროვნულმა გვარდიელებმა პრუსიის გაწვრთნილი არმია უკუაქციეს. მალე ფრანგებმა მტერი სამშობლოდან განდევნეს, შემდეგ კი მთელი ბელგია დაიკავეს.

ვალმისთან გამარჯვება საყოველთაო კენჭისყრით არჩეული კონვენტის პირველი სხდომის გახსნას დაემთხვა. კონვენტში თაკიდანვე სამი დაჯგუფება

---

[1] კონვენტი (ლათინურად "კონვენტუს" — კრება, თავყრილობა) — უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

გამოიკვეთა: რევოლუციური დემოკრატები — ი ა კ ო ბ ი ნ ე ბ ი, ლიბერალური დემოკრატები — ჟ ი რ ო ნ დ ე ლ ე ბ ი[1] და მერყევი დეპუტატების დიდი უმრავლესობა, ე.წ. „ჭ ა ო ბ ი“, რომელიც კონვენტის სამ მეოთხედს შეადგენდა. თავდაპირველად „ჭაობი“ დეპუტატ ბრისოს გარშემო დაჯგუფებულ დასს, ე.წ. ჟირონდელებს უჭერდა მხარს. ამიტომ კონვენტში ჟირონდელები ხმების უმრავლესობას ილებდნენ და კონვენტსაც ჟირონდელს უწოდებდნენ. რევოლუციური-დემოკრატები-იაკობინები კი 1792 წლის 10 აგვისტოს აჯანყების შედეგად წარმოშობილ პარიზის კომუნას ეყრდნობოდნენ. კონვენტის პირველი დეკრეტები მეფის ხელისუფლების გაუქმებას და საფრანგეთის რესპუბლიკად გამოცხადებას იუწყებოდა.

1792 წლის მიწურულს კონვენტში დაძაბული ბრძოლა გამოიწვია ლუი XVI-ის საკითხმა. მეფეს უცხოელ მოსარჩებთან კავშირი და სახელმწიფოს ღალატი ედებოდა ბრალად. კონვენტმა მეფე გასამართლა. პარიზის კომუნისა და იაკობინთა ზემოქმედებით მეფე დამნაშავედ ცნეს. 1793 წლის 21 იანვარს იგი გილიოტინაზე[2] სიკვდილით დასაჯეს.

მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ საფრანგეთის წინააღმდეგ მებრძოლ პრუსიასა და ავსტრიას შეუერთდა ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო ინგლისის მეთაურობით. ბუნებრივია, რომ ეკატერინე II-ის რუსეთიც ანტიფრანგულ კოალიციას მიეჭრო და რესპუბლიკურ მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა.

საფრანგეთის ყოველი მხრიდან მოძალებული მტრის შემოტევა უნდა მოეგერიებინა. ფრონტებად გადაიქცა არა მხოლოდ საფრანგეთის სახმელეთო საზღვრები, არამედ ხმელთაშუა ზღვის და ატლანტის ოკეანის სანაპიროებიც, რადგან დიდი ბრიტანეთის ფლოტმა აქტიური სამხედრო ოპერაციები გაიჩაღა. მდგომარეობა ვაართულა ინგლისური ფლოტის მხარდაჭერით დასავლეთის პროვინციაში — ვენდეაში დაწყებულმა ანტირესპუბლიკურმა ამბოხებამ. მალე ვანდეას საფრანგეთის მეორე პროვინცია ბრეტანიც შეუერთდა.

საფრანგეთის არმია მარცხს მარცხზე განიცდიდა. პირველი რესპუბლიკა კვლავ

---

[1] ამ დაჯგუფების სახელწოდება წარმოდგება ჟირონდის დეპარტამენტის სახელის მიხედვით, რადგან მისი ბელადების დიდი ნაწილი ამ დეპარტამენტის წარმომადგენლები იყვნენ.

[2] გილიოტინა — ადამიანის სიკვდილით დასჯის (თავის მოსაკვეთი) მანქანა. შემოიღეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ექიმ გილიოტინის წინადადებით.

ინტერვენციის[1] საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. პარიზის კომუნამ და იაკობინებმა, საკუთარი სამართლიანად, სამხედრო წარუმატებლობების პასუხისმგებლად ჟირონდელები მიიჩნიეს და ხელისუფლებიდან მათი ჩამოცილება მოითხოვეს. ჟირონდელები, იაკობინთა წინააღმდეგ კონტრშეტევაზე გადავიდნენ. მათ კომუნას და იაკობინებს არაკონსტიტუციურ მოქმედებასა და ძალადობრივი აქციების მოწყობაში დასდეს ბრალი. იაკობინებსა და ჟირონდელებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა.

იაკობინების მომხრე პარიზის აბობოქრებული მოსახლეობა 1793 წლის მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში ორჯერ შეეცადა კონვენტში შეჭრას ჟირონდელთა დასჯის მოთხოვნით. ჟირონდელების მიერ წაქეზებულმა ლიონის მცხოვრებლებმა კი აჯანყება მოაწყვეს და ადგილობრივი იაკობინების ხელმძღვანელი მოკლეს.

„ჭაობმა" სწორად განსაზღვრა, რომ შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში, რესპუბლიკის თავდაცვის ორგანიზაციას ხალხის ფართო მასებზე დაყრდნობით მხოლოდ იაკობინები შეძლებდნენ. „ჭაობი" იაკობინებს მიემხრო. კონვენტმა ხმების უმრავლესობით 1793 წლის 2 ივნისს ჟირონდელთა ბელადების დაპატიმრების დადგენილება გამოიტანა. ხელისუფლების სათავეში იაკობინები მოექცნენ.

§ 2. იაკობინთა დიქტატურა. იაკობინებს არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში მოუხდათ სახელმწიფოს მართვა. პირველი რესპუბლიკა ფრონტების ცეცხლოვან რკალში იმყოფებოდა. საფრანგეთი მონარქისტების, ფეოდალების და ჟირონდელების მიერ ორგანიზებულ შეთქმულებებისა და ამბოხებების ალში იყო გახვეული.

პირველი რესპუბლიკის გადასარჩენად იაკობინებმა კონვენტს 1793 წლის 24 ივნისს უკიდურესად დემოკრატიული კონსტიტუცია მიაღებინეს. კონსტიტუცია ჭინებრივ ცენზს აუქმებდა და სრულწლოვანი მამაკაცებისთვის საყოველთაო საარჩევნო უფლება შემოჰქონდა. კონსტიტუციის მიღებისთანავე კონვენტს თავისი მოქმედება უნდა შეეწყვიტა. მაგრამ მეტისმეტად გართულებული საშინაო და საგარეო მდგომარეობის გამო, საფრანგეთის მოსახლეობის პირველადმა კრებებმა კონვენტის უფლებამოსილება ომის დამთავრებამდე გააგრძელეს.

1793 წლის 10 ივლისს კონვენტმა კანონით „მმართველობის დროებითი რევოლუციური წესრიგის" შესახებ იურიდიულად გააფორმა იაკობინთა დიქტატურის რეჟიმი. კონვენტი საკანონმდებლო ხელისუფლებად რჩებოდა. თავდაცვის, საშინაო

---

[1] ინტერვენცია — სიტყვასიტყვით "ჩარევა" ნიშნავს. ოფიციალურ ენაში "შეიარაღებული ჩარევა.

რუკა 12

საფრანგეთი 1793-1794 წლებში

ინგლისი
ირლანდია
ბალტიის ზღვა
ჩრდილოეთის ზღვა
ნორვეგია
ბალტიის ზღვა
ინგლისის არხი
ბელგია
ნიდერლანდები
ბავარია
ავსტრიის იმპერია
ალპები
ბავარიელთა
ბავარია
ალპები
ბავარიელთა
ალპები
ალბანეთი
ალბანეთი
ალბანეთი

და საგარეო პოლიტიკის საკითხებს კონვენტის მიერ არჩეული საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი განაგებდა. კომიტეტს სათავეში მაქსიმილიან რობესპიერი ედგა. ფრონტებზე და პროვინციებში მივლინებული, ფართო უფლებებით აღჭურვილი კონვენტის წევრები — კომისრები საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტს ექვემდებარებოდნენ.

1793 წლის შემოდგომიდან იაკობინთა დიქტატურამ რევოლუციურ ტერორს მიმართა. გამოიცა კანონი „საეჭვოების" შესახებ. მონარქისტებს, ფეიანებს, ჟირონდელებს და რობესპიერის მოწინააღმდეგე იაკობინებსაც კი სიკვდილით სჯიდნენ — გილიოტინაზე ამყავდათ ციხეები „საეჭვოებით" გაივსო, დასტიმრებულთა რიცხვმა 90 ათასს გადააჭარბა.

იაკობინურმა კონვენტმა საფრანგეთის რევოლუციის მნიშვნელობის უკვდავსაყოფად შემოიღო ახალი კალენდარი. თავისუფლების პირველ დღედ გამოცხადდა ბასტილიის აღების თარიღი — 1789 წლის 14 იკლისი, ხოლო თანასწორობის პირველ დღედ — 1792 წლის 22 სექტემბერი, კონვენტის მიერ რესპუბლიკის გამოცხადება. წელთაღრიცხვა უნდა დაწყებულიყო არა ქრისტეს შობიდან, არამედ ამ ორი თარიღიდან. შეიცვალა თვეების სახელწოდებებიც [1].

ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იაკობინებმა ფართოდ გამალეს სპეკულაციისა და სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლა. დააწესეს პროდუქტებზე მტკიცე ფასები, ე.წ. „მაქსიმუმი".

განსაკუთრებით აღსანიშნავია იაკობინთა აგრარული კანონმდებლობა. იაკობინურმა კონვენტმა მიიღო დეკრეტები, რომელთა ძალით ემიგრანტთა და საეკლესიო მიწები განვადებით წვრილ-წვრილ ნაკვეთებად უნდა გაყიდულიყო, სათემო მიწები გლეხთა საკუთრებაში გადადიოდა, ყოველგვარი ფეოდალური გადმონაშთები უსასყიდლოდ უქმდებოდა. ამ საკანონმდებლო აქტების შედეგად მასობრივად შეიქმნა წვრილი გლეხური მეურნეობები, რომლებიც დღესაც შენარჩუნებულია საფრანგეთში.

იაკობინთა მიერ განხორციელებული ღონისძიებები საფრანგეთის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებას ემსახურებოდა. 1793 წლის აგვისტოში კონვენტმა გამოსცა დეკრეტი არმიაში მასობრივი გაწვევის შესახებ. მიწის ნაკვეთის — „მამულის" მესაკუთრე გლეხობა დიდი ენთუზიაზმით დგებოდა სამშობლოს — „მამულის" დამცველთა რიგებში.

მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ იაკობინთა ბელადები: მაქსიმილიან რობესპიერს მარატის მიერ შერქმეულ მეტსახელს „მოუსყიდველს" უწოდებდნენ, ჟან-პოლ მარატს კი მის მიერ დაარსებული გაზეთის სახელწოდების

[1] ბგ. ლეთიდ. ახალი კალენდრის მიხედვით 1794 წლის 27 ივლისს აღნიშნავდნენ: თავისუფლების V წელი, თანასწორობის II წელი, 9 თერმიდორი (იხ. დანართი).

მიხე

იაკობინთა ღონისძიებებმა მალე გამოიღო შედეგი. პირველი რესპუბლიკის არმიამ რაოდენობრივად და ხარისხობრივად ანტიფრანგული კოალიციის ქვეყნების არმიებს გაუსწრო. 1794 წლის გაზაფხულისათვის დამთავრდა საფრანგეთის მიწა-წყლის განთავისუფლება უცხოელთა ჯარებისაგან. 1794 წლის 26 ივნისს ფლერიუსთან ავსტრიელებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ კი საფრანგეთის არმიას ბელგიისკენ გზა ხსნილი ჰქონდა.

საგარეო საფრთხის თავიდან აცილების შემდეგ ფრანგი ბურჟუაზია იაკობინთა ხელისუფლების სათავეში ყოფნას ქვეყნისათვის დაბრკოლებად მიიჩნევდა, რადგან იაკობინური ტერორი და სახელმწიფოს მიერ საქონლის განაწილების მთლიანად თავის ხელში აღების პრინციპი ეწინააღმდეგებოდა თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ „ჭაობის“ საშუალებით კონვენტში რობესპიერისტების წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. 1794 წლის 27 ივლისს, რევოლუციური კალენდრით 9 თერმიდორს, რობესპიერი და მისი თანამებრძოლები დააპატიმრეს. მეორე დღეს ისინი სიკვდილით დასაჯეს. იაკობინთა დიქტატურა დაეშხო.

? 1. განსაზღვრეთ, რა ცვლილებები მოჰყვა 1792 წლის 10 აგვისტოს მოვლენებს საფრანგეთში. 2. როგორია ვალმისთან ბრძოლის ისტორიული შედეგები? 3. რა საკითხებზე ვერ თანხმდებოდნენ ჟირონდელები და იაკობინები? 4. რამ განაპირობა „ჭაობის“ პოზიციის შეცვლა 1793 წლის 2 ივნისს? 5. თქვენი აზრით, იაკობინთა რომელი ღონისძიებები იყო აუცილებელი საფრანგეთის ხსნისათვის? 6. ხომ არ მოგაჩნიათ, რომ რომელიმე მათი ღონისძიება უსარგებლო ან გადაჭარბებული იყო? 7. 1793 წლის იაკობინური კონსტიტუცია შეადარეთ 1971 წლის კონსტიტუციას. 8. იაკობინთა რომელმა ღონისძიებებმა განაპირობა საფრანგეთის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება? 9. განსაზღვრეთ „ჭაობის“ პოზიციის ხელახალი შეცვლის მიზეზები. 10. რამ განაპირობა იაკობინთა დიქტატურის დამხობა, იყო თუ არა გარდაუვალი ეს მოვლენა, რატომ?

დანართი

ისტორიული წყარო

ფეოდალურ უფლებათა სრული და უსასყიდლოდ გაუქმების შესახებ 1793 წლის 17 ივლისის დეკრეტიდან

1. უფლებებთან დაკავშირებული ყველა უწინდელი სენიორული ბეგარა, ღალა, მუდმივი და შემთხვევითი, უსასყიდლოდ უქმდება...

6. ყოფილი სენიორები... და სხვა მფლობელნი დოკუმენტებისა, რომლებიც ადგენენ ან ადასტურებენ ამ დეკრეტით ან წინა კრებების მიერ გამოცემული დეკრეტებით გაუქმებულ უფლებებს, მოვალენი არიან ამ დეკრეტის გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში ჩააბარონ ეს დოკუმენტები... 10 აგვისტომდე ჩაბარებული

დოკუმენტები დაიწვება ამ ღღეს... ყველა დანარჩენი ცეცხლს მიეცემა სამი თვის შემდეგ.

7. იმ პირებს, რომლებიც მხილებული იქნებიან, რომ დამალეს, გაიტაცეს ან წაიღეს წინა მუხლის მიხედვით დასაწვავი დოკუმენტების დედანი თუ პირი, მიესჯებათ 5 წლის კატორღა.

რევოლუციური კალენდარი

რევოლუციური კალენდარის მიხედვით რესპუბლიკის გამოცხადების ღღე — 22 სექტემბერი იყო პირველი თვის (ვანდემიერის) პირველი ღღე. წელიწადი იყოფოდა 12 თვედ; თვეების სახელწოდებები გამოიყვანეს წლის ოთხი დროის მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი ფრანგული სიტყვებიდან: ვანდემიერი (რთველი), ბრიუმერი (ნისლი), ფრიმერი (სიცივე), ნივოზი (თოვლი), პლიუვიოზი (წვიმა), ვანტოზი (ქარი), ჟერმინალი (თესლი, გაღვივება), ფლორეალი (ყვავილი), პრერიალი (მინდორი), მესიდორი (მკა), თერმიდორი (სიცხე), ფრიუქტიდორი (ხილი).

ყოველი თვე შედგებოდა 30 ღღისაგან. შვიდღღიანი კვირის ნაცვლად შემოიღეს ათღღიანი დეკადები. რადგან წელიწადში 360 ღღეზე მეტია, რევოლუციური კალენდარის უკანასკნელი თვის ფრიუქტიდორის მომდევნო რამდენიმე ღღე გამოცხადებული იყო უქმე ღღეებად.

სურათი 40

საფრანგეთის დიდი რევოლუციის
გამოჩენილი მოღვაწენი
ჟან პიერ ბრისო
(15.I.1754 — 31.X.1793)

ჟან პიერ ბრისო

საკანონმდებლო კრების დეპუტატი ჟან პიერ ბრისო ჟირონდელებს მეთაურობდა. მონარქიის დამხობის შემდეგ რევოლუციის შეჩერების მოწოდებით გამოდიოდა. ამით მან რობესპიერისა და მარატის უკმაყოფილება გამოიწვია. 1792 წლის ოქტომბერში იგი თავისი მომხრეებითურთ იაკობინთა კლუბიდან გარიცხეს. 1793 წლის 31 მაისის — 2 ივნისის სახალხო აჯანყების შემდეგ პროვინციაში გაიქცა, მაგრამ დააპატიმრეს და რევოლუციური ტრიბუნალის გადაწყვეტილებით გილიოტინაზე აიყვანეს.

სურათი 41

მაქსიმილიან რობესპიერი

მაქსიმილიან რობესპიერი
(6.V.1758 -- 28.VII.1794)

მაქსიმილიან რობესპიერი ადვოკატის ოჯახში დაიბადა. მიიღო იურიდიული განათლება. ჯერ კიდევ სწავლის წლებში რუსოს იდეების ძლიერი გავლენა განიცადა. 1789 წელს მესამე წოდებამ გენერალურ შტატებში აირჩია. დიდ გავლენას მიაღწია იაკობინთა კლუბში. მონარქიის დამხობის შემდეგ 11 აგვისტოს პარიზის რევოლუციურ კომუნაში აირჩიეს. მარატთან ერთად იგი 1793 წლის 31 მაისის -- 2 ივნისის რევოლუციის პოლიტიკური ხელმძღვანელი იყო. 1793 წლის 27 ივლისიდან იგი საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტში შეიყვანეს. იგი ამ კომიტეტის ფაქტობრივი ხელმძღვანელი გახდა. კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხალხის მობილიზაციაში დიდი როლი შეასრულა. 1794 წლის 27 ივლისს თერმიდორელებმა იგი დააპატიმრეს, მეორე დღეს გასამართლების გარეშე გილიოტინაზე აიყვანეს.

სურათი 42

ჟორჟ ჟაკ დანტონი

ჟორჟ ჟაკ დანტონი
(18.X.1759 -5.IV.1794)

ჟორჟ ჟაკ დანტონი განათლებით იურისტი იყო. დიდი ორატორული ტალანტის წყალობით რევოლუციის დასაწყისშივე ძალზე პოპულარული გახდა. იგი იაკობინთა პოზიციებს იზიარებდა, მხარს უჭერდა 1792 წლის აჯანყებას.

მონარქიის დამხობის შემდეგ იუსტიციის მინისტრის პოსტი დაიკავა. საფრანგეთისათვის უმძიმეს დღეებში — 1792 წლის აგვისტო-სექტემბერში -- დიდი გამბედაობა და ენერგია გამოამჟღავნა, როდესაც ხალხს საშშობლოს დაცვისაკენ მოუწოდებდა. 1792 წელს კონვენტში აირჩიეს. 1793 წელს საზოგადოებრივი ხნის კომიტეტში შეიყვანეს. ჟირონდელთა და იაკობინთა

ბრძოლაში შემრიგებლური პოზიცია დაიკავა. ამის გამო საზოგადოებრივი ხნის კომიტეტს ჩამოაშორეს. 1793-1794 წლების ზამთარში მის გარშემო ჩამოყალიბდა ოპოზიციური დაჯგუფება, რომელიც რევოლუციური ტერორის შემსუბუქებას მოითხოვდა და იაკობინთა პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. იგი, მის მომხრეებთან ერთად, 1794 წლის 5 აპრილს სიკვდილით დასაჯეს.

სურათი 43

ჟან პოლ მარატი

ჟან პოლ მარატი
(24.V.1743 — 13.VII.1793)

ჟან პოლ მარატი დაიბადა შვეიცარიაში, მასწავლებლის ოჯახში. 16 წლისა საფრანგეთში ჩავიდა. დაინტერესებული იყო მედიცინით. რევოლუციის დაწყების შემდეგ მოლიანად ჩამოშორდა მეცნიერებას და მოსახლეობის დაბალი ფენების ინტერესების განხორციელებისათვის ბრძოლას შეუდგა. იგი საკუთარი სახსრებით გამოსცემდა გაზეთ „ხალხის მეგობარს“, რომელიც რევოლუციური დემოკრატების ორგანოდ იქცა. მარატი გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა ჟირონდელების წინააღმდეგ. 1793 წელს იგი კონვენტში აირჩიეს. ავადმყოფობამ მას ხელი შეუშალა აქტიური მონაწილეობა მიეღო კონვენტის მუშაობაში იაკობინთა ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მაინც აგრძელებდა გაზეთის გამოცემას. 1793 წლის 13 ივლისს კონტრრევოლუციონერმა ქალმა შარლოტ კორდემ იგი დანით გამოასალმა სიცოცხლეს. მარატის დასაფლავება გრანდიოზულ მანიფესტაციად იქცა.

დავალება

შეადგინეთ ცხრილი:

საფრანგეთის დიდი რევოლუციის განვითარება

თარიღები	რა მოვლენა:	რა შედეგები მოჰყვა
1789 წლის 5 მაისი		
1789 წლის 14 ივლისი		
1792 წლის 20 აპრილი		
1792 წლის 10 აგვისტო		
1793 წლის 30 მაისი-2 ივნისი		
1794 წლის 27 ივლისი (9 თერმიდორი)		

მეექვსე კარი
ნაპოლეონის ეპოქა

XXII თავი
რესპუბლიკიდან იმპერიამდე

§ 1. თერმიდორული კონვენტი და დირექტორია. 9 თერმიდორის ვადატრიალებას და იაკობინთა დიქტატურის დამხობას კონვენტში „ჭაობის" ბატონობა მოჰყვა.

1795 წლის აგვისტოში კონვენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო. კონსტიტუციის თანახმად, ქონებრივი ცენზის საფუძველზე ორსაფეხურიანი არჩევნებით იქმნებოდა ორპალატიანი საკანონმდებლო კორპუსი. ქვედა პალატა — „ხუთასთა საბჭო" კანონპროექტს წარადგენდა. ზედა პალატა — „უხუცესთა საბჭო" — კანონებს ამტკიცებდა. პალატები ირჩევდნენ ხუთი წევრისაგან შემდგარ აღმასრულებელ ხელისუფლებას — დირექტორიას.

1795 წლის 26 ოქტომბერს კონვენტმა ახალი კონსტიტუციით არჩეულ ორგანოებს დაუთმო ადგილი. ხუთასთა საბჭოსა და უხუცესთა საბჭოს შემადგენლობის ორი მესამედი თერმიდორული გადატრიალების მონაწილეებმა, ე. წ. თერმიდორელებმა შეადგინეს. დირექტორიაშიც მათ მოიკალათეს. დირექტორიაში წამყვან როლს 9 თერმიდორის აქტიური ორგანიზატორი — ბარასი ასრულებდა.

§ 2. თერმიდორული კონვენტისა და დირექტორიის ომები. იაკობინთა საშინაო ღონისძიებებით განპირობებული წარმატებები დირექტორიის მმართველობის პირველ წლებშიც გრძელდებოდა. ანტიფრანგული კოალიციის ბანაკში პრუსიას, ავსტრიასა და რუსეთს შორის პოლონეთის განაწილებასთან დაკავშირებით ატყდა დავა. ამან საფრანგეთს საშუალება მისცა 1795 წელს პრუსიასთან ბაზელში დაედო ზავი და მდინარე რაინის მარცხენა სანაპიროს ქვეყნები მიეერთებინა. აქვე, ბაზელში, ესპანეთთან მიღწეული შეთანხმებით, საფრანგეთ-ესპანეთის ომამდელი საზღვარი აღდგა.

მომდევნო 1796-1797 წლებში საფრანგეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია იტალიაში. 1796 წლის აპრილში საფრანგეთის სამხრეთის არმია ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტის სარდლობით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გავლით იტალიაში შეიჭრა. ფრანგებმა დაქუცმაცებული იტალიის სამეფო-სამთავროებისა და ავსტრიის ჯარები დაამარცხეს. 1797 წლის დასაწყისში ისინი უკვე ავსტრიის ფარგლებში იმყოფებოდნენ. 1797 წლის ოქტომბერში ავსტრიის იმპერატორმა ფრანცმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმად იგი რაინის მარცხენა სანაპიროს და ბელგიას საფრანგეთის შემადგენლობაში ცნობდა. იტალიის ტერიტორიაზე საფრანგეთისაგან დამოკიდებული რამდენიმე რესპუბლიკა ჩამოყალიბდა.

1797 წელს ავსტრიასთან დადებული ზავის შემდეგ საფრანგეთის წინააღმდეგ მხოლოდ ინგლისი აგრძელებდა ბრძოლას. საფრანგეთის ფლოტი ზღვაზე ინგლისის ძლიერ ფლოტს ვერ უწევდა ჯეროვან წინააღმდეგობას. მიუხედავად ამისა, 1798 წლის მაისში საფრანგეთის 30 ათასიანმა არმიამ გენერალ ბონაპარტის მეთაურობით ხმელთაშუა ზღვის გავლით თურქეთის სამფლობელოში ეგვიპტეში შეაღწია. ჰირამიდებთან გამართულ ბრძოლაში მამლუქთა ცხენოსანი ლაშქრის დამარცხების შემდეგ ნაპოლეონმა დაპყრობილ ქვეყანაში საოკუპაციო[1] რეჟიმი დამყარა. ამ დროს ეგვიპტის ნაპირებთან ინგლისის ესკადრამ ნელსონის მეთაურობით გაანადგურა საფრანგეთის ის გემები, რომლითაც ფრანგი ჯარისკაცები ეგვიპტეში ჩავიდნენ.

მდგომარეობა გართულდა იტალიაშიც. საფრანგეთის წინააღმდეგ 1798 წელს შექმნილი ახალი კოალიციის მონაწილე პავლე I-ის რუსეთმა 1799 წელს იტალიაში სუვოროვის მეთაურობით გაგზავნა არმია. სუვოროვმა ფრანგები იტალიიდან განდევნა. და ალპებზე გავლით შვეიცარიაში განლაგებულ ავსტრია-რუსეთის კორპუსთან შესაერთებლად გაემართა. ამასობაში, 1799 წლის სექტემბერში პირველი რესპუბლიკის გენერალმა მასენამ ციურიხში ავსტრია-რუსეთის კორპუსი დამარცხა, ფრანგები შვეიცარიაში შევიდნენ. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სუვოროვიც. როდესაც მან მასენას გამარჯვების ამბავი შეიტყო, წარმოუდგენელად რთულ პირობებში დაღწია თავი ფრანგების რკალს და შვეიცარიის ალპებიდან ავსტრიაში გაიყვანა თავისი ჯარი. რუსეთის არმიის არიერგარდში[2] გენერალ პეტრე ბაგრატიონის შენაერთი იმყოფებოდა. სწორედ მან უზრუნველყო ფრანგთა მოგერიება და რუსეთის არმიის ზურგის დაცვა.

მასენას გამარჯვებამ, მართალია, ვერ აღადგინა ნაპოლეონის მონაპოვარი იტალიაში, მაგრამ საფრანგეთს გარეშე მტრის შემოჭრის საფრთხე თავიდან აიცილა.

ეგვიპტეში მყოფმა ნაპოლეონ ბონაპარტმა სწორად შეაფასა დირექტორიის არამყარი მდგომარეობა. მან არმია თავის გენერლებს ჩაბარა, თვითონ კი ხმელთაშუა ზღვაში სასწაულებრივად დაუსხლტა ინგლისის გემებს და საფრანგეთში დაბრუნდა.

§ 3. 18 ბრიუმერის გადატრიალება. საფრანგეთის ბურჟუაზიას ძლიერი ხელისუფლება სჭირდებოდა, რომელიც მას მდაბიოებისაგან დაიცავდა და ბურბონთა რესტავრაციასაც აარიდებდა. საფრანგეთის მთავარი მეტოქის — ინგლისის სიძლიერესაც დაამხობდა და ევროპასა თუ კოლონიურ ქვეყნებში ფრანგული ბურჟუაზიის ბატონობასაც უზრუნველყოფდა. ყოველივე ამან

---

[1] ოკუპაცია — რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ან ტერიტორიის ნაწილის დაკავება.

[2] არიერგარდი — ჯარის ან ფლოტის ნაწილი, რომელიც ფრონტიდან ზურგიკენ მიმართობისას მთავარ ძალებს ბოლოში მიჰყვება და იცავს.

მოაწიეა სახელმწიფო გადატრიალების იდეა არმიის დახმარებით დირექტორიის დამხობისა და სამხედრო დიქტატურის დამყარების გზით.

ასეთ ვითარებაში პარიზში ჩავიდა 30 წლის გენერალი ბონაპარტი. იტალიისა და ეგვიპტის ლაშქრობის შემდეგ ძალზე პოპულარული ნაპოლეონი სამხედრო გადატრიალების ხელმძღვანელობისათვის შესაფერისი კანდიდატურა იყო. მდიდარი და გავლენიანი ბურჟუაზიის მხარდაჭერით გამხნევებულმა გენერალმა ბონაპარტმა 1799 წლის 9 ნოემბერს, რევოლუციური კალენდრით 18 ბრიუმერს, სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. დირექტორიას ძალაუფლება ჩამოართვეს. ხელისუფლება სამ კონსულს გადაეცა. პირველ კონსულად გამოცხადდა ნაპოლეონ ბონაპარტი.

1799 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა ნაპოლეონის მიერ ნაკარნახევი კონსტიტუცია. მთელი ძალაუფლება ათი წლის ვადით არჩეულ პირველ კონსულს ენიჭებოდა. დანარჩენი ორი კონსული მხოლოდ სათათბირო ხმით სარგებლობდა. კონსტიტუცია პირველ კონსულს გვარით მოიხსენებდა და ნაპოლეონ ბონაპარტს ასახელებდა. ახალი კონსტიტუცია საფრანგეთის სრულწლოვანმა მამაკაცებმა საყოველთაო კენჭისყრით დამტკიცეს, რაც მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული ნაპოლეონის პიროვნებისა და მისი პოლიტიკის პოპულარობით.

§ 4. კონსულობის ომები. ნაპოლეონ ბონაპარტის აღზევება. პირველ კონსულს შესანიშნავად ესმოდა, რომ მისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის უმთავრეს ამოცანად გარეშე მტრის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება რჩებოდა. ამისათვის იტალიაში ფრანგთა პოზიციების გაძლიერება იყო საჭირო. ამ მიზნით 1800 წლის გაზაფხულზე ალპებში სენ-ბერნარის ძნელი უღელტეხილის სწრაფი გადასვლით იგი მოულოდნელად შეიჭრა იტალიაში. 14 ივნისს მარენგოსთან შეუპოვარ ბრძოლაში ავსტრიელები დამარცხდნენ და იტალია დატოვეს. 1801 წელს ავსტრიასთან საზავო ხელშეკრულება დაიდო. ზავის თანახმად, ავსტრია ანტიფრანგული კოალიციიდან გამოდიოდა, აღიარებდა 1797 წლის ზავის პირობებს და საფრანგეთის ძალაუფლებას ცნობდა თითქმის მთელ იტალიაზე, გერმანული სახელმწიფოების ნაწილზე, ბელგიასა და ჰოლანდიაზე.

ინგლისის მიერ კუნძულ მალტის დაპყრობამ, რომლის მიმართ პრეტენზიები ჰქონდა პავლე I-ს, რუსეთის იმპერატორი გააღიზიანა. ნაპოლეონმა პავლე I-თან საერთო ენა გამოძებნა. რუსეთის იმპერატორმა თავისი ჯარები ცენტრალური ევროპიდან გაიწვია და ინგლისთან ომისათვის დაიწყო მზადება.

1801 წლის მარტში რუსეთის იმპერატორი პავლე I მოკლეს. ნაპოლეონს ეშვიც არ ეპარებოდა, რომ პავლე I-ის მკვლელობაში ინგლისის ხელი ერია. რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ნეიტრალიტეტი ამჯობინა. ძლიერი მოკავშირის გარეშე დარჩენილმა ნაპოლეონმა ინგლისთან დაზავება არჩია. 1802 წელს ამიენის ზავით ინგლისი ევროპაში მომხდარ ცვლილებებს ცნობდა, საფრანგეთმა კი ეგვიპტეზე ხელი აიღო და თავისი ჯარი სამშობლოში დააბრუნა.

ძლევამოსილი ომები და საბრძოლო მონაპოვრებით განმტკიცებული საზავო ხელშეკრულებები ფრანგი ხალხის თვალში კიდევ უფრო ზრდიდა ნაპოლეონ ბონაპარტის . - მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის. — ავტორიტეტსა და პოპულარობას. 1802 წლის აგვისტოში ჩატარებული პლებისციტით[1] ნაპოლეონის კონსულობის ვადა მისი სიცოცხლის ბოლომდე იქნა გაგრძელებული.

1804 წლის 18 მაისს მიღებული კონსტიტუციით საფრანგეთი ი მ პ ე რ ი ა დ, ნაპოლეონ ბონაპარტი კი „ ფ რ ა ნ გ თ ა ი მ პ ე რ ა ტ ო რ ა დ “ გამოცხადდა. 1804 წლის 2 დეკემბერს რომის პაპმა პიუს VII-მ იგი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში საზეიმოდ აკურთხა იმპერატორად. საფრანგეთში ბონაპარტთა მემკვიდრეობითი დინასტია გაბატონდა. სიტყვა რესპუბლიკა ხმარებიდან ამოვარდა. რევოლუციური კალენდარი გაუქმდა. 1805 წლიდან აღარ ჩატარებულა ბასტილიის აღების (14 ივლისი) და რესპუბლიკის გამოცხადების (22 სექტემბერი) ისტორიული დღეების წლისთავთა აღმნიშვნელი საზეიმო ცერემონიალი.

? 1. რამ გამოიწვია თერმიდორული კონვენტის პირველ წლებში წარმოებული ომების წარმატებები? 2. განსაზღვრეთ ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი იტალიური ლაშქრობის მნიშვნელობა. 3. როგორი იყო ეგვიპტის ლაშქრობის შედეგები? 4. რამ განაპირობა 18 ბრიუმერის გადატრიალების წარმატება? 5. ჩამოაყალიბეთ ნაპოლეონ ბონაპარტის აღზევების მიზეზები. 6. ინგლისს 1653 წლის ამბები შეადარეთ საფრანგეთში 1799 წელს მომხდარ მოვლენებს.

დანართი

გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტი

ნაპოლეონ ბონაპარტი დაიბადა 1769 წლის 15 აგვისტოს კორსიკაზე, აიაჩოში, ღარიბი აზნაურის, ადვოკატის ოჯახში. 10 წლის ასაკში იგი საფრანგეთის სამხედრო სასწავლებელში მიაბარეს. 1784 წელს სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ პარიზის სამხედრო სკოლაში განაგრძო სწავლა. მამის გარდაცვალების შემდეგ მთელი ოჯახის პატრონობის ტვირთი მას დააწვა, ამიტომაც ნაპოლეონმა საფრანგეთის არმიაში დაიწყო სამსახური კაპრალის ჩინით. რადგან მისი პირველი სამხედრო წოდება კაპრალი იყო, მომცრო აღნაგობის გამო შემდგომში უკვე სახელგანთქმულ მხედართმთავარს ჯარისკაცები საალერსოდ „პატარა კაპრალს“ უწოდებდნენ. ჭაბუკი ნაპოლეონი ბევრს მეცადინეობდა და სწავლობდა. ის კითხულობდა როგორც სპეციალურ, ისე სამეცნიერო, პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას. არაჩვეულებრივმა მეხსიერებამ, ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ მას საშუალება მისცა 20 წლის ასაკისათვის იმ დროისათვის შესაფერისი დიდი განათლება მიეღო.

---

[1] პლებისციტი — საერთო სახალხო კენჭისყრა

რუკა 13

საფრანგეთის ომები 1796-1812 წლებში


საფრანგეთი


1792 წელს საფრანგეთის მიერ მიერთებული ტერიტორია

ნაპოლეონ ბონაპარტის ლაშქრობები

ნაპოლეონი რევოლუციას თავიდანვე მიემხრო. იგი განსაკუთრებით დაუახლოვდა მაქსიმილიან რობესპიერის ძმას ოგუსტენ რობესპიერს. მისი რეკომენდაციით იაკობინებმა იგი ტულონის ოპერაციის ხელმძღვანელად დანიშნეს. 1793 წლის 17 დეკემბერს ინგლისელებისა და კონტრრევოლუციონერების მიერ დაკავებული ტულონი საფრანგეთის რევოლუციურმა არმიამ კაპიტან ბონაპარტის მეთაურობით იერიშით აიღო. ტულონთან გამარჯვებამ ნაპოლეონის სწრაფი დაწინაურება განაპირობა. მას ბრიგადის გენერლის წოდება მიენიჭა.

იაკობინთა დამხობის შემდეგ თერმიდორელებმა რობესპიერთან სიახლოვის გამო ნაპოლეონი ხანმოკლე ვადით დააპატიმრეს. მალე მან 1795 წლის 13 ვანდემიერს (5 ოქტომბერს) მონარქისტულ ამბოხების ჩახშობით თერმიდორელთა სიმპათიებიც მოიხვეჭა. იგი პარიზის გარნიზონის მეთაურად დანიშნეს. 1796 წელს მას იტალიის საზღვარზე განლაგებული არმია ჩააბარეს.

სურათი 44

ნაპოლეონის ბონაპარტი სენ-ბეისათის
უღელტეხილზე კლდეებს შორის
(დავიდის ნახატი)

ა.ვ. სუვოროვი
(1730-1800)

რუსი მხედართმთავარი ალექსანდრე სუვოროვი სამხედრო საქმისადმი მიდრეკილებას ბავშვობიდანვე ამჟღავნებდა. მან 17 წლის ასაკში კაპრალის წოდება მიიღო, არაჩვეულებრივი ნიჭის წყალობით მალე მიაღწია მაღალ სამხედრო ხარისხებს, იგი ფელდმარშალი გახდა. სუვოროვი დიდ ინტერესს იჩენდა სამხედრო ისტორიისადმი და გულდასმით სწავლობდა მსოფლიოს გამოჩენილ მხედართმთავრია სამხედრო ოპერაციებს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის მრავალრიცხოვან ომებში მონაწილეობის შედეგად მან სამხედრო ხელოვნების საკუთარი დამოუკიდებელი პრინციპები შეიმუშავა. სუვოროვი თეორიისა და პრაქტიკის მუდმივ შეხამებას მოითხოვდა. „კაბინეტებში ვერავითარ ბატალიას ვერ მოიგებ, თეორია უპრაქტიკოდ მკვდარია“ — ამბობდა იგი. მან შეადგინა შესანიშნავი თხზულება „გამარჯვების მეცნიერება“. ეს იყო ეროგვარი „ინსტრუქცია“ არა მარტო რიგითი მეომრებისათვის, არამედ მეოთაურებისთვისაც. სუვოროვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჯარისკაცების ფიზიკურ და მხედრულ წვრთნას. „სწავლას იოლად მოეკიდები — ლაშქრობაში გაგიჭირდება, სწავლაში გაიჭირვებ — ლაშქრობა გაგიადვილდება“ — წერდა სუვოროვი.

სურათი 45

სუვოროვი

იმპერატორ პავლე I-ის დროს არმიაში დაამკვიდრეს პრუსიული სამხედრო სისტემის ავტომატიზმი — ჯარისკაცთა უსიტყვო მორჩილება. სუვოროვი ამ სისტემას ვერ ეგუებოდა. ამის გამო 1797 წელს პავლე I-ის ბრძანებით იგი თავის ღარიბ მამულში გააძევეს და დამამცირებელი ზედამხედველობა დაუწესეს.

ხანდაზმულ სახელგანთქმულ სარდალს ჰკითხეს თუ ვინ მიაჩნდა ყველაზე დიდ მხედართმთავრებად. სუვოროვმა დაუყოვნებლივ უპასუხა: ჰანიბალი, ცეზარი, ოდნავი დაფიქრების შემდეგ დაუმატა ნაპოლეონიო და თანაც დასძინა: „შორს მიალაჯებს ეს ახალგაზრდა, დროა აილაგმოსო“. სუვოროვის რჩევა არც თუ ისე იოლი შესასრულებელი აღმოჩნდა.

ადმირალი ნელსონი

ჰორაციო ნელსონი (1758-1805) დაიბადა ინგლისში, ღვთისმსახურის ოჯახში. ნელსონს ზღვის ავადმყოფობა აღმოაჩნდა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მისი სიყვარული ზღვაო.ნობისადმი, რომ უკვე 12 წლის ასაკიდან დაიწყო ფლოტში სამსახური. იგი არაჩვეულებრივი გამბედაობითა და ნიჭით, შრომისუნარიანობითა და ალღოთი გამოირჩეოდა, ამიტომ სწრაფად დაწინაურდა.

1793 წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის დაწყებული ხანგრძლივი ომის დროს ნელსონის მიერ ჩატარებული საზღვაო ოპერაციები სამხედრო ხელოვნების კლასიკურ ნიმუშებადაა მიჩნეული. საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების

წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში ნელსონმა ჯერ თვალი, შემდეგ კი მარჯვენა ხელი დაკარგა.

ნელსონი

ნელსონი

დანიის ნაპირებთან გამართული საზღვაო ბრძოლის დროს მას ოფიცრებმა შეატყობინეს, **რომ მისი გაბედულებით შეცბუნებული ინგლისის გაერთიანებული ესკადრის ხელმძღვანელობა საზღვაო ნიშნებით (დროშის ფრიალით) მას უბრძანებს შეწყვიტოს ბრძოლა და გემები ღია** ზღვაში გაიყვანოს. წარმატებაში დარწმუნებულმა ნელსონმა ჭოგრი ამოგდებული თვალის ბუდესთან მიიტანა, მეორე თვალი მოხუჭა და განაცხადა—ვერ ვხედავ თუ მანიშნებენ რამესო. მან ბრძოლა განაგრძო, საომარი ოპერაცია ინგლისელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

1805 წელს ტრაფალგართან საზღვაო ბრძოლაში ნელსონმა გაანადგურა საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ესკადრა და ესპანეთის ფლოტი. ამ ბრძოლაში იგი დაიღუპა კიდეც. მასზე გლოვის დროს ინგლისელმა მეზღვაურებმა ქუდებზე შავი ზონარები დაიმაგრეს. ამის შემდეგ ეს ორი ზონარი სამუდამოდ იქცა მეზღვაურთა ქუდების აუცილებელ ატრიბუტად. გემი „ვიქტორი", რომელზედაც იმყოფებოდა ნელსონი ტრაფალგარის ბრძოლის დროს, ინახება ინგლისში, როგორც ეროვნული რელიქვია. ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე აღმართულ მაღალ სვეტზე დადგმულია ნელსონის ძეგლი, რომელიც ზღვას გაჰყურებს.

ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა

„როდესაც საზეიმო მომენტში პიუს VII-მ ასწია დიდი საიმპერატორო გვირგვინი, რათა იმპერატორის თავზე დაედგა, ისე როგორც ათი საუკუნის წინათ პიუს VII-ის წინამორბედმა დაადგა გვირგვინი კარლოს დიდს, ნაპოლეონმა უეცრად ხელიდან გამოსტაცა მას ეს გვირგვინი და თვითონ დაიდგა თავზე. ამის შემდეგ დედოფალმა ჟოზეფინამ დაიჩოქა იმპერატორის წინაშე და ნაპოლეონმა თავზე დაადგა მას შომცრო ზომის გვირგვინი.

ამ ექსტს განსაკუთრებული აზრი ჰქონდა. ნაპოლეონს არ სურდა, რომ პაპის დალოცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცემოდა. ამ ზეიმში საფრანგეთის რევოლუციის მიერ წარმოშობილმა ძლევამოსილმა ჯარისკაცმა არ ისურვა, თუ არა საკუთარი ხელით, სხვა ვინმესაგან მიეღო გვირგვინი".

ე. ტარლე, ნაპოლეონი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

დავალება

1795 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები შეადარეთ 1791 და 1793 წლების კონსტიტუციებს. შეადგინეთ ცხრილი: ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად 1791, 1793 და 1795 წლების კონსტიტუციების მიხედვით.

XXIII თავი

პირველი იმპერია საფრანგეთში

§ 1. ნაპოლეონის საშინაო პოლიტიკა. 1804 წელს საფრანგეთში ბონაპარტთა იმპერია დამყარდა, მაგრამ რევოლუციის ძირითადი მონაპოვრები შენარჩუნებული იქნა. ძველი წოდებრივი პრივილეგიები, ფეოდალური მიწათმფლობელობა და სამართალი ისტორიას ჩაბარდა. იმპერატორმა ნაპოლეონ I-მა გააუქმა მმართველობის ყველა ორგანო, რომელსაც ოდნავ მაინც შეეძლო მისი ძალაუფლების შეზღუდვა.

ნაპოლეონი ბურჟუაზიისა და წვრილმეკუთვნე გლეხობის ინტერესებს იცავდა. 1804-1811 წლებში გამოქვეყნდა მისი აქტიური მონაწილეობით შემუშავებული სამოქალაქო, სისხლის სამართლის და კომერციული (ვაჭრობის) კოდექსები. კანონთა ეს კრებულები საკუთრებით თავისუფლად სარგებლობის უზრუნველყოფას და თავისუფალი მეწარმეობის განმტკიცებას ემსახურებოდა. რევოლუციის დროს შეძენილი ქონება მის ახალ მფლობელებს უმტკიცდებოდათ. ნაპოლეონის კოდექსებ, სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობას აკანონებდა.

ნაპოლეონმა არ გააუქმა რევოლუციის დროს შემოღებული საფრანგეთის ადმინისტრაციული დაყოფა დაახლოებით თანაბარ ტერიტორიებად — დეპარტამენტებად. მაგრამ მოსპო ყოველგვარი თვითმმართველობა. დეპარტამენტები შინაგან საქმეთა მინისტრისადმი დაქვემდებარებულ მოხელეებს — პრეფექტებს ჩაბარა, არჩევითი თანამდებობები დანიშნული მოხელეებით შეცვალა. საზოგადოებრივი განწყობილების შესასწავლად და იმპერატორის მოწინააღმდეგე ორგანიზაციების აღმოსაფხვრელად ნაპოლეონმა ჟოზეფ ფუშეს საშუალებით საპოლიციო ზედამხედველობისა და ჯაშუშობის რთული სისტემა შექმნა. ჟურნალ-გაზეთები, თეატრი, ლიტერატურა მკაცრ ცენზურას დაექვემდებარა და ფაქტობრივად მოსპო პოლიტიკური თავისუფლებები.

ნაპოლეონმა მოაწესრიგა საეკლესიო საკითხი. მან ჯერ კიდევ კონსულობისას, 1801 წელს, რომის პაპთან პიუს VII-თან მიაღწია შეთანხმებას ე.წ. კონკორდატს: არქიეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს საფრანგეთის მთავრობა ნიშნავდა, პაპი კი ამტკიცებდა. მღვდლებს, მთავრობასთან შეთანხმებით, ნიშნავდნენ ეპისკოპოსები. სამღვდელოება ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან იღებდა. ამით ეკლესია საერო ხელისუფლებას დაემორჩილა.

იმპერატორმა გაატარა სახელმწიფო ეკონომიკის გამაძლიერებელი ღონისძიებები.

ამოაშრეს ჭაობები, გააშენეს ტყეები და ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები. განსაკუთრებული ყურადღება მრეწველობას დაეთმო. მეფაბრიკეებს შელავათები ეძლეოდათ, შემოიღეს ტექნიკურ მიღწევათა მუდმივი გამოფენები. შექმნეს „საერთო მანუფაქტურული საბჭო“, რომელიც ყოველნაირად უწყობდა ხელს გამოგონებისა და სიახლეების დანერგვას. ჩამოაყალიბეს „ეროვნული მრეწველობის“ წახალისების საზოგადოება, სავაჭრო პალატა, ვაჭრობის მთავარი სათათბირო. იაფი ნედლეულისა და გასაღების ბაზრების მოპოვებისათვის წარმოებულმა ძლევამოსილმა ბრძოლებმა ბიძგი მისცეს მრეწველობის სწრაფ განვითარებას. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა საგარეო ვაჭრობა. ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს გზებისა და ხიდების ფართოდ გაშლილი მშენებლობა. საფრანგეთს ეკონომიკური აღმავლობით ძირითადად ბურჟუაზიამ და შეძლებულმა გლეხობამ ხელიგება. გაუჭობესდა ფეოდალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული მიწის წვრილ მესაკუთრეთა მდგომარეობა.

იმპერია დიდ ყურადღებას უთმობდა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. შემოიღეს ყვავილის აცრა, აშენებდნენ საავადმყოფოებს. ხდებოდა პარიზისა და სხვა ქალაქების კეთილმოწყობა. მიმდინარეობდა მთელი რიგი ქალაქების რეკონსტრუქცია ახალი დაგეგმარების მიხედვით.

საფრანგეთის ეკონომიკური სიძლიერის ზრდის კვალდაკვალ იმპერატორ ნაპოლეონის კარის ბრწყინვალება მატულობდა. ოქროს ქოვილებით შემოსილი ყოფილი რესპუბლიკელები საიმპერატორო კარის მდიდრული მიღებებისა და საზეიმო ცერემონიალების მონაწილეებად იქცნენ. „მისი უდიდებულესობის“ — ნაპოლეონის თანდასწრებით დაჯდომა იმპერატორის ძმებსაც კი ეკრძალებოდათ.

ნაპოლეონი ევროპის მონარქებთან საგვარეულო ტოლფასოვნებისკენ ისწრაფვოდა და ძველ დინასტიებთან დანათესავებას ცდილობდა. იგი გაეყარა პირველ მეუღლეს ჟოზეფინა ბოჰარნეს, რომლისგანაც შვილი არ ჰყოლია და ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილზე მარი-ლუიზაზე იქორწინა.

1811 წელს ნაპოლეონ ბონაპარტს ტახტის მემკვიდრე ვაჟი (უფლისწული) შეეძინა.

ნაპოლეონისათვის დამახასიათებელი დაუშრეტელი ენერგია მისი მოღვაწეობის ყველა სფეროში ვლინდებოდა. უზარმაზარი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით იგი მთლიანად ფლობდა იმპერიის და დაპყრობილი ქვეყნების მმართველობის სადავეებს. ყველას ანცვიფრებდა ურთულეს, მეტად ჩახლართულ საქმეებში მისი უაღრესად სწრაფად გარკვევის უნარი. დაქვემდებარებულ ქვეყნებს ბონაპარტმა

დიდი კონტრიბუცია[1] დააკისრა. ამ უდიდეს ფინანსურ სახსრებს იმპერატორი საძხედრო, სამეურნეო და პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდა.

ნაპოლეონის ძირითადი დასაყრდენი ძალა არმია იყო. ეგი გულუხვად ასაჩუქრებდა მარშლებს, გენერლებს, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ჯარისკაცები მას აღმერთებდნენ, მისი არმია შეიარაღებით, საბრძოლო მომზადებით, ორგანიზაციითა და დისციპლინით საუკეთესო იყო ევროპაში.

დაპყრობილ ქვეყნებში ნაპოლეონის კოდექსები ვრცელდებოდა და თავისუფალი მეწარმეობის ურთიერთობებს განამტკიცებდა. თვითონ ნაპოლეონს შესანიშნავად ესმოდა თავისი საკანონმდებლო მოღვაწეობის მნიშვნელობა. მას ხშირად უთქვამს: „მე ისტორიაში შევალ არა ჩემს მიერ მოგებული ორმოცი დიდებული ბრძოლით, არამედ იმ კანონებით, რომლებსაც საფრანგეთს და ევროპას ვუტოვებო“.

სურათი 48

იმპერატორი ნაპოლეონ I
(დაფიდის ნახატი)

[1] კონტრიბუცია — ფულადი გადასახადი, რომელსაც ომში გამარჯვებული მხარე დამარცხებულს აკისრებს.

§ 2. პირველი იმპერიის ომები. 1805 წელს საფრანგეთის მთავარ მოწინააღმდეგედ კვლავ ინგლისი რჩებოდა. ინგლისზე თავდასხმისათვის ნაპოლეონმა საფრანგეთის ჩრდილოეთ ნავსადგურში — ბულონში — გემები და დიდი ჯარი მოამზადა. ამავე დროს, ბულონისაკენ მიიწევდა საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის და საფრანგეთის მოკავშირის — ესპანეთის გაერთიანებული ესკადრა. ბრეტანის ნახევარკუნძულთან, ტრაფალგართან ინგლისის ფლოტმა სახელგანთქმულ ადმირალ ნელსონის მეთაურობით ეს ესკადრა გაანადგურა. თვით ნელსონი ბრძოლაში დაეღუპა.

ჯერ კიდევ ტრაფალგართან დამარცხებამდე ნაპოლეონმა მიიღო ცნობა საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი კოალიციის შექმნის შესახებ ინგლისის, რუსეთის, ავსტრიისა და ნეაპოლიტანის (სამხრეთ იტალიის სამეფო) შემადგენლობით. იმპერატორმა დაუყოვნებლივ ამყარა ბულონის ბანაკი და მოკავშირეებისათვის წარმოუდგენლად მოკლე დროში ჯარი რაინის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადაიყვანა.

1805 წლის 2 დეკემბერს ვენიდან 100 კილომეტრზე, აუსტერლიცთან ნაპოლეონი ავსტრია-რუსეთის ჯარს შეებრძოლა. თავდაპირველად ავსტრიელები დამარცხა, ს

რამდენიმე დღეში საფრანგეთის ჯარი ბერლინში შევიდა. 1806 წლის დამლევს ნაპოლეონმა ვარშავა დაიკავა, ხოლო 1807 წელს რუსეთის არმიის ორგზის დამარცხების შემდეგ ალექსანდრე I-თან ტილზიტის ზავი დადო. რუსეთმა აღიარა ნაპოლეონის დაპყრობები, თვითონ კი თურქეთისა და შვეიცის წინააღმდეგ თავისუფალი მოქმედების უფლება მიიღო. პრუსიის ტერიტორია საგრძნობლად შეიკვეცა. პოლონეთის მესამე დანაწილების შედეგად პრუსიის მიერ მიღებულ ტერიტორიაზე „ვარშავის დიდი საჰერცოგო“ ჩამოყალიბდა და ნაპოლეონის მოკავშირეს — საქსონიის ძეფეს გადაეცა.

§ 3. კონტინენტური ბლოკადა. ნაპოლეონის წარმატებები ვერ იქნებოდა მყარი, სანამ საფრანგეთის მთავარი მეტოქე — ინგლისი უძლიერეს სახელმწიფოდ რჩებოდა. იმპერატორმა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის განადგურება გადაწყვიტა.

1806 წლის 21 ნოემბერს ბერლინში ნაპოლეონმა გამოაქვეყნა დეკრეტი „კონტინენტური ბლოკადის“ შესახებ. დეკრეტის თანამად, ბრიტანეთის კუნძულები ბლოკადის მდგომარეობაში ცხადდებოდა. საფრანგეთში, მის მოკავშირეებში და დამორჩილებულ ქვეყნებში ინგლისთან ვაჭრობა იკრძალებოდა. დეკრეტით დარღვევა სასტიკად ისჯებოდა. ტილზიტის ზავით რუსეთი იძულებული იყო კონტინენტურ ბლოკადაში მიეღო მონაწილეობა.

კონტინენტური ბლოკადა ეფექტური მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუკი იგი ევროპის მთელ კონტინენტზე განხორციელდებოდა. პირენეის ნახევარკუნძულზე მდებარე ქვეყნები კი ბლოკადას არღვევდნენ. ამ გარემოების გამო ნაპოლეონმა ესპანეთისა და პორტუგალიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ფაქტობრივად გააუქმა, რასაც ამ ქვეყნებში სახალხო აჯანყება მოჰყვა. ესპანეთსა და პორტუგალიაში ჩაყენებული საფრანგეთის მრავალრიცხოვანი საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ არაქათგამომცლელი პარტიზანული ომი დაიწყო.

კონტინენტური ბლოკადის სამპასუხოდ ინგლისმა, თავის ძლიერ საბრძოლო-საზღვაო ფლოტზე დაყრდნობით, ევროპის სახელმწიფოების კოლონიები მოიკვეთა.

საფრანგეთის მრეწველობა კონტინენტური ევროპის ქვეყნების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. აკრძალვისა და უმკაცრესი ადმინისტრაციული ზომების მიუხედავად, კონტინენტურ ევროპაში ინგლისური საქონელი მაინც ვრცელდებოდა.

ნაპოლეონი დარწმუნდა, რომ კონტინენტური ბლოკადა თავის მიზანს ვერ აღწევდა. მან მთელი ძალების რუსეთის წინააღმდეგ წარმართვა გადაწყვიტა. რუსეთის დაქვემდებარების შემთხვევაში მას გზა ეხსნებოდა ინგლისის უმთავრესი კოლონიის — ინდოეთისკენ. ამავე დროს, რუსეთის დამოუკიდებელი გეგანტური იმპერიის არსებობა ნაპოლეონის დაპყრობით გეგმებთან შეუთავსებელი იყო.

რუკა 14

საფრანგეთის იმპერია 1812 წელს


ბალტიკური
ზღვა
ინგლისი
ირლანდია
ბელგია
ნიდერლანდები
ბავარია
ავსტრიის
იმპერია
ოსმალეთის
იმპერია
ესპანეთი
ბალეარი
ბალეარი
ბალეარ
ბალეარ
ბალეარ

? 1. რა მიზნებს ემსახურებოდა ნაპოლეონის კოდექსები? 2. რა შედეგები გამოიღო მათმა ცხოვრებაში გატარებამ? 3. როგორ გადიჭრა საეკლესიო საკითხი ნაპოლეონის დროს? 4. რა ღონისძიებებს მიმართა ნაპოლეონმა საფრანგეთის ეკონომიკის გასაძლიერებლად? 5. თქვენი აზრით, ნაპოლეონის რომელი ღონისძიებები იყო უმნიშვნელოვანესი? დასაბუთეთ. 6. როგორი იყო პირველი იმპერიის ომების შედეგები? 7. რით აიხსნება საფრანგეთის ჯარების მრავალრიცხოვანი გამარჯვებები? 8. როგორი იყო კონტინენტური ბლოკადის მიზნები? 9. რატომ ვერ გამოიღო მან სასურველი შედეგები?

დანართი

ნაპოლეონი და საქართველო

ნაპოლეონი საქართველოთი ჯერ კიდევ ეგვიპტის ლაშქრობის დროს დაინტერესდა. გენერალ ბონაპარტს საქართველოსა და ქართველების შესახებ საკმაოდ კარგი ინფორმაცია ჰქონდა. მაგალითად, მან იცოდა, რომ მამელუქთა უმრავლესობა ქრისტიანებად იბადებოდნენ. მათ იტაცებდნენ 7-8 წლის ასაკში საქართველოდან (და საერთოდ კავკასიიდან), შემდეგ ეაჭრებს კონსტანტინოპოლში მიჰყავდათ და ეგვიპტეში ჰყიდდნენ. იცოდა, რომ ისინი თეთრკანიანი, წარმოსადეგი მამაკაცები არიან და მნიშვნელოვანწილად მათგან იყო დაკომპლექტებული ეგვიპტეში განლაგებული მამელუქთა კორპუსი.

1799 წელს ბონაპარტმა ეგვიპტიდან ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფესთან, ერეკლე II-ის ვაჟთან გიორგი XII-სთან მოსალაპარაკებლად თავისი საგანგებო რწმუნებული გამოგზავნა. ელჩმა ქართველ მეფემდე ვერ მიაღწია — იგი ახალციხის ფაშამ შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა. ნაპოლეონის მიერ თბილისში ელჩის გამოგზავნა იმას მოწმობს, რომ საფრანგეთისთვის საქართველოს საკითხი აქტუალური იყო.

თავის მხრივ ქართველი პოლიტიკოსები დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს ნაპოლეონის საქმიანობას ეგვიპტეში. მათი აზრით, ბონაპარტის წარმატებები ეგვიპტის მფლობელის — თურქეთის დასუსტებას გამოიწვევდა და საქართველოს თურქთა მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნების საშუალება მიეცემოდა.

ნაპოლეონის ხელისუფლების სათაეში მოსვლის შემდეგ იმერეთის მეფე **სოლომონ II, ქართველი** ბატონიშვილები თეიმურაზი და ალეკსანდრე მას წერილებს უგზავნიდნენ, დახმარებას სთხოვდნენ და საქართველოს საფრანგეთის მფარველობის ქვეშ შესვლას სთავაზობდნენ.

ნაპოლეონი საქართველოს, კერძოდ თბილისს, აღმოსავლური პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად თვლიდა. თბილისი მას მიაჩნდა ტრამპლინად, საიდანაც

ინდოეთში შესვლას ითვალისწინებდა. ინდოეთში ლაშქრობისათვის მოკავშირედ მას ირანი ესახებოდა. თავის მხრივ, ირანი ძალზე უკმაყოფილო იყო ამიერკავკასიაში რუსეთის შეღწევით. რუსეთ-ირანის ომი გარდაუვალი იყო. ნაპოლეონი ირანში საბჭედრო სპეციალისტებს გზავნიდა და ირანის ჯარს რუსის ჯართან საომრად ამზადებდა, თანაც ინდოეთში ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობის ხანაცვლოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობაში დახმარებას ჰპირდებოდა. მეორე მხრივ, ნაპოლეონი რუსეთის წინააღმდეგ ომში ოსმალეთსაც ეხმარებოდა, რომელსაც დასავლეთ ამიერკავკასიას სთავაზობდა.

თურქეთთან (1806-1812 წლების) და ირანთან (1804-1813 წლების) ომებში რუსეთის გამარჯვების და ნაპოლეონის რუსეთში ლაშქრობის წარუმატებლობის შემდეგ ბონაპარტის ჩანაფიქრს განხორციელება აღარ ეწერა, რუსეთმა თავისი ბატონობა განამტკიცა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს იმის გახსენება, რომ ეგვიპტის ლაშქრობის შემდეგ ნაპოლეონს მუდამ თან ახლდა ერთგული მცველი მამელუქი, ტომით ქართველი რუსტამი (როსტომ რაზმაძე). ნაპოლეონის განუყრელი მხლებელი რუსტამი იმპერატორის ამალის მუდმივი წევრი იყო ყველა მოგზაურობაში და ყველა ომში. იმპერატორის ბრწყინვალე შტაბში რუსტამი თავისი აღმოსავლური მდიდრული ტანსაცმლის ელვარებით ყველაზე მეტად გამოირჩეოდა. რუსტამის გარეგნობა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. ყველას სჯეროდა, რომ იგი იმპერატორის დიდი ნდობით სარგებლობდა. ეს იმას მიეწერებოდა, რომ ერთხელ რუსტამმა ნაპოლეონი სიკვდილს გადაარჩინა, ჩადგა მასსა და მტრის მოქნეულ ხმალს შუა, რომელიც ის-ის იყო ნაპოლეონს უნდა მოხვედროდა. გარკვეულ მომენტში იმპერატორი რუსტამის საფრანგეთის პოლიციის მინისტრად დანიშვნასაც კი აპირებდა.

1840 წლის 15 დეკემბერს წმინდა ელენეს კუნძულიდან ნაპოლეონის ნეშტის გადმოსვენებაზე დამსწრე საზოგადოების საყოველთაო ყურადღება მიიპყრო აღმოსაელურ ტანსაცმელში გამოწყობილმა რუსტამმა, რომელიც იმპერატორის მიმართ უკანასკნელი ვალის მოსახდელად მოსულიყო.

ზუსტად ხუთი წლის შემდეგ პარიზის სიახლოვეს, პატარა ქალაქ დურდანში გარდაიცვალა ბავშვობიდანვე სამშობლოს მოწყვეტილი, საქართველოს შვილი რუსტამი.

დავალება

"ეგვიპტეთ კრომველისა და ნაპოლეონის მოღვაწეობა.

XXIV თავი
პირველი იმპერიის ალასასრული

§ 1. საფრანგეთისა და რუსეთის მზადება ომისათვის. 1807 წელს ნაპოლეონსა და ალექსანდრე I-ს შორის დადებული ტილზიტის ზავი არ იყო მყარი, მისი პირობები არც ერთ მხარეს არ აკმაყოფილებდა. კონტინენტურმა ბლოკადამ ინგლისში რუსული ხორბლის გატანა, იქიდან კი სამრეწველო საქონლის შემოტანა აკრძალა. ამან რუსი თავადაზნაურობის აღშფოთება გამოიწვია. რუსეთის საზოგადოებრივობა ვერ ურიგდებოდა რუსეთის მეზობლად ნაპოლეონის მიერ შექმნილი ვარშავის საჰერცოგოს არსებობას, რადგან მას რუსეთზე საფრანგეთის თავდასხმის პლაცდარმად აღიქვამდა. მეორე მხრივ, ტილზიტის ზავი საფრანგეთის ინტერესებსაც ვერ აკმაყოფილებდა, ევროპაში რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფოს შენარჩუნება ნაპოლეონის ზრახვებს არ შეესაბამებოდა. ბუნებრივია, მშვიდობა დიდხანს ვერ გასტანდა.

ტილზიტის ზავს შემდგომ პერიოდში რუსეთმა მოახერხა ზღვებზე თავისი მდგომარეობის განმტკიცება. რუსეთ-შვეციის 1808-1809 წლების ომის შედეგად რუსეთმა ფინეთის დიდი სამთავრო შემოიერთა, რომელიც თავის ავტონომიურ მმართველობას ინარჩუნებდა. 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომით რუსეთმა აიძულა თურქეთი ეცნო რომანოვების იმპერიის ხელისუფლების დამყარება ბესარაბიასა და დასავლეთ საქართველოზე.

1812 წელს რუსეთის დასავლეთის საზღვარს 200 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი იცავდა. ნაპოლეონმა ამ დროისათვის რუსეთის წინააღმდეგ თავისი არმიის ნახევარს — 600 ათას მებრძოლს მოუყარა თავი. ამ უზარმაზარ არმიის შემადგენლობაში ნაპოლეონის მიერ დაპყრობილი ქვეყნების — გერმანიის, ავსტრიის და პოლონეთის სამხედრო ნაწილებიც შეიყვანეს. „დიდი არმიის" ბირთვს ძველი გვარდია — ნაპოლეონის ომებში გამოწრთობილი ვეტერანები შეადგენდნენ.

§ 2. ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში. 1812 წლის ივნისში საფრანგეთის ჯარებმა, ომის გამოუცხადებლად, ლიტვის ტერიტორიაზე გადალახეს მდინარე ნემანი და რუსეთის იმპერიის ფარგლებში შეიჭრნენ. რუსეთის შეიარაღებული ძალები სამ არმიად იყო გაყოფილი. პირველი არმია, სამხედრო მინისტრის გენერალ ბარკლაი-დე-ტოლის სარდლობით, განლაგებული იყო მდინარე ნემანის გაყოლებით

ლიტვაში. უფრო სამხრეთით, ბელორუსიაში იდგა მეორე არმია გენერალ ბაგრატიონის მეთაურობით. მესამე არმია, გენერალ ტორმასოვის სარდლობით, უკრაინაში იყო თავმოყრილი.

ნაპოლეონმა გადაწყვიტა მთავარი დარტყმა მოსკოვისთვის მიეყენებინა. „თუ კიევს ავიღებ — ამბობდა ეგი — რუსეთს ფეხებში ჩავჭიდებ ხელს, თუ პეტერბურგს დავეუფლები, მის თავს ვიგდებ ხელთ, მოსკოვის დაპყრობით კი გულში ჩავცემ ლახვარს“.

მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინაშე რუსეთის პირველმა და მეორე არმიებმა უკან დახევა წყეს და ვიტებსკში შეერთება სცადეს. მოხერხებული მანევრით ნაპოლეონმა მათი გაერთიანება არ დაუშვა და თავდაჯერებით განაცხადა: „ახლა ბარკლაი და ბაგრატიონი ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდებიანო“. მაგრამ აგვისტოს დასაწყისში სმოლენსკთან რუსეთის პირველმა და მეორე არმიებმა მაინც მოახერხეს შეერთება. ნაპოლეონის გეგმა — ცალ-ცალკე გაენადგურებინა ბარკლაი-დე-ტოლის და ბაგრატიონის არმიები — ჩაიშალა, თუმცა ნაპოლეონის წარმატება ცხადი იყო. შეიჭრა რუსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე. ამან რუსების პატრიოტული გრძნობები უკიდურესად გაამძაფრა. ომმა სამამული ხასიათი მიიღო. ასეთ პირობებში ბარკლაი-დე-ტოლის ნაცვლად შეიარაღებული ძალების სათავეში რუსი მთავარსარდლის ჩაყენება იყო აუცილებელი.

რუსეთის არმიის ახლადდანიშნულმა მთავარსარდალმა მიხეილ კუტუზოვმა ფრანგებს გენერალური ბრძოლა 1812 წლის 26 აგვისტოს მოსკოვიდან 120 კილომეტრზე, სოფელ ბოროდინოსთან გაუმართა. ამ ბრძოლაში ფრანგებმა 50 ათასამდე, რუსებმა კი 40 ათასამდე მებრძოლი დაკარგეს. ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა გენერალი პეტრე ბაგრატიონი. ნაპოლეონის აზრით, „ფრანგებმა ამ ბრძოლაში აჩვენეს, რომ გამარჯვების ღირსნი იყვნენ, რუსებმა კი თავიანთი უძლეველობა დამტკიცეს“.

არმიის გადარჩენის მიზნით კუტუზოვმა დედაქალაქის უბრძოლველად დატოვება გადაწყვიტა. მან თავის გენერლებს განუცხადა: „მოსკოვის დაკარგვით ჯერ კიდევ არაა დაკარგული რუსეთი. არმიის მოსპობით კი მოსკოვიცა და რუსეთიც დაილუპებაო“.

სექტემბრის დასაწყისში ნაპოლეონი მოსახლეობისგან დაცლილ მოსკოვში შევიდა. ამავე დროს, ქალაქში ხანძარი გაჩნდა. ძლიერი ქარი კიდევ უფრო

სურათი 49

ნაპოლეონი კრემლიდან გადაპყურებს ხანძარში გახვეულ მოსკოვს
(ვერეშჩაგინის ნახატი)

ალეკვებდა ცეცხლს. სურსათ-სანოვაგეს მოკლებული საფრანგეთის არმია მოსკოვში თავს ისე გრძნობდა, როგორც ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში.

ნაპოლეონმა კუტუზოვთან და ალექსანდრე I-თან სამჯერ სცადა მოლაპარაკების დაწყება ზავის დადების შესახებ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ნაპოლეონს კიდევ ერთი პოლიტიკური სვლა გააჩნდა. მას ბატონყმობის გაუქმების შესახებ დეკრეტი უნდა გამოეცა და რუსეთში გლეხთა აჯანყება უნდა გაეჩაღებინა. დიდი ყოყმანის შემდეგ ამ ნაბიჯის გადადგმა მან მაინც ვერ გაბედა. საფრანგეთის ბურჟუაზიული მონარქის იმპერატორმა გლეხთა აჯანყების ლიდერებთან — [illegible] ბუგაჩოვებთან ურთიერთობას მაინც ფეოდალური სახელმწიფოს გამგებლებთან საქმის დაშერა ამჯობინა.

1812 წლის 6 ოქტომბერს საფრანგეთის ჯარმა დარბეული მოსკოვი დატოვა. ნაპოლეონის ცდა, ტულისა და ქვეყნის სურსათ-სანოვაგით მდიდარი გუბერნიების მიმართულებით გაჭრილიყო, სრული მარცხით დამთავრდა. მას რუსეთის გაძლიერებული არმია აღუდგა წინ. ტარუტინოსთან და მალოიაროსლავეცთან ბრძოლების შემდეგ ნაპოლეონი იძულებული გახდა მის მიერვე გაჩანაგებული სმოლენსკის გზით დაეწყო უკანდახევა. კუტუზოვმა საფრანგეთის უკუქცეული ჯარების დევნა მოაწყო. ამ მიზნით იგი, საბჭოდრო ნაწილების გარდა, რუსთა პარტიზანულ რაზმებსაც მოხერხებულად იყენებდა.

საფრანგეთის არმიის უკანდახევა სულ უფრო და უფრო არაორგანიზებულ ხასიათს იღებდა. 30 ოქტომბერს რუსეთში პირველი ძლიერი ყინვები დაიწყო. 1812 წლის აღრე დაწყებული ზამთარი არაჩვეულებრივად სუსხიანი და უხვთოვლიანი გამოდგა. საფრანგეთის არმია შექმნილი სიტუაციისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა.

უმკაცრესმა კლიმატურმა პირობებმა, და უკიდეგანო სივრცეებმა სამშობლოსგან მოწყვეტილ საფრანგეთის არმია კატასტროფამდე მიიყვანა. გათოშილი ჯარისკაცები და ოფიცრები ხანგრძლივ გადასვლებს ვერ უძლებდნენ და დათოვლილ გზებზე მასობრივად იღუპებოდნენ. ასეთ ვითარებაში ნაპოლეონის ჩანაფიქრს — სმოლენსკში ან სმოლენსკის დასავლეთით შეჩერებასა და გამოზამთრებას — განხორციელება არ ეწერა. აუცილებელი იყო რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან რაც შეიძლება სწრაფად გასვლა, რათა საფრანგეთის ქანცგაწყვეტილ და შეთხელებულ არმიას რუსეთის ჯარის ალყა და მთლიანად განადგურება აერიდებინა თავიდან.

1812 წლის დეკემბერში ნაპოლეონის „დიდი არმიის" უბადრუკმა ნაშთებმა

სურათი 50

ძალისაგან ბერეზინაზე გადასვლა

ლიდი დანაკარგით გადალახეს მდინარე ბერეზინა და რუსეთის საზღვრებიდან გავიდნენ. რუსეთიდან მტრის განდევნის შესახებ მანიფესტში კუტუზოვი წერდა, რომ ომი მოწინააღმდეგის სრული განადგურებით დამთავრდა.

§ 3. ნაპოლეონის პირველი გადადგომა. 100 დღე. 1812 წელს რუსეთში მარცხმა ნაპოლეონის გეგმა მსოფლიო ბატონობის შესახებ საბოლოოდ ჩაშალა. დაიწყო ნაპოლეონის იმპერიის რღვევა. საფრანგეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა. საფრანგეთს ჩამოცილდნენ ყოფილი მოკავშირეები. 1813 წლის გაზაფხულზე ნაპოლეონის წინააღმდეგ კვლავ შეიქმნა კოალიცია. გადამწყვეტი, ე.წ. „ხალხთა ბრძოლა" გაიმართა 1813 წლის ოქტომბერში ლაიფციგთან. რუსეთის, პრუსიის, ავსტრიის, შვედეთის ნახევარმილიონიანმა ჯარმა ნაპოლეონის სახელდახელოდ შექმნილი

არმია დამარცხა. ფრანგებმა თავისი საზღვრებისაკენ დაიხიეს, მოკავშირეები მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ და 1814 წლის 31 მარტს პარიზში შევიდნენ.

ნაპოლეონი იძულებული გახდა ტახტიდან გადამდგარიყო. იგი ხმელთაშუა ზღვის [illegible]ტარა კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. ნაპოლეონი ელბის მმართველი [illegible]ადეს და ათასი ჯარისკაცი დაუტოვეს.

საფრანგეთის ყოფილმა პოლიციის ინ[illegible]ტრა[illegible] [illegible]ეშემ სწორედ განჭვრიტა გამარჯვებული სახელმწიფოების ამ გადაწყვეტილების შესაძლო შედეგები, როდესაც განაცხადა: „ნაპოლეონი ელბაზე საფრანგეთისა და იტალიისათვის ოგივეა, რაც ნეაპოლისათვის ვეზუვიო“.

გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა საფრანგეთში ბურბონთა დინასტია აღადგინეს, მათ საფრანგეთის ტერიტორია 1792 წლის საზღვრებით შემოფარგლეს.

ნაპოლეონმა მოხერხებულად გამოიყენა ფრანგი ხალხის სიძულვილი ბურბონთა ხელისუფლებისადმი. 1815 წლის 1 მარტს მან კუნძული ელბა დატოვა, ათასი გვარდიელის თანხლებით საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე გადაჯდა და სწრაფად გაეშურა პარიზისაკენ. გზადაგზა მას მის წინააღმდეგ გაგზავნილი საფრანგეთის ჯარის ნაწილები უერთდებოდნენ. 20 მარტს იგი უკვე პარიზში იყო.

ნაპოლეონმა ხელისუფლება ამჯერად მხოლოდ ას დღეს შეინარჩუნა. მოკავშირეებმა მის წინააღმდეგ კვლავ დაძრეს თავიანთი არმიები. 18 ივნისს ბრიუსელის (ბელგიაში) მახლობლად, ვ ა ტ ე რ ლ ო ო ს თ ა ნ უკანასკნელ დიდ ბრძოლაში ინგლისისა და პრუსიის არმიებმა ნაპოლეონის ჯარები საბოლოოდ დამარცხეს.

ნაპოლეონი ინგლისელებს ჩაბარდა ტყვედ. ბონაპარტი გადაასახლეს ატლანტის ოკეანის სამხრეთის შორეულ წ მ ი ნ დ ა ე ლ ე ნ ე ს კუნძულზე, სადაც იგი 1821 წლის 5 მაისს გარდაიცვალა.

? 1. რა იყო 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის მიზეზები? 2. რამ განაპირობა ამ ომში საფრანგეთის დამარცხება? 3. რა შედეგები მოჰყვა 1812-1813 წლების საიმპერიო კამპანიას საფრანგეთისათვის? რუსეთისათვის? 4. რა საფუძვლები არსებობდა საფრანგეთში ნაპოლეონის იმპერიის 100 დღით აღდგენისათვის? 5. განსაზღვრეთ ნაპოლეონ I-ის იმპერიის დამხობის მიზეზები. 6. თქვენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვა ნაპოლეონის მმართველობას საფრანგეთისათვის? ევროპის ქვეყნებისათვის?

დანართი,

მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვი
(1745-1813)

მ.ი. კუტუზოვი დაიბადა პეტერბურგში ბანერლის ოჯახში. დაამთავრა არტილერიის სკოლა. მონაწილეობა მიიღო 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. 1774 წელს მძიმედ დაჭრეს, რის შედეგად მ. რჯენა ოკული დაკარგა. 1805 წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ საბრძოლველად, აუსტრიის დასახმარებლად გაგზავნილი რუსეთის არმიის მეთაურად დაინიშნა. მას დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთის არმიის სრული განადგურებისაგან გადარჩენაში აუსტერლიცთან დამარცხების შემდეგ. 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში კუტუზოვი რუსეთის არმიის მთავარსარდალი იყო. 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომში, ბარკლაი დე-ტოლის სარდლობით უკმაყოფილების გამო, კრიტიკულ მომენტში ალექსანდრე I იძულებული იყო კუტუზოვი დაენიშნა მთავარსარდლად. ბოროდინოსთან გენერალური ბრძოლის შემდეგ, არმიის გადარჩენის მიზნით, კუტუზოვმა მოსკოვი დატოვა. რიაზანიდან კალუგის გზაზე ცნობილი მარშ-მანევრი განახორციელა, ტარუტინოში შეჩერდა, არმია შეავსო ახალი ძალებით და მალოიაროსლაველცთან ფრანგებს კალუგისაკენ მიმავალი გზა გადაუკეტა, რითაც აიძულა ნაპოლეონი გაძარცული სმოლენსკის გზით დაეხია უკან. 1813 წელს კუტუზოვმა მონაწილეობა მიიღო პოლონეთისა და პრუსიის ტერიტორიაზე ნაპოლეონის ჯარების განადგურებაში. გარდაიცვალა გერმანიის ქალაქ ბუნცლაუში. შემდგომში იგი პეტერბურგში, ყაზანის ტაძარში გადაასვენეს.

სურათი 51

კუტუზოვი

ბარკლაი-დე-ტოლი

გენერალ-ფელდმარშალი მიხეილ ბარკლაი-დე-ტოლი (1761-1818) წარმოშობით შოტლანდიელი იყო. მისი წინაპრები XVII საუკუნეში გადასახლდნენ რიგაში.

1789 წლიდან ბარკლაი-დე-ტოლი მონაწილეობდა რუსეთის მიერ თურქეთის,

შვედეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში. 1809 წელს იგი ფინეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. 1810 წლიდან მან რუსეთის სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა და უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა რუსეთის არმიის გასაძლიერებლად.

1812 წლის ომის დასაწყისიდანვე იგი მეთაურობდა დასავლეთის პირველ არმიას, ხოლო სმოლენსკთან ბრძოლაში შეიერთა მისდამი დაქვემდებარებული ბაგრატიონის არმიაც. საფრანგეთის ჯარის რუსეთის სიღრმეში შეტყუების გეგმა ბარკლაი-დე-ტოლიმ ჯერ კიდევ 1807-1810 წლებში შეიმუშავა და წამოაყენა, მაგრამ მოსკოვისაკენ ნაპოლეონის სწრაფმა წინსვლამ რუსეთის არმიისა და საზოგადოებრიობის უკმაყოფილება გამოიწვია. ამის გამო 1812 წლის 17 აგვისტოს არმიის მთავარსარდლობა კუტუზოვს გადაეცა. ბოროდინოს ბრძოლაში ბარკლაი-დე-ტოლი რუსეთის არმიის მარჯვენა ფლანგს და ცენტრს მეთაურობდა.

სურათი 52

ბარკლაი-დე-ტოლი

1813 წელს ბარკლაი-დე-ტოლი რუსეთის არმიასთან ერთად ლაიფციგის ბრძოლაში მონაწილეობდა. 1814 წელს პარიზის ალყებისთანავე ფელდმარშალის წოდება მიიღო. ბარკლაი-დე-ტოლი 1818 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ბალტიისპირეთში, ლიფლანდიაში.

პეტრე ბაგრატიონი
(1765-1812)

პეტრე ბაგრატიონი დაიბადა ჩრდილო კავკასიაში, ყიზლარში, პოლკოვნიკ ივანე ბაგრატიონის ქართულ ოჯახში. 1782-1792 წლებში გაიარა სამხედრო სამსახური კავკასიის მუშკეტერთა პოლკში. 1799 წელს გენერალ-მაიორი პეტრე ბაგრატიონი სუვოროვის იტალიურ და შვეიცარიულ ლაშქრობებში შეტევის დროს ავანგარდს [1] უძღვებოდა, უკან დახევის დროს კი არიერგარდს მეთაურობდა. 1805-1807 წლებში მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში აღმოსავლეთ

---

[1] ავანგარდი — ჯარის ნაწილი, რომელიც მიდის მთავარი ძალების წინ.

პრუსიაში. რუსეთ-შვედეთის 1808-1809 წლების და რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წლების ომების დროს სარდლობდა რუსეთის არმიებს.

1812 წლის მარტიდან რუსეთის დასავლეთის მეორე არმიის მეთაურად დაინიშნა. საფრანგეთ-რუსეთის ომის დასაწყისში ფრანგთა გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად შეძლო სმოლენსკის პირველ არმიას შეერთებოდა. ბოროდინოს ბრძოლაში მარცხენა ფრთას მეთაურობდა. მძიმედ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა. დაკრძალულია ბოროდინოს ველზე, სადაც 1839 წელს გადაასვენეს ვლადიმირის გუბერნიის სოფელ სიმიდან.

პეტრე ბაგრატიონთან ერთად რუსეთ-საფრანგეთის 1812-1814 წლების ომში კიდევ 8 ქართველი გენერალი მონაწილეობდა.

სურათი 53

პეტრე ბაგრატიონი

1815 წლის პარიზის პრესა ნაპოლეონის ელბიდან საფრანგეთში დაბრუნების შესახებ

„კორსიკელი ურჩხული გადმოჯდა ჟუანის ნაესადგურში“.
„კაციჭამია გრაბისაკენ მიდის“.
„უზურპატორი [1] გრენობლში შეეიდა“.
„ბონაპარტმა ლიონი დაიკავა“.
„ნაპოლეონი ფონტენბლოს უახლოვდება“.
„მის იმპერატორობით უდიდებულესობას ხვალ ელიან მის ერთგულ პარიზში“.

მთელი ეს ლიტერატურული გამა [2] რამდენიმე დღის განმავლობაში ერთსა და იგივე გაზეთებში ამოთავსდა.

---

[1] უზურპატორი — პირი, რომელმაც უკანონოდ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება.

[2] გამა — ბგერათა აღმავალი ან დაღმავალი თანმიმდევრობა ერთი ან რამდენიმე ოქტავის ფარგლებში, ხშირად იხმარება გადატანითი მნიშვნელობით.

დავალებები

1. სახელმძღვანელოს თავებისა და დანართების საფუძველზე შეადგინეთ ნაპოლეონ ბონაპარტს (1796 წლის შემდგომი პერიოდის) მოკლე ბიოგრაფია.

2. შეადგინეთ ცხრილი: ევროპის უმნიშვნელოვანესი მოვლენები 1799-1815 წლებში, მათი შედეგები და მნიშვნელობა საფრანგეთისათვის, ინგლისისათვის, გერმანული სახელმწიფოებისათვის, ავსტრიისათვის, რუსეთისათვის.

უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა	შედეგი და მნიშვნელობა				
	საფრანგეთი	ინგლისი	გერმანული სახელმწიფოები	ავსტრია	რუსეთი

XXV თავი
დავიდი; გოია

§ 1. ჟაკ ლუი დავიდი (1748-1825). დიდმა ფრანგმა მხატვარმა დავიდმა პროფესიული განათლება პარიზის ფერწერისა და ქანდაკების სამეფო აკადემიაში მიიღო. 1774 წელს მან პირველი პრემია დაიმსახურა კონკურსში. ამან მას საშუალება მისცა ანტიკური ხელოვნების შესასწავლად იტალიაში გამგზავრებულიყო სახელმწიფო ხარჯით. იტალიაში მოგზაურობამ მას თვალწინ გადაუშალა ანტიკური სამყაროს სიდიადე და მშვენიერება, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე.

დავიდი იზიარებდა განმანათლებლების შეხედულებებს, რომ ხელოვნება ადამიანში მაღალ მოქალაქეობრივ გრძნობებს უნდა აყალიბებდეს. ეს აზრი მან ძველი რომის რესპუბლიკის ისტორიის მაგალითებით გადმოსცა.

1784 წელს შეიქმნა დავიდის სურათი „ჰორაციუსთა ფიცი“, რომლის შესასრულებლად იგი საგანგებოდ ჩავიდა რომში და თავისი შედევრი პირველად

იქვე გამოფინა. მომდევნო წლიდან „ჰორაციუსების ფიცი“ უკვე პარიზელებს ალაფერთოვანებდა.

სურათი 54

ანა ლეი დავიდი

ტილოზე ძველი რომის რესპუბლიკის დამცველი სამი ძმა ჰორაციუსია გამოხატული. ფიგურები სამი თალის ჩაბნელებულ, მუქ ფონზეა გამოსახული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სურათის ცენტრში მდგომი ცეცხლისფერმოსასხამიანი მამა ჰორაციუსი. მას ხელთ უპყრია სამი მახვილი, რომლებიც რომის რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად გულანთებულ სამ შვილს უნდა გადასცეს. ვაჟებს მამისკენ ერთსულოვნად გადაუდგამთ გაბედული ნაბიჯი და მახვილებისაკენ მტკიცედ შეუმართავთ ხელი. მეომრების ვაჟკაცურ თავგანწირვას მამა ჰორაციუსის უკან მსხდომი ქალების მწუხარება უპირისპირდება.

„ჰორაციუსების ფიცი“ გამსჭვალულია მოქალაქეობრივი ღირსებით, რესპუბლიკური იდეალებითა და სამშობლოს დასაცავად სიკოცხლის განწირვის მოწოდებით. განმანათლებელთა კალმით გადმოცემული იდეები უდიდესი ოსტატობით გამოხატა დავიდის ფუნჯმა. თანამედროვენი ტყუილად როდი ამბობდნენ, რომ „თავისი ჰორაციუსებით დავიდი ხალხს უფრო მკაფიოდ და უშუალოდ ელაპარაკება, ვიდრე ყველა მწერალი, რომელთა ნაწერები მთავრობის ბრძანებით მოაგროვეს და დაწვესო“.

განმანათლებელთა შეხედულებების თაყვანისმცემელი, თავისუფლებისა და რესპუბლიკური იდეების მქადაგებელი მხატვარი 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციას აღფრთოვანებით შეხვდა. იგი რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა. ის იყო ეროვნული კონვენტის დეპუტატი. მან მხარი დაუჭირა მეფის სიკვდილით დასჯას. დავიდმა მოაწყო და მხატვრულად გააფორმა მრავალი რევოლუციური ზეიმი.

საფრანგეთის რევოლუცია და ამ პერიოდის მოვლენები მდიდარი საზრდო აღმოჩნდა დავიდის გენიისათვის. „ფიცი ბურთის სათამაშო დარბაზში“ მისი ერთ-ერთი შედევრთაგანია (იხ. სურ 37). სურათზე თქვენთვის ნაცნობი ისტორიული მოვლენაა ასახული. ლუი XVI-ის მიერ ეროვნული კრების სხდომათა დარბაზიდან გაძევებული მესამე წოდების დეპუტატები ბურთის სათამაშო დარბაზში ერთგულების ფიცს სდებენ. არ დაიშლებიან, სანამ კონსტიტუციას არ შეიმუშავებენ. იაკობინთა კლუბმა ამ მოვლენის ასახვა „ჰორაციუსების“ ავტორს ანდო და არც შემცდარა. სურათზე

ასახული ორატორის აღმართული მარჯვენა, ფეხზე მდგომი დეპუტატების აწვდილი ხელები ზედმიწევნით გადმოგვცემს ლაპაპელი ატმოსფეროს სულისკვეთებას.

რევოლუციის დროს თავისი რესპუბლიკური და დემოკრატიული შეხედულებების გამოსახატავად სახელგანთქმულ მხატვარს ძველი რომის ისტორიისათვის მიმართვა აღარ უხდებოდა. მას შესაძლებლობა მიეცა ეს შეხედულებები თანამემამულეთა სახეებში გამოეხატა. იგი მათ პორტრეტებს ასრულებდა. მის წარმოსახვაში ისინი ძველი დროის გმირებს უტოლდებოდნენ. ამგვარი სულისკვეთებით შექმნა მან შესანიშნავი სურათი „მარატის სიკვდილი". რევოლუციის მოწინააღმდეგეებმა ავადმყოფ მარატთან შეგზავნეს მკვლელი, რომელმაც სამკურნალო აბაზანაში მყოფი იაკობინთა ბელადი სიცოცხლეს გამოასალმა. მარატის ვერაგულმა მკვლელობამ შეაძრწუნა დავიდი. იგი მაშინვე თავისი მეგობრის ბინისაკენ გაეშურა. ნახევრად ჩაბნელებულ საბაზანოში გადახატა მიცვალებულის სახე. სამი თვის დაძაბული მუშაობის შედეგად კი შექმნა სურათი „მარატის სიკვდილი", რომელიც ეროვნულ კონვენტს გადასცა საჩუქრად.

მუქ ფონზე გამოსახული მარატის ნახევრადშიშველი სხეული ქანდაკებას მოგვაგონებს. დაჭრილს თავი უღონოდ გადაუგდია უკან, ჭრილობიდან სისხლი ჟონავს. მარცხენა ხელში უჭირავს ბარათი, რომელიც მკვლელს მის სახლში შეღწევაში დაეხმარა. მარჯვენა ხელი უღონოდ დაუშვია იატაკისაკენ, თუმცა ხელთ კვლავაც ბასრი იარაღი — კალამი უპყრია. იქვე მკვლელის დანა გდია. ამით დავიდი თითქოს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მარატს სასიკვდილო განაჩენი დანით მკვლელმა მისი კალმის გამო აღუსრულაო, მაგრამ მოღალატის დანას შეუძლია მხოლოდ სიცოცხლე წარსტაცოს ადამიანს და ვერ მოერევა მის აზრებს, რომლებიც მოაზროვნის კალამს გადმოუცია. სულის სიღრმემდე განცდილი მწარე სინამდვილე და შემოქმედებითი ფანტაზია არაჩვეულებრივი სიძლიერით შეერწყა ერთმანეთს და დავიდს „ხალხის მეგობრის" — მარატის უკვდავი სახე შეაქმნევინა.

1794 წელს თერმიდორული გადატრიალების დროს მაქსიმილიან რობესპიერთან მეგობრობის გამო იაკობინი დავიდი დააპატიმრეს და მხოლოდ სახელგანთქმული მხატვრის დიდებამ შეუნარჩუნა მას სიცოცხლე. საპყრობილედან გამოსვლის შემდეგ დავიდმა პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი დაანება.

1799 წელს ხელისუფლების სათავეში მისულმა ნაპოლეონმა დავიდი დაიახლოვა და პრივილეგირებულ მხატვრად აქცია. დავიდის სურათები ხოტბას ასხამდნენ კონსულობისა და იმპერიის ღირშესანიშნავ ამბებს. ამდროინდელი სურათებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ნაპოლეონის გადასვლა სენ-ბერნარზე" (იხ. სურ. 44) და „ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა"(იხ. სურ. 47).

იმპერიის დამხობის შემდეგ, რესტავრაციის დროს, ბურბონებისგან დევნილი „მეფის მკვლელი“, იაკობინი და ნაპოლეონის კარის მხატვარი ჟაკ ლუი დავიდ იძულებული შეიქნა სამშობლოდან გადახვეწილიყო. სიცოცხლის ბოლო წლები მან ბრიუსელში (ბელგიაში) გაატარა, სადაც დიდ დროს უთმობდა ახალგაზრდა მხატვრების აღზრდას.

§ 2. ფრანსისკო გოია (1746-1826). დიდი ესპანელი მხატვრის ფრანსისკო გოიას ახალგაზრდობა შებურვილია ლეგენდებით, რომლებიც მას თავგადასავლების მოყვარულ გამბედავ და თავშეუკავებელ პიროვნებად წარმოგვიდგენენ.

სურათი 55

ფრანსისკო გოია

პროფესიული ოსტატობის სრულყოფისათვის იტალიაში — დიდებულ მხატვართა ქვეყანაში წასვლა იყო საჭირო, მაგრამ გოიას საამისოდ სახსრები არ გააჩნდა და ფულის საშოვნელად სიცოცხლისათვის საშიშ საქმეს მოჰკიდა ხელი — ტორეადორი გახდა.

იტალიაში იგი ძველი და ახალი დროის მხატვრების გამოსახვის საშუალებებისა და ხერხების შესწავლამ გაიტაცა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შესანიშნავი ხელოვანის დიდი შესაძლებლობანი სრული სახით გამოვლინდა. მ[illegible] ხალიჩების ფაბრიკისათვის მუყაოების დამზადება შესთავაზ[illegible] გოიამ გობელენებისათვის 43 მუყაო დამზადა, რომლებზედაც უბრალო ხალხის ცხოვრების სცენები ასახა. 1780 წელს გოია მადრიდის სამხატვრო აკადემიის წევრად აირჩიეს. 1789 წელს იგი სამეფო კარის მხატვრად დანიშნა.

90-იანი წლების დასაწყისში გოიამ მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა, რომლის შედეგადაც სმენა დაკარგა. მისი ბობოქარი და მჩქეფარე ცხოვრება დინჯი და კარჩაკეტილი ყოფით შეიცვალა.

უაღრესად ფართო იყო დიდი ესპანელი მხატვრის შემოქმედებითი სარბიელი. ეკლესიის მოხატულობებისა (ფრესკების) და ფერწერის შესანიშნავ ნიმუშებთან ერთად მან გრაფიკის [1], გრავიურის [2] და ოფორტის [3] უბადლო შედევრები დაგვიტოვა.

---

[1] გრაფიკა — ხაზებით, შტრიხებით უსაღებავად ხატვა ხელოვნება. ასეთ ხელოვნების ნიმუში.

[2] გრავიურა — რაიმე მაგარი მასალის (ლითონის, ხის, ქვის და სხვ.) გლუვ ზედაპირზე ამოკვეთილი ნახატი.

[3] ოფორტი — ლითონზე სიღრმითი გრავიურის ტექნიკური ნაირსახეობა.

იტალიიდან სამშობლოში დაბრუნებულ მხატვარს თავისი აზრებისა და გრძნობების აშკარად გამოხატვის საშუალება არ ჰქონდა, ვინაიდან იმ დროს ესპანეთი იყო ევროპის ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული, ფეოდალური მონარქია, სადაც განუსაზღვრელად ბატონობდა ინკვიზიცია.

თავისი ნაწარმოებების შინაარსის შესანიღბავად გოია ალეგორიას მიმართავდა, საკუთარ აზრებს არაპირდაპირი ხერხებით, იგავურად გამოხატავდა.

ოფორტების ცნობილ სერიაში, რომელსაც „კაპრიჩოსი" — ახირებულობა, ფანტაზიის თამაში ეწოდება, ურჩხულების და მახინჯების საშინელი სამყარო გვეშლება თვალწინ. აქ ნახავთ მომლიმარ სახედრეს, რომლებიც ადამიანებზე შემომსხდარან, მონაზვნებს, რომლებიც თუთიყუშ მქადაგებლებს უგდებენ ყურს, მონაზვნის ანაფორაში გამოწყობილ გამხმარ ხეს, რომლის წინაშე პირქვე დამხობილა მორწმუნე ხალხი. სერია იხსნება მხატვრის ავტოპორტრეტით. იგი ყურადღებითა და დამცინავად უმზერს ურჩხულთა ამ ხროვას. კუდიანთა და ურჩხულთა მთელი ეს ორომტრიალი თვით ესპანეთია, რომელიც ცრუმორწმუნეობასა და რელიგიურ ფანატიზმს მოუცავს, სადაც არისტოკრატიის სიჩლუნგეა და უმეცრებას დაუსადგურებია. „მთვლემარე გონება ბადებს ურჩხულებს" — ასეთი მინაწერი გაუკეთა მხატვარმა ერთ-ერთ ოფორტს.

გოიას შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა პორტრეტებს. გოიას პორტრეტების ნაწილი ადამიანთა მდიდარ სულიერ სამყაროს, ძლიერ, გამოკვეთილი ხასიათის პიროვნებებს გვიჩვენებს, პორტრეტთა დიდი უმრავლესობა კი ხელისუფლების სათავეში მდგომი ადამიანების არარაობასა და ზნეგაცემულობას ამხელს. ასეთია „მეფე კარლოს IV-ის ოჯახის ჯგუფური პორტრეტი". სამეფო კარის ფერწერისათვის დამახასიათებელი მანერით, ფიგურების ჩვეულებრივი განლაგების პირობებში გოიამ გაბედულად და რეალისტურად გადმოსცა გადაგვარების აშკარა ნიშნების მატარებელი მეფის სახე, დედოფლის ზიზღის მომგვრელი ქედმაღალი და ბოროტი გამომეტყველება.

ფრანგების შემოსვლის წინააღმდეგ ესპანელთა თავგანწირულმა ბრძოლამ მხატვარს ესპანელი ხალხის სიდიადე და ძალა გადაუშალა თვალწინ. ამ წლებში გოიამ თავისი ცნობილი ტილოები შექმნა. ერთი მათგანია „ფრანგების მიერ ესპანელ მეამბოხეთა დახვრეტა 1808 წლის 3 მაისს", რომელიც მადრიდის ამბოხების ტრაგიკულ დასასრულს ასახავს. ადამიანთა პატარა ჯგუფი, დასახვრეტად რომ გამოუყვანიათ, უდიდეს ადამიანურ განცდებსა და ქედუხრელი ხალხის ძლიერ სულს გამოხატავს.

თავისუფლებისათვის ხალხის გმირული ბრძოლას წარმოსახავს გოიას ოფორტების სერია „ომის უბედურებანი“. ამ სერიის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევართაგანია „რა მამაცობაა“. როდესაც ქალაქის დამცველები ბრძოლის ველზე დაეცნენ, აგოსტინა ქვემეხთან დადგა. მუქ ფონზე ქალის თეთრი ფიგურა იმ ანთებულ ჩირაღდანს წაგავს, რომელიც აგოსტინას ხელში უჭირავს.

1814 წელს საფრანგეთის ჯარებმა ესპანეთი დატოვეს, მაგრამ ამას გოიას სამშობლოსათვის შვება არ მოუტანია. მადრიდის ტახტზე აღდგენილმა ბურბონებმა უმძიმესი რეაქცია დაამყარეს. გოიამ დედაქალაქის ალიაქოთს გარეუბნის სიმყუდროვე, ამჯობინა. იგი მადრიდის მახლობლად ორსართულიან სახლში გადასახლდა, რომელსაც მეზობლებმა „ყრუს სახლი“ უწოდეს. აქ განმარტოვებული გოია მთლიანად შემოქმედებით მუშაობაში ჩაეფლო. იგი ფუნჯით ებრძოდა არსებულ უსამართლობას, რომელსაც თანდათან სულ უფრო მტკივნეულად განიცდიდა. გოიას პროტესტი მძაფრდება და ძლიერდება, ალეგორია ღრმავდება და რთულდება, გამოხატვის ფორმები და საშუალებები იხვეწება, ფანტაზია მართლაც რომ ფანტასტიკურ დონემდე ადის. ესპანეთში კი რეაქციას არ ცხრებოდა. ხანდაზმული ხელოვანისათვის მძიმე აღმოჩნდა დევნილის ხვედრი. 78 წლის დიდი მხატვარი საფრანგეთში გადაიხვეწა და ქალაქ ბორდოში დამკვიდრდა. დიდოსტატის ფუნჯი სიცოცხლის ბოლომდე მისი თანამგზავრი იყო.

? 1. რა იზიდავდა იტალიაში დავიდსა და გოიას? 2. როგორ გამოხატეს დავიდმა და გოიამ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება აბსოლუტიზმისადმი? 3. როგორი იყო დავიდის დამოკიდებულება რევოლუციის მიმართ? 4. როგორ ეპყრობა დავიდსა და გოიას შემოქმედებაში ნაპოლეონისადმი დამოკიდებულება? 5. რატომ გაატარეს დავიდმა და გოიამ თავისი ცხოვრების ბოლო წლები ემიგრაციაში?

სურათი 56

ჰორაციუსების ფიცი
(დავიდის ნახატი)

სურათი 57

მარატის სიკვდილი
(დავიდის ნახატი)

სურათი 58-59

გოიას ოფორტები

სურათი 60

ესპანეთის მეფის კარლოს IV-ის ოჯახის ჯგუფური პორტრეტი
(გოიას ნახატი)

სურათი 61

ფრანგების მიერ ესპანელ მეამბოხეთა დახვრეტა 1808 წლის 3 მაისს
(გოიას ნახატი)

სურათი 62



„რა მამაცობაა“
(გოიას ოფორტი)

ჟან ბატისტ დებრე
(1768- 1848)

ფრანგი მხატვარი ჟან ბატისტ დებრე საფრანგეთში ნაპოლეონ ბონაპარტის კონსულობისა და იმპერატორობის ხანაში მოღვაწეობდა. ბურბონთა რესტავრაციის შემდეგ მან მიიღო ბრაზილიის იმპერატორის პედრო I-ის (1798-1834) წინადადება. ბრაზილიის იმპერატორმა დებრე მიიწვია რიო-დე-ჟანეიროში ხელოვნების აკადემიის დასაარსებლად. დებრე ბრაზილიაში გაემგზავრა.

დებრეს საუკეთესო ქმნილებები ვერსალის, რუანის და მონპელიეს მუზეუმებშია წარმოდგენილი.

დებრეს ნამუშევრებიდან აღსანიშნავია სურათი, რომელზედაც ასახულია ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ საპატიო ლეგიონის ორდენის დარიგების ცერემონიალი. საპატიო ლეგიონის ორდენი ნაპოლეონმა 1802 წლის მაისში დააარსა. 1804 წლის 15 იელისს, ბასტილიის აღების მეთხუთმეტე წლისთავზე, ამ ორდენით პირველად მოხდა დაჯილდოება. საპატიო ლეგიონის ორდენებს პირადად ნაპოლეონი არიგებდა. სწორედ ეს მომენტია ასახული დებრეს მიერ შესრულებულ დიდ ტილოზე, რომელიც ამჟამად პარიზში, საპატიო ლეგიონის ეროვნულ მუზეუმში ინახება.

სურათის ცენტრში თავისი აღმოსავლური ჩაცმულობით გამოირჩევა ნაპოლეონის მცველი ქართველი რუსტამი, რომელსაც მკერდზე უკვე აქვს გაკეთებული საპატიო ლეგიონის ორდენი, მეორე სამხედრო პირი კი უახლოვდება ბონაპარტს ორდენის მისაღებად. იქვე დგანან დანარჩენებიც, რომლებიც თავის რიგს უცდიან. მხატვრის მიერ ამგვარად ასახული მომენტი გვაფიქრებინებს, რომ ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელსაც აღნიშნული ორდენი მიეცა, რუსტამი იყო. საფრანგეთში ეს ორდენი ამჟამადაც ერთ-ერთ უმაღლეს ჯილდოდ და პატივად ითვლება.

დავალება

შეადარეთ დავიდის და გოიას შემოქმედება.

სურათი 63

საპატიო ლეგიონის ორდენით პირველად დაჯილდოება
(დებრეს ნახატი)

XXVI თავი
ვენის კონგრესი; „საღვთო კავშირი“

§ 1. ვენის კონგრესი. მას შემდეგ, რაც 1792 წლის 20 აპრილს საფრანგეთმა პრუსიას და ავსტრიას ომი გამოუცხადა, ევროპა თითქმის 20 წლის განმავლობაში საომარ ასპარეზად იქცა. 1814 წლის მარტში ნაპოლეონის გადადგომით ომების ხანა დასრულდა.

1814 წლის სექტემბერში გამარჯვებული სახელმწიფოების წარმომადგენლები ვენაში შეიკრიბნენ. ისინი მიზნად ისახავდნენ ნაპოლეონზე გამარჯვების შედეგების საერთაშორისო ხელშეკრულებებით გაფორმებას. ავსტრიის დედაქალაქში ევროპის 216 ქრისტიანული სახელმწიფოს წარმომადგენელი ჩავიდა. მაჰმადიანური თურქეთი კონგრესზე არ მიუწვევიათ.

გამარჯვებულმა ქვეყნებმა მიიჩნიეს, რომ მათთან ომში დამარცხდა ნაპოლეონი და არა საფრანგეთი, სადაც ბურბონთა დინასტია იქნა აღდგენილი. ამიტომ კონგრესზე საფრანგეთის წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანიც მოიხმეს.

შეკრებილი ხელმწიფეების, მინისტრებისა და ელჩებისათვის ყოველდღიურად იმართებოდა ნადიმები, სპექტაკლები, ნადირობა, სეირნობა, მეჯლისები. თანამედროვენი ოხუნჯობდნენ: კონგრესი სხდომებს კი არ აწყობს, ცეკვავსო.

სინამდვილეში ვენაში კონგრესის მონაწილეთა შორის ფარულად გააფთრებული დიპლომატიური ბრძოლა მიმდინარეობდა. დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლები ... ფიზიკურებრივი გულმოდგინებითა და დაუნდობლობით აწყობდნენ რთულ და ... ინტრიგებს, რამაც კონგრესის საბოლოო შედეგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია.

ევროპის საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში პირველად ვენის კონგრესზე განისაზღვრა, რომ ინგლისი, რუსეთი, ავსტრია, პრუსია და საფრანგეთი „დიდი სახელმწიფოებია“. მათ შორის განსაკუთრებული მდგომარეობა ინგლისსა და რუსეთს ეკავათ. ინგლისი ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყანა იყო, რუსეთს კი ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა. ეს ორი ქვეყანა მიზნად ისახავდა: არ დაეშვათ ერთმანეთის მეტისმეტი გაძლიერება, დაესუსტებინათ საფრანგეთი, კონტინენტურ ევროპაში კი შეძლებისდაგვარად აღედგინათ და განმტკიცებინათ ფეოდალურ-აბსოლუტური რეჟიმი.

დიდ სახელმწიფოთა შორის ყველაზე სუსტი საფრანგეთის პოზიციები იყო. მაგრამ ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტალეირანმა შესანიშნავად გამოიყენა

თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური და დიპლომატიური საქმიანობის მანძილზე უხვად დაგროვილი ვერაგობისა და უტიფრობის მდიდარი �ოკდილება. მან ძირითად ამოცანად საფრანგეთის წინააღმდეგ ინგლისის, რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის მიერ შექმნილი ერთიანი ფრონტის გარღვევა დაისახა.

ყველაზე მეტი ტერიტორიული პრეტენზიები ევროპაში რუსეთისა და პრუსიას ჰქონდათ. ეს ინგლისისა და ავსტრიის უკმაყოფილებას იწვევდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა წამოაყენა ე.წ. „ლეგიტიმიზმის“ (კანონიერების) პრინციპი — ევროპა რევოლუციური ომების დაწყებამდე, 1792 წლამდე არსებულ საზღვრებს უნდა დაბრუნებოდა. ეს ეწინააღმდეგებოდა ალექსანდრე I-ის მისწრაფებებს, რადგან ნაპოლეონზე გამარჯვების შედეგად რუსეთი ვარშავის საპერკოგოზე აცხადებდა პრეტენზიას. ალექსანდრე I-ის ამ მოთხოვნის საპასუხოდ ტალეირანმა განაცხადა, რომ იგი „სამართლიანობას ყველაფერზე უფრო მაღლა აყენებს“.

სურათი 64

ვენის კონგრესი

ყოველივის თავშეკავებული და გარეგნულად ზრდილობიანი ალექსანდრე I ამჯერად წონასწორობიდან გამოვიდა და თავის თანამოსაუბრეს შეჰყვირა: „უმჯობესია ომი“. სიტუაცია მართლაც კომიკური იყო. ტალეირანი, რომელიც ნაპოლეონის ეპოქაში, საფრანგეთის სასარგებლოდ ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე ჭრიდა და კერავდა ევროპის პოლიტიკურ რუკას, პირადი გამორჩენის მიზნით ღალატობდა და სათანადო თანხად ჰყიდდა ყველას და ყველაფერს, რუსეთის იმპერატორს ზნეობისა და სამართლიანობისაკენ მოუწოდებდა.

ამის შემდეგ ტალეირანმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ქესტლრი და ავსტრიის კანცლერი თავადი მეტერნიხი დაარწმუნა რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ ფარული ხელშეკრულების დადების აუცილებლობაში. სამ ცალად შედგენილი ინგლის-ავსტრია-საფრანგეთის საიდუმლო ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი, ამ ქვეყნების დედაქალაქებში — ლონდონში, ვენასა და პარიზში ინახებოდა. საფრანგეთში ნაპოლეონის ძალაუფლების ასი დღით აღდგენისას, ლუი XVIII ისე სასწრაფოდ გაიქცა საზღვარგარეთ, რომ ხელშეკრულების თან წაღება ვერ მოასწრო. ეს დიპლომატიური დოკუმენტი ნაპოლეონს ჩაუვარდა ხელში. მან იგი მაშინვე ვენაში, ალექსანდრ I-ს გადაუგზავნა.

რუსეთის იმპერატორი აღშფოთდა. მან მიღებული დოკუმენტი მეტერნიხს გადასცა. ეს უკანასკნელი იმდენად დაიბნა, რომ თავის სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად ვერ მოიფიქრა რა სიცრუე მოეგონებინა მოულოდნელად შექმნილი საშინელი მდგომარეობიდან. თავის დასაღწევად. მაგრამ ამ შემთხვევას არ შეეძლო ბატონყმური რუსეთის თვითმპყრობელი ალექსანდრე I-ის შეურიგებელი პოზიციის შეცვლა ბურჟუაზიული საფრანგეთის მესვეურის ნაპოლეონის მიმართ. ალექსანდრე I-მა 1815 წლის 9 ივნისს ვენის კონგრესის მონაწილეებთან ერთად ხელი მოაწერა ვენის კონგრესის გენერალურ დასკვნით აქტს.

ევროპა ვენის კონგრესის შემდეგ **რუკა 15**

გერმანიის კავშირის საზღვარი

1. ვარშავის საპერცოგოს აღმოსავლეთი ნაწილი
2. საქსონია, 2ª. საქსონიის ტერიტორია, რომელიც გადაეცა პრუსიას
3. პარმა
4. მოდენა
5. ლომბარდია-ვენეციის ოლქი
6. კრაკოვის რესპუბლიკა
7. პაპის ოლქი.

§ 2. ვენის კონგრესის გენერალური დასკვნითი აქტი. ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით საფრანგეთი იმ საზღვრებში ჩააყენეს, რომლებიც მას რევოლუციური და დაპყრობითი ომების დაწყებამდე ჰქონდა. „ასი დღის“ შემდეგ მას 700 მილიონი ფრანკი კონტრიბუცია დააკისრეს.

საფრანგეთმა შვეიცარიას დაუბრუნა ნაპოლეონის დროს მიტაცებული სტრატეგიული მნიშვნელობის უღელტეხილები. ვენის კონგრესმა შვეიცარია მუდმივი ნეიტრალიტეტის ქვეყნად გამოაცხადა.

რუსეთმა შეინარჩუნა დაპყრობილი ფინეთი და ბესარაბია, პოლონეთის განაწილების შედეგად მიერთებული ტერიტორიები, და შეიძინა ვარშავის საჰერცოგოს დიდი ნაწილი.

ინგლისმა მიიღო კუნძული მალტა და ნიდერლანდის ყოფილი კოლონიები: სამხეთ აფრიკის ტერიტორია და ინდოეთის მახლობლად მდებარე უზარმაზარი კუნძული ცეილონი. ინგლისის მთავარი წარმატება მისი ძველისძველი მეტოქის საფრანგეთის დასუსტება იყო.

ავსტრიამ დაიბრუნა ნაპოლეონთან ომების დროს დაკარგული ტერიტორიები. ვენის კონგრესმა კვლავ დააჭუცმაცა ნაპოლეონის დროს ფაქტიურად საფრანგეთის ბატონობის ქვეშ გაერთიანებული იტალია. კონგრესმა იტალიის ძირითადი ნაწილი ავსტრიას დაუქვემდებარა.

პრუსიამ მიიღო ვარშავის საჰერცოგოს აღმოსავლეთი ნაწილი და მნიშვნელოვანი სამფლობელოები ცენტრალურ ევროპაში. პრუსია საგრძნობლად იქნა გაძლიერებული, რათა მას გაეწონასწორებინა, ერთი მხრივ, საფრანგეთი, მეორე მხრივ ავსტრია. ბელგია შეუერთეს ნიდერლანდის სამეფოს.

ვენის კონგრესის დასკნითი აქტით 38 დამოუკიდებელი გერმანული სახელმწიფოსაგან „გერმანიის კავშირი“ შეიქმნა. კავშირში ორი ძლიერი სახელმწიფო — ავსტრია და პრუსიაც შევიდა. მათი ურთიერთქიშპი არც ერთ მათგანს არ აძლევდა გერმანული სახელმწიფოების თავის გარშემო გაერთიანების საშუალებას. ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით უძლურ „გერმანიის კავშირს“ კი საერთაშორისო ასპარეზზე ანგარიშს არ უწევდნენ.

§ 3. „საღვთო კავშირი“. შუა ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების თავიდან აცილებისა და კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებში ფეოდალურ-აბსოლუტური რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, 1815 წელს მონარქებმა ალექსანდრე I-ის წინადადებით, ე.წ. „საღვთო კავშირი“ შეკრეს. კავშირის შექმნის აქტს რუსეთის, ავსტრიის და პრუსიის ხელმწიფეებმა მოაწერეს ხელი. შემდგომში კავშირს ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს მონარქი შეუერთდა. „საღვთო

კავშირში“ არ შესულა ინგლისი, მაგრამ იგი თავდაპირველად აქტიურად უჭერდა მხარს მის რეაქციულ ლონისძიებებს.

„საღვთო კავშირმა“ 1821 წელს ავსტრიის ჯარების დახმარებით საბრძოლ იტალიაში ჩახშო ლიბერალური მოძრაობა, 1823 წელს კი საფრანგეთის არმიის საშუალებით ესპანეთის რევოლუციას გაუსწორდა.

ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგობის გამო საღვთო კავშირმა ევროპის ფარგლებს გარეთ თანდათან დაკარგა ძალა და გავლენა. ამ ქვეყნების ზემოქმედების მან ვერ შესძლო 1823 წელს ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიებისა ულლისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ლათინურ ამერიკაში შეიარაღებული ძალების გაგზავნა.

1830 წელს საფრანგეთში ბურბონთა ხელისუფლების საბოლოო დამხობა, ნიდერლანდისაგან ბელგიის, თურქეთიდან კი საბერძნეთის გამოყოფა „საღვთო კავშირის“ აღსასრულს ნიშნავდა.

? 1. როგორი იყო ვენის კონგრესის შემადგენლობა? 2. რა მიზნებს ისახავდნენ ვენის კონგრესის მონაწილეები? 3. რა წინააღმდეგობები არსებობდა დიდ სახელმწიფოებს შორის და რას გულისხმობდა ლეგიტიმიზმის პრინციპი? 4. როგორ გადანაწილა ტერიტორიები დასკვნითმა აქტმა? 5. განსაზღვრეთ „საღვთო კავშირის“ მიზნები. 6. რამ განაპირობა „საღვთო კავშირის“ კრახი?

დანართი

ტალეირანი
(1754-1838)

ტალეირანი გაღარიბებულ არისტოკრატიულ ოჯახში დაიბადა. მან სასულიერო სემინარია დაამთავრა. 1788-1791 წლებში იგი ოტენის ეპისკოპოსი იყო. გენერალურ შტატებში სამღვდელოებიდან აირჩიეს, მაგრამ მესამე წოდების დეპუტატებს მიემხრო და საეკლესიო მიწების ერის განკარგულებაში გადაცემის წინადადება წამოაყენა. 1792 წელს ტალეირანი დიპლომატიური მისიით გაემგზავრა ინგლისს. მონარქიის დამხობის შემდეგ მეფესთან მისი საიდუმლო კავშირი გამოვლინდა, ამის გამო იგი საფრანგეთში 1796 წლამდე აღარ დაბრუნებულა.

ტალეირანი დირექტორიის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. ეს პოსტი მან კონსულობისა და იმპერიის დროსაც შეინარჩუნა. იგი ნაპოლეონის მრჩეველი იყო.

ტალეირანმა წინასწარ განჭვრიტა ნაპოლეონის აუცილებელი მარცხი და

1808 წლიდან საიდუმლო კავშირი დაამყარა ალექსანდრე I-თან და მეტერნიხთან. ნაპოლეონმა ეჭვი აიღო ტალეირანის არაკეთილსინდისიერებაზე, მაგრამ ღალატის დამტკიცება ვერ მოახერხა. ამიტომ ნაპოლეონი ტალეირანის თანამდებობიდან გადაყენებას დასჯერდა.

ნაპოლეონის დამხობის შემდეგ ტალეირანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბურბონთა რესტავრაციაში. ვენის კონგრესზე იგი საფრანგეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა. მან წამოაყენა ლეგიტიმიზმის პრინციპი და ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობების მოხერხებულად გამოყენების გზით საფრანგეთის პოზიციების მნიშვნელოვნად გაძლიერება შეძლო.

ნაპოლეონის „ასი დღის" შემდეგ ტალეირანი ხანმოკლე დროით მეთაურობდა საფრანგეთის მთავრობას. მაგრამ რესტავრაციის პერიოდის რეაქციონერებმა ვერ აპატიეს მას რევოლუციაში მონაწილეობა და აიძულეს გადამდგარიყო. ტალეირანი 15 წლის განმავლობაში პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორდა. 1830 წლის იულისის რევოლუციის შემდეგ იყო საფრანგეთის ელჩი ლონდონში.

მეტერნიხი (1773-1859)

ავსტრიის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი თავადი მეტერნიხი 1806-09 წლებში ელჩად იმყოფებოდა პარიზში. 1809-21 წლებში ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფაქტობრივად მთავრობის მეთაური იყო. მეტერნიხი მიისწრაფოდა დაებრუნებინა ნაპოლეონის მიერ ავსტრიისათვის წართმეული მიწები. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ცდილობდა ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობები ავსტრიის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ხელი შეეშალა ევროპაში რუსეთის შემდგომი განმტკიცებისათვის. დიდი როლი შეასრულა ვენის კონგრესზე. იყო „სალვთო კავშირის" ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. 1821 წელს ავსტრიის კანცლერი გახდა. 1848 წლის რევოლუციამ დაამხო მეტერნიხის ხელისუფლება, იგი საზღვარგარეთ გაიქცა. 1851 წელს ავსტრიის რევოლუციის დამარცხების შემდეგ ავსტრიაში დაბრუნდა, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა აღარ მიუღია.

ქესტლრი
(1769-1822)

რობერტ ქესტლრი 1805-1809 წლებში იყო დიდი ბრიტანეთის ტორული მთავრობის სამხედრო მინისტრი, ხოლო 1812-1822 წლებში — საგარეო საქმეთა მინისტრი. 1813-1814 წლებში ცდილობდა ავსტრია და პრუსია ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ გამოეყენებინა. ვენის კონგრესზე რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ ავსტრიასა და საფრანგეთთან საიდუმლო შეთანხმებაში მონაწილე-

ობდა. ქესტლრი მხარს უჭერდა „საღვთო კავშირის“ მოღვაწეობას, ხელს უწყობდა რეაქციის გაძლიერებას ფეოდალურ ევროპაში.

ინგლისის დემოკრატიული საზოგადოებრიობა ქესტლრის თვლიდა პირწავარდნილ რეაქციონერად და უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფებოდა მასთან.

1822 წელს ქესტლრიმ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ჯორჯ ბაირონმა ამის შესახებ დაწერა ლექსი, რომელშიც სახელგანთქმული ინგლისელი მწერალი ირონიულად აცხადებდა: ქესტლრის ერთადერთი დამსახურება დიდ ბრიტანეთის წინაშე ის არის, რომ მან თვითმკვლელობით ინგლისი ქესტლრისაგან იხსნაო.

დავალება

შეადგინეთ სქემა ვენის კონგრესის მიერ განხორციელებული ტერიტორიული გადანაწილების შესახებ.

ქრონოლოგიური ცხრილი

1603-1625	ჯეიმზ I სტიუარტის ზეობა.
1607	ინგლისელების მიერ ჩრდილოეთ ამერიკაში ახალშენის დაარსება.
1608-1674	ჯონ მილტონის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1625-1649	ჩარლზ I სტიუარტის ზეობა.
1628	ინგლისის პარლამენტმა მიიღო „პეტიცია უფლებათა შესახებ“.
1629-1640	უპარლამენტო მმართველობა ინგლისში.
1640-1652	ხანგრძლივი პარლამენტის მოღვაწეობა ინგლისში.
1642	ჩარლზ I ჩრდილოეთში გაემგზავრა. სამოქალაქო ომის დაწყება ინგლისში.
1645, 14 ივნისი	ნეიზბისთან ბრძოლა.
1646	ხანგრძლივი პარლამენტის კანონი სარაინდო მიწათმფლობელობის გაუქმების შესახებ.
1649, იანვარი	ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა. რესპუბლიკის დამყარება ინგლისში.
1649-1660	ინტერრეგნუმის პერიოდი ინგლისში (ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯიდან ჩარლზ II-ის გამეფებამდე).
1650-1651	ინგლისის პარლამენტმა მიიღო ზღვაოსნობის კანონები.
1652-1654	ინგლის-ჰოლანდიის ომი.
1653-1658	კრომველის პროტექტორატი ინგლისში.
1660-1688	სტიუარტთა რესტავრაცია ინგლისში.
1661-1731	დენიელ დეფოს ცხოვრება და მოღვაწეობა.
1667-1745	ჯონათან სვიფტის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1679	ინგლისის პარლამენტმა მიიღო „ჰაბეას კორპუს აქტი“.
1682-1725	პეტრე დიდის ზეობა.
1683, ივლისი	პოლონეთისა და ავსტრიის გამარჯვება თურქ-ოსმალებზე ვენასთან ბრძოლაში.
1684	შეიქმნა ანტითურქული კავშირი „საღვთო ლიგა“.
1685-1688	ჯეიმზ II სტიუარტის ზეობა.
1685-1750	იოჰან სებასტიან ბახის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1685-1759	გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1688	უსისხლო რევოლუცია ინგლისში.
1688-1702	უილიამ ორანელის ზეობა.
1689-1755	შარლ ლუი მონტესკიეს ცხოვრება და მოღვაწეობა.
1689	ინგლისის პარლამენტმა მიიღო ბილი უფლებათა შესახებ.
1689	სოფიოს მიერ მოწყობილი შეთქმულების მარცხი. პეტრე I-ის მიერ ძალაუფლების ერთპიროვნულად აღება.

1694-1778 ვოლტერის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1696 პეტრე I-ის მიერ აზოვის ციხესიმაგრის აღება.
1697-1698 რუსეთის „დიდი ელჩობა“ ევროპაში.
1700-1721 ჩრდილოეთის ომი.
1700 რუსეთის დამარცხება ნარვასთან ბრძოლაში.
1701 ბრანდენბურგის კურფიურსტი ფრიდრიხი კენინგსბერგში პრუსიის მეფედ ეკურთხა.
1701-1714 ესპანეთის მემკვიდრეობისათვის ომი.
1701 ინგლისის პარლამენტმა მიიღო „აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“.
1702-1714 ენი სტიუარტის ზეობა.
1703 სანკტ-პეტერბურგის მშენებლობის დაწყება.
1709 პოლტავის ბრძოლა.
1711 პეტრე I-ის წარუმატებელი ლაშქრობა პრუტზე.
1712-1778 ჟან-ჟაკ რუსოს ცხოვრება და მოღვაწეობა.
1713-1784 დენი დიდროს ცხოვრება და მოღვაწეობა.
1714 ჰანოვერთა დინასტიის გამეფება ინგლისში.
1721,30 აგვისტო რუსეთსა და შვედეთს შორის დაიდო ნიშტადტის ზავი.
1721 რუსეთის გამოცხადება იმპერიად. პეტრე I-ს მიენიჭა ტიტული „დიდი“. სანკტ-პეტერბურგი რუსეთის იმპერიის დედაქალაქი გახდა.
1722-1723 პეტრე დიდის სპარსეთის ლაშქრობა.
1729-1761 გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1732-1809 იოზეფ ჰაიდნის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1734 რუსეთმა დაუბრუნა ირანს კასპიის ზღვის სანაპიროები.
1736-1747 ნადირ-შაჰის ზეობა.
1740-1780 მარი-ტერეზას ზეობა.
1740-1786 ფრიდრიხ II-ის ზეობა.
1740-1748 ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ომი.
1746-1826 ფრანსისკო გოიას ცხოვრება და მოღვაწეობა.
1748-1825 ჟაკ ლუი დავიდის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1749-1832 იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ცხოვრება და მოღვაწეობა.
1754-1791 რობერტ ბერნსის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1756-1763 შვიდწლიანი ომი (დასრულდა პარიზის ზავით).
1756-1791 ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1759-1805 იოჰან ფრიდრიხ შილერის ცხოვრება და მოღვაწეობა.
1762-1796 ეკატერინე II-ის ზეობა.

1765	ჩრდილო ამერიკის კოლონიებში საგერბო გამოსაღების დაწესება (გაუქმდა 1766 წელს, ისე რომ ცხოვრებაში არ გატარებულა).
1765	ჯონ ჰარგრეივმა სართავი ჯარა გამოიგონა.
1768-1774	რუსეთ-თურქეთის პირველი ომი (დასრულდა ქუჩუკ-კაინარჯის ზავით).
1772	პოლონეთის პირველი დანაწილება პრუსიას, ავსტრიასა და რუსეთს შორის.
1773	„ბოსტონის ჩაის სმა".
1773-1775	გლეხთა აჯანყება რუსეთში ემელიან პუგაჩოვის მეთაურობით.
1774	დიდი ბრიტანეთის პარლამენტის მიერ კვებეკის აქტის მიღება.
1775	დამოუკიდებლობის ომის დასაწყისი ამერიკაში.
1776, 4 იელისი	დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება; ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა.
1777	ამერიკელებმა სარათოგასთან დაატყვევეს ინგლისური არმია.
1780-1790	იოსებ II-ის ზეობა.
1781	ამერიკელებმა და ფრანგებმა იორკთაუნთან სახმელეთო და საზღვაო ბრძოლაში დაამარცხეს ინგლისელები.
1783	პარიზის ზავით ინგლისმა აშშ-ს დამოუკიდებლობა ცნო.
1784	ჯეიმს უატმა ორთქლის მანქანა გამოიგონა.
1785	ედმუნდ ქართრაითმა მექანიკური დაზგა გამოიგონა.
1787-1791	რუსეთ-თურქეთის მეორე ომი (დასრულდა იასის ზავით).
1789, 5 მაისი	გენერალური შტატების გახსნა საფრანგეთში.
1789, 14იელისი	ბასტილიის აღება.
1789, 26აგვისტო	დამფუძნებელმა კრებამ საფრანგეთში ადამიანისა და მოქალაქის მუფლებათა დეკლარაცია მიიღო.
1791, 21 ივნისი	საფრანგეთიდან მეფის გაქცევის ცდა (ვარენის კრიზისი).
1791, სექტემბერი	პირველი კონსტიტუციის მიღება საფრანგეთში.
1792, 20 აპრილი	ომის დაწყება საფრანგეთსა და ფეოდალურ ევროპას შორის.
1792, 10 აგვისტო	მონარქიის დამხობა საფრანგეთში.
1792, 20 სექტემბერი	ფრანგების გამარჯვება ვალმისთან ბრძოლაში.
1792, 21 სექტემბერი	ეროვნული კონვენტის გახსნა.
1792, 22 სექტემბერი	საფრანგეთის გამოცხადება რესპუბლიკად (პირველი რესპუბლიკა საფრანგეთში 1792-1804).
1793, 21 იანვარი	ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯა.
1793, 2 ივნისი	საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში იაკობინთა მოსვლა.
1793, 24 ივნისი	იაკობინური კონსტიტუციის მიღება.

1793, 17 იელისი	კონვენტის დეკრეტი ფეოდალურ უფლებათა სრული და უსასყიდლოდ გაუქმების შესახებ საფრანგეთში.
1793	პოლონეთის მეორე დანაწილება. აჯანყება ტადეუშ კოსტიუშკოს მეთაურობით.
1794,26 ივნისი	ფრანგების გამარჯვება ფლერიუსთან ბრძოლაში.
1794,27 იელისი	9 თერმიდორის გადატრიალება, იაკობინთა ხელისუფლების დამხობა.
1795, აგვისტო	მესამე კონსტიტუციის მიღება საფრანგეთში.
1795	პოლონეთის მესამე დანაწილება.
1796-1801	პავლე I-ის ზეობა.
1796-1797	ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი ლაშქრობა იტალიაში.
1798-1799	ნაპოლეონ ბონაპარტის ლაშქრობა ეგვიპტეში.
1799,9 ნოემბერი	18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლების სათავეში ნაპოლეონ ბონაპარტის მოსვლა.
1801-1825	ალექსანდრე I-ის ზეობა.
1801	აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ.
1304, 18 მაისი	ნაპოლეონ ბონაპარტის „ფრანგთა იმპერატორად" გამოცხადება (პირველი იმპერია საფრანგეთში 1804-1814).
1804-1813	რუსეთ-ირანის ომი (დასრულდა გულისტანის ზავით).
1805,1 დეკემბერი	რუსეთისა და ავსტრიის ჯარებზე ნაპოლეონის გამარჯვება აუსტერლიცის ბრძოლაში.
1806	კონტინენტური ბლოკადის გამოცხადება.
1806-1812	რუსეთ-თურქეთის ომი (დასრულდა ბუქარესტის ზავით).
1807	რუსეთსა და საფრანგეთს შორის დაიდო ტილზიტის ზავი.
18.3	ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში.
1812, 26 აგვისტო	ბოროდინოს ბრძოლა.
1813	„ხალხთა ბრძოლა" ლაიფციგთან.
1814, მარტი	ნაპოლეონის გადადგომა. მისი გადასახლება კუნძულ ელბაზე.
1814-1815	ბურბონთა პირველი რესტავრაცია საფრანგეთში.
1814 სექტემბერი	— 1815 ივნისი ვენის კონგრესი.
1815, მარტი-ივნისი	ნაპოლეონის „ასი დღე". მისი გადასახლება წმინდა ელენეს კუნძულზე.
1815 ივნისი	ბურბონთა მეორე რესტავრაცია საფრანგეთში.
1815	„საღვთო კავშირის" შექმნა.
1821	ნაპოლეონ ბონაპარტი გარდაიცვალა წმინდა ელენეს კუნძულზე (ნაპოლეონის ცხედარი საფრანგეთში 1840 წელს გადაასვენეს).

ლიტერატურა

აგიბალოვა ე.ვ. დონსკოი ვ.ე. შუა საუკუნეების ისტორია: VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1986.

ასათიანი ნ., გუჩუა ვ., ლორთქიფანიძე მ., მესხია შ. საქართველოს ისტორია: VIII-IX კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1990.

ახალაძე ნ. ირან-საფრანგეთის ურთიერთობა და საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, თბ., 1990.

ახალი ისტორია 1640-1870: საშუალო სკოლის IX კლასის სახელმძღვანელო /აკადემიკოს ა.ლ. ნაროჩნიცკის რედაქციით, თბ., 1988.

დონაძე ვ. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1959.

ეფიმოვი ა.ვ. ახალი ისტორია (1789-1870); სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მე-8 კლასისათვის, თბ., 1944.

ეფიმოვი ა.ვ. ახალი ისტორია (1789-1870): სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მე-8 კლასისათვის, თბ., 1986.

თამარაშვილი ლ., ახვლედიანი ზ. ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბ., 1975.

საბაკშვო ენციკლოპედია: საზღვარგარეთის ქვეყნები, თბ., 1983, ტ. 10.

საბაკშვო ენციკლოპედია: ხელოვნება, თბ., 1987, ტ. 12.

საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია, თბ., 1977, ნაწ. I.

საზღვარგარეთული ლიტერატურის ქრესტომათია: საშუალო სკოლის VIII-IX კლასებისათვის, თბ., 1973.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ.,1973, ტ. 4.

სურგულაძე აკ., სურგულაძე პ. საქართველოს ისტორია: საკითხავი წიგნი, 1783-1990, თბ., 1991.

ტაბაღუა ი. საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII – საუკუნის მიწურული – XIX საუკუნის დასაწყისი), თბ., 1974.

ტივაძე თ. საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1977.

უზნაძე დ., გველესიანი ი. ახალი ისტორია: საშუალო სასწავლებლებისათვის (XVIII-XIX საუკუნეები), თბ., 1919.

ურუშაძე ნ. ნარკვევები საზღვარგარეთის ლიტერატურიდან, თბ., 1960.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1975-1987, ტ. I-XI.

ქრესტომათია ახალ ისტორიაში, თბ., 1979, წიგნი I.

შუა საუკუნეების ისტორია /ს.დ. სკაზკინის და ო.ლ. ვაინშტეინის რედაქციით, თბ., 1949, ტ. 2.

ჯავახიშვილი ივ., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბ., 1943.
Виппер Р. Учебник новой истории, М., 1907.
Всеобщая история / под ред. Я.Я. Зутиса, М., 1958, Т. 5.
Всеобщая история / под ред. Н.А. Смирнова, М., 1959, Т. 6.
Добрынин К.И. Новая история, М., 1919.
Новая история стран Европы и Америки, первый период, М,. 1986.
Советская историческая энциклопедия, М., 1961-1976, т. 1-16.
Энциклопедический словарь, издатели Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон, С-ПБ., 1890-1904, тт. 1-82.
Bonifacio A., Michaud J. 1789-1970. L'epoque contemporaine, P., 1970.
Dermenjian G., Mazet C., Vila F. Histoire, P. 1988.
Durch Geschichte zur Gegenwart, Zurich, 1988-1989, 1-2.
Francois D., Francois J., Haurez R. L'epoque Contemporaine, P., 1973.
Terry L.Smart, Allan O.Kownslar, World History, A story of progress, New York, Toronto, Mexico City, London, Sydney, Tokyo, 1987.

პირველი კარისათვის

ალასანია გ., კიკნაძე რ. წყაროთმცოდნეობის პრობლემები, თბ., 1988.
ანთაძე კ., კალანდაძე მ., მეშველიანი კ. მსოფლიოს ისტორიის პერიოდიზაციის საკითხისათვის // ისტორია და გეოგრაფია სკოლაში, 1992, 1.
ანთაძე კ., კალანდაძე მ., მეშველიანი კ. ისტორიის პერიოდიზაციისათვის // მაცნე. ისტორიის სერია, 1992, 5.
კილურაძე გ. ახალი ისტორია. თბ., 1970, ნაწ. I.
სიდამონიძე უ. ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხი, თბ., 1978.
ყორანაშვილი გ. პროფესია — ისტორიკოსი, თბ., 1986.

მეორე კარისათვის

ბერნსი რ. ლექსები, თბ., 1959.
ბერნსი რ. ლირიკა, თბ., 1964.
დეფო დ. რობინზონ კრუზოს ცხოვრება და თავგადასავალი (ნებისმიერი გამოცემა).
კილურაძე გ. XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, თბ., 1979-1983, ნაწ. I-II.
მილტონი ჯ. დაკარგული სამოთხე, დაბრუნებული სამოთხე, თბ., 1969.
მილტონი ჯ. სამსონი, თბ., 1966.
რიდი მ. თეთრი თათმანი, თბ., 1974, თხზ. ტ. 6.

სვიფტი ჯ. გულივერის მოგზაურობა (ნებისმიერი გამოცემა).
Барг М.А. Кромвель и его время, М., 1960.

მეხამე კარიხათვის

კუპერი ფ. უკანაკნელი მოჰიკანი. თბ., 1963.
მერიმე პ. ტამანგო, თბ., 1957.
ჯორჯ ვაშინგტონი, თარგმნა გარსევანიშვილმა, თბ., 1891.

მეოთხე კარიხათვის

ახობაძე მ. დიდი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი, თბ., 1958.
ბორისოვი ს. ბაგრატიონი, თბ., 1941.
ბრეგაძე დ. ქართული კულტურის მოღვაწეები რუსეთში, თბ., 1974.
გაბაშვილი ვ. ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969.
გოლუბოვი ს. ბაგრატიონი, თბ., 1962.
გონიკიშვილი მ. ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.
ზარდალიშვილი გ. გამოჩენილი ქართველი მოგზაურები, თბ., 1958.
მაჭარაძე ვ. ახპინძის ბრძოლა, თბ., 1957.
მაჭარაძე ვ. გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ., 1983.
მჭედლიძე გ. რუსეთი ლომონოსოვის დროს (1715-1765 წწ.), თბ., 1979.
მეგრელიძე შ. პეტრე ბაგრატიონი, თბ., 1986.
ნაკაშიძე ნ. პეტრე პირველი, თბ., 1975.
ნეჩკინა მ.ვ., ლეინბენგრუბი პ.ს. სსრ კავშირის ისტორია: საშუალო სკოლის VII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1981.
ოსიპოვი კ. სუვოროვი, თბ., 1941.
პაიჭაძე გ. გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1980.
პუშკინი ა. პეტრე დიდის ზანგი, თბ., 1938.
პუშკინი ა. კაპიტანის ქალიშვილი, (ნებისმიერი გამოცემა).
პუშკინი ა. პოლტავა, თბ., 1954.
ჟილინი პ.ა. მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვი, თბ., 1987.
რუხაძე ტრ. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს., თბ., 1960.
სსრ კავშირის ისტორია: საშუალო სკოლის მე-7 კლასის სახელმძღვანელო / აკადემიკოს ბ.ა. რიბაკოვის რედაქციით, თბ., 1987.
სსრ კავშირის ისტორია: საშუალო სკოლის IX კლასის სახელმძღვანელო / ა.მ. პანკრატოვას რედაქციით, თბ., 1946, ნაწ. II.
სიხარულიძე ფრ. ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1990.
სიხარულიძე ფრ. მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბ., 1991.

სიხარულიძე ფრ. მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან, თბ., 1989.
სურგულაძე ა. რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, თბ., 1973.
სურგულაძე ა. რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1963.
ტაბალუა ი. ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, თბ., 1967.
ტაბალუა ი. საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან), თბ., 1979.
ტატიშვილი ვ. ქართველები მოსკოვში, თბ., 1950.
ტოლსტოი ლ.ნ. ომი და მშვიდობა, (ნებისმიერი გამოცემა).
ფედოსოვი ი.ა. სსრ კავშირის ისტორია: სახელმძღვანელო VIII კლასისათვის, თბ., 1986.
ჯიბლაძე ნ. დიდი რუსი მხედართმთავრები სუვოროვი და კუტუზოვი, თბ., 1960.

მეხუთე კარიხათვის

გიგინეიშვილი ო. ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982.
დონაძე ვ. აზიის და აფრიკის ქვეყნების ახალი ისტორია, თბ., 1971, ნაწ. I.
მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, / რედ. ო. გიგინეიშვილი, თბ., 1975.
სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1989.
შარაშენიძე ზ. ფერეიდნელი „გურჯები" თბ., 1979.
შარაშენიძე ზ. ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბ., 1969.
შენგელია ლ. ამიერკავკასია და ირან-რუსეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 1979.
შენგელია ლ. ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, თბ., 1973.
შენგელია ლ. შინაფეოდალური ომი ირანში ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ, თბ., 1970.
ცინცაძე ი. აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წ.), თბ., 1969.
ჭიჭინაძე ზ. ოსმალეთის ეოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი 1452-1926, თბ., 1927.

მეექვსე კარიხათვის

ალშვანგი ა. ბეთჰოვენი, თბ., 1963.
ბეთჰოვენი ლ.ვ. წერილები, თბ., 1989.
ბარათაშვილი ნ. ლირიკა, (ნებისმიერი გამოცემა).
გალაკტიონ ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკალური ლიტერატურა, თ

გამსახურდია კ. გოეთეს ცხოვრების რომანი, თბ., 1969.
გოეთე ი.ვ. ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი, თბ., 1983.
გოეთე ი.ვ. დრამები, თბ., 1969.
გოეთე ი.ვ. რჩეული ლირიკა, თბ., 1972.
გოეთე ი.ვ. ფაუსტი, თბ., 1987.
კაპანელი კ. მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი, თბ., 1937.
ლაშქარაძე დ. იოჰან ვოლფგანგ გოეთე, თბ., 1982.
ლაშქარაძე დ. ფრიდრიხ შილერი, თბ., 1955.
ლევიკი ბ.ვ. საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკალური ლიტერატურა, თბ., 1973.
ლესინგი გ.ე. დრამები, თბ., 1958.
ლოზინსკაია ლ. შილერი, თბ., 1984.
ნუცუბიძე შ. კრიტიკული ნარკვევები, თბ., 1966.
ოსიპოვი კ. შვიდწლიანი ომი პრუსიასთან და ბერლინის აღება, თბ., 1942.
რევიშვილი შ. ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე, თბ., 1987.
როლანი რ. ბეთჰოვენის ცხოვრება, თბ., 1973.
შილერი ფ. რჩეული თხზულებანი სამ ტომად, თბ., 1954.
შილერი ფ. ყაჩაღები, თბ., 1952.
ხავთასი გრ. ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953, ტ. 1.
ჯინორია ო. გოეთეს შემოქმედებითი გზა, თბ., 1966.
ჰენდელი, მოცარტი, ვაგნერი, თბ., 1967.
Документы жизни и деятельности И.С. Баха, М., 1980.
Музыкальная энциклопедия М., 1973-1982, тт. 1-6.
Савка К. Моцарт "Реквием", М., 1956.
Черная Е.С. Моцарт, жизнь и творчество, М., 1966.

მეშვიდე კარისათვის

ანთაძე კ. ნარკვევი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1978.
ასათიანი ლ. ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1933.
ბალზაკი ო. ევგენი გრანდე, თბ., 1948.
ბუაჩიძე გ. ჟან-ჟაკ რუსო, თბ., 1983.
ილია ს. ჟან-ჟაკ რუსოს ცხოვრება და პედაგოგიური სისტემა, თბ., 1947.
ინო დ. ესთეტიკა, ფილოსოფია, სოციოლოგია, თბ., 1939.
ი დ. რამოს ძმისშვილი, თბ., 1939.
ი ჩ. ბასტილიის პატიმარი, ნაწყვეტი მოთხრობიდან „ორი ქალაქი", ტფ.,
ერიანი, გლეხკაცის ისტორია, თბ., 1959.

ვოლტერი ფ. ზადიგი, თბ., 1891.
ვოლტერი ფ. უმანკო, თბ., 1892.
ვოლტერი ფ. ფილოსოფიური მოთხრობები, კანდიდი, თბ., 1949.
კილურაძე გ. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის რეორგანიზაცია), თბ., 1963.
კილურაძე გ. საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792), თბ., 1982.
კილურაძე გ. საფრანგეთ-საქართველოს ისტორიული და კულტურული ურთიერთობიდან // მნათობი, 1971, 1.
ნამორაძე ა. შარლ-ლუი მონტესკიო, თბ., 1956.
ობოლაძე უ. ჟან-ჟაკ რუსო, თბ., 1976.
როლან რ. 14 ივლისი ანუ ბასტილიის აღება, თბ., 1907.
რუსო ჟ.-ჟ. ემილი ანუ აღზრდის შესახებ, თბ., 1949.
რუსო ჟ.-ჟ. ჟიული ანუ ახალი ელიოზა, თბ., 1982.
ფანჩულიძე დ. ნაკვეთები ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1974.
ფრანსი ა. ღმერთებს სწყურიათ, ბათუმი, 1988.
ცვაიგი შ. ჟოზეფ ფუშე, პოლიტიკური მოღვაწის პორტრეტი, ბათუმი, 1990.
ძიმისტარაშვილი ს. საფრანგეთის დიდი რევოლუცია, თბ., 1931.
ჭყონია ა. ისტორიული ნარკვევი ანუ ქრესტომათია საქართველოს ისტორიისათვის თბ., 1890.
ჰიუგო ვ. ოთხმოცდაცამეტი წელი (ნებისმიერი გამოცემა).

მერვე კარიხათვის

ანთელავა ი. ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1984.
არდაშელია ო. ნაპოლეონ I-ის პოლიტიკა ირანის მიმართ 1802-1807 წწ. და საქართველო // საქართველო და ევროპის ქვეყნები, თბ., 1991, ტ. 5.
გელოვანი ა. მარად ცოცხალი ხელოვნება, თბ., 1980.
დონაძე ვ. ნაპოლეონ ბონაპარტის გეგმები საქართველოს მიმართ (XVIII-XIX სს. მიჯნა) // თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 246. თბ., 1984.
ნაპოლეონი. რჩეული ნაწერები, თბ., 1943, ტ. 1.
სილაგაძე ბ. ქართველი მამლუქები ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში 1789-1807 წლებში, თბ., 1984.
სოსვაძე ბ. 1812 წლის სამამულო ომის გმირთა ისტორია, თბ., 1988.
ტაბალუა ი. ნაპოლეონ I-ის აღმოსავლური პოლიტიკის ისტორიიდან // საქარ და ევროპის ქვეყნები, თბ., 1989, ტ. 4.
ტარლე ე. ნაპოლეონი, თბ., 1941.

უიარაღო, მამელუკი (ნებისმიერი გამოცემა).
ფოიხტვანგერი ლ. გოია, თბ., 1978.
ხელოვნების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1985.
История Западно-Европейского искусства (III-XX вв.), краткий курс / , под ред. Н.Н. Пунина, М.-Л., 1940.
Манфред А.З. Наполеон Бонапарт, Сухуми, 1989.
იხილე ლიტერატურა მეოთხე კარისათვის.

სარჩევი

პირველი კარი. შესავალი 3

I თავი. მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია 3

II თავი. ისტორიული წყაროები 8

მეორე კარი. ინგლისი XVII-XVIII საუკუნეებში 10

III თავი. სტიუარტების გამეფება ინგლისში 10

IV თავი. XVII საუკუნის ინგლისის რევოლუცია 18

V თავი. ინგლისის რევოლუციის პოლიტიკური და
ეკონომიკური შედეგები 25

VI თავი. XVII-XVIII საუკუნეების
ინგლისურენოვანი ლიტერატურა 32

**მესამე კარი. ამერიკის შეერთებული შტატების
წარმოქმნა** 40

VII თავი. ინგლისის კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში 40

VIII თავი. ომი დამოუკიდებლობისათვის და
ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა 48

**მეოთხე კარი. რუსეთი XVII ს-ის მიწურულიდან
XIX ს-ის დასაწყისამდე** 53

IX თავი. რუსეთის საგარეო პოლიტიკა XVII ს-ის
მიწურულსა და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში 53

X თავი. პეტრე დიდისა და მისი მემკვიდრეების
საშინაო პოლიტიკა 62

XI თავი. ეკატერინე II;
რუსეთი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე 69

**მეხუთე კარი. ირანი და თურქეთი XVII საუკუნის
მიწურულიდან 1814 წლამდე** .....

XII თავი. ირანი XVII საუკუნის მიწურულიდან 1814 წლამდე ... 7

XIII თავი. თურქეთი XVII საუკუნის მიწურულიდან 1813 წლამ

მეექვსე კარი. **გერმანია XVIII საუკუნეში** 94
XIV. თავი. გერმანული სახელმწიფოები XVIII საუკუნეში 94
XV თავი. გერმანული ლიტერატურა 100
XVI თავი. XVIII საუკუნის დიდი გერმანელი პოლიფონისტები 109
XVII თავი. ვენის კლასიკოსები 115

მეშვიდე კარი. **საფრანგეთის დიდი რევოლუცია** 112
XVIII თავი. ძველი რეჟიმი საფრანგეთში 122
XIX თავი. ფრანგული განმანათლებლობა 128
XX თავი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისი 136
XXI თავი. პირველი რესპუბლიკა საფრანგეთში 146

მერვე კარი. **ნაპოლეონის ეპოქა** 156
XXII თავი. რესპუბლიკიდან იმპერიამდე 156
XXIII თავი. პირველი იმპერია საფრანგეთში 165
XXIV თავი. პირველი იმპერიის აღსასრული 173
XXV თავი. დავიდი. გოია. 182
XXVI თავი. ვენის კონგრესი. „საღვთო კავშირის“ 196

ქრონოლოგიური ცხრილი 204

ლიტერატურა 208

ბეჭდა ოფსეტური

ტირაჟი 2500

ოპერატიული სტამბა „ქართული ფილმი“ დავაით აღმაშენებლის
ლისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, გრ. რობაქიძის ...

ირი ნიკოლოზ ლოგუა
უკელაშვილის VIII კლასის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს
ათეის სავალდებულოა ავტორის თანხმობა. .....